

# ვანის

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის  
კვლევის ცენტრის კრებული

## ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографии и фольклора  
Ванского района

## Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore  
Research Centre

№14

ვანი  
Vani  
Vani  
2018 წ.

## სარჩევი

1.	საახალცლო მიღოცვა .....	3
2.	ილია II სამობაო ეპისტოლე .....	5
3.	<b>რაფიელ ერისთავი</b>	
	სამშობლო ხევსურისა .....	6
4.	ვანის გუნიდიალიტაზის განვითარების ზოგიერთი სტრატეგიული მონახაზები და შედეგები XIX საუკუნის პირველი ათლეულის მიორე ნახევარში .....	7
5.	აკადემიკოსი ავთანაძის ინკოლეგვილი — 70 .....	23
6.	<b>ავთანაძის ინკოლეგვილი</b>	
	ქართველები სტამბოლში .....	24
7.	აკადემიკოსი გურამ ლორთქიფანიძე — 80 .....	37
8.	<b>გურამ ყიფიანი</b>	
	ორიოდე სიტყვა პროფესორ გურამ ლორთქიფანიძეზე .....	38
9.	<b>ოლდა სოსელია</b>	
	ჩიჯავაძეთა სათავადო .....	39
10.	<b>ომარ კავანაძე</b>	
	1964-1965 წლების საგლეხო რეფორმა- სოფლის თემსაზოგადოებების აღმოცენება „ვანში და მათი სასოფლო და სამედიცინო სასამართლოები .....	45
11.	უკ ჭრასეული გამპას თვალით დანახული „საჩინო“ .....	61
12.	<b>თეიმურაზ ადეივილი</b>	
	სტალინის პიროვნება და საქართველო .....	68
13.	<b>ომარ გაბუნია</b>	
	ვანის აქეოლოგიური ექსპედიცია და მათი ურთიერთობა ადგილობრივ მცხოვრებლებთან ..	76
14.	<b>ომარ ძაგიძე</b>	
	დიანა ვაშაყმაძე .....	92
15.	<b>აზერ გველესიანი</b>	
	ადამიანური სულის ღვთაებრივი გამოვლინება .....	94
16.	<b>აკაკი თევზაძე</b>	
	ქალის ფერმენის გააზრება ქართულ ხალხურ პოეზიასა და ვანელ ავტორმთქმელთა შემოქმედებაში .....	102
17.	<b>ელენე გეგეშიძე</b>	
	მენორა – ეპრაქლი ხალხის სიმბოლო .....	106
18.	<b>ინდირა გოგოძე</b>	
	პოზიტიური ცვლილებების სამუშაო პოლიტიკა მხოლოდ სიკეთეზეა აგებული .....	117

## გ 0 ლ ო ც ვ ა

„განის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ ახალ 2019 წლის შემთბენანებას ულოცავს:

– რაიონის ყველა თჯახსა და მაცხოვრებელს, სრულიად სქერითველის.  
– კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგის წევრებს, პროფესიონელებს: გურამ ყიფიანს, თეიმურაზ სურგულაძეს, ავთანდილ ნიკოლეშვილს, თეიმურაზ ადემშვილს, უნა დვალიშვილს, ლუკა დვალიშვილს, თმარ ძაგიძეს, ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაცრძლის დირექტორს თმარ გაბუნიას.

– მეცნიერებსა და მკლევარებს, რომლებიც ინტენსიურად თანამშრომლობენ „განის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრით“, კრებულ „მატიანესთან“ ბათონებს, პროფესიონელებს: გია კვაშილავას, სერგო ვარდასანიძეს, მალხაზ ერქვანიძეს, დიმიტრი ახვლედიანს, გურამ ლორთქეთიშვილებს, ქალბატონ დარეჯან კაჭარავას, რომა დევდარიანს, ქრისტიან მეძველიას, ნანა გონჯილეშვილს, შორენა პირველს, ნანა ვალიშვილს, მაია ჭელიძეს, ზორა უხადაიას, დოდო ჭუმბურიძეს. უხუცეს მეცნიერს სიმონ არველაძეს, გურამ ბელთაძეს, კობა არაბულს, რენიკო საკანდელიძეს, ბადრი ბუხაიძეს, მერაბ კეჩევაძეს, ლადო სულაბერიძეს (უმცროსი).

პატივს მივაგებთ პროფესიონელების „განის რაიონის ისტორიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ თანადამფუძნებლების ამირან ნიკოლეშვილისა და თორნიკე ეფრემიძის ხსოვნას.

– ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელებს: ალექსანდრე ლილუქშვილსა და ალექსანდრე გოგორიშვილს, მათ ცალკეულ სამსახურებსა და თანამშრომლებს.

– რედაქტორ-გამომცემლებს, ბიბისმერნებს: ბეჟან წაქაძესა და ზაურ თავიძეს.  
– ყველა იმ მეცნიერსა და მთლიანობის, რომლებიც სიტყვითა და საქმით გვირდით უდგანან „კვლევის ცენტრს“.

– გან-ბაღდათის ეპარქიის ვანის თლქს სამღვდელთ და სამთხმენო დასს, რომლებიც გულწრფელად იღწიან ქრისტიანული რწმენის გაძლიერებისთვის და აღავლენენ ლოცვებს ერისა და მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა უკეთესი მომავლისათვის.

- გულწირფელად ვულოცავთ ქვეყნისა და ვინის მუნიციპალიტეტის ახალგაზისადმის, მთავარან თაბობას „სამშობლო არ დაიგირებოთ, სამშობლო – უმთავრესია.“
- კოებულ „მატიანეში“ გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებელი სტატიების, ნარკევების, წერილების ავტორებს, მათ მცირხველებს.
- ვანის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო, განათლებისა და ფუნქციების განვითარების ცენტრის“, მის ყველა თანამშრომელს.
- ვანის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსულტრის, ყველა საჯარო სკოლას და მათ ხელმძღვანელებს, რომლებიც გვერდით უდგანან „კვლევის ცენტრის“ საქმიანობას.
- ვანის ტერიტორიულ ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა ვინელს, რომლებიც გულწირფელად ცდილობენ საკმარის როგორიცაც უდიდეს ვანს გვერდით.
- შპს „შბმ-პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობას და ყველა თანამშრომელს.  
ბეჭნიერება იყოს თითოეული მათგანის, მათი თვალსების გზამკვლევი!  
ბეჭნიერება და გამოლიანება, ვუსურვოთ სტულიად საქართველოს!

საქართველოს კათოლიკოს პატიანების,

“უწმის და უნიტარის

0708 მეორე „საშობაო ეპისტოლე“

(8-14 იანვარი, 2007 წელი)

(ემსახური)



....ჩვენს დოკტორი სიკეთისა და ბოროტების გატჩევა კიდევ უფრო გაჭირდა, ამიტომაც აუცილებელია, კარგად გავაცნობიეროთ, რა გარემოში ვცხოვოთბოთ, რომელი ტენდენციებია მნიშვნელოვანი, რა არის პირველი რიგის ამოცანა, რაა შემდეგ გასაკეთებელი?

ტელევიზიის, მთაბილური კავშირგაბმულობის, კომპიუტერისა და ინტერნეტის განვითარებამ მანძილი და დრო მკვეთრია შეამცირა. ეკონომიკა თანდათან კარგად მხოლოდ ერთვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობისა და იქმნება ფრანსესიონალური კომპანიები, რომელთაც ძირითადად, საკუთარი მიხნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესები, მიმდინარეობს კულტურისა და სამილაციის პროცესიც. ეს ყველაფერი მრავალსახოვანი გლობალიზაციის გამოვლინებაა. ასეთ ვითარებაში ჩვენი ხალხი ახალი პროცესების წინაშე დადგა. ეს არის დოკოს გამოწვევა. კონკრეტული ძალა არ ჩანს, მაგრამ ცრუ თავისუფლებაზე დაყრდნობით, მასმედიის საშუალებით (სერიალებით, მდარე ტელეპროგრამულით ხდება ზემოქმედება ჩვენი სახოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის, ცნობიერებაზე, რათა მათში დაინერგოს არაერთვნული, არაექიატიანული მსოფლმხედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიის შეცვლას და ერთიანი ქართველი ერის დაშლასა და გადაგვარებას. უნდა გავაცნობიეროთ, რომ შეტევა ხორციელდება თითოეული ადამიანის აზროვნებაზე, ამიტომაა ყოველი ჩვენგანის გული და გთხება ამ ბრძოლის ასპარეზი. ესა თუ ის პირვენება ან რჩება ქართველიდ, ან თავისი შინაგანი სისუსტისა და მიმბრძველობის გამო, ცვლის ღირებულებათა სისტემას. ეს ისეთივე მნიშვნელოვანი თმია, როგორც ჩვენ მამაკანათ გამოუგლიათ.

მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტა მოგებულია. უფალი ბრძნებს: „ნუ გეშინიან, რამე თუ მე მიძლევის სოფელს.“ მაში, იბრძოლეთ, ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ თმია თქვენი დიდობრი, თქვენი ბასიანი.

## სამშობლო ხეგსერისა

სადაც ვწითბილვარ, გავზირდილვარ და მისრთლია ისარი,  
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუტოს ფიცარი,  
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, - ჩემი სამშობლო ის არი.

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამთხეზედა!..

მე მიოჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,  
თბილი რთმ ბუდობს, ჩანჩქერი გადმოჰქმებს ბრთლიწყლიანი,  
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქეს მარილიანი...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამთხეზედა!..

ბარად რთმ ვიყთ ლაღადა, სული მთისაკენ იხარის,  
სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის,  
იქ მიჯობს შავი სიკედილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის!..

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამთხეზედა!..

ბარად რთმ მთმცე დიდება, ქონება უთვალადვია,  
სასახლე თქრის ჭახტითა, ჯარი და ზღვაზე ნაგია,  
არა ვინდომთ ეგენი, არ მთკედეს ჩემი თავია...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამთხეზედა!..

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,  
თრივ ჭკბილია, მმთბილო, მიოჩევნის თრისავ თვალზედა,  
რთგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...

არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამთხეზედა!..

## **ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრისაგან**

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ და ცენტრის კრებულმა „მატიანემ“ 2018 წლის მე-12 ნომერში გამოაქვეყნა ნარკვევი მასალა „ვანის განვითარების საყურადღებო მონახაზები XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მეორე ნახევარში“, რომელშიც, თითქმის, დეტალურად იყო აღნერილი აღმშენებლობითი ძვრები, რომელიც ვანის მუნიციპალიტეტის სივრცეში განხორციელდა. მონაცემები თანამედროვე პირობებისათვის (ბოლო 28 წლის მანძილზე) შთამბეჭდავია და მიუთითებს ცხოვრების სოციალური ფენომენის თანამიმდევრულ მოწესრიგებაზე.

„კვლევის ცენტრი“ ამ საკითხით დაინტერესდა იმის გამოც, რომ ეს პროცესი ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის შემადგენელი ნაწილია და იგი უნდა დარჩეს რაიონის ისტორიას.

ამჟამად, „კვლევის ცენტრი“ და კრებულ „მატიანეს“ რედაქცია განმეორებით გთავაზობთ იმავე მასალას 2018 წლის ზოგიერთი დაკონკრეტული მონაცემების თანდართვით, რაც შედარებით სრულყოფილ სურათს ქმნის ამ კუთხით განეული საქმიანობის შესახებ და მითითებულ შედარებით, ადრე გამოქვეყნებულ ნარკვევში ვერ აისახებოდა.

განმეორება კვლევითი მასალისა განაპირობა ზოგიერთმა ფაქტორმაც და მათ შორის იმან, რომ მასალას ვერ გაჰყვა შესაბამისი პროპაგანდა და მცხოვრებლებამდე მიტანა, რაც აშკარად დადასტურა 2018 წლის ნოემბერში განხორციელებულმა წინასაარჩევნო მუშაობამ.

მიუხედავად იმისა, რომ ვანია ქართული ოცნების სასარგებლოდ მოიგო ეს არჩევნები, თანაც დიდი უპირატესობით.

სურვილის დონეზე რჩება ფაქტი, რომ რაიონის (მუნიციპალიტეტის) მოსახლეობის ობიექტური ინფორმირება და არა მარტო საარჩევნოდ, მიესადაგებოდეს სასურველ დონეს, რომლის ადგილობრივი საინფორმაციო არანაირი საშუალება ახლა თითქმის არ არსებობს. თუმცა, ქვეყანასა და ქართულ ოცნებასაც საამისო საშუალება გააჩნია, მაგრამ გლობალურად ვერც ეს იქნა გამოყენებული და სიცრუეზე აგებულ ოპონენტთა დემაგოგიას დაუთმო გზა. თუმცა, ე.წ. ჩავარდა პირველ ტურში განპირობებული იყო რიგ სხვა ფაქტორებითაც.

„კვლევის ცენტრი“ და კრებულ „მატიანეს“ რედაქცია იმედს იტოვებს, რომ მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს საინფორმაციო ვაკუუმით წარმოქმნილ შეფერხებას საზოგადოების ობიექტური ინფორმირების აუცილებლობას და ალპათ, წარმატებულად გადაჭრის ამ საკითხს.

ახლა კი ყურადღებას კვლავ ვამახვილებთ საკითხზე:

### **ვანის მუნიციპალიტეტის განვითარების ზოგიერთი სტრატეგიული მონახაზები და შედეგები XXI საუკუნის პირველი ათწლეულის მეორე ნახევარში**

„ვანის რაიონის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის ცენტრისათვის“ ეს პერიოდი საინტერესო გახდა რამდენიმე მომენტის გათვალისწინებით, მაგრამ აქედან მნიშვნელოვნად მივიჩინეთ ზოგიერთი კონკრეტული ძვრები, რომელიც უშუალოდ შეეხო აგრარულ სექტორს, ინფრასტრუქტურას, სოციალური ფენომენის სეგმენტებს და მივიჩინეთ ხანგრძლივი სტაგნაციის შემდეგ საწყის ტრამპლინად, რამდენიმე მიმართულებიან გარღვევად.

მართალია ამ პროცესში ადგილობრივი ბიუჯეტი ჯერჯერობით მოკრძალებულად გამოიყურება, მაგრამ სახელმწიფოსა და გარეშე მეგობარი ორგანიზაციების დონორობა დასაფასებელია და ამიტომაც გადაწყდა ეს საკითხი უფრო ფართოდ გამოგვეტანა დღის სინათლეზე.

„კვლევის ცენტრი“ ერთგული რჩება თავისი ფუნქციური დატვირთვისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების – შევისწავლოთ ვანთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მომენტები და დაცუტოვოთ ვანის ისტორიას.

ალბათ, ვანის ინტელექტუალური და ნებისმიერი საღადმოაზროვნე ადამიანებისათვის ახალი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ, სამწუხაროდ, ქვეყნის განვითარების ისტორიული ბორბალი როდესაც სვლას შეწყვეტს, ან საწინააღმდეგო მიმართულებით ერთხელ მაინც დატრიალდება შემდგომ თაობათა უზარმაზარ ძალისხმევას საჭიროებს ვარდნის შესაჩერებლად და მისთვის სვლის ნორმალური მიმართულების მოსაძებნად. ჩვენი ქვეყანა დღეს ამ ბრძოლის ხაზზე დგას და ილუზია არავის აქვს და არც უნდა ჰქონდეს, რომ პროცესი რადიკალური ფორმით ელვისებურად შემოტრიალდება, მაგრამ ძალთა მობილიზება და სწორი მართვა ოპერატიულ დროს მაინც ითხოვს და მიანიშნებს ეროვნული ენერგიის კონსოლიდაციისაკენ. ქართველთა დიდმა კლასიკოსმა ჭაბუა ამირეჯიბმა ერთხელ უკვე შესძახა ერს „ჭკუით ქართველებო“.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელისუფლება, რომელმაც ერი სამოქალაქო ომის ზღვარზე დააყენა და შეიყვანა ამ ფაზაში, ვინც არ უნდა იყოს ის, რომელ მოძრაობასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ვერ დაიკვეხნის სიბრძნითა და შორსმჭვრეტელობით. ჩვენ ეს გზა გავიარეთ ათასი უბედურების თანდართვით, მაგრამ განსაცვიფრებელი ისაა, რომ მოვლენები კარგად ვერ გავაცნობიერეთ, ანალიზს გავურბივართ. როგორც ჩანს, ბევრს და მათ შორის მეცნიერ-მკვლევარებსაც, რომელთაც ხელეწიფებათ ობიექტური კვლევა, ისტორიის ეს გრძელი არაწარმატებული მონაკვეთი დუმილით სურთ ამოავსონ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს რა და როგორ ფენომენთან გვქონდა საქმე ამ მოვლენათა სიგრძე-სიგანეზე და როგორია ამ ფენომენის გავლენა ქართველთა ცხოვრებაზე, რომ შემდეგი სვლის საწყისი წერტილი მოიძებნოს. ასევე არაერთხელ გვითქვამს, რომ მუდმივად ხელისგაშვერა, ვიღაც ხელს გვიშლის და ა.შ. ფუჭ ლაყბობად იქცა, დამაჯერებლობა დაკარგა. ამდაგვარი წინააღმდეგობები სხვადასხვა დოზით ნებისმიერი ქვეყნის წინაშე შეიძლება წარმოქმნას, მაგრამ მისი დაძლევა ერისა და წინამძღოლთა გონიერებას ეყრდნობა.

კარგახანია ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც კარგად მოქნეული ხმლით წყდებოდა წამოჭრილ საკითხთა ბედი. დრო შეიცვალა... ურთულეს გამონვევებთან გვაქვს საქმე. არც ისაა მხედველობიდან გასაშვები, რომ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფორმაციათა ცვლილებების ეპიცენტრში ვდგავართ, მაგრამ წინა ფორმაციამ, თაობებმა დატოვეს ის, რის შენარჩუნებას და დაცვას საჭიროება ითხოვდა. უბედურება ისაა პირწმინდად დავანგრიეთ და გავანადგურეთ ის რისი არდანგრევაც იყო საჭირო – სამრეწველო პოტენციალიც, აგრარული სექტორიც თავიანთი უზარმაზარი ფონდებით. მსოფლიო ისტორიის მაგალითებიც, ალბათ, იშვიათად იცნობს ფაქტებს, როდესაც საკუთარ ქვეყანას, მონაპოვარსა და სიმდიდრეს ასე ბარბაროსულად მისდგომოდნენ ადამიანები, როგორც ეს ჩვენთან მოხდა. ამის საერთო შედეგებიც ზედაპირზე ჩანს რაიონშიც.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მთელ 20-წლიან ინტერვალში სირაქლემას როლი მოვირგეთ, დიდი დრო დაცუტმეთ ფანტაზიურობასა და გულარხეინობას, ამას ბევრი რამ შეეწირა ადამიანთა კონკრეტული კასტის ზნეობრივ გადაგვარებამდე.

ვიცნობთ, რა ვანის ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ ფენომენს, იმ სირთულეებს, რომლის წინაშედაც დადგა რაიონი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან. გვიჭირდა ყველა მიმართულებით უმუშევრად დარჩენილი მასების სახელფასო, საპენსიო საკითხების მოუწესრიგებლობა, როდესაც რაიონის ეკონომიკური პოტენციალი (ყველა სფეროთა მიხედვით) 25-ჯერ შემცირდა. გავიარეთ უშუქობისა და უგაზობის 10-12- წლიანი პერიოდი, კარს მომდგარი შიმშილის განც-

და, გაკვეთილებზე ნახევრად მშიერი მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჯდომა, ავადმყოფთა მკურნალობის სირთულე და ამის გამო სუიციდამდე მიყვანილი ადამიანების მცირე, მაგრამ კონკრეტული ნაწილი, კრიმინალთა თარეშები და ა.შ. საბოლოო შედეგით – ვანის მოსახლეობის დაახლოებით 15 000 კაცით შემცირება (მოსახლეობის რაონიდან გადინების წყალობით), ეკონომიკური ფიასკო.

საზოგადოება ელოდა ზემოაღნერილ პროცესზე წერტილის დასმას, რასაც მასების გააქტიურებაც დაემთხვა. ვერ ვიტყვი 2012 წლიდან სწრაფ და რადიკალურ ამოტრიალებას ვხედავთ, მაგრამ დამნახავი დაინახავს იმ ძვრებსა და ცვლილებებს რაც მოხდა, მთავარია, რომ პროცესები დაიძრა.

ერთხელ, მაშინდელ საქართველოში პატიოსნებითა და შრომით სახელმოხვეჭილ გლეხის ქალს ქალბატონ თამარ ყუფენის ჰქონით თუ რა მიაჩნდა ადამიანში ყველაზე უღირს თვისებად, მან დაუფიქრებლად უპასუხა – „უმადურობის გრძნობა“, ეს შეგონება მუდმივმოქმედია!

– ჩვენ მაინც ვანთან მიმართებაში მიგვყავს საუბარი და ამ არეალით შემოვიფარგლებით, თუმცა თავშივე ვაღიარეთ იმ ურთულეს პრობლემათა წყება, რასაც ნავანყდით და ვაწყდებით, რომელიც ერთმანეთის კრიჭაში დგომით არ მოგვარდება. უნდა დავესეხოთ დიდ ილიას – „ქვეყანა ტაძარი კი არაა, სადაც უნდა იჯდე და ლოცულობდე, ასპარეზია, სადაც უნდა გაისარჯო“. საქართველოში ქართველობამ უნდა დაძლიოს წარმოქნილი სირთულეები, ვანში ძირითადად ვანელებმა სახელმწიფო ძალისხმევასთან ერთად.

ეკონომიკური ურთიერთობანი საფუძვლიანადაა შეცვლილი და ესეც კარგად გასაანალიზებელია. ჩვენ უნდა როგორმე გავექცეთ ამ იდეოლოგიურ წნებს, რომელსაც მავანნი და მავანნი ნერგავს, რომ ქართველებს არ შეგვიძლია ქვეყნის, რაონების სრულყოფილი შენება, რომ ამისათვის უნდა დავეყრდნოთ აუცილებლად გარე ძალებს. ვინც საქართველოს ისტორიას შედარებით ნორმალურად იცნობს, კარგად უწყის შეგვიძლია თუ არა აღმშენებლობით საქმეებზე შეჭიდება და ბოლომდე მიყვანა. მსოფლიო ისტორიის ფრაგმენტებიც ადასტურებენ ფაქტს, რომ ქართველებს არათუ აქ, ქართულ, არამედ გარესამყაროშიც უშენებიათ და შეუქმნიათ, მიუყვანიათ სრულყოფილებამდე და ზენიტამდე, ამის ათეულობით მაგალითია. ურთიერთკრიფაში დგომით, რაც სამწუხაროდ დღესაც შეინიშნება, პირველ რიგში სამშობლო ზარალდება.

ვსაუბრობთ რა ვანზე, გვინევს ციფრებსა და მონაცემებზე დაყრდნობა, რადგან მსჯელობის ასეთი ფორმა უფრო სერიოზულიცაა და ლოგიკურიც.

ბევრი უმსგავსობაა დღეს დალექილი, წინასწარ გაუთვლელი და ფორსირებული ექსპერიმენტების შედეგად, რომლის განმენდაც დროს ითხოვს.

მიწის რეფორმა (აგრარული რეფორმა), რომელიც ჩვენთან 25-26 წლის წინათ გატარდა და პრივატიზება დავარქვით, აუნონელ-დაუნონელი გათვლებით და საბოლოო შედეგებითაც ანტირეფორმას უფრო დაემსგავსა. საკითხის გადაჭრის ფორსირებამ და შეუმოწმებელ სიახლეთა ძიებამ დაბადა დაუშვებელი შეცდომები, რომელმაც აგრარულ სექტორს ფუძე გამოაცალა და პრაქტიკულად გაანადგურა თავისი უზარმაზარი ფონდებით, რომელიც მოქმედებაში მერკანტილურმა ინტერესებმაც გააძლიერა. გლეხებს მიზერული მიწების ნაწილი კი ერგოთ თავისი დამადასტურებელი აქტებით, რომელსაც მწერალმა ოტია იოსელიანმა „პალო“ უნიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელი დააბანინა ყველა იმ შეღავათებსა და დახმარებებზე, რასაც სახელმწიფო უწევდა იმ იმედით, რომ ჯერ კიდევ არ არსებული ბიზნესი პრობლემებს დაარეგულირებდა, რაც ასე არ მოხდა და არც მოხდება კონკრეტულ მიზეზთა გამო. ამიტომაცაა, რომ დღევანდელ მმართველობას თავიდან უწევს ამ საკითხების გავლა, რიგ პრობლემათა დაწესრიგება მაქსიმალური შეღავათებით.

ვამბობთ, რომ სისტემა შეიცვალა. სწორია რომ შეიცვალა, მაგრამ, სწორედ ფორმაციის ცვლას სჭირდებოდა მეტი დაფიქრება და იუველური გადაწყვეტილებების მიღება. ჩვენი „კვლევის ცენ-

ტრის” ზოგიერთ წარმომადგენელს ჰქონდა საშუალება ემუშავა 1865 წელს იმერეთის გუბერნიაში გატარებულ საგლეხო საკითხზე (საუბარია ბატონიყმობის გაუქმებაზე), შეიძლება ითქვას იმ სისტემასთან მიმართებაში, რომელშიდაც ეს ღონისძიება გატარდა. რეფორმირების კომისიები საკითხთა შესწავლა-გადაჭრას უფრო საფუძვლიანად მიუდგა ვიდრე 150 წლის შემდეგ შექმნილი კომისიები. თანამედროვეებს მხედველობიდან გამორჩათ ან უგულვებელყვეს, რომ ნებისმიერი აგრარული რეფორმა იმ სახით როგორითაც ჩვენთან გატარდა, წარმოადგენს „მინათმულობელობისა და მინათსარებლობის სისტემის მთლიან ცვლას“. იგი რევოლუციის ტოლფასი მოვლენაა და შეიძლება ერთ-ორ საუკუნის მანძილზე ერთხელაც არ გატარდეს, ამიტომაც იყო მეტი დაფიქრება საჭირო. ვანის სივრცეზე მრავალდარგოვანი აგროსექტორის მონგრევა ამითაც იყო განპირობებული და შეიწირა არა მარტო აგროდარგები, არამედ ფიზიკურად გაანადგურა ასობით ჰექტარი ჩაისა და ხილის პლანტაციები, მებოსტნეობა, 1000 ჰა-ზე მეტი ვენახი, ადგილობრივ გადამამუშავებელ საწარმოებს, რომლებშიდაც ასობით ადამიანი იყო დასაქმებული გამოეცალა ბაზა და საბოლოო ჯამში ფიზიკურ ნგრევამდეც მიიყვანა, განადგურდა მეაბრეშუმეობა როგორც დარგი და ა.შ. აი, ამ ნაყოფს ვიმკით დღეს და მისი გასწორება შორდება ერთ-ორ კვირიან, ან ერთ-ორ წლიან მონაკვეთს, მითუმეტეს აქამდე საფუძვლიანად არავის უცდია საკითხთა დაწესრიგება და ამ საკითხზე გვიწევს საუბარი, რომ ეს პროცესი დაიძრა და რომ ეს პროცესი ჯერჯერობით ეხება მხოლოდ აგრარულ სექტორს თავისი მინი საწარმოებით და არა სამრეწველო პოტენციალს, რომელიც ვანს ნამდვილად გააჩნდა და რომლის პროდუქციაც შესაბამის პერიოდებში ფულის მტკიცე კურსით 40 მილიონამდე მანეთის ფარგლებში თავსდებოდა. აქედან 9 სამრეწველო საწარმო, რომელშიდაც დასაქმებული იყო 2500-ზე მეტი ადამიანი, უკვე ფიზიკურადაც აღარ არსებობს. ამ დანაკარგის გასწორება ე.წ. ერთ-ორ დღეში შეუძლებელია, ეს ჩვენ საუბრის დასაწყისშიც მივუთითეთ, მაგრამ ახლა მომაგრებაა საჭირო, რომ პროცესები გლობალურად დაიძრას.

უზარმაზარი შედავათი იყო 2013 წელს გატარებული მცირემიწიან ფერმერთა (გლეხთა) დახმარების პროგრამა, რომლითაც ისარგებლა ვანის მუნიციპალიტეტის 13258 ბენეფიციარმა (მომხმარებელმა, გლეხურმა ოჯახმა), პროგრამა ითვალისწინებდა როგორც ნიადაგის ხვნის ბარათების უსასყიდლოდ გადაცემას, ასევე აგროინვენტარით უზრუნველყოფას, საერთოდ ორივე ბარათით ისარგებლა რაიონის 9549 ბენეფიციარმა. ამ პროცესზე სახელმწიფოსაგან გაიხარჯა (ერთდროულად) 605700 ლარი (ექვსასხუთიათას შეიდასი ლარი), სარგებელმა შეადგინა 791370 ლარი. ეს იყო მნიშვნელოვანი ბიძგი ვანის აგრარული სექტორის რეანიმაციისათვის, ამ თანხაში შედის აგრეთვე დახმარება გლეხურ მეურნეობაზე სასოფლო-სამეურნეო, მცირე (რა თქმა უნდა მრავალჯერადი გამოყენების) ტექნიკის შესაძენად, რის ბაზაზეც გაიზარდა ვანის აგრარული სექტორის ენერგოშეიარაღების დონე და შეამცირა უამრავ შესასრულებელ სამუშაოზე ხელით შრომის კოეფიციენტი. ეს იყო მნიშვნელოვანი ერთჯერადი წაშველება გლეხებზეც და გლეხურ მეურნეობებზეც.

ცალკეული წლების მიხედვით: 2014 წლის პროგრამა ითვალისწინებდა ნიადაგის ხვნის ბარათების და აგრობარათების გაცემას იმ ბენეფიციარებისათვის, ვინც სახნავი მინის ფართობსაც არ ფლობდა. პროექტში მონაწილეობა მიიღო 13261 ბენეფიციარმა, რომელთა შორის ნიადაგის ხვნის ბარათი მიიღო 9549, ხოლო აგრო ბარათი 3709 ბენეფიციარმა. 2015 წლის პროგრამით მოიხს 2965 ჰა ფართობი, ხოლო 2016 წელს 2411 ჰა.

ამდენად, პროგრამის მოქმედების მთელ პერიოდში 2013 წლიდან 2016 წლის ჩათვლით შედავათებით ისარგებლა (რა თქმა უნდა უსასყიდლოდ) 13261 ბენეფიციარმა, ოთხწლიან მონაკვეთში ვანის რაიონში გლეხურ მეურნეობებზე დახმარების სახით გაიხარჯა 2,174,110 ლარი (ორიმილიონ ასსამოცდათხმეტიათას ასათი ლარი) ესაა მნიშვნელოვანი თანხა, რომელიც სოფლის მეურნეობაზე წაშველების სახით არ გაცემულა. სოციალისტური რეუიმის შემდეგ 2013-2015 წლის პერიოდამდე თითქმის 20-ზე მეტი წლის მანძილზე, ეს იყო ქველმოქმედება. გვესმის, რომ ეკონომიკურ პროცესთა გადაჭრა მიზეზთა გამო, ქველმოქმედებით მუდმივად

შეუძლებელია, მაგრამ ეს წაშველება სიტუაციის რამდენადმე მოსაწესრიგებლად წარმოადგენდა აუცილებელ და მნიშვნელოვან ნაბიჯს გაღებულს სახელმწიფოსაგან და ეს გაკეთდა.

მნიშვნელოვანი იყო პარის ზონაში (ჭალის ფართობებში) სამელიორაციო სამუშაოების ჩატარების სახით, სოფ. ციხესულორის, ამაღლების, ბზვანის, ზედავანის ფართობებში 25,5 კილომეტრის სიგრძის სადრენაჟო არხების, წყლის დამწრეტი საშუალებების სრული რეაბილიტაცია, ციხესულორის ტერიტორიაზე 16 კილომეტრიან სადრენაჟო არხზე გაკეთდა ორი გადასასვლელი ხიდი. პროცესი გრძელდება რიგ სოფლებში (ამაღლება და ა.შ.) მიმდინარეობს სადრენაჟო არხის რეაბილიტაციის სამუშაოები. ყველა ეს სამუშაოთა მოცულობა შესრულდა საქართველოს სამელიორაციო სამსახურის უშუალო ჩარევითა და სახსრებით.

თანადაფინანსების პროექტით ექსპლუატაციაშია გაშვებული გადამამუშავებელი საწარმო, საუბარია ქართულ დაფინაზე სოფელ ბზვანში (მფლობელი მამუკა ალფაიძე) საწარმოს წლიური წარმოება 350 ტონა. გააჩნია პროდუქციის გასაღების ბაზარი უკრაინასა და ბალტიისპირეთში, დასაქმებულია 50 კაცი.

შეიქმნა და მოქმედებაშია 10 სხვადასხვა დარგობრივი 34 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთაგან 10-ს საჭიროებიდან გამომდინარე თანადაფინანსებით გადაეცა (80 000 ლარის ღირებულების 25 მოტობლოკი, ამ თანხის 57 500 ლარი წარმოადგენდა გრანტს.

შეღავათიანი აგროკურედიტის პროექტით, თანხით 2 936 631 ლარი ისარგებლა 62-მა ბენეფიციარმა. აქედან ფერეთას ჩაის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 46 000 ლარი, რომელშიდაც გრანტის სახით მოიხმარება 32 235 ლარი.

„აგროწარმოების ხელშემწყობი პროგრამის“ ფარგლებში ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 589 895 ლარი, აქედან გრანტია (საჩუქარი) 235 958 ლარი.

ვანის მუნიციპალური გამგეობის (დღეს მერია) მიერ ნიადაგის ანალიზის გასაკეთებლად, მეცხოველეობაში ხელოვნური განაყოფიერების განსახორციელებლად გამოყოფილია 8 700 ლარი, ასევე 2017 წელს დამატებით გამოყოფილია 10 000 ლარი.

– დონორი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკინას“ მიერ დაფინანსდა სამი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, „Mercy Corps“ -მიერ დაფინანსებულია რვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, აქედან სოფელ ძულუხში აშენდა თხილის მინი ქარხანა, სადაც ხდება თხილის გარევა, გაშრობა, შენახვა. 4 ჰექტარზე დაფინანსდა უოლოს პლანტაცია და ა.შ. კოოპერატივებს ემსახურებიან ამერიკიდან და თურქეთიდან მოწვეული სპეციალისტები.

2018 წელს აგროწარმოების ხელშემწყობის პროექტის ფარგლებში დაფინანსდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „სპარტაკი“ – სასათბურე მეურნეობა. პროექტის ღირებულებაა 720 000 ლარი, აქედან 312 000 ლარი გრანტია.

აქვე უნდა ითქვას, რომ დახმარებისა და საკონსულტაციო საქმეში სათანადო მოცულობით სამუშაოს ასრულებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვანის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური, (ვანო სანადირაძე, გია ხარაბაძე).

– განადგურების შემდეგ თითქმის არარაობიდან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკი. 2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით, კერძო სექტორშია ბელორუსის მარკის 63 ტრაქტორი.

– ვეტერინალური აცრების მომსახურება უზრუნველყოფილია და ეს სახელმწიფო პროგრამა მთლიანად ფინანსდება უფასოდ.

პრობლემაა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის თაობაზეც მუნიციპალიტეტის ყველა თემსა და სოფელში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია. 12 620 კომლს უფასოდ დაურიგდა შესანამლი პრეპარატი.

შექმნილ სიტუაციაში ყურადღებას იქცევს მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა შესაბამისი კატეგორიისათვის სოციალურ საკითხთა დაწესრიგებისათვის გაღებული ძალისხმევა. საკითხი, რომელიც თავს იყრის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურში. ამ ყველაზე უფრო მგრძნობიარე სფეროზე სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის დახმარებამ 2013 წლი-

დან პროგრესირებადი ხასიათი შეიძინა, ამასთან 2010-2011-2012 წლებში წინა ხელისუფლების დროს საერთოდ არ იყო მოხვედრილი პროგრამულ დაფინანსებაში ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები როგორიცაა: სამედიცინო დახმარება, დიალეზის პროგრამაში ჩართული დახმარება, საბრძოლო მოქმედებათა შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და ა.შ. 2010 წელს მთლიანად დახმარების სახით გამოყოფილი იყო 73; 2011 წელს 154-ათასი ლარი. 2013 წლიდან სიტუაცია იცვლება – იმავე წელს ამუშავდა 6 სხვადასხვა მიმართულების პროგრამა, 2014 წელს 7, დახმარების თანხა გაიზარდა 186 500 ლარამდე. აღნიშნულ წელს მარტო ახალშობილთა ოჯახების დახმარებაზე გაიცა თანხის ის მოცულობა, რომელიც გამოყოფილი იყო 2011 წელს პროგრამის ყველა მიმართულებაზე. 2015 წელს მოქმედი პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 430 000 ლარამდე. აქედან ახალშობილთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 114 ათასი ლარით. სამედიცინო ერთჯერადი დახმარების პროგრამის მიხედვით გაიცა 149798 ლარი, მრავალშვილიანთა დახმარებაზე 19600 ლარი და ა.შ. ამავე წელს მოქმედებდა პროგრამის თორმეტი სხვადასხვა მიმართულება და დაკმაყოფილდა თითქმის ყველა მთხოვნელი. 2016 წელს მოქმედებდა 14 პროგრამის სხვადასხვა მიმართულება, დაფინანსების დონემ მიაღწია 500000 (ნახევარმილიონიან) ზღვარს, ხოლო 2017 წელს 14 პროგრამის მიმართულებაზე წინა წელთან შედარებით დაფინანსება გაზარდეს 100-ათასი ლარით, თანხების მოცულობამ შეადგინა 600-ათასი ლარი, პროგრესირებადი იყო 2018 წლის ასიგნებანიც საერთო თანხით 667 299 ლარით. საკითხებთან დაკავშირებით, პრაქტიკულად 2014-2018 წლებში დახმარება გაეწია 4453-ბენეფიციარს, მთხოვნელს. გაცემული თანხების რაოდენობამ 2018 წლის ნოემბერის ჩათვლით შეადგინა 2 299 034 ლარი. ეს იყო მნიშვნელოვანი განვითარებული ფინანსური დახმარების სახით გვერდით დგომა ყველა იმ ოჯახსა და პირზე, რომლებიც გადაუდებელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ.

\* \* \*

ისეთი ადმინისტრაციული რეგიონები, მათ შორის, როგორიცაა ვანი, თავისი რელიეფური განლაგებიდან, კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულებებიდან, ყოველთვის დგანან უდიდესი რისკების წინაშე, ძირითად შემთხვევებში სტიქიური მოვლენებია ამის განმაპირობებელი, წყალმოვარდნებით დაწყებული, მეწყერული მოვლენებითა და ხანგრძლივი გვალვებით დამთავრებული. მითუმეტეს მუნიციპალიტეტის სოფლები ადრეც და 2013-2017 წლებში არაერთხელ დამდგარან გამოწვევათა წინაშე, სამწუხაროდ წლის მანძილზე ორ-სამჯერაც. ზარალიც დიდია და უზარმაზარ ფიზიკურ და ფინანსური ძალისხმევის წინაშე აყენებს ადამიანებსაც და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტსაც.

ვინაც გადახედავს სტიქიის სალიკვიდაციო პროგრამებსა და დახმარებებს, რეალურად გაკეთებულ საქმეს, იოლად დარწმუნდება იმ მოცულობითი სამუშაოების შესრულებაში, რომელთა დაფინანსება და აღდგენითი სამუშაოები განვითარებულია ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ, გავყვეთ წლების მიხედვით:

1. – 2013 წელს ზარალი განიცადა და რეაბილიტიკის დაქვემდებარა 430 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი, რომლებმაც განიცადეს მნიშვნელოვანი ხარისხის დაზიანება მინიმალური მოშლილობიდან სრულ ნგრევამდე. სარეაბილიტაციოდ ლირებულებამ შეადგინა 1 439 087 ლარი.

2. – 2014 წელი – სტიქიის ქვეშ აღმოჩნდა 215 ობიექტი, რომელთა რეაბილიტაციაზე ან ახლით შეცვლაზე გაიხარჯა 1 102 208 ლარი.

3. – 2015 წელს სარეაბილიტაციო გახდა 95 ობიექტი, რეაბილიტაციას მოხმარდა 701 450 ლარი.

4. – 2016 წელს სტიქიით დაზარალდა 696 ობიექტი, რომლის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 4 985 000 ლარი.

აქვე შენიშვნის სახით უნდა ითქვას რომ ამ თანხებში შედის ცალკეულ ინდივიდებზე მიყენებული ზარალის შესაბამისი ანაზღაურებაც, ხოლო მიმდინარე 2018 წლის ბიუჯეტში, 2017 წლის

ნოემბერ-დეკემბერში სტიქით მიყენებული ზარალის, ობიექტების რეაბილიტაცია-განახლება-ზე სახელმწიფოს მიერ კვლავ გამოყოფილი დამატებითი დაფინანსება 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის მოცულობისა იყო.

საერთო მონაცემებით მხოლოდ მითითებული ოთხი წლის მანძილზე დაზარალდა 1436 ობიექტი, რომელთა აღდგენით სამუშაოებს ან ახლის შექმნას მოხმარდა 8 227 745 ლარი.

აგრარულ სექტორზე სტატიის წინა ნაწილშიც ვისაუბრეთ, მაგრამ საკითხზე, რომელზედაც ახლა ვსაუბრობთ ცალკე თემაა და ითვალისწინებს სოფლის კეთილმოწყობიდან დაწყებული რიგ მიმდინარე და გადაუდებელი საკითხების წესრიგში მოყვანას. ამ ხაზით:

- 2013 წელს განხორციელდა 193 პროექტი, რომელზეც გაიხარჯა 707 704 ლარი.
- 2014 წელს განხორციელდა 218 პროექტი, რომელზეც გაიხარჯა 694 638 ლარი.
- 2015 წელს განხორციელდა 170 პროექტი, რომელზეც გაიხარჯა 691 558 ლარი.
- 2016 წელს განხორციელდა 225 პროექტი, რომელზეც გაიხარჯა 661 272 ლარი.

საერთო მონაცემით განხორციელდა 807 პროექტი, რომელზეც მთლიანად გაიხარჯა 2 735 871 ლარი.

\* \* \*

**- რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები:**

ჩვენ ამ ფონდიდან ინვესტირებებს დიფერენცირებულადაც შევეხებით, მაგრამ, ამჯერად ვნახოთ საერთო მონაცემები, რადგანაც ამ ფონდიდან ფინანსირებებს დაემყარა მუნიციპალიტეტის სამოქმედო სივრცეში ყველაზე მსხვილი ინვენსტიციების გაღებაც და მასშტაბიან სამუშაოთა შესრულებაც, თუმცა ეს არ აკნინებს ზემოჩამოთვლილ შესრულებულ სამუშაოთა და გახარჯული თანხების მნიშვნელობას.

- მითითებული ფონდი მუნიციპალიტეტის სივრცეში ჩართული ჩანს 2013 წლიდან და იმავე წელს შეასრულა 8 პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა მიმართულების 1 188 553 ლარის სამუშაო.

- 2014 წელს მათ მიერ შესრულდა 1 265 113 ლარის 11 პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა დანიშნულების სამუშაო.

- 2015 წელს მათ მიერ 7 სხვადასხვა პროექტზე გაიხარჯა 1 756 846 ლარი.
- 2016 წელს 8 სხვადასხვა პროექტზე გაიხარჯა 2 561 455 ლარი.
- 2017 წელს 20 სხვადასხვა პროექტზე გაიხარჯა 4 589 826 ლარი.

სულ მითითებულმა ფონდმა 5 წლის მანძილზე რაიონში განხორციელა 54 სხვადასხვა მოცულობის პროექტი და გახარჯა 11 361 793 ლარი.

- ადგილობრივი ბიუჯეტით:

- 2013 წელს განხორციელდა 39 პროექტი, ღირებულებით 354 870 ლარი.
- 2014 წელს განხორციელდა 31 პროექტი, ღირებულებით 1 592 115 ლარი.
- 2015 წელს განხორციელდა 53 პროექტი, ღირებულებით 664 098 ლარი.
- 2016 წელს განხორციელდა 53 პროექტი, ღირებულებით 854 375 ლარი.
- 2017 წელს განხორციელდა 5 პროექტი, ღირებულებით 215 667 ლარი.

საერთო მოცულობაში 2018 წლამდე განხორციელდა 181 პროექტი, რომელზედაც გაიხარჯა 3 681 125 ლარი.

მეოთხეველს კვლავ პოდიშს ვუხდით სტატისტიკური მონაცემების ჭარბად მოშველიებისათვის, მაგრამ მხედველობაში გვაქვს ის, რომ აღნიშნული პერიოდი წარმოადგენს რაიონის (მუნიციპალიტეტის) ისტორიის მოკლე ხანში(4-5 წლიან ციკლში) განხორციელებულ მნიშვნელოვან ძალისხმევას და ჩვენი კრებულის (უურნალის) ხაისათიდან გამომდინარე საჭიროდ ჩავთვალეთ ვილაპარაკოთ ფაქტებით, რადგან ეს რჩება რაიონის ისტორიას.

ახლა მივუპრინდეთ ზემოდაპირებულ „რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდს“:

### 2013 წელი

N	ადმინისტრა-ციული ერთეული	სოფელი	სამუშაოს დასახელება	სულ	სამუშაო	პროექტირება
1	შუამთა	შუამთა	შუამთა-მუქედის გზის მშენებლობა	260,457	260,457	
2	ზეინდარი	ზეინდარი	ზეინდარი-ფერეთას გზის მშენებლობა	580,444	580,444	
3	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ. ვანში სააკაძის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია	21,907	21,907	
4	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ. ვანში თამარ მეფის ქუჩის პირველი ჩიხის გასწვრივ მდინარე სულორზე ნაპირსამაგრის მოწყობა	70,764	70,764	
5	შუამთა	შუამთა	შუამთის თემში მდინარე ყუმურზე ნაპირსამაგრის მოწყობა	71,803	71,803	
6	სალომინაო	სალომინაო	სალომინაოს თემში ჭალის ტერიტორიაზე სახნავ-სათესი მიწების საწრეტი არხის მოწყობა	17,000	17,000	
7	ამაღლება	ამაღლება	ამაღლების თემში მდინარე კვირწყალისა და კორწყალის შესართავთან ნაპირსამაგრის მოწყობა	22,790	22,790	
8	ტობანიერი	ტობანიერი	ტობანიერის თემში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა	107,288	107,288	
9	–	–	პროექტირება და ექსპერტიზა	36,100		36,100
			ჯამი	1,188,553	1,152,453	36,100

### 2014 წელი

N	ადმინისტრა-ციული ერთეული	სოფელი	2014 წლის რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან	სულ	სამუშაო ღირებულება	პროექტირება
1	სალხინო	სალხინო	სალხინოს თემში ჯვარისერის გადასახვევიდან სალხინოს სკოლამდე 45 სანათის მოწყობა	22,320	21,970	350
2	ქ. ვანი	ქ. ვანი	ვანი-გაღმავნის გზაზე 40 სანათის მოწყობა	20,740	20,290	450
3	ქ. ვანი	ქ. ვანი	ქ.ვანში მშვიდობის გორაზე დასასვენებელი პარკის მოწყობა	85,001	80,001	5,000
4	ქ. ვანი	ქ. ვანი	ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე სპორტული კომპლექსის რებილიტაცია	181,518	170,518	11,000
5	ქ. ვანი	ქ. ვანი	ბარათაშვილის ქუჩაზე ასფალტობეტონის შავი საფარის მოწყობა	166,841	163,841	3,000
6	ზედავანი	ზედავანი	ზედავანი-მერესგზაზე ასფალტობეტონის შავი საფარის მოწყობა	272,510	267,710	4,800

7	დიხაშხო	ისრითი	ისრითის სულორის ცენტრა-ლური საავტომობილო გზიდან ძულუხის თემის (შაშხაპი) მიმართულებით ასფალტობეტონის შავი საფარის მოწყობა	264,183	259,383	4,800
8	ქ. ვანი	ქ. ვანი	ქ. ვანის N2 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი	55,695	53,195	2,500
9	ზედავანი	ზედავანი	ზედა ვანის საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი	84,179	81,679	2,500
10	სალხინო	სალხინო	სალხინოს საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი	57,320	54,820	2,500
11	ამაღლება	ამაღლება	ამაღლების საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი	54,805	52,305	2,500
	სულ		ჯამი	1,265,113	1,225,713	39,400

### 2015 წელი

N	-ადმინის-ტრაციული ლი ერთეული	სოფელი	2015 წლის რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან	სულ	სამუშაო -ღირებულება	-პროექტირება
1			საპროექტო სახართადრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულება	41,140		41,140
2	სალხინო	სალხინო	სალხინოს თემში, ჯვარისერის გადასახვევიდან სალხინოს მიმართულებით, (ვანი სულორის საავტომობილო გზამდე) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	442,702	442,702	
3	ამაღლება	ამაღლება	ამაღლება-საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია კოპიტნარის მიმართულებით	235,600	235,600	
4	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ.ვანში თავისუფლების ქუჩაზე სპორტკომპლექსის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)	323,366	323,366	
5	ქ.ვანი	ქ.ვანი	სახლის კულტურის ვანი-ქ. რეაბილიტაცია	271,000	271,000	
6	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ.ვანში,ტაბიძე-ბაგრატის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია	165,618	165,618	
7	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ.ვანის N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	277,420	277,420	
			ჯამი	1,756,846	1,715,706	

### 2016 წელი

N	-ადმინის-ტრაციული ლი ერთეული	სოფელი	2016 წლის რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან	სულ	სამუშაო -ღირებულება	-პროექტირება
1	ქ.ვანი	ქ.ვანი	ვანი-ზედავანის გაზის რეაბილიტაცია	184,606	184,606	

2	დიხაშხო	დიხაშხო	დიხაშხოს თემის ცენტრიდან ჭალის მიმართულებით (ბაღდათი-ვანი-დაფნარის საავტომობილო მაგისტრალამდე) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	398,881	398,881	
3	დიხაშხო	დიხაშხო	ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს და ბზვანის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის	396,158	396,158	
4	ტობანიერი	ტობანიერი	ტობანიერი-ყუმურის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	549,250	549,250	
5	ამაღლება	ამაღლება	ამაღლება-საპრასის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ინაშაურის მიმართულებით	323,771	323,771	
6	დიხაშხო	დიხაშხო	ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს თემის ცენტრიდან დედათა მონასტრის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	298,542	298,542	
7	ზეინდარი	ზეინდარი	ვანის მუნიციპალიტეტის ზეინდრისა და სალომინაოს თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	339,517	339,517	
8	დიხაშხო	დიხაშხო	ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს თემის ცენტრიდან დედათა მონასტრის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	70,730	70,730	
			ჯამი	2,561,455	2,561,455	

### 2017 წელი

N	-ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი	პროექტის დასახელება	-გაფორმებული -ხელშეკრულება	მათ შორის		საკასო -შესრულება
					-სახელმწიფო -ბიუჯეტიდან -გამოყოფილი სახსრები	საკუთარი სახსრები	
			სულ	4,589,826	3,311,965	1,277,861	3,596,048
1	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ.ვანში 26 მაისის და სოლომონ მეორის ქუჩების კვეთაზე სკვერის რეკონსტრუქცია	200,020	181,382	18,638	მიმდინარე -ხელშეკრულება
2	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ.ვანში ცენტრალური მოედნის ჩრდილოეთით სკვერის რეაბილიტაცია	95,065	90,195	4,870	მიმდინარე -ხელშეკრულება

3	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე ეპარქიის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია	213,026	193,176	19,850	მიმდინარე -ხელშეკ რულება
4	უხუთი	უხუთი	უხუთის საბავშვო ბაღის მშენებლობა	179,316	169,326	9,990	176,862
5	ტობანიერი	ტობანიერი	ტობანიერი- ყუმურის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზა	522,500	344,328	178,173	520,718
6	დიხაშხო	დიხაშხო	დიხაშხო- ბზვანის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზა	285,000	187,815	97,185	284,976
7	გორა	გორა	გორა-უხუთის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზა	540,000	355,860	184,140	538,502
8	სულორი	სულორი	სულორი- ძულუხის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზა	514,272	338,905	175,367	512,984
9	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ. ვანში ჩახუნაშვილის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	345,893	227,944	117,949	295,972
10	მუქედი	მუქედი	მუქედის თემში სოფლის ცენტრიდან სკოლამდე საავტომობილო გზა	272,923	179,856	93,067	244,361
11	ქ.ვანი	ქ.ვანი	ქ. ვანში თავისუფლების ქუჩის ტურბაზის ჩიხის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	40,906	26,957	13,949	37,131
12	დიხაშხო	დიხაშხო	დიხაშხო თემიდან ჭალის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია	183,910	121,648	62,262	183,326
13	სალხინო	სალხინო	სალხინო-ზენობნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	90,090	59,369	30,721	89,078
14	სულორი	სულორი	სულორის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	164,991	108,729	56,262	161,776
15	ციხესულორი	-ციხე სულორი	ციხესულორის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	195,000	128,505	66,495	191,932
16	ბზვანი	ბზვანი	ბზვანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	140,000	92,260	47,740	138,534
17	შუამთა	შუამთა	შუამთის საბავშვო ბაღის მშენებლობა	143,500	94,567	48,933	137,268

18	ტობანიერი	ტობანიერი	კალისტრატე ცინცაძის სახლ- მუზეუმის მშენებლობა	100,000	65,900	34,100	82,628
19	-	-	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა	234,177	222,468	11,709	მიმდინარე -ხელშევ რულება
20	ქ.ვანი	ქ.ვანი	სასწრაფო სამედიცინო დამსარების ცენტრის მშენებლობა	129,237	122,775	6,462	მიმდინარე -ხელშევ რულება

სამწუხროდ, ჩვენ არც სტატიის და არც კრებულის ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას აქ დეტალურად ვისაუბროთ ყველა განხორციელებულ პროგრამაზე... მაგრამ თავს უფლებას მივცემთ ასევე გამოკვეთილად შევეხოთ საგანმანათლებლო პროცესებსა და სკოლამდელი აღ-ზრდის დაწესებულებების ბაზების ფუნქციონირების საკითხებისადმი გაწეულ ძალისხმევას.

ვანში ამჟამად (მუნიციპალიტეტში) სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბალი, რომელიც 2015-2017 წლების პერიოდში განიცადეს მასშტაბური რეაბილიტაცია და იგი უკლებლივ შექმნა მოდერნიზაციის დაწესებულებას, არაფერს ვამბობთ კვებისა და მოვლის ფენომენზე. „კვლევის ცენტრი“ არ ცდილობს იდეალური სურათის დახატვას, მაგრამ ფაქტები სახეზეა. ამავე პერიოდში აშენდა ორი ახალი, ხოლო მიმდინარე წელს ექსპლუატაციაში გაეშვა უხუთის ახლადაგებული საბავშვო ბალი. ვინც გადახედავს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბალების მშენებლობისა და რეაბილიტაციის შესახებ განხორციელებულ სამუშაოთა ნუსხას (გეგმას თავისი შესრულებით) დარწმუნდება გაკეთებული საქმის მოცულობაში. 3 025 275 ლარი გაიხარჯა შენობების, ეზო-კარმიდამოს და ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეში. აქვე აღვნიშნეთ, რომ საქმეთა მოწესრიგებაში სოლიდურია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანამონაწილეობაც.

ვანის მუნიციპალიტეტის სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის კუთხით გაიხარჯა 1 777 278 ლარი, შექმნა იგი 14 საჯარო სკოლას, რითაც მოწესრიგდა სასწავლო მატერიალური ბაზა, ყველა ეს სამუშაო განხორციელდა 2013-2014 წლებში ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ.

დამატებით – სოფელ ზედა ვანში 2015 წელს აშენდა ახალი ორსართულიანი თანამედროვე სტანდარტის სკოლა, გათვლილი 192 მოსწავლეზე, ღირებულებამ შეადგინა 1 279 459 ლარი, იმავე სკოლაში მოეწყო სამედიცინო კაბინეტი, აღიჭურვა სასკოლო ინვენტარით, ასე, რომ ამ სკოლაზე განეულმა ყველა ხარჯმა შეადგინა 1 459 000 ლარი.

– სოფელ რომანეთში აშენდა ახალი მცირე კონტინგენტიანი საჯარო სკოლა, რომელზედაც დაიხარჯა 300 000 ლარი.

– სოფელ ტობანიერის საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 570 000 ლარი, დანარჩენი თანხა მოხმარდება სკოლის შემორაგვითი საშუალებებით სრულყოფას.

უდიდესი შენაძენია რაიონისათვის სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის წმინდანად შერაცხული, ვანელი კაცის კალისტრატე ცინცაძის სახლ-მუზეუმის აგება სოფელ ტობანიერში, რომელიც სახელმწიფოსაგან გამოყოფილ თანხებთან ერთად (65,900 ლარი) ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით (34,100 ლარი) განხორციელდა.

მოუწესრიგებელი იყო და ქალაქ ვანში მოხდა სასწავლო-სამედიცინო დახმარების ცენტრის

რეაბილიტაცია, რომელსაც მოხმარდა 129 237 ლარი, რომელშიდაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მონაწილეობამ შედაგინა 6 462 ლარი. რაც შეეხება კულტურულ-სპორტულ ობიექტებს, საინტერესო პროექტით განხორციელდა ვანის კულტურის ცენტრის რეაბილიტაციის საკითხი ღირებულებამ შეადგინა 632 284 ლარი; ვანის კომპლექსური სპორტდარბაზის რეაბილიტაცია 504 884 ლარი; ცენტრალური სტადიონის აღდგენითი სამუშაოები 282 515 ლარი.

ჯეროვანი პირობები შეექმნა მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარებას, მისთვის აგებული იქნა საწვრთნელი და სათამაშო მოედანი, გაიხარჯა 114 698 ლარი, ხოლო თვით სახეობა გამოიყო და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ა(ა)იპად, დამოუკიდებელი ფინანსებით, თუ მხედველობაში მივიღებთ ცალკეულ ღონისძიებათა ჩატარებაზე 2013-2018 წლებში გამოყოფილ დაფინანსებასაც საკმაოდ სოლიდური თანხის ჯამს ვიღებთ, ასე, რომ ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ამ მოკლე მონაკვეთის მანძილზე ძვრები მნიშვნელოვანია. 2018 წლის მონაცემებით შეხება მოხდა 2752 ობიექტზე (ვიმეორებთ, მცირე სარესტავრაციო სამუშაოებიდან დამთავრებული მსხვილი პროექტების ჩათვლით) შესრულებულია 36 015 386 ლარის სამუშაო (ამ მონაცემში არ შედის დანახარჯები საჯარო სკოლების აგება-რეაბილიტაციაზე). „კვლევის ცენტრი“ ენდობა ამ მოცულობებს, საქმე გაკეთებულია და ჩანს ვიზუალურადაც.

რაც შეეხება სამომავლო პერსპექტიულ ხედვებს, მნიშვნელოვანია, რომ განახლდა ქართველთათვის უდიდესი ისტორიული და კულტურული ცენტრის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც წლების წინ პოლიტიკაში გადატანილ დაპირისპირებებს ემსხვერპლა. დღეს იგი შენდება თავიდან და იქნება ერთ-ერთი კულტურული შენაძენი ვანისათვის და რა თქმა უნდა, ქვეყნისათვის.

იმ დროს როდესაც ეს სტრიქონები იწერება დასრულებულია არქეოლოგიური გათხრების სარესტავრაციო სამუშაოები გადახურვებით, ობიექტებზე გზების მიყვანით და ა.შ. ხოლო, რაც შეეხება მუზეუმს იგი დასრულდება 2019 წლისათვის. მიმდინარეობს ზრუნვა „ვანი“ არამარტო ნაკრძალ, არამედ ტურისტულ ქალაქადაც ჩამოყალიბდეს, საამისო პოტენციალი მას ნამდვილად გააჩნია. გამიზნულია ქალაქის იერსახის მნიშვნელოვანი ცვლა სკვერების, ქუჩების კეთილმოწყობით, არსებული ობიექტების განახლებითი პროცესებიდან, ახლის შექმნით. აქცენტი გადადის კულტურულ-საგანმანათლებლო-სპორტულ-სახელოვნებო პოზიციების გამყარებაზე, რითაც ვანის რაიონი გამოირჩეოდა და შემდეგში დროთა სვლამ იმსხვერპლა. ამიტომაც „კვლევის ცენტრი“ მიესალმება ყველა ახალ წამოწყებას, რომელიც პრაქტიკულ საფუძველს დაუდებს ვანის ეკონომიკურ-სოციალურ-კულტურულ მომძლავრებას. ვანელებმა უნდა თქვან პირველი სიტყვა ამ სამქეში, გავიმეორებთ დასაწყისში ნათქვამს – სახელმწიფო ძალისხმევასთან ერთად, რომელიც ჩვენი საუბრისას (თუმცა არასრულყოფილად) გამოიკვეთა, ვანელებმა უნდა მივხედოთ ვანს, ამიტომაც ურთულესი გამოწვევის წინაშეა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაც და მათი ხელმძღვანელები, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი და მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გოგორიშვილი. გვინდა ვირწმუნოთ, რომ შეძლებენ ხალხის გაყოლებას და წამოწყებულ და წამოსაწყები საქმეების ბოლომდე მიყვანას, ამ საქმეს მხარი დაუჭირა გაზრდილმა ბიუჯეტმაც, რომელიც 13 558 000 ლარით განისაზღვრა, საიდანაც 7 168 300 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის წილია, რეგიონალურ განვითარების ფონდიდან დამტკიცდა 3 600 784 ლარი და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2017 წლის ოქტომბერ-ნოემბრის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ დამატებით ჩაშვებული იყო 2 მილიონი ლარი, საერთო მოცულობაში პრიორიტეტი ენიჭება არასასკოლო ასაკამდელ ბავშვებზე მზრუნველობას, რის საფუძველზეც საბავშვო ბალბის გაერთიანება ფინანსდება 980 000 ლარით, სპორტული, კულტურულ-საგანმანათლებლო და მუსიკალური ა(ა)იპების განვითარებასა და სრულქმნას მოხმარდა 1050 000 ლარი, წინა წლებთან შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა სოციალურ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, ამ მხირვ რამდენადმე სრულყოფილი და გაუმჯობესებულია პროგრამებიც, დახმარება გაეწევათ სოციალურად დაუცველ სტუდენტებსაც.

ბიუჯეტის დანარჩენი თანხები ძირითადად მიმართული იყო ვანის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, ამ მიმართულებით რეგიონალური განვითარებისა და ადგილობრივი თანადაფინანსების ფონდიდან 2018 წლისთვის ჩაშვებული იქნა 7 149 854 ლარი, რომლითაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდა, ან 2018 წლის 10 დეკემბრისთვის დასრულების სტადიაში იყო უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობა-რეაბილიტაცია.

### 2018 წელს შესრულებულ და დამამთავრებელ ფაზაში შესული ობიექტების ჩამონათვალი

№	ობიექტის დასახელება	თანხა
1	ტობანიერი-ყუმურის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	286,461
2	შუამთის საბავშვო ბაღის მშენებლობა	54,251
3	ამაღლება-საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია /კოპიტნარის მიმართულებით/	611,882
4	ამაღლება-საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია /კოპიტნარის მიმართულებით/ (II)	0
5	ქ. ვანში 26 მაისის ქუჩის პირველი შესახვევის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	138,549
6	ქ. ვანში წერეთლის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	190,512
7	ქ. ვანში გიორგაძის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	189,852
8	ქ. ვანში წმინდა ნინოს ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	399,285
9	გორა-უხუთის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	286,480
10	გორა-უხუთის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (II)	537,665
11	ამაღლება-საპრასიის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია /ინაშაურის მიმართულებით/	220,831
12	ქ. ვანში ერისთავის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	326,257
13	ზედავანი-გადიდის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	242,954
14	ბზვანის თემის დაფნარი-ვანი-ბაღდათის მაგისტრალთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	437,566
15	ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლების შუაგორა-ზედაგორას (ცივწყაროს მიმართულებით) შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	0
16	ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში, ალფაიძეების უბანში, შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.	228,554
		4,151,099

გათვალისწინებულია სპორტული ინფრასტრუქტურის, გარეგანათების, სკოლამდელი დაწესებულებების, კომუნალური მეურნეობის (რომელზედაც გამოყოფილია სოლიდური ხარჯები) და ა.შ. მოვლა-შენახვისა და აღდგენითი სამუშაოების ხარჯები. ამასთან, ჩამოთვლილ ობიექტებზე სამუშაო პროცესები დასრულდა ან დასრულების ფაზაშია. ამ საკითხზე მითითებულ ცხრილებშიც კარგად ჩანს ცალკეული დეტალები, მაგრამ მუნიციპალიტეტის სოფელთა და საქალაქთაშორისო საგზაო კომუნიკაციების პრობლემები აშკარა გახდა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ მოშლილობას დაემთხვა და ხანგრძლივი პერიოდით მასზე ზრუნვა (პერიფერიული მაინც) თითქმის გამოირიცხა დღის წესრიგიდან. XXI საუკუნის საწყის ეტაპზე ზოგიერთი მცდელობის მიუხედავად საკითხი ვერ დაწესრიგდა. ეს იყო არა მარტო ადამიანთა, არამედ ეკონომიკური ურთიერთობის ხელშემშლელი ფაქტორიც. ამჟამად, ეს პროცესი დაიძრა და საქმაოდ საფუძვლიანადაც. ის რომ რამდენადმე მოწესრიგდა შიგასაუბნო, სოფელთა შორის დამაკავშირებელი გზები, 4 წლიან ციკლში დაგებულ იქნა 58 კმ-იანი (საერთო მოცულობით) ასფალტ-ბეტონირებული გზა ვანი-ჭყვიშის, ვანი-მუქედის,

ვანი-ტობანიერის, სულორი-ძულუხის, ვანი-ზედავანის, ვანი-ამაღლების მონაკვეთს, შუაგორასა და უხუთის კონკრეტულ მიმართულებებზე, დიხაშხო-ბზვანის და ა.შ. აღდგენილი იქნა ცენტრალური ტრასის ის მიმართულებები, რომელებიც საჭიროებდა გადაუდებელ შეკეთებას. აგებულ იქნა, ან შეკეთდა არაერთი ხიდი და ბოგირი. მხოლოდ 2018 წლისათვის განხორციელდა დაგეგმილი 20 კმ-იანი ასფალტ-ბეტონირებული გზების მაგივრად 28 კილომეტრამდე ასფალტ-ბეტონირებული გზის დაგება. ბოლო ოთხი წლის მანძილზე დაიგო ვანის სოფლების მიხედვით 86 კილომეტრის ასფალტ-ბეტონირებული გზა.

და თუ ძალიან არ გაგვიგრძელდა საუბარი, ათეული კილომეტრობით ტრასაა გაყვანილი გაზმომარაგების კომპანიის მიერ. ბუნებრივი აირი შეყვანილია მაღალმთიან სოფლებშიც ახლახან დამთავრდა სოფელ ძულუხის მიმართულებით 5 კმ-იანი ტრასის მშენებლობაც. ინტენსიურად მიმდინარეობდა წყალმომარაგების კომპანიის საქმიანობაც. საგრძნობია მოსახლეობაზე მუნიციპალიტეტის მერიის წაშველებაც ცალკეული უბნების მიხედვით წყალსადინარი საშუალებებით უზრუნველყოფის საქმეში. ყველაფერი ეს ღამის განათებების ინტენსიურ მონტაჟთან ერთად მიმართულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

ორიოდე სიტყვით ცალკე უნდა ვთქვათ ბიზნესმენებზე ბეჭან წაქაძესა და ზაურ თათვიძეზე. მათ არაერთი ღირსეული საქმე განახორციელეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ეს საქმიანობა გააქტიურებული ჩანს 2013-2018 წლებშიც იმასთან ერთად, რომ ეს პიროვნებები, უშურველი ქველმოქმედები არიან, ცდილობენ საწარმოო პოტენციალის შექმნაზეც.

**ბეჭან წაქაძემ** – უკვე დაასრულა თანამედროვე ტიპის, სამშენებლო, კომპოზიციური არმატურების გამოშვებისათვის კორპუსების მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება. საწარმოს ყოველდღიური წარმადობა არის 26 გრძივი კილომეტრი, სადაც დასაქმდა 20 კაცი. მასვე განზრახული აქვს მუნიციპალიტეტის 4 სოფელში ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე მინი საწარმოების შექმნა. დაწყებული აქვს ქალაქის ტერიტორიაზე ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა, მისი ძალისხმევით ალადასტურის ღვინის ქარხანას ეცვლება პროფილი. 2019 წლის ყურძნის სეზონიდან გამოუშვებს პროდუქციას, რომლისთვისაც მოძებნილი აქვს სარეალიზაციო ბაზარი და ა.შ.

**ზაურ თათვიძემ** – რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია ჩაუტარა რაიონის ბაზარს, ქალაქის ცენტრში ექსპლოატაციაში გაუშვა პურ-ფუნთრუმეულისა და საკონდიტო საწარმო, სადაც დასაქმდა 40 კაცამდე. უკვე შეუდგა ხილ-კენკროვანთა სანერგე მეურნეობის გაშენებას 4 ჰა-ზე, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებით, ხოლო სოფელ შუამთაში აშენებს ხეხილის ბალს 8 ჰა-ზე, სადაც ყველა ამ საშუალებათა ექსპლოატაციაში გაშვებით მთლიანობაში თითქმის დასაქმებულია 100-მდე კაცი.

„კვლევის ცენტრი“ არ ცდილობს იდეალიზება მოახდინოს იმ პროცესებისა, რომელიც გადაჭრილ და გადასაჭრელ წრეშია მოხვედრილი, იდეალიზებისგან ჯერ კიდევ საკმაო მანძილი გვაშორებს. სირთულეებია დასაქმების საკითხებში, რომელიც ახალი საწარმოების შექმნას უკავშირდება, რაც ღონისძიებათა კომპლექსურ გააზრებასა და პრაქტიკულ ქმედებებზე გადასვლას ითხოვს მიგრაციული პროცესებიდან გამომდინარე. თანამიმდევრულად დგება მწარმოებლური ძალების დეფიციტიც. მიგრაციას, რომელიც შიმშილის შიშს უკავშირდება წერტილი უნდა დაესვას, რადგან იგი მრავალმიმართულებიან, უკიდურესად უარყოფით ტენდენციებს უკავშირდება. მაქსიმალურადაა მისახედი სოფლურ დასახლებებს, რადგანაც ჩვენი მონაცემებით უკვე დგას ნასახლარების „ჩამოყალიბების“ პროცესიც, ჯერ კიდევ სოლიდურია გაჭირვებული ოჯახებისა და მცხოვრებთა რაოდენობა. მართალია სახელმწიფოსაგან ეს კატეგორია იღებს დახმარებებს და ნამდვილად გამოკვეთილია სოციალური დახმარებების ზრდის ტენდენციაც, მაგრამ ამ მხრივ საჭირო იქნება დამუშავებული კომპლექსური მიღვომაც, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვანის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო სა-

კონსულტაციო სამსახურის მიერ „კვლევის ცენტრისადმი“ მოწოდებული ინფორმაციით ჩანს ჯერ კიდევ პრობლემებით ხასიათდება კოოპერატივებისათვის საჭირო ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფა, არასაკმარისია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სამაცივრე და შემნახველი საწარმოები, გასათვალისწინებულია აგროდაზღვევის პროგრამაში სტიქიური მოვლენებიც. მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, გადასაწყვეტია ჭალის ფართობებში სადრენაჟე არხების გაყვანის საკითხი და ა.შ.

საბოლოო ჯამში როგორც ადგილზე, ისე ქვეყანაშიც დასამუშავებელია აგრარული სექტორის ალორძინების გრძელვადიანი პროგრამა სახელმწიფო ჩართულობით. ერთეული მაგალითები პროცესს ვერ ძრავს, ცვლის ტემპი დაბალია, შედეგები არცთუ შთამბეჭდავი. აგრარულ რაიონებში პრობლემები მუდმივად დგას და იქნება კიდევაც, ამაში ახალი არაფერია, მაგრამ მთავარია მიდგომის სიზუსტე და კოორდინაცია. ვთვლით, რომ გადადგმულმა ნაბიჯებმა, რომლებიც სიტუაციის გაჯანსაღებისკენაა მიმართული, ხანგრძლივი სტაგნაციის შემდეგ იმედი ჩასახა. სწორედ, ამას სჭირდება მოფრთხილებაც და მოქმედებაში გაშლაც.

დაახლოებით ასეთია მოკლე მონახაზი იმ შესრულებული და პერსპექტიული სამუშაოებიდან, რომელიც ვანს, მის მოსახლეობასა და ხელმძღვანელობას ელოდება წინ და რომელ გზაზედაც დაღლა არ შეიძლება, რადგანაც თითოეული მათგანი წარმოადგენს გონიერ ადამიანთათვის სასიამოვნო პროცედურას, რადაგანაც ცხოვრების ხიბლი აღმშენებლობასა და გონივრული სიახლის ძიებაშია.

„კვლევის ცენტრი“ თავის მხრივ მზადაა გვერდით დგომისათვის და წარმატებებს უსურვებს ვანსა და ვანელებს, მათ ხელმძღვანელებს განახლებული ვანისათვის ბრძოლაში.

\* \* \*

„კვლევის ცენტრი“ მადლობას უხდის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ვანის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურს (ვ. სანადირაძეს, გ. ხარაბაძეს).

ვანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურს (მ. ნამიჭელვილს).

ვანის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურს (ვ. მამუკაშვილის).

მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს (ვ. კორძაძეს).

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების (ბაღების) გაერთიანების სამსახურს (გ. სიგუას).

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს (მ. სვანაძე), რომ „კვლევის ცენტრის“ თხოვნით წაიმუშავეს და მოგვაწოდეს ღირებული მასალები, რომლებიც გამოყენებული იქნა „კვლევის ცენტრის“ მიერ წინამდებარე სტატიის მომზადებისათვის.



ჩვენს სახელოვან თანამემამულეს – ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილს – ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მწერალს, დიდ საზოგადო მოღვაწეს, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ფაზისის მეცნიერებისა და კულტურის აკადემიის, ნიუ-იუორკის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ლიტერატურათმცოდნების მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრს, 300-ზე მეტი წიგნისა თუ სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებული ნაშრომების ავტორს, საქართველოს მწერალთა კავშირისა და თეატრალური საზოგადოების იმერეთის განყოფილებათა პრეზიდიუმის წევრს, სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოების წევრს, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრს, აგრეთვე ამავე საზოგადოების იმერეთის განყოფილების პრეზიდენტს, ჟურნალ „ნოსტალგიის“ (ქუთაისი) რედაქტორ-გამომცემელს, მრავალ სამეცნიერო და ლიტერატურულ გამოცემათა რედკოლუგიების წევრს, 2014 წლიდან სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების იმერეთის განყოფილების პრეზიდენტს, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გერცელ ბაზოვის, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის (პარიზი), საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის განყოფილების ლიტერატურული პრემიების ლაურეატს სულ ახლახან დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

დიდია მისი დამსახურება მშობელი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. 1970 წლიდან მუშაობს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს იყო: ლაბორანტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესიული სამეცნიერო დარგში, 1996 წლის 21 მაისს უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ ავთანდილ ნიკოლეიშვილი რექტორად აირჩია. 2001 წელს ამავე საბჭოს მიერ მეორე ვადით იქნა არჩეული. მას 2005 წლამდე ეკავა აღნიშნული პოსტი. გარკვეულ წლებში ხელმძღვანელობდა ქართული ლიტერატურის დეპარტამენტს. 2011 წლიდან სათავეში უდგას ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტს. არის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ქართულ ლიტერატურაში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, სამეცნიერო აღმანახ „ლიტერატურული დიალოგების“ (ქუთაისი) მთავარი რედაქტორი, სამეცნიერო ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ (ქუთაისი) პასუხისმგებელი რედაქტორი და სხვა.

ქალაქ კოლუმბიისა (მისურის შტატი, აშშ) და ქალაქ ქუთაისის, მშობლიური ვანის რაიონის საპატიო მოქალაქეს, საყოველთაოდ ცნობილ მეცნიერსა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილს – ვანის მუნიციპალიტეტის: მერია, საკრებულო, ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი (ის ამ ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელია) გულწრფელად ულოცავს დაბადების 70-ე წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, ნაყოფიერ მეცნიერულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

## ქართველები სტამბოლი

იმ უდიდესმა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივმა, კულტურულმა და სტრატეგიულმა როლმა, რომელსაც ქალაქი სტამბოლი (ყოფილი კონსტანტინეპოლი) ასრულებდა (და დღესაც ასრულებს) საერთაშორისო მასშტაბით, არსებითად განსაზღვრა ის ფაქტი, რომ ევროპისა და აზიის კონტინენტთა გზაჯვარედინზე მდებარე ამ ქალაქმა საქართველოს ისტორიაშიც დაიმკვიდრა მნიშვნელოვანი ადგილი. გარდა იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე ისტორიული კატაკლიზმების გამო მშობლიურ წიაღს მოწყვეტილმა მრავალმა ქართველმა სწორედ სტამბოლს შეაფარა თავი და იქ გაიჩინა სამუდამო სამკვიდრებელი. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ეს ქალაქი პოლიტიკურ, რელიგიურ თუ სხვა გარემოებათა საფუძველზე სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი მრავალი ქართველი ემიგრანტისთვისაც იქცა საიმედო თავშესაფრად.

ზემოთქმულმა გარემოებებმა არსებითად განაპირობეს ის ფაქტი, რომ საუკუნეთა განმავლობაში სტამბოლში ქართველთა რამდენიმე საცხოვრებელი უბანი ჩამოყალიბდა. ამასთან დაკავშირებით არა მარტო ქართველი ავტორები გვაწვდიან მეტად მნიშვნელოვან და მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციებს, არამედ უცხოელებიც.

მაგალითად, XX საუკუნის პირველი ნახევრის იტალიელი დიპლომატისა და მკვლევრის, სტამბოლში საქართველოს საელჩოს მდივნის ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს ცნობით, ძველად ქართველები საქმაოდ მრავლად ნაცხოვრებან სტამბოლის ერთ-ერთ რაიონში – გალათაში. მისი თქმით, ქართველებით დასახლებულ ამ უბანს, რომელსაც თავად თურქები გურჯი-კაპუს (ქართული კარის) სახელით მოიხსენიებდნენ, ქართველები იმხანად უკვე ადარ ცხოვრობდნენ, მაგრამ იქაურ ლაზთა და აფხაზთა შორის „მაინც შეხვდებოდით ქართული ენის მცოდნეს“ (ქართველები კონსტანტინეპოლში, 1990: 17).

გურჯი-კაპუში ქართველების ცხოვრების დამადასტურებელ არგუმენტად დალეჯიო იქ არსებულ ქართულ სასაფლაოსაც ასახელებს, სადაც მის დრომდეც ყოფილა მოღწეული ქართულნარწერიანი საფლავის ქვები.

ქართველების საცხოვრებელ უბანთა შორის ყოფილა აგრეთვე ვეზირ-ხანიც, რომლის მკვიდრნი ძირითადად ახალციხელი ქართველები იყვნენ. დალესიოს ცნობით, ისინი „ძველთაგანვე წვრილ ვაჭრობას მისდევდნენ, რათა თავიანთი ოჯახები დაერჩინათ. საზოგადოდ, დანეულობას და სხვა სახელოსნო რკინის და ფოლადის იარაღებს ჰყიდდნენ. ნახევარ საუკუნეზე მეტია, სავაჭრო საქონელი რომელიმე ბაზარზე გაჰქინდათ, ნანილს თვითონვე აკეთებდნენ და ნანილსაც ანატოლიიდან იწერდნენ.“

ქართველებს თავიანთი საცხოვრებელი უბანი ჰქონიათ აგრეთვე ძველი სტამბოლის იმ რაიონში, რომელიც კარა-კვეის ანუ შავი ხიდის სახელითაა ცნობილი. „იენი ჯამეს“ (ახალი მეჩეთის) მარჯვნივ მდებარე ამ დასახლებაში „ქართველებს ასი წელინადია თავიანთი პატარ-პატარა სავაჭრო დუქნები ჰქონდათ,“ XX საუკუნის ათიანი წლების ბოლოს კი მათგან უკვე ერთის მეტი აღარ იყო დარჩენილი (ქართველები კონსტანტინეპოლში, 1990: 21).

სტამბოლში ქართველთა ერთ-ერთ ძირითად საცხოვრებელ უბანად იენი ჯამეს მიიჩნევდა აგრეთვე უურნალ „ჯვარი ვაზისაში“ გამოქვეყნებული წერილის სტამბოლელი ავტორიც. მისი თქმით, ეს ადგილი „ქართველთა ბუდეს წარმოადგენდა ძველი ძველათვე“ („ჯვარი ვაზისა“, 1906, №15). აქ ქართველებს შეძენილი ჰქონიათ სავაჭრო და სასტუმრო სახლები (ოდები).

დალეჯიოს ინფორმაციით, ქართველებს ერთ-ერთი დიდი საცხოვრებელი ბინა (კარავან-სერაი) სტამბოლის იმ ქუჩაზეც ჰქონიათ, „რომლის დასავლეთ კუთხეში აღმართულია კონ-

სტანტინე დიდის ძეგლი, დღეს დამწვარ სვეტად წოდებული, მახლობლად **ნური-ოსმანიეს დიდ ბაზართან** და პირდაპირ ელჩების ხანისა, რომელიც დღეს აღარ არის. ამ ორსართულიან და ოთხეუთხ უზარმაზარ შენობას შუაში დიდი ეზო აქვს. ამ ორმოცი წლის წინათ, ცხრამეტი საკუთარი ოთახი ჰქონდათ ახალციხელ ქართველებს, რომელიც დრო გამოშვებით სხვა და სხვა კერძო სახლებში დაბინავდნენ. ერთხანს ეს ოთახები გააქირავეს და რადგან კარგი გამგე-მეთაური არ ჰყავდათ, ბევრი ამ ოთახთაგანი უყურადღებობის გამო დაინგრა” (ქართველები კონსტანტინეპოლში, 1990: 23).

ქართველთა საცხოვრებელი უბანი არსებულა **ტაქსიმშიც**, სადაც ქართველებს იქაურ სასაფლაოზე თავიანთი განსაზღვრული ადგილიც კი ჰქონიათ გამოყოფილი. დალეჯიოს ინფორმაციით, „აქაური ქართველები თავიანთ საფლავის ქვებს თითქმის ყოველთვის ქართულად აწერდნენ. კონსტანტინეპოლის ქართველთა ახალშენის ამ სახის ისტორიული ნაშთები საკმაოდ ბლომათ იყო, მაგრამ, სამწუხაროთ, ერთი ნაწილი ამ ქვებისა სომხებმა გააღაგეს და მოიხმარეს თავიანთი საავადმყოფოს შენობისათვის, რომელიც ამ ადგილის პირდაპირ (იგულისხმება ტაქსიმის სასაფლაო – ა. 6.) მდებარეობს“ (ქართველები კონსტანტინეპოლში, 1990: 24).

ნათქვამისთავის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით იტალიელი ავტორი იქვე ცნობილი მწიგნობრისა და კათოლიკე ბერის – ივანე გვარამაძის (ვინმე მესხის) ერთ-ერთ ასეთ ჩანაწერსაც იშველიებს: „ამ საფლავის ქვების გარდა, კიდევ არის ორასზედ მეტი გადაზიდული კათოლიკე სომხეთა, წმინდა იაკობის ეკლესიაში. თითქმის ყველა ქვები ეკლესის შენობაში იხმარეს და დანარჩენი იმავე ეკლესიაში იატაკად დააგეს. ამ ქვებზე ყველა წარწერები მეტი სიარულით თითქმის ერთიან წამლილია, მხოლოდ იმდენად ეტყობა, რომ გაირჩევა ქართული ნაწერი.“

დალეჯიოს მტკუცებით, „ქართული ძველი სავანის ნაადგილევი არის **ფიალი ფაშის მეჩეთიც**. ეს მეჩეთი არის **ბეჟუ-ფიალიაში, კასიმ-ფაშის უბანში**, რომელიც მდებარეობს პერის დასავლეთ ნაწილში და ოქროს რქის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით“. გადმოცემის მიხედვით, ფიალი ფაშა წარმოშობით ქართველი ყოფილა და მის მიერვე აგებული მეჩეთის ეზოშია დაკრძალული. ქართველ მღვდლებს სასწავლებლები და ეკლესიები ჰქონიათ აგრეთვე **ვეზირხანში, პერას უბანში, პაპას-კვერსა და კარა-კვეის მახლობლად**.

მ. თამარაშვილის გადმოცემით, ქართული უბნები ასევე უნდა არსებულიყო **პრომანას ხევში**, სოსთენესა და **ანასტაზიას** რაიონებშიც. ქართული სკოლები კი, **ფერი-ქოიში** მდებარე ქართული მონასტრის გარდა, **უსკუდარსა და იენიშარშიც** ყოფილა გახსნილი.

როგორც კათოლიკური ეკლესიის ცნობილი ფრანგი მკვლევარი რემონ უანენი 1924 წელს პარიზში გამოცემულ თავის წიგნში „საქართველო“ წერს, სტამბოლში მცხოვრებ ქართველ კათოლიკებს ქალაქის რამდენიმე უბანში საკუთარი სასწავლებლებიც დაუარსებიათ. კერძოდ, ფერიქოის მონასტრის გარდა, კონგრეგაციას ფრანგული ენის სასწავლებლები გახსნილი ჰქონია **ფაფასქუფრუსა და დარდანელში** (უანენი, 1996: 88).

გარდა მუდმივი მცხოვრებლებისა, სტამბოლში ქართველები კომერციული მიზნებითაც დიდი რაოდენობით ჩადიოდნენ ხოლმე. მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ. დალეჯიოს ინფორმაციით, გასული საუკუნის ათიანი წლების ბოლოს სტამბოლში კომერციული მიზნებით უკვე ასობით ქართველი ვაჭარი ჩადიოდა. „მხოლოდ 1919 წლის 25 ქრისტეშობისთვიდან ვიდრე 1920 წლის თებერვლამდე მარტო გაღათის საბაზო აღნიშნავს ბათუმისკენ გატანილ საქონლის წონას 105 677 კილოს და ამის შეფასების ჯამს 2 527 375 მარჩილს“ (ქართველები კონსტანტინეპოლში, 1990: 37).

თურქეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად გააქტიურდა სტამბოლში საქართველოს საკონსულოს გახსნის შემდეგ. კერძოდ, 1920 წლიდან, კონსულის თანამდებობაზე იმხანად დანიშნულმა იოსებ გოგოლაშვილმა „ვაჭრებს ყოველნაირი დახმარება

და მფარველობა აღმოუჩინა, რამაც ძალზე შეპმატა ქართველების ვაჭრობის ზრდა-გაფართოებას... ყოველ კვირაში საქართველოდან კონსტანტინეპოლში ქართველი ვაჭრები ასობით მიდი-მოდიოდნენ. იმდენად მრავალრიცხვანი იყო ქართველი მგზავრები, რომ ბათუმიდან მოსულ იტალიურ გემს „ქართულ გემს“ ეძახდნენ“ (ქართველები კონსტანტინეპოლში, 1990: 41).

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, სტამბოლის ქართული ახალშენი იმხანად კიდევ უფრო მეტად გაიზარდა და ქალაქის სხვადასხვა უბნებში დაბინავებულმა ქართველებმა საკმაოდ მრავლად გახსნეს საკუთარი სასადილოები, სასტუმროები და სავაჭრო დაწესებულებები, სადაც წარმატებით ჰყიდდნენ საქართველოდან ჩატანილ ხილს, ღვინოს, ხე-ტყის მასალასა და სხვა სახის პროდუქციას.

ცნობილი თურქოლოგის – მიხეილ სვანიძის მართებული მოსაზრებით, „სტამბოლის ქართული ახალშენის მოსახლეობის დიდი ნაწილი მესხეთიდან იყო. მათი იქ დასახლება განსაკუთრებით გაიზარდა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. უმეტესობა ქართველი კათოლიკები იყვნენ“ (სვანიძე, 1996: 32).

სტამბოლში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობის შემდგომი გაზრდა ასევე მნიშვნელოვან-წილად განაპირობეს ისეთმა მოვლენებმა, როგორებიც იყო: რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და მუჰაჯირაობა, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორე ოკუპაცია და ოციან წლებში ჩვენს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ვითარება.

სამნუხაროდ, უამთა სვლამ სტამბოლში არსებული ქართული უბნებისა და ეკლესია-მონასტრების ნაკვალევი თითქმის მთლიანად წაშალა. მათგან დღემდე გადარჩენილი ერთადერთი ადგილი, რომელიც ამ ქალაქში ჩვენი თანამემამულების ცხოვრებასა და მოღვაწეობას ადასტურებს, ფერი-ქიის უბანში არსებული ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრია, რომელიც 1861 წელს დააფუძნა დიდმა ქართველმა მამულიშვილმა და სასულიერო მოღვაწემ პეტრე ხარისჭირაშვილმა (1818-1893 წ.).

ამ დროიდან მოყოლებული თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ეს ეკლესია არა მარტო ქართველ კათოლიკეთა თავშეყრისა და ღვთისმსახურების ალსასრულებელ კერას წარმოადგენდა, არამედ ქართული კულტურისა და განათლების ერთ-ერთ უმძლავრეს უცხოურ ცენტრსაც (სტამბოლის ქართულ სავანესთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ: ნიკოლეიშვილი, 2009).

სტამბოლის ქართული სავანის ისტორიის ცნობილი მკვლევრის, პროფესორ შუმანა ფუტ-კარაძის ინფორმაციით, ამ სავანის სიძველეთსაცავში დღესდღეობით დაცული დოკუმენტების რაოდენობა 83 000 ერთეულზე მეტია. ხელნაწერთა და გამოცემათა უდიდესი ნაწილი (80 პროცენტზე მეტი) ქართულენოვანია, დანარჩენი კი ლათინურ, ფრანგულ, თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე (სულ – 17 ენაზე) არის შესრულებული. სავანის არქივის უნიკალობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იქ ადრინდელ საუკუნეებში გამოცემული წიგნებიც ყოფილა დაცული. მათგან ყველაზე ძველი 1523 წელს ლათინურ ენაზე დაბეჭდილი სახარებაა (ფუტკარაძე, 2005).

გარდა სასულიერო (ქრისტიანული) შინაარსის გამოცემებისა, წიგნთსაცავში ასევე საკმაოდ მრავლად გვხვდება სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის გამოცემები, ქართველი ემიგრანტების მიერ ევროპასა და ამერიკაში დაბეჭდილი წიგნები და უურნალ-გაზეთები. ბეჭდურ პროდუქციასთან ერთად, მონასტრის არქივში ძველი ქართული ხელნაწერებიცაა საკმაოდ მრავლად დაცული.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თავისი ეროვნული მნიშვნელობით, ქართული კულტურის ხსენებული ცენტრი XIX-XX საუკუნეებში საზღვარგარეთ არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ რელიგიურ, კულტურულ და საგანმანთლებლო კერას წარმოადგენდა. პირობითად თუ ვიტყვით, გარკვეულწილად, იგი იმავე როლისა და მიზანდასახულობის მქონე ქართულ მამულადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული, რა მნიშვნელობაც ჰქონდა თავის დროზე ლევილის

ქართულ კერას ევროპაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისთვის.

სტამბოლის ქართული სავანის ეროვნული მნიშვნელობის ამგვარი შეფასების დროს არა-ვითარ გადაჭარბება-გაზვიადებას რომ არა აქვს ადგილი, ეს იქ დაცული იმ მასალებითაც უკამათოდ შეიძლება დადასტურდეს, რაც უკვე ცნობილია და ხელმისაწვდომი დაინტერესებულ პირთათვის. ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად აქ მინდა სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცულ შთაბეჭდილებათა წიგნიდან ის ჩანაწერები გავისენო, ხსენებული სავანის ეროვნული როლის შესაფასებლად რომ გაუკეთებიათ იქ სტუმრობის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ისეთ დიდ მამულიშვილებს, როგორებიც იყვნენ: მიხაკო წერეთელი, ალექსანდრე ცაგარელი, ვიქტორ ნოზაძე, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ყაზბეგი, გრიგოლ დიასამიძე...

მათი ერთსულოვანი აზრით, სტამბოლის ქართული სავანე ეს არის „საქართველოს დიდება, ეროვნული სულის საუნჯე, სამშობლოსათვის დევნილ ნამდვილ მამულიშვილთა თავშესაფარი;“ „ქართული კულტურის სამოთხის კუთხე უცხოეთში;“ „საქართველოს წმინდა სავანე, წმინდა ტაძარი;“ „საქართველოს ლამპარი უცხოეთში;“ „სიმბოლო ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა;“ „შორეულ სტამბოლში ვარსკვლავი საქართველოსი;“ „ოსმალეთის ზღვა უდაბნოში ჩანერგილი საქართველოს ოაზისი“ (ფუტკარაძე, 2007: 26).

ი. ჯავახიშვილს კი, რომელიც სტამბოლის სავანეს 1919 წლის 16 თებერვალს სწვევია, თავისი აღფრთოვანება ამ სიტყვებით გამოუხატავს: „გული სიხარულით მევსება, როდესაც ამ პატარა საქართველოს კუნძულში, ქართველთა მონასტერში, საქართველოს და ქართველი ერისადმი უანგარო, ღრმა სიყვარულსა ვგრძნობ.“

სტამბოლის ქართული სავანის ეროვნული როლის წარმოჩენამ და შეფასებამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მას შემდეგ შეიძინა, რაც იგი სამშობლოდან სამუდამო ემიგრაციაში გახიზვნის პირველ თვეებში ერთადერთ საიმედო თავშესაფრად იქცა როგორც ნოე ჟორდანიასა და მისი მთავრობის წევრებისათვის, ისე მშობლიურ ფესვებს იძულებით მოწყვეტილი ათეულობით სხვა ქართველი პატრიოტისთვისაც.

გარდა ჩვენი ემიგრანტი თანამემამულებისა, სტამბოლის სავანეს თურქეთში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანებიც სტუმრობდნენ ხოლმე ძალზე ხშირად მათ შორის ყოფილან: მარშალი შაქირ-ფაშა ერთგულაშვილი (ახალციხელი); რიზა-ფაშა ათაბეგიშვილი – 1909 წლისთვის ოსმალეთის საზღვაო მინისტრი (ართვინელი); ისმაილ ელიაშვილი, მსაჯული ოსმალეთის მთავარ კომიტეტი (ქიბულეთელი); თავდგირიძები – ოსმან-ფაშა და ალი-ფაშა; შტაბის გენერალი მაჰმუდ-ფაშა; მედინის გუბერნატორი ბაჰრი-ფაშა; სენატორი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ხასან-ფეჰმი-ფაშა (მარადიდელი); ხასან-ფეჰმი ირემაძე – ოსმალეთის მთავარი მუფთი, სახელმწიფო საბჭოს წევრი მთიანი აჭარიდან და მრავალი სხვა (ფუტკარაძე, 2007: 19).

ვფიქრობ, თუნდაც ყოველივე ზემოთქმულიც კი სავსებით საკმარისია იმ დიდ ეროვნულ-პატრიოტულ საქმიანობაზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად, რასაც სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვანე ქართველი მამულიშვილები ეწეოდნენ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში თავიანთი დიდმნიშვნელოვანი როლით ქართული კულტურის ამ უცხოურ კერაში მოღვანე ქართველი სასულიერო პირები ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდნენ იმ დიდი ეროვნულ-სარწმუნოებრივი, საგანმანთლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებითი ტრადიციებისა, რომელთაც შუა საუკუნეებში საზღვარგარეთ საქმიან მრავლად არსებულ ქართულ მონასტრებში ბერ-მონაზვნებად აღკვეცილი ჩვენი თანამემამულენი ამკვიდრებდნენ თავიანთი ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად.

როგორც ითქვა, სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესია არა მარტო ქრისტიანული რელიგიის საზღვარგარეთულ ცენტრს წარმოადგენდა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ ეროვნული სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს კერასაც. აქ მოღვანე ქართველი სასულიერო პირები თავიანთ უმთავრეს მოვალეობად თვ-

ლიდნენ საღვთისმსახურებო საქმიანობა სისხლხორცეულად შეეთავსებინათ აქტიურ შემოქმედებით, სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან, რამაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული სულიერი კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში.

ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ეკლესიასთან ერთად, პ. ხარისჭირაშვილმა იქ ქართული სასწავლებელიცა და სტამბაც გახსნა, რითაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სარგებლობდნენ როგორც სტამბოლში მცხოვრები ქართველები, ისე საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან იქ საგანგებოდ ჩასული ჩვენი თანამემამულებიც.

იმ დიდი საქმეების პრაქტიკულად ხორციელდასხმელად, რასაც პეტრე ხარისჭირაშვილი სტამბოლის ქართული სავანის მღვდელმსახურებს თავიანთი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად უსახავდა, სავანის დამაარსებელმა და გარდაცვალებამდე მისმა უცვლელმა წინამძღვარმა მის ირგვლივ სარწმუნოებრივი სისპეტაკითა და პატრიოტული მისწრაფებებით გამორჩეული არაერთი ღირსეული პიროვნება შემოიკრიბა.

ერთ-ერთი მათგანი იყო საქართველოსა და ქართული კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი მიხეილ თამარაშვილი (1858-1911 წწ.). მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ თამარაშვილს სტამბოლის სავანეში ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ უმოღვანია, მან მაინც ძალზე ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ეს ადგილი ქართული კულტურისა და განათლების მძლავრ კერად ქცეულიყო.

სტამბოლის სავანის მღვდელმსახურთა შორის ასევე ცალკე, საგანგებოდ, უნდა მოვიხსენიოთ სტეფანე გიორგაძე, რომელიც მოყოლებული 1890 წლიდან, პეტრე ხარისჭირაშვილის გარდაცვალების დროიდან, 1898 წლამდე, წარმატებით ასრულებდა სავანის წინამძღვარის მოვალეობას.

სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე მღვდელმსახურთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფილიურა იყო აგრეთვე ალფონს ხითარიშვილიც. მის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი 1898-1905 წლებში სავანის წინამძღვარიც იყო.

1905-1912 და 1942-1956 წლებში სტამბოლის ქართული სავანის რიგით მეოთხე წინამძღვარი იყო ბენედიქტე ვარდიძე, 1912-1921 და 1942-1956 წლებში კი სავანეს პიო ბალიძე წინამძღვრობდა.

სტამბოლის ქართული სავანის დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ პ. ხარისჭირაშვილმა იქ საულიერო სასწავლებელიც დააარსა. იმისათვის, რომ სასწავლებელს არსებობის ოფიციალური უფლება ჰქონოდა, პეტრე ხარისჭირაშვილმა რომის უმაღლეს სასულიერო ხელისუფლებას 1864 წელს მის მიერ შედგენილი სპეციალური დებულებაც დაამტკიცებინა. ზაქარია ჭიჭინაძის ინფორმაციით, 1876 წლისთვის სტამბოლის ქართულ სავანესთან უკვე ორი სკოლა არსებულა – ერთი ვაჟებისთვის და მეორე ქალებისთვის, რომლებშიც 160 მოსწავლე სწავლობდა (ჭიჭინაძე, 1895: 58).

როგორც სათანადო დოკუმენტური მასალებით დასტურდება, ქართულენოვანი სკოლები სტამბოლში ხსენებულ სასწავლებელთა გახსნამდეც და შემდეგ პერიოდშიც არსებულა. მაგალითად, ქალაქ მონტობანის (საფრანგეთი) ქართული კათოლიკური ეკლესიის დახურვასთან დაკავშირებით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მარკიზ დე ნოიასადმი 1885 წლის 8 მაისს გაგზავნილ სპეციალურ წერილში პეტრე ხარისჭირაშვილი წერდა: „ქართველ მამათა კონგრეგაციას კონსტანტინეპოლიში უკვე გააჩნია, აღმოსავლეთში მისი დამკვიდრების დროიდან, ოთხი შემდეგი სკოლა: პერას პაპა-ქეფრუის წმ. იოსების სკოლა, რომელიც გაიხსნა 1875 წელს; შემდეგ სკუთარის სკოლა; შემდეგ, ფერი-ქოის სკოლა და ბოლოს, დარდანელის სკოლა, რომელთა მოღვაწეობის შედეგები ყველა წარმატებას აქაბადებს“ (ტაბაღუა, 1978: 165).

ხსენებული სკოლების გახსნის ნებართვა ქართველ მღვდელმსახურებს ოფიციალურად ჰქონდათ მიღებული რომის პაპისაგან.

ქართული სკოლების არსებობის ფაქტს სტამბოლის ისეთ ცნობილ უბნებში, როგორებიცაა: უსკუდარი და იენიშარი, ადასტურებს აგრეთვე გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1897 წლის 87-ე წლერში გამოქვეყნებული წერილის უცნობი ავტორიც.

სტამბოლში ქართულ სკოლათა არსებობასა და წარმატებით ფუნქციონირებას არსებითად უწყობდა ხელს ამ საქმის ორგანიზატორებისადმი ისმალეთის ხელისუფლების კეთილგანწყობითი დამოკიდებულება. კერძოდ, ხელისუფლების მესვეურები ხსენებულ სასწავლებლებს „სასარგებლო სკოლას“ უწოდებდნენ.

სტამბოლის ქართული სასწავლებლებისადმი კეთილად განწყობილ ხელისუფალთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სულთანი აბდულჰამიდ მეორე (1876-1909 წ.), რომელთან დაკავშირებითაც უურნალ „ჯვარი ვაზისას“ 1906 წლის მე-18 ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე დაყრდნობით მ. სვანიძე ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: ყოველი რამაზანის XII დღეს აიასოფიას ტაძარში საზეიმოდ მიმავალ სულთან აბდულჰამიდს ილდიზ-კიოსკის მახლობლად თურმე ქართველი მოსწავლეებიცა და მასწავლებლებიც ხვდებოდნენ და მუსიკით აცილებდნენ, რის გამოც სულთანი მათ მადლობის წერილსა და საჩუქრებს უგზავნიდა.

ტრადიცია არც 1893 წელს დარღვეულა, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ საზეიმო განწყობილება დაამდიმა. სულთანის ერთ-ერთ ადიუტანტს ცხენი ვერ შეუკავებია, მოსწავლეების ჯგუფში შევარდნილა და რამდენიმე მათგანი დაუშავებია. ამ ამბით შეწუხებულ სულთანს ბავშვების ამბავი რამდენჯერმე მოუკითხავს, მეორე დღეს კი საგანგებო ბრძანება გამოუცია, რითაც დაზარალებულებისათვის სამკურნალო თანხა მთავრობის ხაზინიდან გამოუყვია.

სკოლის დირექტორს – ანდრია წინამძღვრიშვილსა და მის თანაშემწეს – მღვდელ მერაბს სულთანმა თურმე საჩუქრებიც გადასცა, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს კი გემი გამოუგზავნა გასასეირნებლად. გასეირნების შემდეგ გაშლილ საზეიმო სუფრასთან წარმოთქმულ სიტყვებში მასწავლებლებმა: სტეფანე გიორგაძემ და ანდრია წინამძღვრიშვილმა და ორმა მოსწავლემ სულთანს მადლობა გადაუხადეს გულისხმიერებისა და მინიჭებული უფლებებისათვის.

გამომსვლელთა საპასუხოდ, სულთანის მხრიდან მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ქართულ ენაზე მიესალმა თურქეთის სახალხო სკოლების ზედამხედველი ისმაილ-ფაშა. მისი თქმით, ქართველ ბერ-მონაზვნებს თურქეთში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში „საცალკეო“ წვლილი შეჰქონდათ, რის გამოც სტამბოლელთა სიყვარული ჰქონდათ დამსახურებული (სვანიძე, 1996: 35-36).

ეს ამბავი მთელს სტამბოლში იმდენად ფართოდ გახმაურდა, რომ მის შესახებ იქაურ პრესაშიც გამოქვეყნდა რამდენიმე ინფორმაცია. პუბლიკაციათა ავტორების ხაზგასმით, სულთანის მხრიდან ასეთი ყურადღება იშვიათად თუ რგებია წილად სხვა რომელიმე უცხოენოვან სკოლას თურქეთში.

სამწეხაროდ, სტამბოლის ქართულ სავანესთან არსებულმა ზემოთ ხსენებულმა სკოლებმა, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შედეგად გართულებული ვითარების გამო, გასული საუკუნის ათიან წლებში არსებობა შეწყვიტეს.

სტამბოლის კათოლიკური ეკლესიის გადაქცევას ქართული კულტურის მძლავრ კერად მის ბაზაზე ქართული სტამბისა და გამომცემლობის დაარსებამაც მნიშვნელოვანნილად შეუწყობელი. კერძოდ, კათოლიკურ ეკლესიასთან ქართული სასწავლებლის რეალურად ამოქმედების შემდეგ, 1870 წელს, პ. ხარისჭირაშვილმა უკვე ქართული სტამბის გახსნაც შესძლო და გარდაცვალებამდე (1890 წ.) ამ საქმესაც უძღვებოდა ჩვეული შემართებით.

მოყოლებული 1870 წლიდან მეოცე საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე სტამბოლის ქართულ სტამბაში ათეულობით ქართული წიგნი დაიბეჭდა. მართალია, მათი დიდი ნაწილი სასულიერო ხასიათისაა, მაგრამ, მათ შორის, ისეთი წიგნებიც საკმაო რაოდენობით გვხდება, რომელნიც სასწავლო, მხატვრული, ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის გამოცემებს წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მეოცე საუკუნის ათიან და ოციან წლებში დასტამბული წიგნები. როგორც ამ გამოცემათა სახელწოდებებიდანაც ნათლად დარწმუნდება მკითხველი, სტამბოლის ქართული სტამბა-გამომცელობის მესვეურები არა მარტო უპრალოდ

ადევნებდნენ თვალს საქართველოში იმხანად მიმდინარე მოვლენებს, არამედ მათ მიერ გამოცემული წიგნებით სათანადო შეფასებებსაც აძლევდნენ კიდევ ყველაფერ ამას. ამ შემთხვევაში მრავლისმთქმელი ისიცაა, რომ სესენბულ გამოცემათა ბევრმა ავტორმა (პეტრე სურგულაძემ, მიხაკო წერეთელმა, პავლე მოსულიშვილმა, ნიკოლო მიწიშვილმა...) სტამბოლში დასტამბული მათი წიგნები სწორედ იქ ყოფნის პერიოდში დაწერა.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნას სტამბოლის სავანესთან არსებული სტამბა-გამომცემლობის დიდმნიშვნელოვან საქმიანობაზე, კონკრეტულად დავასახელებ XX საუკუნის 10-20-იან წლებში მის მიერ გამოცემულ იმ წიგნებს, რომლებიც დღევანდელი თვალსაზრისითაცაა უაღრესად საინტერესო:

**პეტრე სურგულაძე – საქართველოს თავისუფლებისაკენ, 1917 წ. პეტრე სურგულაძე – დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, 1918 წ. პეტრე სურგულაძე – საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1918 წ. პავლე ინგოროვა – საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, 1918 წ. რემონ ჟანენი – ქართველები იერუსალიმში, ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ, 1921 წ. ევგენი დალეჯიო დ'ალესიო – ქართველები კონსტანტინეპოლში, ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ, 1921 წ. ქართველო ქრისტიანებო, შეერთდით! 1922 წ. ნოე უორდანია – ბრძოლის საკითხები, 1923 წ. სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას, 1923 წ. ნიკოლო მიწიშვილი – შავი ვარსკვლავი, ლექსები, 1923 წ. ივანე ალიხანაშვილი – რამ დაგვლუპა და რა გვიხსნის, 1923 წ. ნოე უორდანია – ჩვენ და ისინი, 1924 წ. მიხეილ წერეთელი – ხეთის ქვეყანა. მისი ხალხები, ენები, ისტორია, კულტურა, 1924 წ. გილგამეშიანი, ბაბილონურ ტექსტითგან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ, 1924 წ. პავლე მოსულიშვილი – შენ ხარ მზე, ოთხმოქმედებიანი ფანტასტიკური ეტიუდი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან, 1924 წ. ალექსანდრე მანველიშვილი – ვეფხისტყაოსანი და რუსთაველის ზეობრივი იდეოლოგია, 1933 წ.**

სტამბოლშივე უნდა იყოს გამოცემული პირველი ქართველი ემიგრანტების მიერ 1921-1922 წლებში საზღვარგარეთ გამომავალი პირველი ქართული პოლიტიკური უურნალისა – „თავისუფალი საქართველო“ (რედაქტორი – სარედაქციო კოლეგია), რომლის ავტორებიც იმუამინდელი ქართული ემიგრაციის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ (ნ. უორდანია, კ. ჩხეიძე, ე. გეგეჭკორი, ა. ჩხერიძელი, ვ. ჯულელი, პ. სურგულაძე და სხვები). ორი წლის განმავლობაში სულ გამოიცა ხსენებული უურნალის 27 ნომერი. იმის გამო, რომ უურნალში არსად არ არის აღნიშნული მისი გამოცემის ადგილი, ბოლომდე დაზუსტებით იმის თქმა, სად გამოდიოდა იგი, ჯერჯერობით ძნელია.

გ. შარაძის აზრით, „თავისუფალი საქართველო“ თავდაპირველად შეიძლებოდა სტამბოლში ყოფილიყო გამოცემული, მას შემდეგ კი, რაც საქართველოს ეროვნული მთავრობა სტამბოლიდან პარიზში გადავიდა, მისი გამოცემაც იქ გადაიტანა (შარაძე, 2003: 170). თუ გ. შარაძის ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ხსენებული უურნალის გამოცემის ადგილი უსათუოდ სტამბოლის სავანის სტამბა იქნებოდა, რადგანაც სხვა ქართული სტამბა იმუამინდელ სტამბოლში ფიზიკურად არ არსებობდა.

გ. შარაძის ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისი მოგვიანებით შ. ფუტკარაძემაც დაადასტურა. მისი მტკიცებით, „1913-1914 წლებში მონასტრის სტამბაში იბეჭდებოდა უურნალი „თავისუფალი საქართველო“, რომლის სულის ჩამდგმელი იყვნენ სამშობლოსათვის თავდადებული ქართველები: მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, მელიტონ ქარცივაძე, ლეო კერესელიძე და სხვები. 1914 წელს აქვე ჩაისახა ქართული ლეგიონის შექმნის იდეაც, რომელიც სინამდვილედ იქცა. 1915 წელს დაარსდა თამარ მეფის სახელობის ლეგიონის ორდენი. ცნობილი მხატვრის იაკობ ნიკოლაძის მიერ მონასტრერშივე შესრულდა თამარ მეფის ორდენის ესკიზი, რომელიც დაცულია მონასტრის არქივში“ (ფუტკარაძე, 2007: 20).

სტამბოლის სავანის ქართულ სტამბას ჩვენი ემიგრანტები მათი პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს იარაღად რომ იყენებდნენ იმხანად, ამის დასტურად აქ ქართველ მხედ-

ართა კავშირის მიერ 1923 წელს სტამბოლში გამოცემული წიგნიც მინდა გავიხსენო – „სამშობლოსათვის თავდაცემულ გმირთა ხსოვნას“. როგორც წიგნის გარეკანზეა აღნიშნული, ბიბლიო-გრაფიულ იშვიათობად ქცეული ეს გამოცემა იქაურ სტამბაშია დაბეჭდილი.

სამშობლოსათვის თავდაცემული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი ეს წიგნი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტია იმ ადამიანთა პატრიოტული თავგანწირვის წარმოსაჩენად, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის გამართულ ბრძოლას შეენირნენ. მასში დოკუმენტური სიმართლითა მოთხოვნილი იმ ანტისაბჭოთა აჯანყების ამბავი, რომელიც 1923 წელს მოხდა საქართველოში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით.

სტამბოლის კათოლიკური ეკლესიის ღვთისმსახურის – შალვა ვარდიძის ინიციატივით, სავანესთან 1911 წელს ქართული კლუბიც გახსნილა, სადაც ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდნენ. კლუბის გახსნის შესახებ შ. ვარდიძეს დაინტერსებული პირებისათვის გაზეთების მეშვეობით უცნობებია და ისინი, განურჩევლად მათი სარწმუნობისა და სოციალური მდგომარეობისა, მონასტერთან არსებულ ქართულ სასწავლებელში მიუწვევია.

ასე შექმნილა ქართული კლუბი, რომელიც ამ დროიდან მოყოლებული 1914 წლამდე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, სისტემატურად მართავდა ხალხმრავალ შეკრებებს. ასეთი კრებები, რომელთაც ჩვეულებრივ 150 ქართველზე მეტი ესწრებოდა ხოლმე, სხვადასხვა კატეგორიის ადამიანთა თავშეყრის ადგილად ყოფილა ქცეული. კერძოდ, დალეჯიოს ინფორმაციით, აქ იკრიბებოდნენ ფაშები, გენერლები, ოფიცრები, ვექილები, ექიმები, ვაჭრები, მოხელეები და სტუდენტები. „ყოველი კრება ქართული სიტყვებითა და სიმღერებით იხსნებოდა და იმ სახითვე მთავრდებოდა. შეიმუშავეს წესდება, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ უცვლელად დაამტკიცა“ (ქართველები კონსტანტინეპოლში, 1990: 16).

ქართული კლუბის შექმნის ამბავი არა მარტო სტამბოლში, არამედ მთელ თურქეთშიც ფართოდ რომ გახმაურებულა, ამის დასტურად დალეჯიოს კონკრეტული ფაქტებიც მოჰყავს. კერძოდ, მონასტერში თურქები მიდიოდა მუსლიმ ქართველთა აღფრთოვანების გამომხატველი წერილები თურქეთის სხვადასხვა კუთხებიდან. ამ წერილების ავტორები შალვა ვარდიძეს თხოვდნენ, გაეგზავნა მათთვის ქართული კლუბის თურქულად თარგმნილი წესდება და ქართული წიგნები, რათა მათაც მისცემოდათ შესაძლებლობა ქართული ენის შესწავლისა და ხსენებული კლუბის წევრად გახდომისა.

ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს ხაზგასმით, კონსტანტინეპოლის ქართულ სავანეში „ყველაფერი საქართველოს მოგაგონებთ; აქ მოსული ქართველი სტუმარი უსათუოდ იგრძნობს მამულის სიყვარულის და თავის თავის უარის-ყოფის იმ ღრმა რწმენას, რომლითაც ეს თანამემამულენი აქ ცხოვრობენ, ნათესავ-მეგობრებს, ქართველებს და სამშობლოს მიწა-წყალს დაშორებულნი. ეს სავანე იზიდავს ქართველს იმიტომაც, რომ შიგ ნახავს ბევრ საგანს, რომელიც მოაგონებს საქართველოს ხალხის წარსულს თავისი სიძლიერის და სისუსტის ხანებით და აღუძრავს მომავალ არსებობის ძალას“.

ამ ამბით გულწრფელად გახარებული იტალიელი სწავლული კონსტანტინეპოლის ქართული საგანის ეროვნული მისიის ამგვარ შეფასებას ასეთი ემოციური სიტყვებით აგვირგვინებს: „უცხოეთში გადმოტყორცნილო ქართველო, რა რწმენისა და მისწრაფებისაც გინდა იყო, მოდი ამ სავანეში და აქ ნახავ შენ თანამემამულეთა ძმურ, შინაურ და ზრდილობიან დახვედრას; მალე იგრძნობ, თვალით ნახავ არა მარტო შიგ მცხოვრებ ქართველების სახეზე შენი ქვეყნის და შენი ერის დიდებას, მწუხარებას, არამედ ამას კედლებიც მეტყველებენ. აი, აქ არის სულ უბრალოდ დახატული ქართველ წმინდანთა და მეფეთა ხატები და სამეფო გვარის ლერბი, საპატიო ადგილა-საა თამარ მეფე, გამომხატველი ქართველი ერის სიძლიერე-აღლორძინებისა და დიდი კულტურისა და მის გვერდით დავით მეფე, სურათი წარსული დიდებისა. აქვეა მგოსანი მესხი შოთა რუსთაველი, მისნი მიმდევარნი და გიორგი სააკაძე“ (ქართველები კონსტანტინეპოლში, 1990: 32).

იმისათვის, რომ თანამემამულეებისთვის მეტი მატერიალური დახმარების გაწევის შესაძლებლობა ჰქონოდა, პ. ხარისჭირაშვილს სტამბოლში სავაჭრო ამხანაგობის დაფუძნებაც განუზრახავს. იგი ღრმად ყოფილა დარწმუნებული იმაში, რომ მსგავსი ორგანიზაციების შექმნით ქართველი ხალხი ევროპული ვაჭრობის გამოცდილებას შეიძნდა და კიდევ უფრო მეტად ნავიდოდა წინ.

სავაჭრო ამხანაგობის მიერ შეგროვებული საქველმოქმედო თანხა ძმობის საერთო ფონდში გადადიოდა და სხვადასხვა საჭიროების ხმარდებოდა. სავაჭრო ამხანაგობის შემოსავლებთან და მათ ხარჯვასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით „სახალხო გაზეთის“ 1911 წლის 232-ე ნომერში გამოქვეყნებულ ვინმე ფარსმანის წერილში – „სტამბოლის ქართველობა“. ავტორის ცნობით, „სტამბოლის ქართული საზოგადოების მოღვაწეობა თანდათან იმაგრებდა ფეხს და წინ მიდიოდა. აქ არსებულ დამხმარე კასას საანგარიშო წელს (იგულისხმება 1910 წელი – ა. 6.) შემოსავალი 696 პიასტრი ჰქონდა, გასავალი 792 პიასტრი. ზედმეტი ხარჯი წავიდა სამშობლოდან მიღებული წიგნების დახსნა-გამოტანაზე და ხელმოკლე გაჭირვებულ პირთა შემწეობაზე.“

სავანის ფინანსური შემოსავლების მასაზრდოებელ ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს მღვდელმ-სახურების შედეგად მიღებული თანხაც შეადგენდა. ამ თანხის რაოდენობას არსებითად განსაზღვრავდა ის ფაქტი, რომ სტამბოლის ქართული ეკლესიის მრევლი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა. მაგალითად, „სახალხო გაზეთის“ სტამბოლული კორესპონდენტის ცნობით, „1890-იან წლებში სტამბოლის არც ერთ სამლოცველოს იმდენი მრევლი არ ესწრებოდა, რამდენიც ქართულ მონასტერს“ (ფარსმანი, 1911).

XIX საუკუნის 90-იან წლებში ეკლესიის გვერდით, მონასტერში მოღვაწე ბერებისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად და სტამბოლში სტუმრად ჩასული ქართველების მისაღებად, ოთხსართულიანი კაპიტალური შენობაც იქნა აგებული. მისი პირველი სართული სტამბას ჰქონია დათმობილი. მეორე და მესამე სართულებზე ბერების საცხოვრებელი „კელიები“ ყოფილა განთავსებული (სულ ოცი ოთახი თავთავისი სველი წერტილებით), მეოთხე სართულის ათი ოთახი კი კარგად მოწყობილ სასტუმროს წარმოადგენდა.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში მონასტერის ზემოხსენებულ შენობაში ცნობილ ბიზნესმენ სიმონ ზაზაძეს თურქეთში საქართველოს საკონსულოს გახსნაც დაუპირებია, რაზეც გამსახურდიაც ყოფილა თანახმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყანაში იმხანად შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო განზრახვა განზრახვად დარჩა და მისი რეალურად განხორციელება ვერ მოხერხდა.

სამწუხაროდ, სტამბოლის სავანემ, როგორც ქართული სულიერებისა და კულტურის კერამ, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა. მართალია, რთული და ძნელად დასაძლევი წინააღმდეგობანი მის ისტორიაში მანამდეც არაერთხელ ყოფილა, მაგრამ სავანეში მოღვაწე ქართველ მღვდელმსახურთა აქტიური ძალისხმევის შედეგად ვითარების სასიკეთოდ შეცვლა იმხანად მაინც ხერხდებოდა. 1964 წლიდან კი, უკანასკნელი ქართველი სასულიერო პირის გარდაცვალების შემდეგ, ეკლესიაში მის იურიდიულ მეპატრონეთაგან ცოცხალი აღარავინ დარჩა.

სტამბოლის ქართული ემიგრაციის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს XX საუკუნის პირველი მესამედი. ამ დროისათვის იქ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა იმდენად დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი, რომ ეს ქალაქი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურად წარმმართველ საზღვარგარეთულ ცენტრად იქცა.

სტამბოლში ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ასეთი მომრავლება არსებითად განაპირობეს რუსეთის იმპერიასა და საკუთრივ საქართველოში იმხანად განვითარებულმა ისეთმა მოვლენებმა, როგორებიცაა: 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ გატარებული

სადამსჯელო ღონისძიებები, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ, ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ სახელმწიფობრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის მებრძოლ ქართველ მამულიშვილთა მიმართ დაწყებული გლობალური ბრძოლა, 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობა და შემდგომდროინდელი რეპრესიები...

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით ბევრი ქართველი, რომელთა უდიდეს ნაწილს ცნობილი პოლიტიკოსები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები და სამეცნიერო-შემოქმედებითი ინტელიგენციის ნარმომადგენლები შეადგენდნენ, იძულებული გახდა სამუდამოდ გადახვენილიყო უცხოეთში და იქ ეპოვა თავშესაფარი.

საქართველოდან ლტოლვილ ქართველ ემიგრანტთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ მაშინ სტამბოლს მიაშურა და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ევროპაში ან ამერიკაში გადასახლდა, ნაწილი კი ამ ქალაქის მკვიდრი გახდა.

გასული საუკუნის ათიან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზღვარგარეთულ ცენტრად სტამბოლის გადაქცევა ზემოთ აღნიშნულ გარემოებასთან ერთად არსებითად განაპირობა თურქეთის ხელისუფლების მხარდამჭერმა დამოკიდებულებამ საქართველოს დამოუკიდებლობისადმი. თურქეთის ამდაგვარი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მაშინ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორით აღმოჩნდა განპირობებული — ერთის მხრივ, რუსეთთან არსებული კონფლიქტური დამოკიდებულებითა და, მეორეს მხრივ, საქართველოს აქტიურად მხარდამჭერ გერმანიასთან მოკავშირეობით.

ყველაფერ ამას ის მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებებიც ემატებოდა, რაც ოსმალეთში 1908 წელს „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციასა და ახალი კონსტიტუციის შემოღებას მოჰყვა შედეგად. როგორც ცნობილია, „ახალგაზრდა ოსმალთა საზოგადოების“ აქტიური ძალისხმევით 1876 წელს მიღებული ოსმალეთის პირველი კონსტიტუცია, რომლის ძალითაც სულთანის ერთპიროვნული მმართველობა პარლამენტის შემოღებით უნდა შეზღუდულიყო და ოსმალეთი კონსტიტუციური მონარქია გამხდარიყო, მხოლოდ ორი წლის განმავლობაში მოქმედებდა. ორი წლის შემდეგ, 1878 წლის 14 თებერვალს, კი სულთანმა პარლამენტი დაითხოვა. „ამის შემდეგ, 30 წლის განმავლობაში, პარლამენტი აღარ მოწვეულა, თუმცა ოფიციალურად კონსტიტუცია არ ყოფილა გაუქმებული“ (სვანიძე, 2002: 213).

კონსტიტუციის აღსადგენად 1908 წელს „ახალგაზრდა თურქების“ მიერ მომხდარმა რევოლუციამ სულთანი იძულებული გახადა ახალგაზრდების მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, 1876 წლის კონსტიტუცია აღდგინა და პარლამენტის არჩევნები ჩაეტარებინა. სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, კონსტიტუციის ამოქმედება ოსმალეთის ისტორიაში იმ თვალსაზრისითაც იყო უაღრესად დიდი მოვლენა, რომ მისი ძალით უკვე ოფიციალურად ცხადდებოდა სიტყვის, ბეჭდვისა და კრებების თავისუფლება. კონსტიტუცია ითვალისწინებდა ყველა ეროვნების თანასწორობას, სახელმწიფო თანამდებობებზე სხვა ეროვნების ნარმომადგენელთა დანიშვნას, სწავლა-განათლების მიღების თავისუფლებას, არმიაში არამუსლიმანთა სამსახურსა და ა. შ. (სვანიძე, 2002: 237).

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული ამ დიდმნიშვნელოვანი იდეების პრაქტიკული განხორციელება მაშინ მხოლოდ ნაწილობრივ გახდა შესაძლებელი და „ახალგაზრდა თურქებმა“ მათი რევოლუციური მოთხოვნების რეალური ხორცებს ბოლომდე ვერ მოახერხეს, 1908 წლის რევოლუციამ ოსმალეთის ისტორიაში მაინც შეცვალა ბევრი რამ სასიკეთოდ. ნინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო იმის ხაზგასმაცაა, რომ „ახალგაზრდა თურქთა მოძრაობაში ქართველი მაჰმადიანებიც იღებდნენ მონაწილეობას და რევოლუციის შემდეგ ოთხი მათგანი მეჯლისის დეპუტატად აირჩიეს, ზოგი კი მთავრობის წევრი გახდა.“ კერძოდ, სამხედრო მინისტრად დანიშნული რიზა ფაშა ნარმოშობით ქართველი იყო, გვარად ღლონტი; ასევე ქართველი, წარმოშობით ბათუმელი, ყოფილა ოსმალეთის იმუშავინდელი პრემიერ-მინისტრი ჰასან ფერიმ ფაშაც (სვანიძე, 2002: 242).

თურქეთში შექმნილი ახალი, ხელსაყრელი რეალობით ამ ქვეყანაში ემიგრირებულმა ქართველმა მამულიშვილებმაც ისარგებლეს და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მყოფ მათ თანამოაზრებთან ერთად 1911 წელს სტამბოლში ოფიციალურად ჩამოაყალიბეს ქართველ სეპარატისტთა ორგანიზაცია „დადიანის კომიტეტი.“ „ის იმდენად იყო გასაიდუმლობული, რომ დღემდე ვერ ხერხდება მისი ხელმძღვანელობისა და შემადგენლობის დადგენა. რუსეთის კონტრდაზვერვის მონაცემებით, „დადიანის კომიტეტის“ ორგანიზატორი იყო პეტრე სურგულაძე... უანდარმერიის იმავე ცნობით, „დადიანის კომიტეტი“ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ერთადერთ გზად ოსმალეთთან კავშირს მიუთითებდა.“ იგი უკავშირდებოდა ოსმალეთში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს, აგრეთვე იქ ემიგრირებულ ქართველებს და ვარაუდობდა მათგან შექმნა შეიარაღებული რაზმები, რომლებიც რუსეთთან ომში თურქეთის ჩაბმის შემთხვევაში უნდა გამხდარიყო „ქართველთა და საერთოდ კავკასიელთა ბიძგის მიმცემი“ (სიორიძე, 1998: 34).

„დადიანის კომიტეტის“ შექმნიდან ორი წლის შემდეგ, 1913 წელს, ამ ორგანიზაციის საფუძველზე, პეტრე სურგულაძის ხელმძღვანელობით სტამბოლში ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი დაჯგუფება ჩამოყალიბდა „სეპარატისტთა ჯგუფის“ სახელწოდებით. მის შემადგენლობაში შედიოდნენ მიხაკო წერეთელი, ლეო და გიორგი კერესელიძეები, გიორგი მაჩაბელი, მელიტონ ქარცივაძე და სხვები. მ. წერეთლის ინფორმაციით, ხსენებული ჯგუფი მის წევრებს 1914 წელს „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტად“ გადაუკეთებიათ და მისი სამოქმედო არეალი მთელი ევროპისა და თურქეთის მასშტაბით გაუზრდიათ (შარაძე, 2003: 66).

როგორც სათანადო დოკუმენტური მასალებიდან ნათლად ჩანს, გარდა გერმანიისა და ევროპის სხვა სახელმწიფოებისა, „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ პოლიტიკურ გეგმებს თურქეთის იმუამინდელმა ხელისუფლებამაც დაუჭირა მხარი. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა იმის გამო, რომ ჯერ ერთი, თურქეთის ხელისუფლებასთან ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე „კომიტეტს“ უფლება ეძლეოდა საკუთარი სამხედრო შენაერთის შექმნისა ოსმალეთის ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოს აქტიური დახმარებით; და მეორეც, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში თურქეთის ხელისუფლება თვიციალურად იღებდა ვალდებულებას, ტერიტორიული პრეტენზიები არ წამოეყნებინა ჩვენი ქვეყნისათვის და იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1914 წლისათვის არსებული საზღვრების ფარგლებში ეცნო.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად აქ მინდა სათანადო ფრაგმენტები დავიმოწმო „კომიტეტის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის – გიორგი კერესელიძის „მოგონებებიდან,“ რომელიც გიორგი მუმლაძემ გამოაქვეყნა 2010 წელს სტამბოლში გამომავალ უურნალ „ფიროსმანის“ XI ნომერში.

გ. კერესელიძის ხაზგასმით, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ თურქეთის იმუამინდელ ხელისუფლებასთან ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა იმის გამო, რომ მათ მიერ შექმნილი ლეგიონის „სამოქმედო ასპარეზი ისმალეთის ტერიტორია უნდა ყოფილიყო.“ მისი ინფორმაციით, ოსმალეთის ხელისუფლებასთან ამგვარი პოლიტიკური შეთანხმების მიღწევისა და სათანადო ხელშეკრულების გაფორმების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანიის აქტიურმა მხარდაჭერამ.

აი, რას წერდა იგი ამასათან დაკავშირებით: „საჭიროდ მიგვაჩნდა ოსმალეთის წერილობითი გარანტია, რომ იგი საქართველოს არ განიხილავდა, როგორც რუსეთის, ანუ მტრის, ნაწილს, არამედ სცნობდა მას მეგობარ ერად. გერმანიის მთავრობაც ამ აზრისა იყო და გვირჩია, უმაღლევუდეთ თურქთა მთავრობასთან მოლაპარაკებას. მოლაპარაკების წარმოება ლეო კერესელიძეს დავავალეთ და სტამბოლს გავისტუმრეთ. ათიოდე დღის შემდეგ მივიღეთ დეპეშა: „ვაუი დაიბადა.“ ეს ნიშნავდა, რომ ოსმალეთის მთავრობამ მომავალი ხელშეკრულების ფუძედ ჩვენი მოთხოვნილებანი მიიღო. ჩვენც აღარ დავაყოვნეთ და სტამბოლს ჩავედით“ (კერესელიძე, 2010: 39).

საბოლოოდ, გერმანიის აქტიური მხარდაჭერით, „კომიტეტსა“ და თურქეთის უმაღლეს ხელისუფლებას შორის 1914 წელს ოფიციალური შეთანხმებაც გაფორმდა, რომლის ძალითაც ოსმალეთის მთავრობა ხაზგასმით და უყოფებანოდ გამოხატავდა სრულ მხარდაჭერას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი ქართული „კომიტეტისადმი.“

ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისცემად დავიმოწმებ ფრაგმენტებს ხსენებული შეთანხმებიდან: „ოსმალეთის მთავრობამ უნდა სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა და უდავო უფლება მის ისტორიულ-რეალურ ტერიტორიაზე...“

გამოცხადდება თუ არა საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობა, ოსმალეთის მთავრობა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და იღებს მის წარმომადგენელს... ოსმალეთის მთავრობა არ დაუშლის საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს, რომ მან შეადგინოს ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონი და პირდება გაუადვილოს საქმე“ (გრძელიძე, 1995: 53-54. აგრეთვე: სიორიძე, 1998: 44-46).

აღნიშნული შეთანხმების ოფიციალურად გაფორმების შემდეგ „კომიტეტის“ ხელმძღვანელები რეალურად შეუდგნენ პრაქტიკულ საქმიანობას დასახული მიზნის განსახორციელებლად. კერძოდ, ლეგიონის შექმნა დაევალათ ლეო კერესელიძესა და გერმანელ სამხედრო მრჩეველს ოფიცერ კიშკეს. წინასწარი გეგმის მიხედვით, ლეგიონის შემადგენლობა 1500 კაცით განისაზღვრა, ძირითად სადისლოკაციო ადგილებად კი – ტრაპიზონი, სამსუნი და კერასუნტი. „შეთანხმების“ შესაბამისად, ლეგიონის შემადგენლობა უმთავრესად სამი კატეგორიის პირთაგან უნდა შემდგარიყო: ოსმალეთში, გერმანიასა და ავსტრიაში პირველი მსოფლიო ომის დროს დატყვევებული ქართველებისაგან, ოსმალეთში გადასული ემიგრანტებისაგან და საქართველოდან გადახვენილი სამხედრო პირებისა და მოქალაქეებისაგან.

როგორც უკვე ითქვა, გასული საუკუნის ათიან წლებში ქართველ ლტოლვილთა უმეტესობამ, 1921 წლის მარტში კი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ლეგიტიმური მთავრობის დიდმა ნაწილმა მთავრობის თავმჯდომარის – ნოე ჟორდანიას თავკაცობით თავდაპირველად სტამბოლს შეაფარა თავი და ამის შემდგომ წავიდა ემიგრაციაში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ასევე სტამბოლში პირველი საიმედო თავმესაფარი გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ბოლშევიკური ხელისუფლების რეპრესიებს გამოქცეულმა არაერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მეცნიერმა, მწერალმა და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლმა ბევრმა სხვა მამულიშვილმა, მათ შორის, 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყების მონაწილეთა დიდმა ნაწილმაც.

კერძოდ, პარიზში გამომავალ გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ ინფორმაციით, 1922 წლისათვის სტამბოლში ათასზე მეტი ქართველი იყო გადახვენილი.

საქართველოდან ემიგრირებულებისთვის დახმარებისა და ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის მიზნით სტამბოლელმა ქართველებმა გენერალ ალექსანდრე მდივნის, იოსებ კემულარიასა და სხვათა შემადგენლობით სპეციალური კომიტეტი შექმნეს (დაუშვილი, 2007: 14).

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელმაც არა მარტო ოფიციალურად სცნო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, არამედ აქტიური კავშირ-ურთიერთობაც დაამყარა მასთან და ბევრ რამეს აკეთებს ჩვენი ხალხების დასაახლოებლად და მათ შორის, მეგობრული კავშირების განსამტკიცებლად.


ამ გარემოებამ, ბუნებრივია, თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებასაც შეუწყო ხელი და ბევრი მათგანი მოაბრუნა მისი ისტორიული ფესვებისაკენ. სწორედ, ამ მოვლენის ნათელ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი ფაქტები, როგორებიცაა: თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის შექმნა (2000 წ.), რომლის უმთავრეს მიზანს ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლე-

ბლო კავშირ-ურთიერთობათა კიდევ უფრო მეტად განმტკიცება წარმოადგენს; სტამბოლსა და თურქეთის თითქმის ყველა იმ ქალაქსა და რეგიონში, სადაც ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ, ქართული კულტურის ცენტრების დაარსება და ქართული ენის შემსწავლელი კურსების გახსნა; ქართულ-თურქული ურთიერთობების წარმომჩენ თურქულ და ქართულენოვან პერიოდულ გამოცემათა (ჟურნალები: „ჩვენებური“, „მამული“, „ფიროსმანი“ და სხვ.) და რაღიც „ჩვენებურის“ არსებობა; თურქეთის რამდენიმე უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის გახსნა და ქართველოლოგიური კვლევითი ცენტრების დაარსება; ქართულ-თურქული ურთიერთობებისა და თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ისტორიის უცნობი და სათანადო მეცნიერულ დონეზე გამოუკვლეველი საკითხების შესწავლა და ამ თვალსაზრისით ახალი დოკუმენტებისა და მასალების მოძიება და ა. შ.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გრძელიძე რ. საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ.), თბ. 1995 წ.
2. დაუშვილი რ. ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ. 2007 წ.
3. მიწიშვილი ნ. ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, თბ. 2006 წ.
4. კერესელიძე გ. მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.), ჟურნ. „ფიროსმანი“, სტამბოლი, 2009 წ. №
5. ნიკოლეიშვილი ა. ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში, ქუთაისი, 2009 წ.
6. ჟანენი რ. საქართველო (კათოლიკური ლვთისმეტყველების ენციკლოპედია), თბ. 1996 წ.
7. სვანიძე მ. ქართველები თურქეთში, თბ. 1996 წ.
8. სვანიძე, ოსმალეთის ისტორია, II, თბ. 2002 წ.
9. ტაბაღუა ი. ქართული კულტურის კერები საფრანგეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ჟურნ. „მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია“, თბ. 1978 წ. №1.
10. სიორიძე მ. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათუმი, 1998 წ.
11. ფარსმანი, სტამბოლის ქართველობა, „სახალხო გაზეთი“, თბ. 1911 წ. №232.
12. ფუტკარაძე შ. სტამბოლის ქართული სავანე – თურქი და ქართველი ხალხის მეგობრობის სიმბოლო, „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XI, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2007 წ.
13. ფუტკარაძე შ. თურქეთში, ანგელოზთა სოფელში, დღესაც მხრებგაშლილი დგას ქართველთა სავანე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბ. 2005 წ. 22 მაისი.
14. ქართველები კონსტანტინეპოლსა და სპარსეთში, თბ. 1990 წ.
15. შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ. 2003 წ.
16. „ცნობის ფურცელი“, თბ. 1897 წ. №87.
17. ჭიჭინაძე ზ. აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, თბ. 1895 წ.
18. „ჯვარი ვაზისა“, თბ. 1906 წ. №15, №18.

## აკადემიკოსი გურამ ლორთქიშვილი - 80



ქართული არქეოლოგიური სკოლის ერთ-ერთ უთავალსაჩინოეს წარმომადგენელს, მკვლევარს, მეცნიერს, პედაგოგს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქართველი არქეოლოგების შესანიშნავი პლეადის აღმზრდელს, სტუდენტთა უაღრესად საყვარელ და სათაყვანებელ ლექტორს, სიტყვისა და საქმის კაცს, დიდ საზოგადო მოღვაწეს, მშობელ ქვეყანაზე და ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანს, აკადემიკოს გურამ ლორთქიშვილის ახლახან 80 წელი შეუსრულდა.

მისი მონოგრაფიები უძველესი კოლხეთის ისტორიის შესახებ, სახელმძღვანელოები და სასწავლო მეთოდური ლიტერატურა სტუდენტებისათვის კულტუროლოგიის საკითხებზე – ქართული მეცნიერების ძვირფასი შენაძე-

ნია. გურამ ლორთქიშვილის ფართო დიაპაზონის მეცნიერია. მისი სამეცნიერო კვლევის თემატიკა ეხება ისტორიას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიასა და ნუმიზმატიკურ პრობლემატიკას.

მოსკოვის გ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა მეცნიერი პირველივე დღეებიდან ჩაერთო ძველი კოლხეთის ოქრომრავალი ვანის არქეოლოგიურ სამუშაობები. 1966 წელს უკავშირდება მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი აღმოჩენები ვანის ნაქალაქარზე, რასაც მოჰყვა ბატონ გურამ ლორთქიშვილის მეტად საინტერესო ნაშრომები.

ჩვენმა იუბილარმა ვანში „ოქრომრავალ“ კოლხეთის საგანძურთან ერთად აღმოაჩინა მასზე უფრო ძვირფასი, ყველა ნიშნით ფასდაუდებელი, თავისი ცხოვრების უერთგულესი თანამგზავრი – ქალბატონი ნინო კილურაძე – არქეოლოგი, მეცნიერი, მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მას ბატონი გურამის წარმატებული კარიერის შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვის.

შეუფასებელია ბატონ გურამ ლორთქიშვილის ღვაწლი ქართულ-ებრაული მეგობრობის გამყარების საქმეში. ის გახლავთ იუდაიკის პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაციის „სეფერის“ აკადემიური საბჭოს წევრი და თსუ ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი. მისი უშუალო თაოსნობით შეიქმნა ზოგადად კულტუროლოგიური მიმართულება და დაარსდა კულტუროლოგიის კათედრა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აქტიური წევრია და მონაწილეობს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში.

ბატონი გურამის ნაყოფიერი სამეცნიერო ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია მისი საექსპედიციო მოღვაწეობა, რომელიც ბიჭვინთის ცნობილი არქეოლოგიური ძეგლის კვლევით გამოიხატა.

აკადემიკოსი გურამ ლორთქიშვილი ინიციატორია და გრიგოლ ლორთქიშვილის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სწორედ, მისი ხელმძღვანელობით შესძლო ამ საზოგადოებამ დიდი მამულიშვილისა და ღრმად მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწის ქართველი ხალხის მოწინავე ინტელიგენციის წინაშე წარდგენა.

თოთხმეტი წლის განმავლობაში (1990-2004) იგი იყო თსუ უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ფაკულტეტის დეკანი, 2002-2004 წლებში საერთაშორისო ინფორმაციის, სამართლისა და კულტურული ურთიერთობების უნივერსიტეტის რექტორი. ამჟამად ის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის კომისიის თავმჯდომარეა. დიდი ინტერესით სარგებლობს მისი სალექციო კურსები: ბიბლიური არქეოლოგია, კლასიკური არქეოლოგია, კულტურა – ისტორიის შესწავლის ობიექტი.

აკადემიკოსი გურამ ლორთქიფანიძე მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის სხვადასხვა დროს დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, მიხეილ ლერმონტოვის მედლებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II პატივდების სიგელით.

**ვანელი ლორთქიფანიძეების საგვარეულოს შტოს უღირსეულეს წარმომადგენელს, საქართველოს საამაყო შვილსა და მეცნიერს ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს ვანის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო, რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი გულთბილად ულოცავს 80 წლის შესრულებას, უსურვებს მზეგრძელობას, ოჯახურ ბედნიერებას და ნაყოფიერ მეცნიერულ-შემოქმედებით მოღვაწეობას.**

## გურამ ყიჯიანი – პროფესორი, არქეოლოგი

### ორიოდე სიტყვა პროფესორ გურამ ლორთქიფანიძე

პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის სახელი სულ ცოტა 50 წელია თან სდევს ქართულ საზოგადოებას. მის სახელში საზოგადოება იაზრებს მკვლევარს, პედაგოგსა და, რაც მთავარია, მოქალაქეს, ამ ცნების სრული და ყოვლისმომცველი გაგებით. აქ იგულისხმება, რომ იგი თავის გარშემო აწარმოებს და ქმნის სამოქალაქო საზოგადოებას მისთვის დამახასიათებელი მრავალი თვისებით: დელიკატურობით, ერუდიციით, შემწყნარებლობით, ღიმილით, რომელიც არასოდეს არის „სხვა“ ღიმილი, ნამდვილი ღიმილის გარდა.

სოციუმში ბატონ გურამს არსებითი და აუცილებელი ადგილი უკავია. იგია მოქალაქე შემფასებელი, ეს ძალიან დიდი ფუნქციაა. წარმოიდგინეთ ახალგაზრდობა, ახალგაზრდა მკვლევარები, ან თუნდაც, ბატონ გურამზე ათი ან ხუთი წლით უმცროსი თაობა. მათ ნააზრევს ხომ სჭირდება შემფასებელი, შეფასება ავტორიტეტისა და, რაც მთავარია, ერუდიტის.

„შეფასება“ კი ბატონი გურამისთვის „გადაპმულობასაც“ ნიშნავს. ეს გახლავთ თაობათა შორის სამეცნიერო აზრის სრული ურთიერთგაზიარება, ასაკობრივი ზღვრების მოშლა „ახალგაზრდა“ და არაახალგაზრდა“ მეცნიერს შორის. იგი ბარიერებით არასოდეს სარგებლობს, „სამყარო“ მისთვის „სამყაროა“.

გაოცებული ვრჩები პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის დაუზარებლობით. იგი დეტალურად კითხულობს ყველა იმ ტექსტს, რომლებიც მას მიაწოდეს განსახილველად. ეს კი შრომაა, შრომა სხვისთვის და მუდმივად დახმარებისთვის გაწვდილი გონიერი ხელი. ეს კი იმედია და გარკვეული „დაცულობა“.

მე ბატონ გურამს ჩემს უფროს მეგობრად ვთვლი და მეგულება იგი, როგორც, მხოლოდ სიმართლის მთქმელი. მე მეამაყება იგი ჩემს ქვეყანაში.

მის არქეოლოგიურ ღვანლს აქ ვერ შევეხები, წერილი ამას ვერაფრით დაიტევს, მაგრამ ის კი უნდა ვთქვა, რომ არქეოლოგია მან სხვა საფეხურზე აიყვანა, კულტუროლოგიის ხარისხში. ეს ბუნებრივია ადამიანისათვის, რომელიც, ალბათ, თვლის, რომ შეიძლება არც კი დაგვჭირდეს არქეოლოგია, ცალკე, განყენებულად. მან ხომ კულტურათაშორის დიალოგზე უნდა შეგვიქმნას წარმოდგენები, ამაზე პასუხის გაცემა კი, მხოლოდ განათლებულ არქეოლოგს ხელეწიფება.

კულტურა ჩემთვის, ისევე როგორც, ალბათ, ყველასათვის, შეთანხმებათა სისტემა, რომელიც საზოგადოებაში საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბდა, ან ადამიანის მიერ დამოუკიდებლად, თანდაყოლილი ინტელექტის წყალობით შეძენილი თანხმობათა გარკვეული კომპლექსია. პროფესორ გურამ ლორთქიფანიძესთან შეთანხმებათა სამყაროში ხვდებიან ბავშვები, სტუდენტები, კოლეგები, მოქალაქენი. იგი მთელი თავისი არსებით ატარებს აზრს, ინტელექტსა და კულტურას.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“ და მისი კრებული „მატიანე“ თანამიმდევრულად აშუქებს მასალებს, რომლებიც შემხებლობაშია რაიონის ფეოდალური ხანის ისტორიის მანძილზე განვითარებულ მოვლენებთან. ყოველივე ეს კეთდება საფუძვლიანი კვლევის შედეგად და ძირითადში ეყრდნობა დოკუმენტურ მასალებს, რომლებიც ამ ფორმით მანამდე შესწავლაში მოქცეული არ ყოფილა.

ცხადია, დღევანდელი ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) სამოქმედო ტერიტორიალურ სივრცეს სხვადასხვა დროს ფლობდნენ ქართველი ფეოდალური გვარის ნარმომადგენლები ქვაბულიძეები, შემდეგში ასევე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჩიჯავაძეები, ვიდრე იმერეთის მეფის ალექსანდრე V მიერ გატარებულ პოლიტიკურ ღონისძიებათა შედეგად ჩიჯავაძეთა სათავადომ არ დაკარგა გავლენა და მათ კუთვნილ ტერიტორიების კონკრეტულ ნაწილს არ დაუფლნენ რაჭის ერისთავთა ერთი შტოს ნარმომადგენლები, რომლებიც შემდეგში ბარის ერისთავებად იწოდებოდნენ და ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ რუსეთის იმპერიამ ცალკეულ სათავადოთა და სამთავროთა ინსტიტუტი მთლიანად არ მოშალა. თუმცა, ვანის დღევანდელ ტერიტორიაზე დასახელებულ გვართა გარდა სამოქმედო სივრცის გარკვეულ ტერიტორიებს ლოკალური ფორმით ფლობდნენ აბაშიძეთა, მიქელაძეთა, ლორთქიფანიძეთა, ქვარიანთა, ჩხეიძეთა და ა. შ. საგვარეულო ოჯახების ნარმომადგენლები.

კრებულმა „მატიანემ“ ქვაბულიძეთა შესახებ უკვე გაასაჯარვა პროფესორ თორნიკე ეფრემიძის კვლევა („მატიანე“ №5, „ისტორიული ცნობები ქვაბულიძეთა შესახებ“), ხოლო ჩიჯავაძეთა გვარის ცალკეულ ნარმომადგენელთა და მათი მოღვაწეობის შესახებ საუბარი იყო კრებულ „მატიანეს“ №2, №8, №9, №10 ნომრებში). საინტერესო მასალებია მოპოვებული, როგორც ჩიჯავაძეთა ასევე რიგი სხვა გვარების ნარმომადგენელთა საქმიანობისა და თავისი დროის რიგ აქტუალურ საკითხებთან დამკიდებულების თაობაზე, რომელთა პუბლიცირება განზრახულია თანამიმდევრულად.

ვთვლით, არ იქნება ვანის ფეოდალური ხანის ისტორიაზე საუბარი სრულყოფილი თუ არ ავსახავთ „ჩიჯავაძეთა სათავადოს“ ისტორიას, რომელსაც თავის დროზე სპეციალური კვლევა მიუძღვნა პროფესორმა ოლდა სოსელიამ დიდებულ ნაშრომში „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“ და როგორც უაკ ფრანსუა გამბა მიუთითებს ხარისხით ეს გვარი შედარებით მაღლა იდგა ვანის ტერიტორიაზე მცხოვრებ დანარჩენ თავადთაგან.

ამჟამად, „კვლევის ცენტრი“ და კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგია გთავაზობთ მითითებული ნაშრომიდან ამონარიდს ცალკე თავისას „ჩიჯავაძეთა სათავადო“, მომდევნო ნომერში გვექნება საუბარი, რითაც „კვლევის ცენტრი“ პატივს მიაგებს ან განსვენებული პროფესორის ქალბატონ ოლდა სოსელიას ხსოვნას და უდიდეს მადლიერებას გამოხატავს იმის გამო, რომ მან საქართველოს ისტორიას და შთამომავლობას მითითებული და სხვა შრომების სახით დაუტოვა უძვირფასესი საჩუქარი ქვეყნის ისტორიის კონკრეტულ საკითხებზე. ამდენად, ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ საკითხზე „ჩიჯავაძეთა სათავადოს“ თხრობის მიმდინარეობა, ავტორისეული სტილი და ავტორისეული ვერსია დაცულია უცვლელად.

## ოლდა სოსელია – პროფესორი

### ჩიჯავაძეთა სათავადო

ჩიჯავაძეთა გვარი მეგრული ნარმოშობის უნდა იყოს. იგი ჩიჩუათა საგვარეულოს ერთ-ერთ შტოს უნდა ნარმოადგენდეს. ჩიჩუას გაჩიჯავაძება, ალბათ, მისი საცხოვრისი ადგილის გადანაცვლებასთანაა დაკავშირებული. ჩიჩუას ქართული გაფორმება უნდა იყოს ჩიჯავაძე. ამ მხრივ საინტერესოა, რომ გრიგოლ კათალიკოსის 1733 წლის გუჯარში ჩიჩუას გვარი ჩიჯავაძედ არის დასახელებული. მნიშვნელოვანია, ისიც რომ სამეგრელოში ჭანისწყლისა და ხობისწყლის ქვემო წელზე დღესაც არის სოფელი, რომელსაც „საჯიჯაო“ ჰქვია. ეს ის სოფელია, რომელიც ფეოდალურ ეპოქაში თავად ჩიჩუების მფლობელობაში იყო და რომელსაც აგრეთვე „საჩიჩუოს“ ან „საიჩუოს“ ეძახდნენ. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ ჩიჯავაძე ზოგ წყაროში „ჯიჯავაძეთაა“ წოდებული. კერძოდ, ქართველ თავადაზნაურთა გვარების „აღწერაში“ იგი ზოგჯერ „ჩიჯავაძედ“, ზოგჯერ კი „ჩიჩავაძედ“ არის ფიქსირებული. სხვა წყაროებში კიდევ ეს გვარი „ჩიჯავაძედაც“ იწოდება.

როდის მოხდა ჩიჩუათა გვარის წევრების ერთმანეთისგან გამოყოფა და მათი ერთი ნაწილის ოდიშიდან საქართველოს სხვა კუთხეში განსახლება, ძნელი სათქმელია. უნდა ვიფიქროთ, ეს მოხდა იმ დროს, როცა „დასავლეთიდან წამოსულმა ფეოდალურმა ექსპანსიამ აღმოსავლეთ საქართველო სხვადასხვა დროინდელი, მეტ-ნაკლები სიმაღლისა და განსხვავებული ხასიათის ტალღებით დაფარა“, ეს „ექსპანსია“, როგორც ს. ჯანაშიამ გაარკვია, დაიწყო აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის პერიოდიდან (VIII-IX სს. მიჯნაზე) და აღნიშნულ ექსპანსიას უკავშირდება „საზევრელი აზნაურების, ჩიჯავაძეების დასმა თანამედროვე ქართლის ზემო ნაწილში“, სადაც „ეს დიდი აზნაურები ...უკვე მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში ჩანან“. ს. ჯანაშიას ეს მოსაზრება სავსებით მართებული ჩანს.

აღნიშნულ პერიოდში ამ აზნაურებს შემდეგ ვითარებაში ვხედავთ: გიორგი აფხაზთა მეფეს აუჯანყდა საკუთარი შვილი ქართლის ერისთავი კონსტანტინე. მას მეფობის მიტაცება უნდა. მის მხარეზეა „ტბელნი და სხუანი მრავალნი აზნაურნი“. იწყება ბრძოლა მამასა და შვილს შორის, მაგრამ უფლისციხეში გამაგრებულ ერისთავს მეფე „ვერა რას ავნებდეს“. ამ კრიტიკულ მომენტში მეფე უკავშირდება „საზევრელ“ აზნაურებს: „აბირნა აზნაურნი საზევრელნი“, ე. ი. მიმხრო ისინი და მათი „ზაკველობის“ წყალობით ბოლოს „შეიპყრეს და მოგვარეს“ მეფეს უფლისწნული.

ამ ცნობას ეყრდნობა ს. ჯანაშია, როცა იგი მე-20 საუკუნის შუა წლებში ჩიჯავაძეებს ზემო ქართლში დამკვიდრებულად მიიჩნევს. მართალია, აღნიშნულ ცნობაში გვარსახელი ჩიჯავაძე არ იხსენიება, მაგრამ ს. ჯანაშია, ისე როგორც ნ. ბერძენიშვილი, სიტყვა „საზევრელში“ გეოგრაფიულ სახელს ხედავს, მისგან ნაწარმოებ „საზევრელს“ სადაურობის აღმინიშვნელად თვლის, ხოლო ზემოდასახელებულ „საზევრელ“ აზნაურებს – ჩიჯავაძეთა გვარისად. სხვა მოსაზრებასთან ერთად მკვლევარს ასეთი დასკვნისკენ მოუწოდებს ისიც, რომ ჩიჯავაძეების ფეოდალურ გვარში საზევრელი ერთ-ერთი საგვარეულო სახელია.

სიტყვა „საზევრელს“ გეოგრაფიული მნიშვნელობა და ერთ დროს ჩიჯავაძეთა გვარის იქ ბინადრობა, დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში აუცილებლად არის მიღებული, თუ ს. ჯანაშია ჩიჯავაძეების საზევრელს ალის მიდამოებში ეძებდა, ნ. ბერძენიშვილმა მისი ადგილი „გალმა მხარში“, ანუ შემდეგი დროის „საციციანოში“, დამის ციხის არეში განსაზღვრა. ნ. ბერძენიშვილის ამ განსაზღვრამ შემდგომ დაზუსტება ჰპოვა დ. გვრიტიშვილის გამოკვლევაში, სადაც ჩიჯავაძეების საზევრელ და „საზევრის ლვთის მშობელი“ დამის ხეობაში, კეხიჯვრის სამხრეთით და ორბოძლის მთის ჩრდილო-დასავლეთით არის მითითებული.

უეჭველია, რომ XV საუკუნის დამდეგშიც „გალმა მხარის“ გარკვეული ნაწილი ჩიჯავაძეებს უჭირავთ. კახაბერ ამირეჯიბის შვილი საზევრელ ჩიჯავაძე ამ დროს აქ ხვედურეთს ფლობს, ხოლო აღნიშნული საუკუნის „40-50-იან წლებში ჩიუავასძენი „გალმა მხარს“. საერთოდ, და ატენის მოურაობას, კერძოდ ეცილებიან ამ მხარეში ახლად ფეხმოკიდებულ ციციშვილებს“.

ამგვარად, აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის პერიოდში, თუ უფრო გვიან, დასავლეთ საქართველოდან ზემო ქართლს გადმოსული და „გალმა მხარში“ დამკვიდრებული ჩიჯავაძეები რჩებიან აქ XV საუკუნის შუა წლებამდე, სანამ ტაოდან მოსული ციციშვილები არ დაისაკუთრებენ „გალმა მხარეს“ და არ გამოაძევებენ მათ იქედან.

ქართლში ამირეჯიბად და ატენის მოურავად დაწინაურებული ჩიჯავაძეები ასე კარგავენ აქ თავიანთ ადგილ-მამულსა და სახელოებს.

აღნიშნული საუკუნის შუა წლებში ეს უკვე მომხდარი ფაქტია, „წყალს იქით“ (გალმა მხარი) ჩიჯავაძეებს აღარ ეკუთვნით.

ეს ის დროა, როცა იმერეთის სამეფო ყალიბდება. მიმდინარეობს ბრძოლა ლიხთ-იმერეთისა და ამერეთის მეფეებს შორის. ქართლში შევიწროებული ჩიჯავაძეები, საფიქრებელია, ამ ბრძოლაში იმერთა მეფეს მიემხრნენ და ასეთ ვითარებაში გადმოვიდნენ იმერეთში.

ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ფაქტი: იმერთა მეფე ბაგრატ II (1462-1478 წწ. ვახუშტის ქრონიკით) „ქართლს ჩამოვიდა და ციციშვილსა ლაშქარი გაუძახა“. რატომ აირჩია მან

დასალაშქრად მაინცდამაინც საციციანო? იმიტომ ხომ არა, რომ მის ლაშქარში იყვნენ ციციშვილებისგან დევნილი ჩიჯავაძეები, რომელნიც იქეთკენ მოუწოდებდნენ მეფეს!

უდავოა, რომ „გალმა მხარიდან“ წამოსული ჩიჯავაძეები იმერეთში დამკვიდრდნენ. შეიძლება აქ დამკვიდრებულ ჩიჯავაძეთა მამამთავარი როსტომ ჩიჯავაძე იყო, რომელსაც ალექსანდრე მეფე თავის „კარის ვაზირთა“ შორის მოწმედ იხსენიებს 1413-1444 წლებში შედგენილ თოფურიძეთა სასისხლო სიგელში, ან კიდევ „ჩიჯავასე კახაბერი“, რომელიც მღვიმის მონასტრის კარის ჩარჩოს წარწერაში გვხვდება.

ამიერიდან ჩიჯავაძეები ხშირად ჩანან იმერეთში: 1488 წელს ვხედავთ საზვერელ ვამიყ ჩიჯავაძეს. ამავე ხანში (1486-1488 წწ) ვხვდებით აგრეთვე გიორგი ჩიჯავაძეს. 1565-1587 წლებში კი გიორგი იმერთა მეფის მიერ კლდიაშვილებისათვის ბოძებულ წყალობის წიგნში ჩიჯავაძე „იმერელთ დარბასელთა“ შორის არის დასახელებული, ე. ი. იმერეთში ფეხმოკიდებული წარჩინებული თავადია. სწორედ, ასე იცნობს გვიან ხანაში ჩიჯავაძეს ვახუშტი ბატონიშვილიც.

ჩიჯავაძეთა სათავადოს ჩამოყალიბება XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზეა სავარაუდებელი. ყოველ შემთხვევაში, XV საუკუნის მიწურულს მთელი „საჩინო“ (ახლანდელი ვანის რაიონი) ჩიჯავაძეების ხელშია.

ჩიჯავაძეების სათავადოში მთლიანად თუ წაწილობრივ შემდეგი სოფლები შედიოდა: დაფნარი, დაბლა-გომი, გომი (მუხალრუა//მუხაყრუა), მთისძირი, შუამთა, სებეკა, ციხესულორი, ვანი, სალხინო, ტობანიერი, დიხაშხო (წაწილობრივ), საპრასია, ისრითი, დვალიშვილები (წაწილობრივ), ზენობანი, ციხისუბანი (წაწილობრივ), გადიდი, ბზვანი (წაწილობრივ), ინაშაური (წაწილობრივ), ყუმური (საპაიჭაო), საყულია (წაწილობრივ), ონჯონეთი.

ჩიჯავაძეთა სათავადოს საზღვარი დასავლეთით საჯავახომდე აღწევდა, აღმოსავლეთით – ქორისწყლამდე, ჩრდილოეთით – მდინარე რიონამდე და სამხრეთით – ახალციხემდე. უკანასკნელისაგან საჩიჯავაძეოს ჰყოფდა საძოვარი მთები: ლამაზ-მთა, საბუღრაო და სხვა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ზემოდასახელებული სოფლებიდან ჩიჯავაძეებს ჩამოერთვათ ოთხი: გომი ანუ მუხალრუა, დაბლა-გომი, დაფნარი და ტობანიერი. ეს სოფლები სოლომონ პირველმა გელათის მონასტერს შესწირა.

შენირული სოფლები მეფის განგარგულებით ჩიჯავაძეთა და სხვათა სამფლობელოთგან გამიჯნულ იქნა წარწერიანი სამანი ქვებით, რომელთაგან რამდენიმე დღემდე შემორჩენილია და რომლებზედაც ვკითხულობთ: „მეფემან სოლომონ გაენათს შეგნირე“.

ამიერიდან, საჩიჯავაძეოს დასავლეთის საზღვრად სოფელი გომი (მუხალრუა) და კაპტონის ღელე დაწესდა.

ზემოჩანთვლილ სოფლებს გარდა, ჩიჯავაძეები ადგილ-მამულს ფლობდნენ ჭყვიშს, მუღრუნეთს, მაჭარეულს, ამაღლებას, ბჟღოლნარსა და ზამთაროულში.

ვრცელი მინა-წყლის ქქონე ჩიჯავაძეები მისი უფრო მეტი გაფართოებისაკენ მიიღოვოდნენ: მეზობელ ერისთავებს (იმერეთისა) ავინროებდნენ, „სამანსა და ჭადარს შუა“ ადგილსა და „მთა-შიდ“ პარტახებს ეცილებოდნენ. ამ ნიადაგზე მათ შორის დავა იყო.

ჩიჯავაძეების რეზიდენცია სებეკაში იყო. აქ იჯდა სათავადოს უფროსი. აქ ჰქონდა მას სასახლე, ციხე-სიმაგრე და კარის ეკლესია. სასახლე აგებული იყო მაღალ გორაზე, მდინარე სულორ-რიონის შესართავთან ახლოს და გადაყურებდა ამ მდინარეთა ხეობას.

ჩიჯავაძეთა სახლიკაცები განლაგებული იყვნენ ვანს, ჭინჭველაურს („ბზვანის თავზე“), ისრითსა და ამაღლებაში.

სებეკას ციხის გარდა, ჩიჯავაძეები ფლობდნენ აგრეთვე ციხესულორის, ქვედა ვანისა და საპაიჭაო (ყუმურის) ციხე-სიმაგრეებს.

საგვარეულო სასაფლაო ჰქონდათ მათ ვანის, ამუამად ზედა ვანის ეკლესიაში, რომელიც მთავარანგელოზ მიქელის სახელზე იყო აშენებული. ეს ძველი ეკლესია, რომელიც საჩინოში ჩიჯავაძეების დამკვიდრებამდე იყო აგებული, ამ საგვარეულომ თავის სამარხად გაისაკუთრა.

ჩიჯავაძეებმა მას ჩრდილოეთით ეკვდერი მიაშენეს, სადაც „ყოფილა დახატული მაშენებელი ეკვდრისა და სხვა პირნიც ჩიჯავაძეების გვარისა, მაგრამ მათი წარწერები აღარ ჩანს“. ეს ეკვდერი იყო ჩიჯავაძეების საძვალე.

ჩიჯავაძეები ერმრავალი ფეოდალები იყვნენ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ერთი ცნობით, საჩინოს მხარეში, რომელიც ჩიჯავაძეებს ეკუთვნოდათ, 1000 კომლი ითვლებოდა. აქედან თუნდაც 200-300 კომლი მეფის, ეკლესიისა და სხვა მფლობელთა ყმებად რომ მივიჩნიოთ, ჩიჯავაძეების ყმათა რიცხვი მაინც საკმაოდ დიდი 700-800 კომლი რჩება.

ჩიჯავაძეთა ყმა-გლეხები იყვნენ: ნიკოლეიშვილები, ტყეშელაშვილები, ხუხუშვილები, მუავანაძეები, ნიკოლაძეები, აბრამიძეები, ჯულაყიძეები, მხეიძეები, გურძენაძეები, ქამუშაძეები, ცხადაშვილები, ნამიჭელიშვილები, გიორგაძეები, ბალდავაძეები, მორჩილაძეები, ჩხირაძეები, გოგაძეები, კორძაძეები, ჩუბინიძეები, ბურკაძეები, მახარაძეები, კალმახელიძეები, ხატისკაცი, გაბუნია, ფანცულაია და სხვა.

ჩიჯავაძეების აზნაურები იყვნენ: ზაალიშვილები, ფარემუზაშვილები, მაკარიძეები, გოგორიშვილები, რატიძეები, ჩხეიძეები, ლორთქიფანიძეები, შათირიშვილები, ახვლედიანები (ვანის), ჩახუნაშვილები, სანადირაძეები, უვანიები და სხვა.

ჩიჯავაძეთა სათავადოს საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა მოპოვებული. 1810 წლის ცნობით საჩინოს მთელი მოსახლეობიდან, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში 1000 კომლს უდრიდა, სამეფო საურს იხდიდა მხოლოდ 10 კომლი, საუდიეროს - 20 კომლი.

ზოგი სხვა სამეფო ვალდებულება („მესადგომობა – შინ ცხენისა და კაცის ჩადგომა“) მართებდათ მდივანბეგ ვახუშტი ჩიჯავაძის „სახასო კაცებს“: ბზვანის წმინდა გიორგის ეკლესის „შემავალს... ერთობით ტყეშელაშვილებს და ერთობით გურულებს – მუავანაძეებს“, მაგრამ 1808 წელს სოლომონ მეორემ ამისგანაც გაანთავისუფლა ისინი.

სათავადოს მართვის საქმეში ჩიჯავაძეები თავიანთ აზნაურებს იყენებდნენ. მაღალი თანამდებობები ჩიჯავაძეების კარზე აზნაურებს ეჭირათ. მაგალითად, სახლთუხუცესის სახელო 1811 წელს დათუნა ახვლედიანს ჰქონდა, მოურავი ს- 1798-1811 წლებში ოტია, ქაიხოსრო, როსტომს და პაპუნა ლორთქიფანიძეებს, ნაცვლისა – 1808-1823 წლებში დათუნა და ვახტანგ ჩახუნაშვილებს.

უფრო დაბალ, ხელოსნის თანამდებობაზე გლეხები ჩანან – აბრამიძეები და ნიკოლეიშვილები. 1808 წელს დავით აბრამიძე, 1809, 1910, 1811 წლებში კი – გიორგი (გიორგელა) ნიკოლეიშვილი.

ჩიჯავაძეების ერთი გვიანდელი ხანის (1827 წ.) საბუთში იხსენიება აგრეთვე მათი ტყის მცველი.

საეკლესიო მსახურთაგან ჩიჯავაძეთა სათავადოში ვხედავთ მხოლოდ მათ „კარის წინამდლვარს“ მაკარიოზს 1731 წელს და ხუცესს ამავე წელში.

XVI საუკუნის მინურულს ჩიჯავაძეები აქტიურად მონაწილეობენ იმ ბრძოლაში, რომელიც როსტომი იმერთა მეფესა და მის წინააღმდეგ ამხედრებულ გიორგი გურიელს შორის წარმოებს. ამ ბრძოლაში ერთი ჩიჯავაძე როსტომის მხარეზე ჩანს, მეორე - გურიელის და მის მიერ იმერეთის ტახტის პრეტენდენტად წამოყენებულ ბაგრატ თეიმურაზის ძისა.

როცა გურიელმა გაიმარჯვა, მეფესთან ერთად მისი მომხრე ჩიჯავაძეც განდევნა და სათავადოს უფროსად „სხუა ჩიჯავაძე“ დასვა. არ ვიცით რა დღე დაადგა გურიელის მომხრე ჩიჯავაძეს, როცა 1590 წელს როსტომმა ტახტი დაიბრუნა.

ამ ორი ჩიჯავაძიდან შეიძლება ერთი იყოს ის საზვერელი ჩიჯავაძე, რომელსაც XVII საუკუნის დამდეგს ვხედავთ. ეს ის დროა, როცა ბაადურ არაგვის ერისთავს ერისთავობას ეცილება მისი ძმა ზურაბი. უკანასკნელისაგან ქართლიდან გამოდევნილი ბაადური თავის ოჯახით საზვერელ ჩიჯავაძემ შეიფარა, მაგრამ იგი ბაადურის ცოლს „ეტრფიალა“. მოკლა ერისთავი და და ქალი თვითონ შეირთო. ზურაბმა ძმის სისხლი არ შეარჩინა საზვერელ ჩიჯავაძეს: წამოვიდა არაგვის ერისთავი „ფერსათის მთით“, მოულოდნელად თავს დაესხა საზვერელს საჩინოში,

მოკლა იგი და ასე გადაუხადა სამაგიერო მას.

ამის შემდეგ ჩიჯავაძეები ერთ ხანს არ ჩანან წყაროებში. XVII საუკუნის შუა წლებში კი ეს საგვარეულო ფრიად დაწინაურებულია. ამ დროს იმერეთის თავადურ გვართა შორის მას თავის ღირსებით მეოთხე ადგილი უჭირავს. ჩიჯავაძეთა გვარის წარმომადგენელი საზერელ III იმერთა მეფის ალექსანდრე III მიერ რუსთ ხელმწიფისათვის გაგზავნილ 1651 წელს ფიცის წიგნში მეოთხე ადგილზე იხსენიება. სათავადოს უფროსობაც საზერელს აქვს (გვარში ის პირველობს).

საზერელ III თანამოგვარეებს ვხედავთ აგრეთვე იმავე ალექსანდრე III მეფობის (1639-1660 წწ.) უკანასკნელ წლებში. ისინი იმ ლაშქარში არიან, რომელიც ვამეყ დადიანმა დასახელებულ მეფესთან შეთანხმებით, ქაიხოსრო გურიელს შეუსია „შუა გურიაში“. ქაიხოსრომ ეს ლაშქარი დაამარცხა. თავდამსხმელთაგან ბევრი ტყვედ „დაირჩინა“. ტყვეთა შორის იყვნენ ჩიჯავაძეებიც.

ყურადღებას იპყრობს ერთი ტყვე ჩიჯავაძის საომარი იარაღები: ჯაჭვი, ხრმალი, ლახტი, რომელნიც იმდენად ძვირფასია, რომ გურიელი მათ თავისი გამარჯვების აღსანიშნავად აჭის წმინდა გიორგის საყდარს სწირავს.

ალექსანდრე III მემკვიდრის ბაგრატ IV მიერ რუსეთის მეფის ალექსის სახელზე გაგზავნილ წერილშიც საზერელ III ჩიჯავაძე მეფის დიდებულ თავადთა („დიდ ბოიართა“) შორის არის წარმოდგენილი.

იქვე მეორეხარისხოვან თავადთა („ბოიართა“) რიგებში იხსენიებიან საზერელის სახლიკაცები: როსტომ, ლომკაცი და ლიპარი ჩიჯავაძეები.

იმავე ბაგრატ IV დროს საზერელი დიდ წარმატებას აღწევს. 1673 წელს მას სახლთუხუცესის თანამდებობით ვხვდებით. ეს ის საზერელი ჩიჯავაძე უნდა იყოს, რომელიც შემდეგშიც ბაგრატ IV მხარეზე ჩანს და მის მეტოქე არჩილთან ბრძოლაში იღუპება 1679 წელს. მეფის ერთგულ თავადს, უნდა ვიფიქროთ, სახლთუხუცესის სახელო სიკვდილამდე ჰქონდა.

იმ პოლიტიკური აშლილობის დროს, რომელიც ალექსანდრე III გარდაცვალებიდან იმერეთში დაიწყო, ჩიჯავაძეები ერთხანს გურიელის გავლენის ქვეშ მოექცნენ. 1661 წელს ქართლის მეფე ვახტანგ V (შაპ-ნავაზმა) იმერეთი რომ დალაშქრა საჩიჯავაძეოს მომიჯნავე საჯავახო გურიელს გადასცა. ქართლის მეფის ეს ღონისძიება იმერეთის კანონიერ მეფესა და გურიელს შორის განწყობილების გამწვავებას და არჩილის მონინააღმდეგეთა გაფანტვას ისახავდა მიზნად.

მართლაც, გურიელის ხელში საჯავახოს გადასვლას მოჰყვა ის, რომ „ჩიჯავაძენი მარადის იყუნენ წინაშე“ გურიელისა. შეიძლება ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ალექსანდრე V ძმამ მამუკა ბატონიშვილმა წაართვა ბეჟან ჩიჯავაძეს საჩიჯავაძეო და თვითონ „დაიპყრა“ იგი. ეს მოხდა 1734-1735 წწ.

გურიელის „წინაშე“ ყოფნისა თუ სხვა მიზეზის გამო ჩიჯავაძები ამაზე ადრეც დაქვეითებული ჩანან. მაგალითად, „ჩინებული თავადის“ ლომკაც ჩიჯავაძის თანამეცხედრე ანიკა 1731 წელს ჩივის: „უამთა ვითარებისაგან ჩვენი სახლი დამცირებულ იყოთ“.

უკეთეს მდგომარეობაში არ არიან ჩიჯავაძეები სოლომონ I დროშიც. ამ მეფემ, როგორც ზემოთ ითქვა, ჩამოართვა „საყულია, რაც რომ ჩიჯავაძეს წყალობით მიცემული ჰქონდა“ და 1770 წელს ქაიხოსროსა და პაპუჩა აბულაძეებს უბოძა. მეტიც: სოლომონ I მეფობაშიც ჩიჯავაძეებს მთლიანად ჩამორთმეული აქვთ მათი საგვარეულო სამფლობელო „საჩინოს მხარე“ და 1772 წელს ის მეფეს უჭირავს.

მართალია, 1789 წლის ერთი დოკუმენტის მიხედვით მამუკა ბატონიშვილის მიერ „გაღარიბებული“, „ობლად დარჩენილი“ ჩიჯავაძეები სოლომონ I „დაეზარდა“ და მათი „რჩენა ნდომოდა“ ოლონდ „დროს არ მიეცა“ ... მაგრამ ამასთან ისიც ფაქტია, რომ ჩიჯავაძეების სამფლობელო სოლომონის ხელშია და მათი ზემოხსენებული საყულიაც მან სხვებს მისცა.

მძიმე მდგომარეობაში რჩებიან ჩიჯავაძეები სოლომონ II მეფობამდე. ერთხანს მათ დავით გიორგის ძის ტახტზე მომაგრებას დიდად შეუწყვეს ხელი, მაგრამ ამას მათი მდგომარეობის გაუმჯობესება არ მოჰყოლია. ეს იმიტომ, რომ მალე ისინი მის წინააღმდეგ მებრძოლ დავით

არჩილის ძეს (გამეფებიდან სოლომონ II) მიემხრნენ.

ჩიჯავაძების გასაჭირი კარგად არის ასახული ვახუშტის, ქაიხოსროს, გიორგისა და მათ სახლიკაცებს შორის დადებულ XVIII საუკუნის მიწურულის პირობის წიგნებში, სადაც ისინი აცხადებენ: „ჩვენი ოჯახი დამდაბლებული, წამხდარი იყო... ჩვენი სამკვიდრებელისაგან უნანილო ვიყავით და სხვადასხვა ადგილას განბნეულსავით ვიყავითო“.

ჩიჯავაძების „წამხდარი“ საქმე გამოასწორა ამ საგვარეულოს ენერგიულმა წარმომადგენელმა ვახუშტიმ, რომელმაც თავის „ცდით“ და სოლომონ II „შეწყნარებით“ მიიღო ჩიჯავაძეთა ადრინდელი „სამკვიდრებელი“. ეს მოხდა დავით არჩილის ძის გამეფების (1789 წ.), შემდეგ ამავე წლის 8 დეკემბერს.

ვახუშტი ჩიჯავაძე უთუოდ დიდად გამოადგა დავით არჩილის ძეს იმ პრძოლაში, რომელსაც იგი ტახტზე ასვლისათვის აწარმოებდა. გამეფებისთანავე მის მიერ ვახუშტის „შეწყნარება“ ამით აიხსნება.

ამგვარად, „უამთა ვითარებისაგან... დამცირებული“ ჩიჯავაძეთა სახლი სოლომონ II დროს ისევ ალზევდა, მაგრამ ვახუშტიმ თავისი საგვარეულოს ძველი სამფლობელო მთლიანად მაინც ვერ დაიბრუნა. ჩიჯავაძეების ოთხი სოფელი (დაფნარი, გომი, დაბლაგომი, ტობანიერი), როგორც ზემოთ აღინიშნა, მეფემ გელათის მონასტერს უბოძა.

მეფემ არ მისცა ჩიჯავაძეებს აგრეთვე მათი ყოფილი „ოტიელა ლორთეფიფანიძე“ და მისი სახლიკაცი“ და ზოგი სხვა ყმა-მამული.

1734-1735 წლებიდან 1789 წლის დასასრულამდე ჩიჯავაძეთა გვარი, როგორც ვნახეთ, თავის „სამკვიდრებელისაგან უწილოა“ და „სხვადასხვა ადგილას განბნეულსავით“ არის. ცხადია, ამ დროს ჩიჯავაძეთა სათავადო არ არსებობს. ამ სათავადოს გაუქმება ალექსანდრე V (1720-1752 წწ) ადმინისტრაციული ღონისძიების შედეგი უნდა იყოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩიჯავაძეების გვარში „სათავისთავო“, ინდივიდუალური საკუთრებისაკენ ლტოლვა ადრევე დაიწყო და საკუთრების ამ პროგრესულმა ფორმამ ადრევე დასძლია საგვარეულო საკუთრება. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის, რომ გვიან, მაგრამ იმერეთის თავადებიდან ერთ-ერთმა პირველთაგანმა, სწორედ, ჩიჯავაძემ მოაწყო სასაქონლო ხასიათის მეურნეობა. ყოველ შემთხვევაში, ვახუშტიმ საჩიჯავაძეო ადგილ-მამული რომ მიიღო (1789 წ. მიწურულს), სახლიკაცებს შორის ერთობის შესახებ „ლაპარაკი“ იყო, მაგრამ „ერთად დგომა აღარ მოხდა“ და გვარის წევრები „ცალკე გევიდნენ“. 1790-1791 წლებში ვახუშტიმ მისცა თავის თანამოგვარებს, რაც „სამართლით“ მისგან ერგებოდათ „კაციცა და მიწა-წყალიც“ (ჩიჯავაძეთა თავკაცი ამ დროს ვახუშტი იყო).

ამრიგად, საგვარეულო სამფლობელოს დაბრუნების შემდეგ, მოკლე ხანში, ჩიჯავაძეები გაიყარნენ, გაინაწილეს საერთო ყმა-მამული და ამიერიდან ერთ სათავადო სახლად არ გაერთიანებულან.

ვახუშტი ჩიჯავაძეს ამის შემდეგაც ჰქონდა წარმატება: 1799-1801 წლებში სოლომონ II მას მდივანბეგის თანამდებობა მისცა, რომელიც სიკვდილამდე ეჭირა.

ვახუშტი მეფესთან ფრიად დაახლოებული იყო. მეფესაც მისი „ძმობის“ იმედი ჰქონდა. მათი კეთილი დამოკიდებულება ნათესაობითაც იყო შემტკიცებული. ვახუშტი დაქორწინებული იყო დადიანის ასულ მარიამზე, რომელიც სოლომონ II თანამეცხედრის, აგრეთვე დადიანის ასულ მარიამის ახლო ნათესავი იყო. ამიტომაა, რომ დედოფალი ვახუშტის „ფრიად საყვარელ სიძესა და ძმას“ უწოდებს. უთუოდ ამ ნათესაობამაც შეუწყო ხელი მის დაწინაურებას.

საგვარეულო მიწა-წყლის განაწილების შემდეგ ჩიჯავაძეები ჩანან, როგორც ცალკეული მემამულეები, ერთი მსხვილი მემამულე ამ საგვარეულოში და მთელ იმერეთში XVIII საუკუნის დასასრულს და XIX საუკუნის დამდეგს იყო იგივე ვახუშტი. გვიან კიდევ – მისი მემკვიდრე ნიკოლოზ ჩიჯავაძე, რომელსაც კაპიტალისტურ საწყისებზე გამართული დიდი მეურნეობა ჰქონდა.

## ომარ კაპანაძე

### 1964-1965 წლების საგლეხო რეფორმა, სოცლის საზოგადოების აღმოცენება ვანში და მათი სასოფლო და სამედიატოლო სასამართლოები

1864-1865 წლებში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიისში განხორციელებულ რეფორმებს გაჰყვა არამარტო სამეურნეო, არამედ სოციალურ ურთიერთობათა ცვლაც. სხვა საკითხია, რამდენად ეფექტურად განხორციელდა იგი პრაქტიკულ ცხოვრებაში, მაგრამ თეორიულად ეს ასე იყო. ცხოვრების ბაზისური ნიშნების შეცვლით არსებულ პოზიციებზე ვერ დარჩებოდა ზედნაშენური სფეროც. ცხადად ჩანდა, რომ პროცესები დალაგდებოდა იმ დოზით, რა დოზითაც იმპერიის ხელისუფლება მიიჩნევდა სასურველად და არა რადიკალური ფორმით, როგორსაც ადგილი აქვს რევოლუციურ გარდაქმნათა შედეგად. ამის გამოც „ზემოდან“ დაშვებული რეკომენდაციის საფუძველზე მაზრების სოფლების დასახლებანი გადაყვანილი იქნა სრულიად ახალ მმართველობით, მანამდე არარსებულ სისტემა „ვანის“ ყველა სოფელშიც.

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, იმპერიის შეხედულებათა საფუძველზე, ქართული სივრცისათვის მმართველობის სისტემა აქამდეც რამდენჯერმე ან შეიცვალა, ან განიცადა საფუძვლიანი კორექტირება, რითაც იგი დაშორდა მართვის ქართულ ტრადიციულ ფორმებს და იმპერიის მმართველობის ზოგიერთი რგოლების პარალელურად არა მთლიანად, მაგრამ გადაიხარა ევროპულ-ბურჟუაზიული მართვის ნორმებისაკენ, რაც თავისითავად იყო პროგრესის მატარებელიც. რადიკალური სახეცვლილება პროცესს ეძლევა რუსეთის მიერ 1810 წელს იმერეთის სამეფოს მიერთებით. მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციულად მოშალა სათავადოები და პოლიტიკური უფლებები დააკარგვინა მათ, ფეოდალური არისტოკრატია ჩამოაშორა ქვეყნის მმართველობას იმ დონით – რა დონითაც მანამდე ერეოდნენ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საქმეებში. წერტილი დაუსვა ფეოდალურ პარტიკულარიზმსაც. ჯერ იმერეთის, შემდეგ ქუთაისის გუბერნიის, მისი მაზრების შექმნით, ძირითადში, დაასრულა ადმინისტრაციული რეორგანიზაციის პროცესი, მაგრამ მითითებულ რეფორმამდე სასოფლო მმართველობებს არსებითად არ შეხებიან და ასეთი რამ, სახელმწიფოებრივ დონეზე ჩამოყალიბებული სასოფლო ადმინისტრაციული მმართველობები, ბატონიუმობის გაუქმებამდე, როგორც ჩანს, არ არსებობდნენ. „ყმა-გლეხთა საქმეებს მებატონეთა და საეკლესიო უწყების მიერ დანიშნული მოურავები განაგებდნენ“<sup>1</sup> და მათვე გააჩნდათ ადგილობრივი ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციაც.

ცნობისათვის შეიძლება ითქვას: ე. წ. მოურავთა ინსტიტუტი მოქმედებას განაგრძობდა ბატონიუმობის გაუქმების შემდეგაც კერძო ფეოდალთა კარზე, როგორც სამეურნეო საქმის გამდლოლნი, მაგრამ არა იმ ფორმითა და უფლებით, როგორიც მანამდე გააჩნდათ. სოფლის ან სოფელთა მმართველობაზე მათ ხელი აღარ მიუწვდებოდათ, რადგან ამ დროისათვის მნიშვნელოვან სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობებს და მის თანმხლებ პროცესებს უკვე სწყვეტდნენ და არეგულირებდნენ რუსეთის ხელისუფლების ჩინოვნიკები, რომელთა უმრავლესობას რუსი მოხელეები წარმოადგენდნენ, ხოლო რეფორმის შემდეგ, პროცესებში უფლებამოსილებათა ფარგლებში, ერთვებიან სოფლის გლეხთა წარმომადგენლობის მიერ არჩეული პირები.

ამდენად, დასავლეთ საქართველოში რეფორმის მოქმედება შევიდა ძალაში. 1864 წლის 13

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. გვ.303.

ოქტომბრის გადაწყვეტილებით დამტკიცდა თბილისის გუბერნიის „სოფლის საზოგადოებების მმართველობის წესი“, ხოლო 1865 წლის 11 აპრილის დებულების თანახმად მაშინდელ საქართველოში<sup>2</sup>, გლეხთა წოდებრივი დაწესებულებების სახით ყალიბდება სოფლის საზოგადოებები და მათი მმართველობა, როგორც სოფლის თვითმმართველობის ორგანოები. ეს სიახლე განხორციელდა საქართველოს მასშტაბით და იგივე მოხდა „ვანის“ სოფლებშიც.

ვნახოთ რას ეყრდნობოდა, როგორი იყო „სოფლის საზოგადოებების“ თვითმმართველ ორგანოთა სამოქმედო ტერიტორიაზე ურთიერთობის ახალი ფორმები და რომელ საკითხთა რეგულირება განეკუთვნებოდა მის კომპეტენციას. ამ ფონზე შევეცადოთ დავადგინოთ „ვანში“ არსებული მდგომარეობა.

1. სოფლის საზოგადოება აერთიანებდა შესაბამისი სოფლისა და დასახლებული უბნის ყველა კატეგორიის საბატონო-დროებით ვალდებულ, სახაზინო, საეკლესიო და თუ არსებობდნენ ასეთნი ხიზან გლეხებს.

2. სოფლის საზოგადოების უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა სოფლის გლეხთა ყრილობა, რომლის მოწვევის უფლება გააჩნდათ შესაბამისი საზოგადოებების მამასახლისებს, როგორც აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს. სხვა შემთხვევაში შეკრება შეიძლება მომხდარიყო მაზრის უფროსის მითითებით, მომრიგებელ-შუამავლის მოთხოვნითაც.

3. ზემოთ მითითებული 11 აპრილის დებულების თანახმად სოფლის საზოგადოების მმართველობა წარმოადგენდა მხოლოდ გლეხთა წოდებრივ დაწესებულებას. სოფლის მოსახლეობის სხვა ფენები: სასულიერო პირები, აზნაურები, თავადები მის საქმიანობაში არ მონაწილეობდნენ. ამის გამოც ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩამოთვლილ ფენებზე არცერთი ფორმით არ ვრცელდებოდა. ამდენად იგი იურიდიულ-პრაქტიკული ფორმით ვერ ფარავდა სოფლის ტერიტორიალურ სივრცეს და მთლიანად მოსახლეობის შემადგენლობას.

4. სოფლის საზოგადოების აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი პირი იყო სოფლის მამასახლისი, რომელსაც ირჩევდა გლეხთა ყრილობა და, როგორც ირკვევა, ამ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა წინასწარ შესწავლილი და რეკომენდირებული იყო მაზრის მმართველობის მიერ. მამასახლისი უფლებამოსილებას ახორციელებდა შესაბამის კანცელარიასა და მის მოხელეებზე დაყრდნობით.

5. მითითებული დებულება ითვალისწინებდა სოფლის საზოგადოებაში საგლეხო სასამართლოთა ჩამოყალიბებას, რითაც მართლმსაჯულების განხორციელება დაუქვემდებარეს ადგილობრივ სასამართლოს. სოფლის მოსამართლეთა არჩევაც ხდებოდა შესაბამის სოფლის ყრილობაზე. ყველა ამ არჩეულ პირს, საქმიანობის უფლებამოსილება ეძლეოდა გუბერნატორისაგან დამტკიცების შემდეგ. საინტერესო ფორმით საქმიანობდა სოფლის მართლმსაჯულებაც, რომელსაც დაცული მასალების ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევეხებით. ყრილობის საქმიანობაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ გლეხთა კომლების უფროსები. ყრილობის კომპენტენციას განეკუთვნებოდა როგორც ადმინისტრაციული, ასევე სამეურნეო საქმიანობის გამგებლობა: – აქედან, სოფლის თანამდებობის პირთა არჩევა, უფლებამოსილების ფარგლებში სოფლის საჭირბოროტო საქმეებში დადგენილების მიღება, სოფლიდან „არასაიმედო პირების“ გასახლებაზეც გადაწყვეტილების გამოტანა, ობლად დარჩენილი არასრულწლოვნებისათვის მზრუნველობის განევა, ოჯახის გაყოფაზე ნებართვის მიცემა, სოფლის საზოგადოების საერთო მინების გამგებლობა, საჭიროების შემთხვევაში სათანადო ინსტანციებში გლეხისათვის შეამდგომლობის აღძვრა და ა. შ. როგორც ითქვა, ყრილობის გადაწყვეტილებათა აღსრულება ევალებოდა სოფლის საზოგადოების მამასახლის, რომლის აპარატიც განაგებდა კომლების მიხედვით გადასახადების გაწერასაც და აქვე უნდა ითქვას, რომ სოფლის მმართველობათა ტრანსფორმაციის და ურთიერთობათა ახალი ნორმების დაწე-

2. ტერმინი მაშინდელი საქართველო გამოყენებულია იმ გაგებით, რომ 1865 წლისათვის ჯერ კიდევ არ იყო აღდგენილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

სებას საგადასახადო სისტემაში ცვლილებები არ მოჰყოლია. პირიქით, გლეხობა დაავალდებულეს ადრედანესებულ გადასახადებთან ერთად გაეღოთ თანხები ახლადშექმნილი სოფლის ადმინისტრაციისა და მოსამართლეთა შენახვისათვის, მათი სახელფასო ანაზღაურებისათვის, რომელსაც ემატებოდა განათლებისა და ჯანდაცვის ხარჯებიც, გადასახდელი თანხები სოფლის გზების კეთილმიწყობისათვის, რომელსაც ფიზიკური შრომითი ბეგარაც ახლდა და ა. შ. სახელმწიფო, ახლადჩამოყალიბებული სოფლის მმართველობითი ორგანოებისაგან საფინანსო დახმარებისა და მოწყობის თვალსაზრისით შორს დადგა და არამარტო ადმინისტრაციულ ორგანოთა შენახვის, არამედ სხვა აუცილებელ პრობლემებზეც ზრუნვა სოფლის გლეხობის მოვალეობად აქცია. როგორც ჩანს, ისედაც სიღარიბეში მყოფი გლეხობისათვის ეს იყო ზედმიწევნით მძიმე ტვირთი, რომელმაც, განსაკუთრებულად, მწვავედ იჩინა თავი უფრო მოვიანებით 1900-იანი წლებიდან. რეფორმებით კიდევ ერთხელ დადასტურდა წოდებრივი დიფერენცირებაც, პრიმატი და განსხვავებულობა პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ურთიერთობებშიც, რამაც რეფორმას წამყვან მიმართულებებში ფარსის სახე შესძინა. რეფორმის მოცულობითი შეუსაბამობანი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ იმდროინდელ ქართული პროგრესული მიმართულების წარმომადგენლებს. უკეთებდა რა ილია ჭავჭავაძე შეფასებას სოფლის მმართველობის სიახლეებში გამოხატულ წაკლოვანებებს აღნიშნავდა: – „რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისგან გაჭირვებულს არ ესარჩება და დიდისათვის კი თავს გამოიდებს ჩვენი სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრძანებას და დარაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებისას<sup>1</sup>“.

უდავოა, იმ სოფლებშიც, რომლებიც დღეს ვანის რაიონის შემადგენლობაში შედიან ფუნქციონირებას იწყებენ სოფლის გლეხთა საზოგადოებები ადგილობრივი თვითმმართველობების სახით.

ძალიან მწირად, ან საერთოდ არაა დაცული მასალები იმის თაობაზე, თუ როგორი იყო „ვანის“ სოფლების საზოგადოებების საქმიანობანი საწყისს და მომდევნო უახლოეს ეტაპზე, კონკრეტულად 1880-იან წლებამდე. ცნობილია ერთი, რომ საზოგადოებების, როგორც თვითმმართველი ორგანოების ჩამოყალიბება განხორციელდა თითქმის ყველა იმ სოფლებში, რომლებიც დღეს, რეალობაში არსებობენ ვანის რაიონის შემადგენლობაში და რადგანაც არა გვაქვს ცნობები თუ როგორ არეგულირებდნენ ისინი უფლებამისილებათა შესატყვისობაში წამოჭრილ საკითხებს, მათ აქტიურობაზე, განხილულ საკითხთა და მასზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე მსჯელობა არამარტო შეუძლებელია, უბრალოდ არასერიოზულობაცაა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ საერთოდ არსებულ მდგომარეობას, სოციალურ უმტკივნეულეს პრობლემათა უძრაობას, ურთიერთობათა გადმოყოლილ ნორმებს, არაერთ მიმართულებებში ტენდენციურ უცვლელობას, შეიძლება სიზუსტესთან ოპტიმალური მიახლებით ვამტკიცოთ, რომ დაბალმა ფენებმა ამ შემთხვევაში „ვანის“ სოფლების გლეხობამ, ვერ შესძლო რეფორმით მინიჭებული უფლებამოსილებათა სათავისოდ სრული გამოყენება და თვითმმართველობის ამ ფორმით დინამიკაში მოყვანაც. უფრო სწორად, სოფლის საზოგადოების ყრილობები, როგორც განმკარგულებელი ორგანოები, მიმართულებათა და აქტიურობის ბიძგის მიმცემი, რამდენადმე მოუმზადებელნიც და აქედან ინერტულებიც აღმოჩნდნენ. ეს, რომ ასე იქნებოდა ამის მიზეზი კლინდება თვით რეფორმისა და მისი ნორმატიული აქტების ზოგიერთი პერიპეტიონაც:

ა – სოფლის საზოგადოებების თვითმმართველობის აღმოცენების პარალელურად, რაღაც ფორმით, ადგილებზე გაჩნდა ე. წ. ორხელისუფლებიანობის ნიშნებიც. ერთის მხრივ – სოფლის გლეხთა საზოგადოების სახით, რომლის იურიდიული (არც პრაქტიკული) უფლებამოსილება

არ ვრცელდებოდა შესაბამის სოფლის საზოგადოების ტერიტორიაზე მცხოვრებ პრივილე-  
გირებულ საერო და სასულიერი პირებზე. ე. ი. გადაწყვეტილება ამ ორგანოს კიდევაც რომ  
მიეღო, იგი, როგორც ნორმა შესასრულებლად ეხებოდათ მხოლოდ დაბალ ფენებს და არა-  
ვის გარდა ამ ხალხისა. მეორეს მხრივ-იმავე საზოგადოებაში მცხოვრები პრივილეგირებული  
ფენების ურთიერთობის და სამართლებრივი რეგულირების ნორმები მათ, მხოლოდ იმპერიულ,  
განსაკუთრებულ კანონთა და გადაწყვეტილებათა წინაშე ხდიდა ვალდებულს, რაც იმასაც  
ადასტუტრებს, რომ ხელისუფლებამ თეორიული და ნაკლებად პრაქტიკული ხარკი გადაიხადა  
უბრალო მასებისაგან მზარდ და მოსალოდნელ გართულებათა წინაშე.

ბ — საერთოდ და „ვანის“ სოფლების მაგალითზე ჩანს, რომ სუსტი საქმიანობის ერთ-  
ერთი მსაზღვრელი იყო ის, რომ ამ ორგანოებს არ გააჩნდათ ნორმალურს მიახლოებული ეკო-  
ნომიკური საფუძველი. შექმნის დღიდანვე იგი ემყარებოდა მხოლოდ გლეხთა გადასახდელებს,  
რომლის ამოღებაც სიღარიბის პირობებში იყო რთული, ამასთან ამოღებული გადასახდელები  
გარდა სოფლის საზოგადოებების საჭიროებებისა მიემართებოდა სხვადასხვა დაკანონებული  
მიმართულებით, ხოლო გადასახადის გადამხდელ გლეხთა მატერიალური ხელვიწროობა, რომ  
უფრო ცხადი წარმოსადგენი გახდეს მომყავს იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ციფრო-  
ბრივი მონაცემები: „XIX საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისის მაზრის (რომელშიდაც შედიოდა  
„ვანის“ სოფლები) საშუალო გლეხის ბიუჯეტი ასეთი იყო: წლიური შემოსავალი 534 მანეთი  
და 46 კაპიკი, გასავალი – 565 მანეთი და 97 კაპიკი. დეფიციტი 31 მანეთი და 51 კაპიკი“ (მო-  
ნაცემები აღებულია ილია მირცხულავას ნაშრომიდან „აგრარულ-გლეხური საკითხი საქართ-  
ველოში 1900-1917“) მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დეფიციტი 31 მანეთი და 51 კაპიკი  
მაშინდელი კურსით სოლიდური თანხაა. ეს მონაცემებიც აღებულია საშუალო რანგის გლეხთა  
შესაბამისობაში და იოლი წარმოსადგენია მდგომარეობა ღარიბ და უღარიბეს გლეხობასთან  
მიმართებაში. ამიტომაც, ასეთ სიტუაციებში ოჯახურ ბიუჯეტს ნამდვილად გაუჭირდებოდა  
ძველ და ახლადდაწესებულ გადასახდელთა გადახდა. სწორედ, ამ დროს ერთვებოდა მოქმედე-  
ბაში მევახშური სესხი, ასევე მისი გასტუმრების, დაფარვის კაბალური ფორმებით.

გ — როგორც ითქვა სახელმწიფო გვერდზე დადგა სოფლის საზოგადოებათა მატერიალ-  
ური წახმარებისაგან და ადგილებზე არსებული ყოფითი პირობების მოწესრიგება, ძირითადად,  
გადაულოცა გლეხთა საზოგადოებებს.

ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ადგილობრივი მნიშვნელობის ფულად საკრედიტო ამხანაგო-  
ბები და ასევე სუსტი იყო კონტაქტები სახელმწიფოებრივი დონის ისედაც მცირერიცხოვან  
საკრედიტო ორგანიზაციებთან, ან კერძო ბანკებთან, რომლებიც შედარებით მოგვიანებით  
იწყებენ ინტენსიურ ფუნქციონირებას. ამდენად, ფინანსურ- ეკონომიკური ხელვიწროობა ბევრ  
ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხს გადაუჭრელს სტოვებდა.

დ — ისტორია ლაპარაკობს იმაზეც, რომ გარკვეულ პერიოდამდე გადასახადთა ვერაკრე-  
ფის პირობებში რიგი სოფლების თვითმმართველობათა ხელმძღვანელები საქმიანობდნენ ე.  
წ. საზოგადოებრივ საწყისებზეც, ანაზღაურების გარეშე, რაც ნებისმიერ შემთხვევაში ზედ-  
მეტ თავსატეხ ტვირთად გამოიყურება და ხელს უწყობს საქმისადმი ნაკლებმოვალეობით  
დამოკიდებულებას, რომლის დროსაც საქმის კეთება ატარებს შემთხვევიდან შემთხვევამდე  
ხასიათს.

ე — როგორი უხერხულიც არ უნდა იყოს აღიარება, რამდენადაც ცნობილია, უაღრესად  
დაბალი იყო „ვანის“ გლეხური (და არა მარტო გლეხური) მოსახლეობის განათლების საერთო  
დონე. ეჭვი ჩნდება სოფლის საზოგადოებათა, კანცელარიის აპარატის მუშაკთა საჭირო გა-  
ნათლებულობასა და მათ კომპენტენციაზეც. რამდენად ჯეროვნად ერკვეოდნენ ისინი კანონით  
მინიჭებულ უფლებამოსილებაში, შეეძლოთ თუ არა პრობლემატურ საკითხთა გაცნობიერე-  
ბულად კოორდინირება, რასაც ნებისმიერ დროს, მართვისას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ვ — ეჭვი შიძლება დაიბადოს იმაზეც, აწყობდათ თუ არა იმპერიის, გუბერნიისა და მაზრების

ხელისუფლებს ამ ორგანოთა აქტიური საქმიანობა. რადგანაც მათი აქტიურობის პროცესში უეჭველად გამოიკვეთებოდა პრობლემათა წყება გადაჭრის აუცილებლობით და ასეთ შემთხვევაში საკითხი გასცდებოდა სოფლის თვითვმართველობის ფარგლებს.

ზ – უნდა ჩავთვალოთ, რომ ძირითადში (ან საერთოდ) ეკონომიკურად გაუმართავ სუსტ სოფლებში ძლიერი მატერიალური ბაზის და ბიუჯეტის მქონე თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც თანამიმდევრულად იზრუნებდნენ პრობლემათა მოგვარებაზე ვერ აღმოცენდებოდა. ეს გახდებოდა მომწიფებულ საკითხთა გადაუჭრელობის მიზეზიც და საქმისადმი ზერელებამოკიდებულების მსაზღველიც, რომელიც აუცილებლად მოახდენდა ამ ორგანოთა კომპრომეტაციას. აქედან, მითითებულ ფაქტორთა გამო, შემდეგში, სახელისუფლებო წრეებიდან წამოსული კრიტიკა იმაზე, რომ წლების მანძილზე ამ დაწესებულებებმა სუბიექტურ მიზეზთა გამო თავი ვერ გაართვეს კანონით მინიჭებულ მოვალეობათა შესრულებას, მთლად ობიექტურად არ მიმაჩნია. მუშაობდნენ და საქმიანობდნენ იმ სიტუაციურ შესატყვისობებსა და პირობებში, რომელიც მათ გააჩნდათ.

ისტორიული ლიტერატურიდან ჩანს, რომ ამიერკავკასიის მაშინდელი მესვეურები დააფიქრა ამ ორგანოთა საქმიანობის ნაკლებეფეტურობამ, მტკივნეულ-გადაუჭრელ საკითხთა დაგროვებამ და ა.შ., რის გამოც საჭიროდ ჩათვალეს „სოფლის საზოგადოებების“ თვითმმართველობის ორგანოთა რეფორმირება. რეორგანიზებამ დასკვნით ნაწილში მოაქცია ისიც, რომ კანონი სათანადო ძალით ვერ ამოქმედდა ქართველი გლეხის ინდიფერენტულობისა და თვითმმართველობისათვის მოუმზადებლობის შედეგად, რაც მთლად სერიოზულ მტკიცებულობად არ უნდა იქნას მიჩნეული. მითუმეტეს, საქმიანობის უპირველეს ხელშემშლელ პირობებზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ. მაგრამ ამ შეფასების ხელაღებით იგნორირებაც არ იქნება მართებული და მთელ რიგ საკითხებთან შეხებაში უნდა ვალიაროთ კიდევაც. აქსიომაა ისიც, რომ ნებისმიერ კანონთა გაცნობიერებას თუ კი საკითხი ეხება თვითმმართველობას, სჭირდება არამარტო საკანონმდებლო თეორიული ბაზის შექმნა, არამედ ასევე აუცილებელია მასების დიდი ნაწილის საგანმანათლებლო მომზადების ჯეროვან დონესთან მიახლოება მაინც, რაც საქართველოს ორივე გუბერნიის მოსახლეობის და აქედან, კონკრეტულად „ვანის“ მაცხოვრებელთა საგანმანათლებლო პოტენციალის მიხედვითაც არ ჩანს სასურველი სურათის მომცემი. ეს დასტურდება იმ დაცული მასალების ანალიზის საფუძველზეც, რომლის გაცნობაც და შესწავლაც ჩვენ მოგვიხდა „ვანთან“ დაკავშირებით და მეტნაკლები ფორმით ეხება, როგორც არაპრივილეგირებულ, ასევე პრივილეგირებულ ფენებსაც. გამომდინარე აქედან, ამდაგვარ ვაკუუმურ სიტუაციაში მასების გაცნობიერების თვალსაზრისით მთავარი როლი უნდა ეთამაშათ ხელისუფლებისაგან უწყვეტ, ან არაერთჯერად პროპაგანდირებას, რაც მრავალგვარ გარემოებათა გამო, როგორც ითქვა, გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, სამთავრობო სტრუქტურებიდან მონდომების შემთხვევაში, ამდაგვარ სირთულეთა მიახლოებითი განეიტრალება შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ.

უნდა ჩავთვალოთ, რომ, როგორც გუბერნიის პერიფერიულ ნაწილებში, ასევე „ვანშიც“, რეფორმას შედარებით პრაქტიკული ნაბიჯები მოჰყვა აგრარული საქმიანობის სფეროში და ეს ძვრები მას გაჰყვა „მინათმთლობელობისა და მინათსარგებლობის“ საკითხებში. მაგრამ, რაც შეეხება რეფორმის სოციალურ ნაწილებს ამ შემთხვევაში, ადგილობრივ თვითმმართველობას, მის განმკარგულებელ ორგანოს – სოფლის საზოგადოების ყრილობას, მათში გლეხთა უფლება-მოვალეობების სათანადოდ გაცნობიერებას და სამუშაო პროცესად ქცევას, ამის დიდი მონდომებაც რომ ყოფილიყო, მაქსიმალური ფორმით ვერ განხორციელდებოდა და, დაუფარავად რომ ითქვას, ხელშემშლელ ბარიერად გვეჩენება არამარტო ფართო საგანმანათლებლო პოტენციალის, არამედ შესაფერისი კადრების უკიდურესი სიმცირეც, რომელიც ასევე უკუდარტყმას აკეთებს ამ უაღრესად მტკივნეული პრობლემის გადაჭრისათვის სახელმწიფოებრივ სიყრუეზეც.

ამდენად, მთლიანობაში მითითებულ და შემხვედრ პრობლემათა წყება „ვანშიც“ (და სხვაგანაც) გლეხობას ვერ მისცემდა საშუალებას ჩაღრმავებოდა საკუთარ უფლება-მოვალეობებს და მართვის დაბალი დონის გამოც განვითარებულმა პროცესებმაც ახლადაღმოცენებული სასოფლო თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა ჩიხში შეიყვანა. ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ ორგანოთა საქმიანობის არაეფექტურობის, მაგრამ, როგორც ვთქვით, ხელალებით მტკიცება იმისა, რომ აქ მხოლოდ ქართველი გლეხის ინდიფერენტულობა და გაუნათლებლობა მივიჩნიოთ ჩავარდნის მიზეზად – არასერიოზულობად ჩანს.

აღვნიშნავ: საერთოდ და „ვანის“ სოფლების მოსახლეობამ გარკვეული უფლებები კი მიიღეს, მაგრამ მისი გამოყენება კონკრეტულ დრომდე, ვიდრე ამის პირობები საზოგადოებრივი განვითარების სვლათა შედეგად არ მომწიფდა, ვერ ან არასრულყოფილად შესძლეს. ფაქტია, რომ ეს გაგრძელდა მანამ, სანამ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მასებში გასვლა არ დაიწყეს ხალხოსნური მოძრაობის წარმომადგენლებმა და არ გაშალეს გლეხებში მუშაობა მათი უფლებების გაცნობიერება-დაცვისათვის, ხოლო უფრო მოგვიანებით, ვიდრე ამას ჯერ მესამე დასმა, ხოლო შემდგომში სოციალ-დემოკრატებმა და რიგმა სხვა პარტიებმა შედარებით რადიკალური მიმართულება არ შესძინეს. ეს რეალობა! ეჭვი არაა, რომ „ვანის“ სოფლებში ამ დროიდან ცვლილებებიც შეინიშნება და გლეხებიც პროცესებში მეტნაკლები ფორმით არიან ჩართულნი, რაც შემდეგში აჩვენა 1900-იანი წლებიდან, კონკრეტულად, 1905-1907 წლებში სოფლებში განვითარებულმა მოვლენებმაც.

ზემოთ გაანალიზებული პროცესებიდან გამომდინარე, იგივე ბედი გაიზიარა ასევე „არანაკლებ სამი კაცის“ შემადგენლობით არჩეულმა სოფლის სასამართლოებმაც. „ვანის“ სოფლებთან დაკავშირებით მათი საქმიანობის შესახებ XIX საუკუნის 80-იან წლებამდე არც ერთი საქმე არაა შემონახული, რაც იმის მტკიცებად არ ჩაითვლება, რომ მათ უფლებამოსილებიდან გამომდინარე არაფერზე უმსჯელიათ, მაგრამ მათი ნაკლებ აქტიურობა კი დასტურდება.

## რას თარმოადგენერე ეს სასამართლოები:

სოფლის საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული ადგილობრივი სასამართლოს უფლებამოსილებას განკუთვნებოდა მხოლოდ გლეხთა შორის დავა-საჩივრებზე რეაგირება და გადაწყვეტილების გამოტანა. ეს კეთდებოდა სპეციფიურ ფორმებში – თუ მოსარჩელის პრეტენზია მიყენებული ზარალის, ან სხვათა სახით არ აღემატებოდა 100 მანეთს, თუ საკითხი ეხებოდა მეზობლურ დავებს, ან ოჯახთა გაყოფისას წარმოქმნილ უთანხმოებებს, აუცილებლობის შემთხვევაში ცალკეული ოჯახის ან პირთა მიმართ ე. წ. მეურვის (ოპეკუნ) დანიშვნას, სხვა არართულ პრობლემათა სამართლებრივ დაწესრიგებას და ა. შ. ასეთ შემთხვევაში სოფლის სასამართლო უფლებამოსილი იყო ყოველგვარი წინასწარი გამოძიების გარეშე შემცედრი საკითხები მოექცია განხილვაში.

განსჯის პროცესში სასამართლო ეყრდნობოდა მოპირდაპირე მხარეთა და მოწმეთა ჩვენებებს. ასეთი იყო საკითხის განხილვის დადგენილი წესი, ხოლო განაჩენი გამოდიოდა – „ჩვენის სინდისითა და შეხედულებათა საფუძველზე“. არაერთი მსგავსი მასალაა დაცული ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, განსაკუთრებით 1900-იანი წლებიდან, საიდანაც გააქტიურებული ჩანს „ვანის“ ზოგიერთი სოფლების გლეხთა სასამართლოების საქმიანობა. ზოგიერთ ასეთ მასალას ჩვენ დეტალურად შევეხებით, მაგრამ, თუ სამართლებრივი რეგულირების საკითხები ეხებოდათ პრივილეგირებულ ფენებს, მათ ცალკეულ წარმომადგენლებს, თუ განსასჯელი პირის მიერ მიყენებული ზარალი აღემატებოდა 100 მანეთს, სისხლის სამართლებრივ გადაცდომის ნებისმიერ ფაქტს და ა. შ. ეს უკვე შორდებოდა გლეხურ სასამართლოთა კომპეტენციას და გადადიოდა უფრო მაღალ ინსტანციაში. ასეთ შემთხვევაში ვანის თემ-საზოგადოებების მცხოვრებთა მიმართებაში საქმეთა გამოძიებას აწარმოებდნენ სამტრედიის ან ბალდათის

საპოლიციო უბნების ჩინოვნიკები. მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შექმნის შემდეგ გამოძიება კონკრეტულ საკითხებზე ეხებოდა უშუალოდ მომრიგებელ მოსამართლებს. საქმის სიმძიმის მიხედვით საპოლოოდ საკითხთა შესწავლა-განხილვაში ერთვებოდნენ მაზრის სასამართლო უწყებებიც, როდესაც ორივე დონის სასამართლოთა შეფასებას აკეთებდა ილია ჭავჭავაძე ჩვეული დაურიდებლობით აღნიშნავდა: – „სოფლის სასამართლოს წესდების ძალით ხელი მიუწვდება მარტო გლეხვაცზე. თუ გლეხმა დააშავა რაიმე, წაუხდინა რამ ვისმე, ან პირობა არ აუსრულა, ყველას სოფელში მცხოვრებს, თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს ნება აქვთ უხარჯოდ და მოუცდენლად სოფლის სასამართლოს შემწეობით გადაახდევინოს გლეხს სასჯელი თუ საზღაური. თუ არა გლეხმა გლეხს დაუშავა რაიმე, საწყალი გლეხი იძულებულია ათ, ოც, ოცდაათ ვერსზე გაიქცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიმართოს, რამდენიმე დღე წასვლა მოსვლაში დახარჯოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს. ეს იმისთანა რამ არის გლეხისათვის, იძულებულია თავისი დაჩაგვრა არა გლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზედ, გული აიყაროს კანონზედაც, რომელიც მისთვის ასე მიუწვდომელია, გული აიყაროს სასამართლოზედაც, რომელიც ასევე უძლურია დიდის წინაშე<sup>1</sup>. ანალოგიური ინსტანციური დაშორიშორება ვრცელდებოდა „ვანის“ სოფლებზეც, სოფელ ციხესულორიდან საპოლონაოს ჩათვლით ე. ი. დღევანდელი ციხესულორი-ქალაქ ვანიდან აღმოსავლეთით განლაგებული სოფლები ადმინისტრაციულ-სამართალწარმოებისა და რიგ სხვა პროცესებში ექვემდებარებოდა ქუთაისის მაზრის ბალდათის საპოლიციო უბანს, ხოლო სოფელ ციხესულორის ტერიტორიიდან დღევანდელი ვანის რაიონის დასავლეთი ნაწილი-შუამთა, მთისძირი, ტობანიერი, საპაიჭაო (ყუმური), მუქედი და ა. შ. დასახლებანი შედიოდნენ იმავე მაზრის სამტრედიის საპოლიციო უბანში, რომელთაც ე. წ. „პრისტავები<sup>2</sup>“ ხელმძღვანელობდნენ. პრაქტიკულად ეს ორი საპოლიციო უბანი, ახორციელებდა საპოლიციო-ადმინისტრაციულ და კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებაში ზედამხედველობას დღევანდელი ვანის რაიონში შემავალ სოფლებზე. ამაზე მინიშნებებს აკეთებს დაცული მასალები, მაგრამ უფრო მეტი და ინტენსიური სახით ასეთი ურთიერთობები გვხვდება ბალდათის უბანთან დაკავშირებით.

დამატებით შეიძლება ითქვას: იგივე საპოლიციო უბნების ადმინისტრაცია კურირებდა „ვანის“ სოფლებიდან სამხედრო ვალდებულთა განვევასაც, რომელიც 1887 წლის კანონის საფუძველზე შევიდა მოქმედებაში. ეს ფაქტი მოგვყავს ერთ საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, საქმე იმაშია, რომ საერთოდ გართულებულ სიტუაციაში ორივე საპოლიციო საზედამხედველო სოფლების ახალგაზრდებიდან 1905 წელს განვეულნი იქნენ შესაბამისი ასაკის ახალგაზრდები, რომლებმაც რეგისტრაცია კი გაიარეს მითითებულ ცენტრებში, მაგრამ იმავე დღესვე ფარულად მიატოვეს გამწვევი პუნქტები და გაბრუნდნენ უკანვე. მომხდარზე ოფიციალური ინფორმაცია გადაცემულია კავკასიის მთავარმართებლის შესაბამის სამსახურში. არაა გამორიცხული, რომ მათ შორის იყვნენ ახალგაზრდები ვანის სოფლებიდანაც და გვაფიქრებინებს ეს მოხდა საერთო რევოლუციური მოძრაობის, იმერეთში მოქმედი რევოლუციური კომიტეტის მუშაობისა და გავლენის შედეგად, რომელმაც იმ დროს დაფარა იმერეთის თითქმის მთლიანი მოსახლეობა და ოფიციალურ წყაროებშიც პირდაპირაა აღნიშნული პროცესში იმერეთის სამხრეთის დასახლებათა გააქტიურების შესახებ, რომელშიდაც მოიაზრება ვანი-ბალდათის მოსახლეობა.

რაც შეეხება სოფლის სასამართლოთა მიერ გადაწყვეტილებების მიღებას, ეს პროცესიც კანონშესაბამისად გარკვეულ ჩარჩოებში ჩანს მოქცეული. დამნაშავედ ცნობილი პიროვნები-სათვის შეიძლება შეეფარდებინათ სასჯელის ზომა – ერთი კვირით საზოგადოებრივ სამუშაოებზე გაგზავნა, დაეკისრებინათ ჯარიმის თანხით გადახდა. შედარებით მკაცრი იყო სასჯელის ზომა გადასახადის გადაუხდელობაზე, რომლის დროსაც სასამართლოს შეეძლო გამოეტანა გადაწყვეტილება გლეხის ქონების დაყადალება-გაყიდვაზე და ა.შ.

სოფლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირს, მამასახლისს ეკრძალებოდა სასამართლო პროცესებში ჩარევა. თუმცა მისი მოვალეობა იყო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულება და ა. შ. ამდენად, გლეხურ სასამართლოთა საქმიანობა დამოუკიდებელი ჩანს. თუმცა, როგორც ითქვა, მის საქმიანობას ისე, როგორც სოფლის საზოგადოების ადმინისტრაციისას დიდი აქტიურობა და ეფექტები არ მოჰყოლია. ეს სურათი დამახასიათებელია ვანის სოფლებისთვისაც და საერთოდ, საქართველოსათვის. ამის დასტური ჩანს კავკასიის უმაღლესი ინსტანციების შეფასებებშიც, როდესაც ხაზგასმა გაკეთდა ხალხის მოუმზადებლობასა და იმ ეტაპისათვის სოფლის ხელმძღვანელ პირთა უხელფასოდ, საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობაზეც. ამიტომაც, სპეციალურად შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე 1885 წლიდან იწყება „სოფლის საზოგადოებების“ რეორგანიზაცია, შეეხო იგი „ვანის“ სოფლებსაც.

აი, ამ პერიოდიდან შედარებით გააქტიურებული ჩანან ვანის სოფლების თვითმმართველები და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის, დაცული არაა მათ განმკარგულებელ, აღმასრულებელ ორგანოთა მიერ განხილულ საკითხთა ირგვლივ მიღებული დადგენილებანი, ოქმების ან მნიშვნელოვანი ჩანაწერების სახით, რომელიც საკითხის ირგვლივ მრავალმიმართულებიან მსჯელობის საშუალებას მოგვცემდა, დაცულია ამ ორგანოთა საზოგადოებრივ, ინდივიდუალურ პრობლებებთან დაკავშირებული ცალკეული ჩანაწერები. ასევე ზოგიერთი ხასიათის დოკუმენტური მასალაც, რომლებიც მიანიშნებენ მომწიფებულ საკითხთა ირგვლივ რეაგირების ფორმებზე, მეთოდებზე და საერთოდ, წარმოდგენას ქმნის მათი საქმიანობის შესახებ. განსაკუთრებულად უხვადაა ასეთი მასალები წარმოდგენილი მიწის მფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხებზე, რომელთა ანალიზიც იძლევა საშუალებას მოსახლეობის მატერიალურ-ყოფით ურთიერთობათა დადგენა-შეფასებისათვისაც. ამდენად, XIX საუკუნის 80-იანი წლების პირველი ნახევრიდან სოფლის საზოგადოებათა რეორგანიზაციის საკითხებზე ძალაში შესულმა კანონებმა საჭიროდ მიიჩნია ყოფილ სასოფლო საზოგადოებათა შეერთება, მათი გამსხვილება, რადგანაც გამსხვილებული, მრავალკომლიანი საზოგადოებები რეფორმატორთა აზრით, უფრო მოახერხებდნენ საკმაო თანხის შეგროვებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა წესიერი კანცელარიის მოსაწყობად და სოფლის მოხელეთათვის ჯამაგირის დასანიშნად<sup>1</sup>. ამით დასტურდება ისიც, რომ სახელმწიფო კვლავ გვერდზე გადგა სოფლის თვითმმართველობის ორგანოსათვის შესასრულებელ სამუშაოთა მატერიალური წახმარების გაწევისაგან და ეს პროცესი – სოფლის მოხელეთა, კანცელარიის მოწყობის, სამრევლო სკოლების შენახვისათვის და სხვა ხარჯები არაერთგვაროვან გადასახადებთან ერთად ძველებურად, კვლავ შეერთებულ, გამსხვილებულ საზოგადოებათა გლეხობას დააკისრა.

რეორგანიზაციის საფუძველზე 1880-იანი წლების მეორე ნახევრიდან „ვანში“ თითქმის ყველა სოფელში მოქმედი სოფლის საზოგადოებების გაუქმებისა და მათი გამსხვილების საფუძველზე იქმნება და ფუნქციონირებას შეუდგა:

- 1 – „ვანის თემის“
- 2 – „ტობანიერის თემის“
- 3 – „დვალიშვილების თემის“
- 4 – „გორას თემის“

5 – „უხუთის თემის“ სოფლის საზოგადოებები – თვითმმართველი ორგანოები. გუბერნიაში 208, ხოლო „ვანში“ 5 (ხუთივე) ქუთაისის მაზრაში შემავალი, რომლებშიდაც, როგორც ითქვა, გაერთიანდა მეზობელი, ტერიტორიულად მიმდებარე სოფლები და დასახლებული პუნქტები. თითოეულში საშუალოდ 3-დან – 7 სოფლამდე. რეორგანიზაციამ „სოფლის საზოგადოებების“ მმართველობათა სისტემა დატოვა უცვლელად. განმკარგულებელ ორგანოდ კვლავ დარჩა

1. ილია ჭავჭავაძე-ნაწერების სრული კრებული ტომიVIII გვ.64.

2. პრისტავი-საპოლიციო უბნის უფროსი. ქართული ხმარებით ბოქაული (თურქული სიტყვა).

საზოგადოების ყრილობა, აღმასრულებლად – სოფლის კანცელარია თავისი აპარატით და სა-სამართლო სოფლის საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული „მოსამართლეებით“. გაიზარდა სამოქმედო სივრცეც, რადგანაც, მათ საგამგებლო-საკონრდინაციო დაქვემდებარებაში მოქმედა არაერთი, არამედ რამდენიმე სოფელი და დასახლებანი თავიანთი პრობლემატური საკითხებით. როგორც ზემოთ მივუთითეთ, ციხესულორიდან სალომინაოს ჩათვლით სოფლები კვლავ დარჩა ქუთაისის მაზრის – ბალდათის, ციხესულორიდან დასავლეთით – წიქვაძის ფონისა და ციცვების (დღევანდელი ჭყვიშისა და მთისძირის ტერიტორიები) ჩათვლით ქუთაისის მაზრის სამტრედის საპოლიციო უბნის შემადგენლობაში. საიდანაც ისე, როგორც ბალდათიდან ხორციელდებოდა საბოქაულო-საპოლიციო, ადმინისტრაციული ზედამხედველობა. დავამატებ ერთსაც: დაცულ მასალებში არაერთგან სოფელი ამაღლება მოიხსენიება, როგორც გორას სოფლის საზოგადოებაში შემავალი სოფელი (ერთეული), ზოგჯერ განცალკევებულადაც, როგორც უბანი, (უჩასტოკ) ტერმინი ძირითადად გვხვდება რუსულ ენაზე შედგენილ საბუთებში. როგორც ითქვა, ფიგურირებს პარალელური ტერმინიც „გორას საზოგადოების სოფელი ამაღლება“, რომელიც მიანიშნებს, რომ ამაღლება გორას საზოგადოებაში შემავალი სოფელია. ორივე ტერმინი გამოყენებულია, როგორც ქართულ ასევე რუსულ ენაზე შედგენილ საბუთებში. ასეთი ტერმინის ხმარება ამაღლებასთან მიმართებაში, განსაკუთრებულად 1909 წლის შემდეგ, არის ადრეჩამოყალიბებული ინერციის შედეგი, რადგანაც აქამდე არც თუ დიდი ხნით ადრე ამაღლების, ბზვანისა და ინაშაურის მოსახლეობას დაუსვამს საკითხი კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებაში გორას სოფლის საზოგადოებიდან სოფლების – ამაღლების, ბზვანისა და ინაშაურის გამოყოფისა და სამივე ბაზაზე ახალი, სოფლის საზოგადოების დაფუძნების შესახებ. მიმართვას ხელს აწერს სოფლის საზოგადოების ყრილობაზე ხმის უფლების მქონე 356 კომლის უფროსი.<sup>1</sup> ამავე დროს, კავკასიის მეფისნაცვალი გაგებით მოკიდებია საკითხს და მითითებული სოფლების გამოყოფა დამოუკიდებელ სოფლის საზოგადოებად ჩაუთვლიათ უკიდურეს აუცილებლობად (კრაინე ჰეიბიდი). თუ რით იყო გამოწვეული ეს უკიდურესი აუცილებლობა ახსნილი არაა. თუმცა, გადაწყვეტილებაში კონკრეტულადაა საუბარი, რომ აღნიშნული სოფლების გლეხებმა აიღეს პასუხისმგებლობა, როგორც სოფლის კანცელარიის აგების, ასევე კანცელარიის აპარატის, დამატებითი შტატების დარაჯთა და „სტრაჟნიკთა“ შენახვისათვის ხარჯების გაღების შესახებ. აქედან გამომდინარე და აღძრულ შუამდგომლობათა საფუძველზე, „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელით ქუთაისის გუბერნიის მმართველობამ მოისმინა საკითხი: ქუთაისის მაზრის სოფელ ამაღლების, ბზვანისა და ინაშაურის, გორას სოფლის საზოგადოებიდან გამოყოფის და ამაღლების ცალკე სოფლის საზოგადოების შექმნის შესახებ. შემდეგ მოდის დადგენილება – „შეიქმნას ამაღლების, ბზვანისა და ინაშაურის მოსახლეობისაგან ერთი, დამოუკიდებელი სოფლის საზოგადოება, ამაღლების სოფლის საზოგადოების სახელწოდებით, გამოიყოს ეს სოფლები გორას სოფლის საზოგადოებიდან, სოფლის საზოგადოების მმართველობის ცენტრად მიჩნეული იქნას სოფელი ამაღლება. გადაწყვეტილების შესახებ მითითება გაეგზავნოთ ქუთაისის მაზრის უფროსს. ცნობის სახით ინფორმაცია მიეწოდოთ: გუბერნიის გლეხთა და სამხედრო ვალდებულებათა უწყების, მიწისა და სახელმწიფო ქონების მართვის პალატებს, საოლქო სასამართლოს. 7 დეკემბერი. 1909 წელი<sup>2</sup>.“

ამგვარად, 1909 წლიდან „ვანში“ ჩამოყალიბდა ახალი, რიგით მეექვსე – ამაღლების სოფლის საზოგადოება.

არაა გამორიცხული, რომ პროცესი რამდენადმე განაპირობა მიმდებარე სოფელთა შორის ამაღლების დაწინაურებამ, სამივე სოფლის მცხოვრებთა სიმრავლემ, რომ მათში აღრიცხული იყო 489 ხმის უფლების მქონე კომლის უფროსი (ე.ი. კომლი), ხოლო, თუ მხედველობაში მი-

ვიღებთ მაშინდელი კომლების წევრთა მრავალრიცხოვნებას, მცხოვრებთა საკმაოდ სოლი-დურ შემადგენლობას მივიღებთ. ამასთან, მდინარე რიონის საშუალებით (მხედველობაშია გა-დასასავლელი ბორნები) ამალლება წარმოადგენდა მეზობელი სოფლების სატრანზიტო პუნქტს ქუთაისის მიმართულებით. აქვე ფუნქციონირებდა ბაზარი, ზოგიერთი კუსტარული ტიპის ორგანიზაცია და სამრევლო ორკლასიანი სასწავლებელი განსაკუთრებული უფლებით, რომ მოემზადებინა სამრევლო სკოლების პედაგოგებიც.

მალე მაზრის ხელმძღვანელობის დავალებით აქ გაიმართა სოფლის საზოგადოების ყრილობა და მიიღეს გადაწყვეტილება საზოგადოების მამასახლისის, მამასახლისის თანაშემწებისა და სოფლის მოსამართლეთა არჩევის შესახებ, პრაქტიკულად საზოგადოების ადმინისტრაცია დაკომპლექტდა. მამასახლისის თანაშემწებისად არჩეული იქნა ამაღლების საზოგადოების ცალკეული სოფლებიდან თითო წარმომადგენელი<sup>3</sup>. თუმცა, არ ჩანს ვინ იქნა მამასახლისად არჩეული. არაა გამორიცხული ე. წ. მთავრობის მამასახლისის დანიშვნაც, მითუმეტეს ამის პრეცედენტი იყო და რადგანაც საზოგადოება „უკიდურესად აუცილებლობით“ ჩამოყალიბდა გასაკვირი არაა ეს პროცესიც ამით აიხსნას. ეს ადასტურებს ვერსიასაც, რომ სოფლის მამასახლისები ინიშნებოდნენ სამაზრო ხელისუფალთა რეკომენდაციის საფუძველზე.

სოფლების საზოგადოებათა გამსხვილებას ერთმხრივად კი გაჰყვა ზოგიერთი დადებითი მომენტები, რაც აისახა საქმიანობის გაცოცხლების, ადმინისტრაციის შენახვის ხარჯების მობილიზების, საზოგადოების მართვის პროცესებში ინდივიდთა მონაწილეობის მისაღებად ერთგვარი დაინტერესებით, რომლისადმი მიღრეკილებასაც დადგენილი სახელფასო ანაზღაურებაც ზრდიდა, მაგრამ იმან, რომ გაფართოვდა სამოქმედო არეალი და მისი სივრცე უკვე შემოიხაზა რამდენიმე სოფლით. საკომუნიკაციო საშუალებათა უაღრესად დაბალი დონისა და რიგ სიძნელეთა გამო, როგორც ჩანს, მუშაობა რამდენადმე გადაიხარა ფორმალიზმისაკენ, რაც აისახა კიდევაც ამ ორგანოთა ოპერატორს საქმიანობაზე. „ვანის“ სოფლების საზოგადოებებისათვის აქ ბიძგის მიმცემად მიჩნეულ უნდა იქნას სოფელთა და დასახლებული პუნქტების დაშორიშორებული განლაგება. რომელიც, როგორც ითქვა, მაშინდელი საკომუნიკაციო საშუალებათა დაბალი დონე და სოფლების რთული რელიეფური განლაგების პირობები, საზოგადოებებს, როგორც თვითმმართველ ორგანოებს, ეკონომიკურ ფინანსურ სილარიბესთან ერთად, აქტიურობის გამოვლინების თვალსაზრისით ნამდვილად შეუქმნიდა გარკვეულ ბარიერებს. ამის გამოც გართულებული ჩანს სოფლების საზოგადოებათა ყრილობების მოწვევაც, გადაწყვეტილებათა დადგენილ ერთობლიობაში მიღებაც, მიღებულ გადაწყვეტილებათა საშემსრულებლო კოორდინაციაც და იმის შედეგადაც, რომ, როგორც წესი, სოფლის აღმასრულებელი ორგანოები ბოლო პერიოდებში პრაქტიკულად ვერ ერეოდნენ სამეურნეო მართვის საკითხებში და წარმოადგენდნენ ძირითადში, მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოებს, საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება უცხო ხილად არ უნდა მოვეჩერენოს. თუნდაც იმის შემდეგაც კი, როდესაც 1980-იან წლებში გატარებული რეორგანიზაციის შედეგადაც სოფლის საზოგადოებების საქმიანობას შედარებით აქტიური, მიზანმიმართული ხასიათი უნდა შეეძინათ, ესეც უდავოდ ჩანს. ამიტომაც, საერთოდაც და არამარტო „ვანის“ სოფლის საზოგადოებათა დიდ ნაწილში ამავე საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოები იძულებული ხდებიან გადაწყვეტილებები მიეღოთ ყრილობის მოწვევის გარეშეც და თვითონვე მოეყვანათ აღსრულებაში. ცხადია ეს მიგვაჩინა ერთ-ერთ მიზეზადაც, როდესაც აღინიშნა, რომ ამ ორგანოთა საქმიანობაზე, თუ არ ჩავთვლით გადაწყვეტილებათა დიდ უმრავლესობას, რომლებიც ინდივიდუალური ხასიათის მატარებელია და დაცული იყო მხოლოდ ინდივიდების მიერ, რაიმეგვარი

1. ჩვენ ალვინშნეთ, რომ სოფლის საზოგადოებების ყრილობაზე ხმის უფლება პერიოდათ მხოლოდ საზოგადოებაში შემავალ კომლების უფროსებს.

2. ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები. ფონდი 176 ანაზერი №1 საქმე №498.

წერილობითი დამადასტურებელი საბუთები იშვიათად არსებობენ. როგორც აღინიშნა, ამ ორგანოთა საქმიანობის ფორმალობისკენ გადახრის ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეული უნდა იქნას ადგილობრივი მმართველი კადრების კვლავ არაჯეროვანი დონეც. როდესაც მასალებს ეცნობი მიდიხარ დასკვნამდე, რომ კავკასიის მთავარმმართებლის საბჭოს წევრის იაკიმოვის შეფასება, რომელიც მან საკითხთა შესწავლის შედეგად წარუდგინა ხელმძღვანელობას ბევრ კომპონენტში ვრცელდება „ვანის“ სოფ-საზოგადოების ხელმძღვანელობის ნაწილზე მაინც – „საქმიანობის ნაკლი – აღნიშნავს იაკიმოვი, განპირობებული იყო იმით, რომ მოსახლეობას არ მიუღია ხელმძღვანელი (მხედველობაში აქვს კომპეტენტურობა), რომელიც გამოიყვანდა მას ახალი ცხოვრების ფართო გზაზე<sup>1</sup>, რომ ერთმანეთის მოქმედებები ჩინოვნიკები სოფლის საზოგადოებათა თვითმმართველობებს ვერ უწევენ სათანადო კონტროლსა და მზრუნველობასო. მაშინ, როცა იგივე იაკიმოვი მიუჟითებს: „რომ სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის საქმეები ქუთაისის გუბერნიაში შედარებით კარგად არის დაყენებული, მაგრამ სასურველი სრულყოფა არც მას ახასიათებს<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულმა პერსონამ დასვა საკითხი თუ როგორი და რა უფლებებით უნდა სარგებლობდეს სოფლების საზოგადოებათა უფროსები – საკითხს ძვრა ამის შემდეგაც არ მოჰყოლია და იგი არსებული ფორმით განაგრძობდა ფუნქციონირებას 1917 წლამდე, ასე იყო „ვანის“ სოფ-საზოგადოებებშიც. რაც შეეხება მაზრის ხელისუფალთა მხრივ საკურატორო ზონების საქმიანობასთან დამოკიდებულებას, ჩამოყალიბებულ ინდიფერენტიზმს პერიფერიებიდან, სოფლებიდან, დისტანცირებას და უკონტროლობას – კიდევ უფრო მოგვიანებით დაფიქსირებულია ერთ-ერთი მოხელის ოფიციალურ შეტყობინებაში, რომელშიდაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მაზრის არაერთ წამყვან თანამდებობის პირს თავის საკურატორო, ყველაზე ახლო დასახლებაშიც თუ ვინმე გზის გამკვლევი არ გააყოლე ამ პუნქტამდე ჩაღწევას დროულად ვერ შეძლებსო.<sup>3</sup> ის, რომ ადგილზე თვითკონტროლი ნაკლებად არსებობდა, ხოლო ზემოდანაც ეს პროცესი მთლად მოშლილი თუ არა შედარებით უფერული მაინც იყო, ჩანს სოფელ „ვანის“ საზოგადოების მაგალითზეც. ცხადია, ჩვენ, რადგან მასალები მწირადაა დაცული, მასიური მაგალითები არ გვაქვს მამასახლისთა ინსტიტუტის მუშაკთა საქმიანობისა და ზნეობრივი მოწესრიგებულობის შესახებ, მაგრამ, რაც გვაქვს დაახლოებით წარმოდგენას ნამდვილად იძლევა პროცესებზე.

სოფელ „ვანის“ საზოგადოებიდან ორ პირზე შეიძლება ხაზგასმა: 1 – როდესაც საზოგადოების მამასახლისი რამდენადმე სარგებლობს თანამდებობრივი უფლებამოსილებით და შესაძლებლობათა ფარგლებში აგროვებს ქონებას, ხოლო მეორე მაგალითი გახმაურებული – ეხება ყოფილ მამასახლისს, ვინმე ს-ძეს (გვარს სრულყოფილად შეგნებულად არ ვუთითებ), რომელიც დარღვევეთა გამო გაანთავისუფლეს დაკავებული პოსტიდან. მაგრამ ამის შემდეგაც კონკრეტულ პირთა მიერ ქუთაისის გუბერნიაში შეტანილია სარჩელები მის წინააღმდეგ, რის საფუძველზეც აღძრულია საკითხი თანამდებობაზე ყოფილისას განხორციელებული დარღვევების გამო. დღევანდელი გაგებით საქმე ეხება თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, სოლიდური თანხებით მანიპულირებას და დადგენილად მიიჩნიეს, რომ საქმის ირგვლივ შეგროვილი მასალები მთლიანად უჭერს მხარს წაყენებულ ბრალდებას.<sup>4</sup> არის ზოგიერთი სხვა მინიშნებებიც კანცელარიის ზოგიერთ თანამშრომლებზე, მაგალითად მწერლებზე და ა. შ. მაგრამ ამ საკითხთა განხილვა ჩვენი საუბრის თემას არ წარმოადგენს. თანაც ფაქტები დაფიქსირებულია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ, XX საუკუნის საწყის წლებში, რაც ადასტურებს იმასაც, რომ რეფორმას სამართლებრივ-ზნეობრივი დაწესრიგებანი რიგ მომენტებში დაშორდა. თუმცა, ამ რამდენიმე მოხელის ან მოხელეთა ზნეობრივ-სამართლებრივი გადახრების გავრცელება, მთლიანობაში სოფლის საზოგადოებებში არჩეულ ხელმძღვანელ პირებზე არ იქნება სამართლიანი.

3. ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები-ფონდი 176 ჩანაწერი №1 საქმე №498 ამავე საქმით მითითებულია ამალლებაში არჩეულ პირთა გვარ-სახელებიც.

მიუხედავად ყველაფრისა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გატარებულ ღონისძიებებს სოფლის საზოგადოებებისთვით მმართველობის ორგანოებთან დამოკიდებულებაში ძვრები მაინც მოჰყვა, ეს ფიქსირდება „ვანის“ შესაბამისი უწყებების საქმიანობიდანაც. ადგილზე მოკვლეული მასალების ანალიზი, სხვა მასალებთან შეჯერება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ რიგ საჭიროობო საკითხთა გადაწყვეტის თვალსაზრისით უკვე შესამჩნევია ცალკეული თემ-საზოგადოებების გააქტიურება. ირკვევა ისიც, რომ სოფლებისა და დასახლებული პუნქტების ერთ საზოგადოებაში გაერთიანებამ სამოქმედო სივრცის გაზრდასთან, პასუხისმგებლობის მატებასა და სოფლის მოხელეთათვის სახელფასო ანაზღაურების დანიშვნასთან ერთად საქმიანობაც შედარებით პრესტიული და საინტერესო გახდა. ალბათ ამის შედეგია, რომ ყრილობათა მიერ არჩეულ დეპუტატთა შორის უკვე გვხვდებიან თავადაზნაურთა, ვაჭართა და ახლადნარმოქმნილი კულაკური ფენების წარმომადგენლებიც: ჩიჯავაძეთა, მესხების, ლასხიშვილებისა და ა. შ. სახით, რომლებიც ასრულებენ, ან აღსრულებაში მოჰყვათ საზოგადოების წინაშე დასმული სხვადასხვაგვარი საკითხები და ამას აკეთებენ სოფლის საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული დეპუტატების სახელით. როგორც ითქვა, სამოქმედო არეალის გაზრდამ გამოიწვია მათი დაინტერესებაც და უკვე სათაკილოდ აღარ მიაჩნიათ სოფლის საზოგადოებაში საქმიანობა, რომელიც მანამდე, მხოლოდ გლეხთა წარმომადგენლობად მოიაზრებოდა. მაგალითად: თავადი ჩიჯავაძე, იაგორ კონსტანტინესძე მესხთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებას ვინმე აბრამიძესთან, „ვანის“ საზოგადოების ცენტრში მისსავე საკუთრებაში არსებული აფთიაქის შესაძნად. მოლაპარაკება მიმდინარეობს საზოგადოების სახელით და საზოგადოებისათვის. პირდაპირ არის მითითებული: „ჩვენ – (შემდეგ მოდის აფთიაქის გამყიდველის სახელი და გვარი) თქვენგან თავად ჩიჯავაძისა და იაგორ მესხისაგან, „ვანის“ საზოგადოების დეპუტატებისაგან მივიღეთ ამ საქმეზე 12000 მანეთი“<sup>1</sup> და ა. შ. მსგავსი რამდენიმე მაგალითი სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებზე ხდება ამ პირთაგანაც და არა მარტო მათაგნ. თანაც მინიშნებულია, რომ ეს პირები არიან საზოგადოების ყრილობათა მიერ არჩეული დეპუტატები და გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება. ამ პროცესში ჩანს სხვა არანაკლებმნიშვნელოვანი მხარე: სოფლის საზოგადოების შექმნის საწყის ეტაპზე დეპულებით გათვალისწინებული ფორმულა, რომ ამ საზოგადოებებში ჩამოყალიბებული თვითმმართველობის ერთეული, რომელიც წარმოადგენდა სუფთად გლეხთა წოდებიც დაწესებულებას და მისი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა არაგლეხური წოდების პირებზე, განიცდის ტრანსფორმაციას. მისი მოქმედება ხდება შედარებით მასშტაბური და ყრილობის დავალებათა შესრულებაში არაგლეხური წოდების პირების, როგორც დეპუტატების მონაწილეობა, მათი დეპუტატებად არჩევაც მიანიშნებს ყრილობის გადაწყვეტილებათა იურისდიქციის ამ წოდების წარმომადგენლებზე, რამდენადმე გავრცელებაზეც და იმაზეც, რომ გლეხთა თვითმმართველობის ფუნქცია ნელ-ნელა გადის ადრემონიშნული საზღვრებიდან.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან გააქტიურება გამოკვეთილია გორას სოფლის საზოგადოებაშიც. მათი საქმიანობა გაშლილია რამდენიმე მიმართულებით, სოფლად სამრევლო სკოლის გახსნის საკითხებზე. ასევე გორას საზოგადოების – ამაღლებისა და ბზვანის დეპუტატებს, აქ მცხოვრებ გავლენიან პირებთან ერთად მიჰყავთ მუშაობა ამაღლების სამრევლო სკოლის აღდგენაზე, რომელიც კონკრეტულ მოსაზრებათა გამო მთავრობამ დახურა და აღადგინეს კიდევაც. აქტიურობს უხუთის საზოგადოება უხუთის სამრევლო სკოლის დამაარსებელ თვარადესთან ერთად. სოფლის საზოგადოებათა უმრავლესობა ჩართულია გზათა მოწესრიგების

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები.ტომიV გვ.311.

2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები.ტომი V. გვ.311

3. 1905-1907 წლების რევოლუციის დოკუმენტების კრებული (რუსულ ენაზე) საქართველოს შსს დოკუმენტები.

4. ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები — ფონდი 8, ანაზერი №1, საქმე №763

საქმეში, რაც მიანიშნებს სოფელთა შორის საკომუნიკაციო საშუალებების მოწესრიგებაზე. ტობანიერის საზოგადეობა აქტიურადაა ჩართული საძოვრებისა და ტყით სარგებლობის მოწესრიგრების საკითხებში. სოფლის კანცელარიის წარმომადგენლებს მიჰყავთ მუშაობა სამრევლო სკოლების მასწავლებელთა გასამრჯელოს მოსახლეობიდან აკრების თაობაზე. დადასტურებულია რამდენიმე ფაქტი გაჭირვებში მყოფ ოჯახებისათვის საქველმოქმედო წესით ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ და ა.შ. ასე, რომ, როგორც ირკვევა, პროცესები პირობებთან შესაბამისობაში დაძრულია. რაც თავისთავად არ ნიშნავს პრობლემათა საშუალო დონეზე დაწესრიგებასაც, მაგრამ მოქმედების კვალი უკვე შეიმჩნევა. უფრო მეტიც: ზოგიერთი სოფლის საზოგადოებაში გაჩენილია მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პრინციპული დამოკიდებულებისა და შესრულების გარდაუვალობის მოთხოვნაც, რომელშიდაც ჩანს გადაწყვეტილების მიმღები უწყების სამსახურებრივი თავმოყვარეობის კოდიც. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს „ვანის“ სოფლის საზოგადოების დეპუტატთა ზოგიერთი წარმომადგენლისა და სოფლის კანცელარიის პასუხისმგებელი მუშავის უკომპრომისო დამოკიდებულება ქუთაისის გუბერნიის მაღალიერარქიული ჩინოვნიკებისადმი სოფელ „ვანის“ ცენტრში (დღევანდელ ქ. ვანში) ახალი სავაჭრო ბაზრის გახსნასთან დაკავშირებით<sup>1</sup>. ამ საკითხში ჩართული აღმოჩნდნენ როგორც დეპუტატები, ასევე არადეპუტატებიც პრივილეგირებული ფენებიდან და ზოგიერთი გლეხიც.

დეპუტატებმა საზოგადეობისა და თავიანთი სახელით ბრალი დასდეს გუბერნიის ხელმძღვანელობას საზოგადეობის ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების იგნორირებაში, ტენდენციურ გადახრაში, ხოლო ქუთაისის მაზრის, ბალდათის საპოლიციო უბნის პასუხისმგებელი პირი, ვინმე მაჭავარიანი, პირდაპირ დაადანაშაულეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში. როგორც ჩანს, პროცესმა მიიღო იმდენად გამწვავებული ხასიათი, კარგად შედგენილი საპროტესტო განცხადება გაიგზავნა კავკასიის მთავარმმართებლის თავად გრიგორი გოლიცინის სახელზე<sup>2</sup>. დოკუმენტებიდან დასტურდება ისიც, რომ პრობლემის მოგვარებაში ვანის თვითმმართველობის დეპუტატებმა ჩარევა სთხოვეს პეტერბურგში იმპერიის სენატსაც ყველაზე მაღალ ინსტანციას იმპერიაში. მოცემულ მტკიცებულებაში, რომელიც, როგორც ჩანს, პროფესიონალი იურისტის მიერაა შედგენილი, მსჯელობის საყრდენად გამოყენებულია გუბერნიის ხელისუფლების მხრივ სოფლის საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების უგულვებელყოფა. თუმცა, ამ მიმოწერათა ანალიზით იკვეთება განმცხადებელთა ზოგიერთი მიმართულების კერძო ინტერსესებიც. მაგრამ აქ, დაბალი ინსტანციიდან ბრძოლის პროცესი და უკომპრომისობაა თვალში საცემი.

უფრო მოგვიანებით, განსაკუთრებით, 1900-იანი წლებიდან 1917 წლამდე, სამეურნეო საქმიანობისა და გლეხთა ოჯახებისათვის რამდენადმე მხარდაჭერის მიზნით სოფელ „ვანისა“ და ტობანიერის საზოგადოებები ჩართული ჩანან შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობების ფორმირებასა და მისი გააქტიურების პროცესებში. თუმცა ეს დაიწყო შედარებით ადრე შექმნილი სოფელ „ვანის“ საზოგადოებასთან, მისი არსებობა დასტურდება მთავარმმართებლის თავად გოლიცინის სახელზე გაგზავნილ საჩივარშიც. რა სახის მუშაობა გასწიეს ვანი-ტობანიერის შემნახველ გამსესხებელმა ორგანიზაციებმა ცნობები კონკრეტულობაში არა გვაქვს, მაგრამ ამავე სოფლების საზოგადოებებთან შექმნილმა „საკრედიტო ამხანაგობებმა“, რომელშიდაც, როგორც წესი საწესდებო კაპიტალს წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის ნებაყოფილებითი ფინანსური შენატანები, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში მათივე საწესდებო კაპიტალის უზრუნველყოფას თხოვნისა და სახელმწიფოსაგან ნებართვის გაცემის საფუძველზე ახდენდნენ მოქმედი ბანკები, ნამდვილად შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებების ზოგიერთ მაცხოვრებელთა ყოფითი და ფინანსური პრობლემების მოწესრიგებისათვის, მა-

1. ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალა

თზე შეღავათიანი სესხების გაცემით. აქ მნიშვნელოვანია ისიც, რომ კონკრეტული თანხებია გამოყოფილი სპეციალური მუხლით – „მევახშეთა ვალების დასაფარავად“, რომელიც წარმოადგენდა უმტკივნეულეს პრობლემას ასე რომ, როგორც აღინიშნა, „ვანის“ ზოგიერთი სოფლების საზოგადოებების მეტნაკლები გააქტიურებების პროცესი სახეზე გვაქვს. თუმცა, ეს შეფასება ვერ გავრცელდება ყველა მათგანზე. ჩანს საკითხი წესრიგდებოდა იმ დოზითა და მიმართულებით რომლის და როგორ საშუალებასაც იძლეოდა ადგილობრივი შესაძლებლობანი და ადგილობრივ მცხოვრებთა, ძირითადად, გლეხობის ფიზიკური მონაწილეობა პროცესებში. ამიტომაც, „ვანის“ სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვანი ძვრებით არ ხასიათდება. ვიმეორებ: მითუმეტეს პერიფერიებთან დამოკიდებულებაში სახელმწიფოს ზრუნვა არც ჩანს და არც დასტურედება. ასეთად რჩება იგი 1920 წლის ბოლომდე.

საინტერესო სურათს იძლევა სოფლების საზოგადოებების რეორგანიზაციის შემდეგ „ვანის“ სოფლების საზოგადოებათა ადგილობრივი სასამართლოების საქმიანობა. მათი ფორმირების პრინციპი კვლავ უცვლელად იქნა დატოვებული. როგორც წესი, ირჩევდნენ სოფლის საზოგადოებათა ყრილობები და წარმოადგენდნენ პირველი დონის სასამართლოებს. 1900-იანი წლების მიჯნიდან მასში ვხვდებით თავადაზნაურთა ერთეულ წარმომადგენლებსაც. რაც, როგორც ითქვა, უნდა უკავშირდებოდეს საზოგადოებათა ტერიტორიალურ, საგამგეო საკითხთა ფუნქციონალურ გაფართოებას, რამდენადმე ავტორიტეტის ზრდასაც.

XX საუკუნის მიჯნიდან „ვანის“ სოფლის საზოგადოებათა სასამართლოები რამდენადმე გააქტიურებულნი სჩანან და განსაკუთრებულად ეს გამოკვეთილია სოფელ „ვანის“ საზოგადოების სასამართლოდან. დაცული მასალების დიდი უმრავლესობა ამ სასამართლოს მიერ განხილულ საკითხებს ეყრდნობა. ყურადღებას იქცევს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც, ზოგან იგი დაფიქსირებულია სოფლის საზოგადეობის სასამართლოს სახელით (საზოგადოების „სუდმა“ გამოიტანა გადაწყვეტილება), მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობაში გადაწყვეტილებები გამოტანილია მედიატორთა სახელით. არის შემთხვევები, სადაც პრობლემები განხილულია, არჩეული ან შერჩეული ვექილების სახელით. თუმცა, ყველა ამათგან გამოტანილი გადაწყვეტილება, როგორც წესი, აღსრულებაში უნდა მოიყვანოს, ან მოჰყავს სოფლის მამასახლისს, როგორც საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს. როგორც ჩანს, აქ, ან ტერმინის აღრევასთან გვაქვს საქმე, ან როგორც ითქვა, სოფლის საზოგადოებათა გამსხვილების საფუძველზე, საკომუნიკაციო და ოპერატიული საქმიანობის გართულების შედეგად სოფლის საზოგადეობათა ყრილობების საქმიანობაშიც, მოსამართლეთა არჩევის საკითხებშიც სჭარბობს ფორმალიზმი. რის გამოც სულაც არაა გამორიცხული ადგილზე ეს პირები შეირჩენ საზოგადოების ადმინისტრაციის შეხედულების საფუძველზე. ამ მოსაზრებას ამყარებს დაცული ზოგიერთი მასალაც, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ არაიშვიათად ე. წ. ვექილებიც და მედიატორებიც შერჩეულნი არიან ურთიერთშეთანხმებით, საზოგადოებისათვის ავტორიტეტული პირებისაგან და საერთოდ არა ჩანს, რომ, როგორც წესი, ისინი არჩეულნი არიან საზოგადოების ყრილობათა მიერ. ყოველ შემთხვევაში ადგილზე დაცული მასალის ანალიზი ასეთი სურათის მომცემია, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სოფლების საზოგადოებების ყრილობებმა, როგორც განმკარგულებელმა ორგანოებმა რამდენადმე დათმეს პოზიციები (უფრო სწორად აღარ ან ველარ ანხორციელებენ რეორგანიზაციით მინიჭებულ უფლება-მოსილებებს) და სოფლის საზოგადოებების ყრილობების მიერ აღარც

1. ამ საკითხს კონკრეტულად შევეხებით თხრობაში „ვანში“ სავაჭრო და საემურნეო ურთიერთობათა პროცესების მიმოხილვისას.

2. მასალა დაცულია ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

წარმოადგენდა. წინმსწოდად უნდა ითქვას, რომ ამ თხრობაში საკურედიტო ამხანაგობების მიერ გაცემულ თანხებზე, მის ციფრობრივ მაჩვენებლებზე საუბარი გვექნება შესაბამის ადგილზე.

„არანაკლები სამი კაცის შემადგენლობით“ მოსამართლეთა არჩევას ანიჭებულ უპირატესობას, ან დაშვებულია ადგილობრივ სასამართლოთა პარალელურად ე. წ. მედიატორთა ინსტიტუტის არსებობაც, რომელთა მიერაც გადაწყვეტილებანი მიღებულია „მედიატორთა განჩინების სახით“ სპეციალური სააღსრულებო ფურცლით, ხოლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაპირისპირებულ მხარეთა დავა ძირითადად გამორიცხული ჩანს შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე: – როგორც ითქვა, ისე როგორც საზოგადეობათა სასამართლოებში, ასევე მედიატორთა განხილვაზე საკითხთა მოსმენა არ ეყრდნობოდა წინასწარ მოკვლევას. მოპასუხე მხარეები მოწმეებთან ერთად პროცესის მსვლელობისას იძლეოდნენ ახსნა-განმარტებებს და ამის შემდეგ აზრთა შეჯერების კვალობაზე ხდებოდა შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანა, ხოლო მედიატორული მოსმენის წინ მოდავე მხარეები მათ მიერ შერჩეული მედიატორების წინაშე დამატებით დებეგ ხელშეკრულებას ე. წ. „მედიატორული ხელწერილის“ სახით, რომლითაც ადასტურებენ, რომ ისინი ენდობიან და ემორჩილებიან მედიატორთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. პირობის დამრღვევი ისჯება წინასწარვე შეთანხმებული და დადგენილი საკმაოდ დიდძალი ფულადი ჯარიმის გადახდით<sup>1</sup>. ამდაგვარი შეთანხმება და წერილობითი ფორმით ვალდებულების აღება თავისთავად ბლოკირებას უკეთებს მიღებული გადაწყვეტილების ირგვლივ რაიმეგვარი დავის დაწყებას. ზემოთ დასმულ საკითხებთნ დაკავშირებით გავეცნოთ რამდენიმე დოკუმენტურ მასალას: ა – „ჩვენ მედიატორებმა, როგორც დაახლოებით მცოდნემან, ყოველივე საქმისა გრამოტისა, ჩვენის სინდისის სამართლის და შეხედულებით შეერთებულის აზრით ესრესთ დავადგინეთ“ (შემდეგ მოდის დადგენილება, რომელიც გამოტანილია სამედიატორო დადგენილების სახით და შესრულება სავალდებულო ხასიათის მატარებელია, ან წინააღმდეგ შემთხვევაში არშესრულებაზე გათვალისწინებულია ჯარიმა). ბ – „1902 წელს აგვისტოს 24-სა დღესა „განის“ სასოფლო „სუდმა“ განიხილა საქმე ძიებისა გამო“ – მითითებულია პიროვნებები, რომელთა სადაც საკითხებსაც იხილავს ვანის სასოფლო „სუდი“ და გადაწყვეტილებაც გამოტანილია ამავე „სუდის“ სახელით<sup>2</sup>.

გ) – „ჩვენ მედიატორებმა განვსაზღვრეთ და განვაჩინეთ ჩვენის მიხედვით და სინდისითა<sup>3</sup>“. როდესაც ამ ადამიანთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ეცნობი ჩანს, რომ უმრავლეს შემთხვევაში საქმენი მართლაც განსჯილია „მცოდნეთაგან ყოველივე საქმისა და გრამოტისა“ „სინდისის სიმართლის და შეხედულებით შეერთებულის აზრით“. რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს ამ პირთა მიერ სინდისითა და კაცობით მოპოვებულ ავტორიტეტზე. თუმცა არის ერთეული გამონაკლისებიც, როდესაც მხარე არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას და პროცესი გადააქვს შედარებით მაღალ ინსტანციაში. მაგალითად, საპაიჭაოელ ადემშვილებს კოლექტიურად დაუსვამთ საკითხი სანადელო მინის გამოსყიდვის საკითხებთან დაკავშირებით, რომ, მათი აზრით, სოფლის სასამართლომ მიიღო არასამართლიანი გადაწყვეტილება<sup>4</sup> და განხილვის პროცესში უფლებამოსილებასაც გადაამეტა, რაც იმასაც მიუთითებს, რომ სოფლის სასამართლოთა საქმიანობა რიგ კონკრეტულ შემთხვევებში დაზღვეული არ იყო შეცდომებისაგან, რომლისგანაც პირობათა გამო, თითქმის დღემდეც კი, არც ერთი სასამართლო არაა დაზღვეული. თუ ჩავთვლით, რომ ყრილობათა მიერ არჩეული გლეხურ სასამართლოთა წევრები არ წარმოადგენდნენ იურისტებს, მითუმეტეს პროფესიონალებს, ამიტომაც სოფლის საზოგადოებების მოსამართლეთა საქმიანობაში ამგვარი გადახრა ძირითადად უნდა განვსაზღვროთ მათი დაბალო მომზადების დონითაც. ხოლო, როგორ დონეზე იდგა პერიფერიებში განათლების სისტემა და საკითხები საერთოდ ცნობილია.

1. მასალა დაცულია ვანის მხარეთმცოდნების მუზეუმში დოკუმენტი № 1127

2. მასალა დაცულია ვანის მხარეთმცოდნების მუზეუმში დოკუმენტი № 139

3 ვანის მხარეთმცოდნების მუზეუმში დაცული მასალა დოკუმენტი № 1192

4. ქუთაისის ცენტრალური არქივი. ფონდი 176 ანანერი № 1 – საქმე 434

მიუხედავად ყველაფრისა აღნიშნული პირველი „ინსტანციის“ სასამართლოთა განხილვაში მოქცეულია მრავალგვაროვანი საკითხები: ოჯახურ პრობლემებზე, მემკვიდრეობით საკითხებზე, ოჯახების გაყოფათა შედეგად ქონების მიკუთვნებაზე, საადგილმამულო მოწყობის, პიროვნულ და ოჯახურ დავებზე და ა. შ. იმ ფარგლებში, რომლის უფლებამოსილებანიც მათ გააჩნდათ. მათვე განუხილავთ რამდენიმე სპეციალური საკითხი – მარჩენალდკარგული ოჯახების, ობლების, ცალკეული უმწეოებისა და ზოგიერთ არასრულწლოვანთათვის მეურვის (ოპეკუნ) დანიშვნის თაობაზე და უნდა აღინიშნოს, რომ უმწეოებზე, არასრულწლოვანთა განსაკუთრებულ ნაწილსა და ზოგიერთ ოჯახებზეც კი მეურვეთა დანიშვნის ინსტიტუტი „ვანის“ სოფლებისათვის საკმაოდ გავრცელებულ და მიღებულ ფორმად ჩანს. მასალების ანალიზი ამაზე დადებით პასუხს იძლევა და კარგად მიუთითებს, რომ მეურვე შერჩეულია ან ოჯახის საახლობლო წრიდან ან შეიძლება გარეშე, ოღონდ ავტორიტეტული პირისაგან და მასვე „სასამართლოს“, „მედიატორთა“ და ა. შ. მიერ მიცემული აქვს უფლებამოსილება სიტუაციიდან გამომდინარე სამეურვეო პირის ან ოჯახის ირგვლივ მიეღო გადაწყვეტილება, ინდივიდუალურადაც კი, ვინმესთან შეუთანხმებლად და იგივე პირი ვალდებული იყო სამეურვეო სუბიექტების ინტერესები დაეცვა ნებისმიერ ინსტანციაში თუ ამის საჭიროება დადგებოდა. მეურვეობა გრძელდებოდა კონკრეტული დროის მანძილზე<sup>1</sup>.

რაც შეეხებათ შედარებით მაღალი დონის სასამართლო ინსტანციებს, რომელთაც შეეძლოთ საჭიროებიდან გამომდინარე „ვანის“ მოსახლეობისათვის გაეწიათ მომსახურეობა, უნდა ითქვას, რომ იმპერიის განაპირა მხარეებში, მათ შორის, საქართველოშიც სასამართლო რეფორმა გატარდა შეკვეცილი სახით. მიზეზად აქაც დასახელდა „ადგილობრივი მოსახლეობის მოუმზადებლობა და სპეციფიური პირობები“, რითაც განპირობდა ახალ ბურჟუაზიულ სა-სამართლო სისტემასთან მიახლოებული რიგი პრინციპების განუხორციელებლობა. რის გამოც მოსამართლები უშუალოდ ინიშნებოდნენ მთავრობისაგან – გამოირიცხა არჩევითობა. არც ნაფიციმსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც იმპერიის ცენტრალურ დასახლებებში ფუნქციონირებდნენ, საქართველოში არ შემოუდიათ. სამაგიეროდ განხორციელდა შედარებით დაბალი ინ-სტანციის მომრიგებელ – მოსამართლეთა ინსტიტუტის დაფუძნება. ამის გამო, როგორც აღინიშნა სოფელ ციხესულორიდან აღმოსავლეთით, სოფელ სალომინაოს ჩათვლით, მოსახლეობას ემსახურებოდა ბალდათის მომრიგებელ – მოსამართლეთა, ციხესულორიდან დასავლეთით მთისძირი-ჭყვიშის (ციცხვებისა და ნიქვაძის ფონის) ჩათვლით სამტრედის მომრიგებელ-მოსამართლეთა შემადგენლობა. აქ, უკვე სასამართლო საქმეთა წარმოება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. ანალოგიური მასალები ერთეულის სახით ასევე დაცულია „ვანის“ მხარეთმ-ცოდნეობის მუზეუმში, რომელთა შესწავლაც აჩვენებს, რომ განსახილველ საკითხთა დროში გაჭიანურება ჩვეულებრივი მოვლენაა. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ისიც, რომ აღნიშნული ტიპის სასამართლოები საქმიანობდნენ თვითდაფინანსების ფორმით. არაიშვიათი იყო საქმის წარმოების ტარიფის გაზრდაც, რომელიც ზემოქმედებდა მოსარჩევე პირთათვის წინასწარი ბაჟის შეტანის შესაძლებლობაზე და სარჩელის აღდვრისა და პრობლემის ოპერა-ტიულ მოგვარება-გადაწყვეტილების მიღების შემფერხებელ ფაქტორად იქცეოდა. ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ სამაზრო-საგუბერნიო-საოლქო უფრო მაღალ სასამართლო ინსტანციებზე.

დაახლოებით, მთლიანობაში ასეთ ფორმებს ინარჩუნებდა სასოფლო მმართველობის და მათი სასოფლო სასამართლოთა სისტემა 1864-1865 წლების რეფორმის შემდეგ 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე. ასეთი იყო „ვანის“ სოფლების საზოგადოებებში.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელობა, კრებულ „მატიანეს“ რედაქცია მკითხველს სთავაზობს ამონარიდს უაკ ფრანსუა გამპას წიგნიდან „მოგზაურობა საქართველოში“, რომელშიდაც მცირე ნაწილი ეხება მის მოგზაურობას ძველ ფეოდალურ „საჩინოს“ მიწაზე.

„გამპა იმ მოგზაურობა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ევროპის სავაჭრო ინტერესები ამოძრავებდათ. იგი წლების განმავლობაში იყო საფრანგეთის კონსული თბილისში და შესაძლებლობა ჰქონდა საფუძვლიანად გასცნობოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს...“

„გამპას „მოგზაურობა“ გამოიჩინება საქართველოს შესახებ ცნობების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. მასში ვხვდებით ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობის აღნერას, ცნობებს ხალხის ადათნესების, ეთნოგრაფიული ყოფის, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ“!<sup>1</sup>

ეს მოგზაურობა განხორციელდა 1820-1824 წლებში, დაახლოებით ორი საუკუნის წინ.

\*\*\*

### ქაკ ფრანსუა გამპას თვალით დანახული „საჩინო“

...როცა მთელი ჩვენი ქარავანი მდინარეზე გადიოდა, რამდენიმე წუთით შევისვენეთ საუცხოო მინდორზე, რომლის მფლობელმაც ცივი წყალი შემოგვთავაზა. შემდეგ ცხენებზე შევსხედით, გავიარეთ ულრანი ტყე და ლამის გასათევად შევჩერდით საუცხოო საძოვარზე, სადაც იყო კაკლის, ბრონეულის, ლელვის ხეები და რამდენიმე მუხა, რომელთაც ვაზი შემოხვეოდათ. ეს მამული შეადგენს სოფელ ბზვანის ნაწილს და სახლებიც აქ ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულია. საძოვრის შუაში იდგა ეკლესია და ხის ლამაზი სახლი, სადაც მღვდელი ცხოვრობდა. მან უყოყმანოდ შემოგვთავაზა თავისი საცხოვრებელი.

ჩვენი ჩამოსვლითანავე თავად ჩიჯავაძეს მოურავისათვის ეპრანებინა, რომ ჩვენთვის ვახშამი მოემზადებინა. ძველი კოლხეთის ყველა სოფლის მცხოვრებლების ვალდებულებას წარმოადგენს მათთან მოსული დიდებულებისა და ბატონების გამასპინძლება, ხოლო ამ თავსმოხვეულ ნადიმთან დაკავშირებულ ხარჯს რამდენიმე გლეხი ინაწილებს, რომელთაც თავის მხრივ უფლება ექლევათ ისარგებლონ ნადიმის ნარჩენებით. საჭმელები ხშირად ერთმანეთთან შეუთანხმებლად მზადდება და სუფრაზე თითქმის ყველთვის უხვად არის ხოლმე ერთი და იგივე კერძი. ჩვენთვის განწყობილ ვახშამზე შემწვარი და მოხარშული წიწილების რიცხვი ოცს აღემატებოდა.

მეორე დღეს, კვირას, 30 ივნისს (12 ივლისს), დილის ხუთ საათზე კვლავ დავადექით გზას. მრავალჯერ გადავლახეთ სულორი. ეს მდინარე სათავეს იღებს მთებში, რომლებიც ახალციხის საფაშოს ესაზღვრება და ფაზისს იმ ადგილთან ოდნავ მოშორებით უერთდება, სადაც ჩვენ გადავლახეთ იგი.

მივუყვებოდით ვიწრო და ხშირი ხეებით დაჩრდილულ ბილიკებს: სიარული გვიჭირდა და იძულებული გავხდით ცხენებზე გავწოლილიყავით, რათა სახე არ დაგვკანროდა ხეების ჩამოგრძელებული ტოტებისაგან, რომელთაც ცული არასოდეს არ შეხება. უეცრად შემოგვესმა ორი კაცის ხმა, რომლებიც ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. თავადი ჩიჯავაძე იმ ადგილისაკენ გაემართა, საიდანაც ხმაური ისმოდა და დაინახა ორი მოჩხუბარი იმერელი.

ვიდრე მათი ჩხუბის მიზეზს გაარკვევდა, მან თითოეულ მათგანს რამდენჯერმე მათრახი გადაუჭირა, შემდეგ კი განაცხადა, რომ მზად იყო მათი საჩივარი მოესმინა. ჩხუბი სულ უმნიშვნელო ამბავზე მოსვლოდათ: ერთის ძროხა მეორე გლეხის სიმინდის ყანაში შესულიყო და ოდნავ დაეზიანებინა, ყანის პატრონი ზარალის ანაზღაურებას მოითხოვდა, ურომლისოდაც მოქიშპეს ძროხას არ უბრუნებდა.

1 შესავალი ნაწილი წიგნიდან უაკ ფრანსუა გამპა.

თავადმა ჯარიმის ოდენობა მაშინვე დაადგინა და ბრძანა, წართმეული ძროხა პატრონს დაუბრუნეო. მოჩხუბარნი შერიგდნენ და კმაყოფილნი წავიდნენ შინისაკენ. ჩვენ კი გზა განვარგეთ.

ორი საათი და თხუთმეტი წუთი მოვანდომეტ ცამეტი ვერსის გავლას, რომელიც სოფელ ბზვანსა და ტოაშნეზს<sup>1</sup> ერთმანეთისაგან აშორებდა. ვისადილეთ საკმაოდ ამაღლებულ ადგილას მდებარე მშვენიერ მდელოზე, ერთი წარჩინებული იმერლის მამულში.

მისი სახლი დიდი გულმოდგინებით იყო აგებული და მეტისმეტი სისუფთავითაც გამოირჩეოდა. დიდი ოთახის წინ, რომელიც საცხოვრებელს წარმოადგენდა, შესასვლელი ოთახი იყო განლაგებული. სახლს გარშემო ღია გალერეა გასდევდა. იმავე მდელოს წნული ღობით შემოკავებულ ნაკვეთზე მისი ყმების საცხოვრებელი და მისი მამულის ჭირნახულის შესანახი შენობები იდგა. იქვე გაშენებულ მშვენიერ ხეივანს კარგ ამინდში დასასვენებლად და ამავე დროს სასადილო ადგილადაც იყენებენ.

წარჩინებულს, რომელთანაც ჩვენ გავჩერდით და რომელიც თავისი წოდებით გაცილებით დაბლა იდგა თავად ჩიჯავაძესთან შედარებით, არაფერი დაუშურვებია იმისთვის, რომ ჩვენთვის კარგი მასპინძლობა გაენია. ჩვენ კი ვერ შევძელით სათანადო მადლობა გვეთქვა მისი წინდახედული ყურადღებისათვის. აქაური ჩვეულებრივი სადილის გარდა მოგვართვეს საუცხოო კალმახები და კიბოები, რითაც სავსეა იმერეთის ამ ნანილის სწრაფი ნაკადულები. გამგზავრებისას იგი ჩვენს ქარავანს შემოუერთდა თავის ძმასთან, ერთ-ერთ სასამართლო მდივანთან და ორ, ბადეებით აღჭურვილ ყმასთან ერთად და მხოლოდ მაშინ ჩამოგვშორდა, როცა უკან დაბრუნებისას კვლავ გადავლახეთ ფაზისი.

სულ თორმეტი ვერსი გვრჩებოდა გასასვლელი სოფელ სალომინაომდე, რომელიც მცირე მანძილითაა დამორებული ამავე სახელწოდების ტყეს და რომლის ნახვაც განზრახული გვქონდა, ამიტომ გადავწყვიტეთ დავლოდებოდით, ვიდრე აგრილდებოდა და მხოლოდ საღამოს ხუთი საათისათვის გავუდექით გზას. წარჩინებული იმერლისა და მისი ამალის შემოერთებით გაზრდილი ჩვენი ქარავანი მეტისმეტად მრავალრიცხვანი გახდა.

მრავალჯერ გადავლახეთ ფონით სულორი და მისი შენაკადი, პატარა მდინარე, რომლის სახელწოდებაც ვერ მითხრეს. დინების სისწრაფის და ჩანჩქერების სიმრავლის გამო ერთიც და მეორეც დიდად გამოსადეგი იქნება, თუკი ამ მთაგორიან მხარეში ქარხნები აშენდება.

მივდიოდით მეტისმეტად ვიწრო, კირქვის ლოდებით მოფენილ ბილიკებზე, რომლებიც ხშირად უფსკრულის პირს მიუყვებოდა. მალე გზა უფრო ძნელადსავალი გახდა. გზის გასაადვილებლად კლდეებში ადგილ-ადგილ საფეხურები გამოეკვეთათ, მაგრამ ზოგი საფეხური ათ გოჯზე მაღალი იყო და ჩვენს ცხენებს ყოველ წუთს ხრამში გადავარდნის საშიშროება ემუქრებოდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ვმოგზაურობდით ჩვენი მომავალი მასპინძლის, მაზრის მფლობელი თავადისა და სხვა მემამულე თავადების თანხლებით, რომელთაც შეეძლოთ უნდობლობით მოჰკიდებოდნენ ჩვენი მოგზაურობის მიზანს. უნებლიერ პატრი ლამბერტის მიერ მოთხრობილი ამბავი მომავანდა, რომელიც მას სამეგრელოს აღწერაში აქვს მოტანილი.

ეს კეთილი თეათინელი მოგვითხრობს, რომ, როცა დიდი სენიორის წარმომადგენლები ფაზისის შესართავთან მოდიოდნენ ხარკის ასაკრებად, რასაც შეადგენდა ფულადი გადასახადი, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და ახალგაზრდა ტყვეები, რითაც დაბეგრილი იყვნენ სამეგრელოს მეფეები, ხანგრძლივი დროის განმავლობაში თურქეთის, სპარსეთის მეფეებისა და კონსტანტინეს მემკვიდრეების მოხარკენი, ჩამოსვლისთანავე მათ ეგებებოდნენ მეგრელი წარჩინებულები. პატივისცემის გამოსახატავად და ესკორტისა და მეგზურობის გასაწევად ეს მეგრელი ბატონები ყველაზე საშინელი გზებით ატარებდნენ მათ, აჩვენებდნენ უღარიბეს ქოხებს და ჩამოკონკილ ადამიანებს. გულს მოულბობდნენ ქვეყნისა და ხალხის უკიდურესი გაჭირვებით და შედარებით მცირე გადასახადზე დაიყოლიებდნენ.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩემი ეჭვები საფუძველს მოკლებული აღმოჩნდა და შემდგომში მომეცა მათი შემოწმების საშუალება, მაგრამ, მაშინ არ შემეძლო დამეჯერებინა, რომ ექვსი ათას ფრანგულ არპანზე მეტი ფართობის ტყეს, რომელსაც უზარმაზარი დაბლობები ეჭირა, მისასვლელად ჰქონდა მხოლოდ ვიწრო ბილიკები, რომელთა უმრავლესობაც კლდეში იყო გამოკვეთილი.

რაც უფრო წინ მივიწევდით ამ გზაზე, მით უფრო გვიჭირდა და მალე იძულებული გავხდით ჩამოვქვეითებულიყვავით, ოთხ ვერსზე მეტი ფეხით გავიარეთ. ცხენები სადაცით ვატარეთ საკმაოდ მაღალ პლატომდე, სადაც სალომინაო მდებარეობდა.

ეს სოფელი ითვლის ოცდაათიოდე აქა-იქ მიმობნეულ სახლს, სადაც ლარიბი მოსახლეობა ცხოვრობს. ჩვენი მრავალრიცხოვანი ქარავნის ხილვამ დამხვდურნი თავდაპირველად დააფრთხო და მათი დიდი ნაწილი ტყეს შეეხიზნა, მაგრამ რაკილა ჩვენს შორის თავადი ჩიჯავაძე და მრავალი მათი ნაცნობი იმერელი ბატონი შენიშნეს, მოსახლეობა ნელ-ნელა დამშვიდდა. მალე დიდად დავუმეგობრდით მათ, განსაკუთრებით ბერის (ბერე), ანუ მღვდლის (პოპე) ჩარევის წყალობით, რომელიც მაშინვე შემოგვეგება.

საქართველოს, იმერეთისა და სამეგრელოს ძველ მეფეებს ყოველთვის ჰქონდათ ჩვეულებად საკუთარ ქვეშევრდომებთან გაეტარებინათ თავიანთი მოცალეობა.. ისინი შინ ჩაუდგებოდნენ ხოლმე მათ თავიანთი ცხენებითა და მრავალრიცხოვანი ამალით. ჭამდნენ და სვამდნენ მასპინძლების ხარჯზე და როცა ქვევრებში ღვინო გამოილეოდა, ბეღლები დაიცლებოდა და ქათმები და თხები შეიჭმებოდა, მხოლოდ მაშინ გაეცლებოდნენ იქაურობას.

მას შემდეგ, რაც რუსები იმერეთს დაეუფლნენ, ეს ჩვეულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის მთლიანად გადავარდა, მაგრამ ბევრს ჯერაც კარგად ახსოვდათ ასეთი სტუმრობის სიმწარე და ჩვენი მრავალრიცხოვანი ამალის დანახვაზე სალომინაოს მოსახლეობა, რაღა თქმა უნდა, დაფრთხებოდა. ბოლოს, როცა შეიტყვეს მასპინძლობას მხოლოდ ერთი დღით ითხოვენო, დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს.

ამდენი ხალხისათვის საჭირო სურსათის მოტანა მღვდელმა წუთში დაავალა იქაურებს და ერთი საათიც არ იყო გასული, რომ მათ დიდძალი ხორავი მოზიდეს. საჭმელი გემრიელი იქნებოდა, რომ იმერლები, ჩვეულებისამებრ, ყველა კერძში არ ურევდნენ ველური ბარამბოს ერთერთ სახეობას, რომელიც საჭმელს გემოს უფუჭებს.

დესერტად თაფლის ფიჭა მოგვართვეს. ასე უწოდებენ კლდის თაფლს, რადგანაც ფუტკრები კლდებში არიან თავშეფარებულნი. უკეთესი ხარისხის თაფლი ქვეყნიერებაზე არ არსებობს. მეფუტკრეობა ამ სოფლის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. მარტო ერთ ბალში დავთვალეთ სამოცი მორი, რომლებიც სკებად იყო გამოყენებული. ტყით დაფარული ძველი კოლხეთი ერთ-ერთი იმ მხარეთაგანია, სადაც ძალზე მომრავლებულია ფუტკარი. ვარაუდობენ, რომ ცვილის მოსავალი და მისი ნავაჭრი იმერეთში ორასი ათას ოყას, ანუ დაახლოებით ექვსასი ათას გირვანქას აჭარბებსო. იგი მცირე რაოდენობით იყიდება ქუთაისის, ხონისა და ზოგიერთი სხვა სოფლის ბაზრებზე. სომეხი ვაჭრები აგროვებენ ცვილს, დიდ ნატეხებად აქცევენ და ასე გააქვთ კონსტანტინეპოლიში რედუტ-კალეს გზით, ან არადა, მას ახალციხის ვაჭრებს მიჰყიდიან ხოლმე. ოყა ცვილის ფასი ამ ქვეყანაში შეიძლება განისაზღვროს 5-იდან 6 აბაზამდე (4 ფრანკიდან 4 ფრ. და 80 სანტიმამდე), რაც რუსულ სამ გირვანქას და ორ უნციას შეადგენს. ეს ფასი ძალზე მაღალია, მაგრამ სომეხი ვაჭრები აქაც ნახულობენ მოგებას, რადგან ნაცვლად იმისა, რომ ცვილში ფული გადაიხადონ, ისინი მას სხვა საქონელზე ცვლიან და დიდი მოგებაც იმთავითვე გარანტირებული აქვთ.

სალომინაოს მოსახლეობა სამეურნეოდ იყენებს თავიანთ უზარმაზარ ტყის პატარა ნაკვეთებს, სადაც ვაზი აქვთ გაშენებული. ვაზი აქ ფერდობებზე და ცარცოვან ნიადაგზე იზრდება, ამიტომაც აქაური ღვინო ჩვეულებრივ კარგი ხარისხისაა, მაგრამ აქაურებმა რომ ღვინის უკეთ დამზადება იცოდნენ, წესად ჰქონდათ მისი გადაწურვა ან ისეთნაირად დამუშავება, რაც ფრანგულ ღვინოებს სრულყოფილებას ანიჭებს და განსაკუთრებით მისი სათანადოდ გადადულება იცოდნენ, ეს ღვინოები ზღვით ტრანპორტირებას ადვილად აიტანდა და შავ ზღვაზე რუსეთის ნავსადგურების მნიშვნელოვან საექსპორტო საქონლად იქცეოდა.

1820 წლის შეიარაღებული აჯანყების დროს თურქეთთან ამ სასაზღვრო მხარის მოსახლეობამ ამბოხებაში ალბათ თურქების წაქეზებით მიიღო მონაწილეობა და პირველ შეიარაღებულ გამოსვლებსაც, სწორედ, ამ შემოგარენში ჰქონდა ადგილი. აქაური და მეზობლად მდებარე ზოგიერთი სოფლის მაცხოვრებელთაგან არის შედგენილი საზღვრის სამეთვალყურეო შეიარაღებული ჯარი.

სალომინაოს ტყეში მისასვლელ გზას მომდევნო დღის ოთხ საათზე უნდა გავდგომოდით. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ძალზე მაღალ პლატოზე ვიმყოფებოდით, ტყემდე თითქმის პირდაპირი ხაზით ჯერ კიდევ ოთხი ვერსი გვრჩებოდა გასავლელი.

გზა იმდენად ძნელად სავალი იყო, რომ ტყემდე ფეხით მისასვლელად ორ საათზე მეტი დაგვჭირდა. ამ ადგილას მთა კვარცსა ძალზე გამჭვირვალე თეთრ მარმარილოს შეიცავდა. ტყის პირას ერთი ხის სახლი დავინახეთ, რომელიც სადარაჯოს წარმოადგენდა. აქ ორმოცი იმერლისაგან შემდგარი პოსტი იყო განლაგებული.

ამ მაღლობზე მდებარე და ჯანსაღი კლიმატით გამორჩეულ მაზრაში მუხა ძალზე იშვიათია. ყველაზე გავრცელებული ჯიშებია: წიფელი, წაბლის ხე, ცაცხვი, თელა და კოპიტი. ჩვეულებრივი დაფნის ხე იმერეთის ყველა მაღალ მთაზე ხარობს, ნაკადულების გასწვრივ კი ოლეანდრიც არანაკლებ მრავლად არის.

ტყეში შეიმჩნევა აგრეთვე მრავალი ველური ხეხილი და ხის ერთი ჯიში, რომელსაც ქართულად თელა ჰქვია და რომლის ფოთლებიც ძალზე ფართოა. ამ ოლქში არასოდეს არავინ ყოფილა და სასურველი იქნება, რომ მას ბოტანიკოსები ეწვიონ. დღეს ეს ადვილად, ყოველგვარი დაბრკოლებისა თუ ხიფათის გარეშე მოხერხდება.

სოფელში დაბრუნებისას მოგვართვეს ისეთივე ბარაქიანი სადილი, როგორიც წინა დღის ვახშამი იყო. ნასადილევს რუსმა სამოქალაქო და სამხედრო ოფიცრებმა დასვენება მოისურვეს, მე და ჩემმა ძმამ კი გადავწყვიტეთ ფეხით გაგვევლო თორმეტი ვერსი, სოფელ სევალეპიმდე,<sup>1</sup> სადაც ჩვენი ქარავანი ღამის გასათევად უნდა გაჩერებულიყო. ეს გახლდათ ნამდვილი გასეირნება, მით უფრო, რომ სულ თავქვე ვეშვებოდით და სანახებიც მართლაც რომ ულამაზესი იყო. ჩვენი მეგზურობა სოფელ ბზვანის მებატონის ძმამ იტვირთა. ჩვენთან ერთად იყო აგრეთვე სოფლის გზირი, რომელსაც ერთი კაზაკიც ახლდა. ამჯერად, ბილიკი ოდნავ უფრო ფართო და შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე ის ბილიკი, რომელზეც წინა დღით ვიარეთ.

გრძელი და ვიწრო ფიცარნაგებით სამჯერ გადავლახეთ ის სწრაფი პატარა მდინარე, რომელიც მე უკვე ვახსენე და ოთხი საათის სიარულის შემდეგ დანიშნულების ადგილს მივაღწიეთ. სოფლიდან ორ ვერსზე, ხელმარცხნივ მოჩანდა თითქმის მიუვალ მწვერვალზე აღმართული თეთრი ქვით ნაგები ძველი კოშკი. იგი იმ სოფლის სიმაღლეზეა, სადაც ღამე გავათიერ და, მაშასადამე, მაღალი ქედი, რომელზედაც გაშლილია სალომინაოს ტყე, რომელიც მას თავზე დაჰყურებს. უკანასკნელი შეიარაღებული აჯანყების დროს ეს კოშკი მეამბოხეთათვის თავშესაფარს წარმოადგენდა.

სევალეპში ჩვენი ჩასვლის, მცირე ხნის, შემდეგ ჩვენი თანამგზავრებიც შემოგვიერთდნენ. გაგვიმასპინძლდა სოფლის ბატონი.

მეორე დღეს დილის შვიდ საათზე გავემგზავრეთ იმ განზრახვით, რომ დაახლოებით თორმეტ ვერსზე მდებარე სოფელ ისრითში გვესადილა. ეს არის თავად ჩიჯავაძის ერთ-ერთი მამული და ძირითადი საცხოვრებელი ადგილი. აქამდე ჩვენ მიერ გავლილი მხარე მართლაც რომ მშვენიერი იყო. მეჩემერ ტყეს ადგილ-ადგილ საძოვრები და დამუშავებული ზვრები ენაცვლებოდა. აქაურ მოსახლეობას ჩვევად აქვს ამ ადგილების შემოღობვა და მათ ბალებს უწოდებენ. მთელს ძველ კოლხეთში და საქართველოში ამგვარი მამულები ძალიან ძვირად ფასობს, და საოცარია, რომ აქაური ხალხი უფრო მეტ ფართობს არ იყენებს მამულების გასაშენებლად. შუა გზაზე შევჩერდით ძალზე მდიდარ სოფელში, რომელმაც თავისი იერით ბრიუსელსა და გენტს შორის მდებარე ულამაზესი ფლანდრიული დაბები მომაგონა.

აქ ცხოვრობდა ერთ-ერთი ძმა თავადისა, რომელიც მაზრას განაგებდა. იგი ერთ თავის

1 ადგილმდებარეობის დასახელება გაუგებარია

მეგობარ თავადთან, საკმაოდ მრავალრიცხოვან წარჩინებულებთან და ყმებთან ერთად დაუყოვნებლივ შემოუერთდა ჩვენს ქარავანს. მის მხლებლებთაგან ზოგი ფეხით მოგვყვებოდა, ზოგი – ცხენით.

წუთით სოფლის მოედანზე შევჩერდით. მოგვართვეს საუცხოო ღვინო, რომელიც ცხენებიდან ჩამოუქვეითებლად დავლიეთ. ერთ სომებს, როგორც ხაზინის მოიჯარადრეს აქ დუქანი ჰქონდა, სადაც ყიდდა არაყს, რუსეთის ზოგიერთ მანუფაქტურულ ნაწარმს და კონსტანტინოპოლიდან შემოსულ საქონელს, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი.

ათი საათისთვის თავად ჩიჯავაძის კარმიდამოში შევედით. იგი მაღლობზე მდებარეობს და უზარმაზარი კავლის ხეებითაა შემორაგული. ჩვენი მოსვლის თაობაზე აქაურები გაფრთხილებულები იყვნენ და ჩინებული სადილიც დაგვახვედრეს. სუფრასთან ოთხმოცი სტუმარი მაინც იქნებოდა.

თავადის საცხოვრებელი სახლი ფართო და მოხერხებული ჩანდა. იგი მინდვრის ბოლოში იდგა. მის ირგვლივ უამრავი შენობა იყო განლაგებული, ხოლო უცხოელი სტუმრებისათვის განკუთვნილი სახლის შორიახლო, მშვენიერ ხეებქვეშ, მდელოზე ხალიჩები და მერხები გამოეტანათ, რომლებზედაც ბალიშები ელაგა.

ის ის იყო სუფრას შემოვუსხედით, რომ მობრძანდა თავადის მამა, დარბაისელი მოხუცი, რომელსაც წინაპართა და მის თანამემამულეთა ჩვეულების თანახმად თმა, წვერი და ულვაში თითქმის სულ ნითლად ჰქონდა შეღებილი, ეს ფერი აქ იმდენად მოდაშია, რომ ბავშვებს, რომლებიც ესოდენ ლამაზები არიან და წაბლისფერი ან შავი თმა აქვთ, მეტისმეტად ლაუდაუა წითელი ფერით ამახინჯებენ. ბაზრებზე იყიდება ინის სახელწოდებით ცნობილი მცენარეული ფეხილი, რომელიც თმისა და ფრჩხილების შესაღებად გამოიყენება. ხშირად ინას ფეხის-გულების შესაღებადაც კი ხმარობენ. შესაძლოა ეს ჩვეულება მათ გადმოიღეს სპარსელებისა-გან, ვისთვისაც ასეთი წესი საყოველთაოდ მიღებულია. მოწითალო ფერით ამ გატაცების გამო ხშირად შევხვდებით რუს ან თეთრ ცხენებს, რომელთა ფაფარი ან ძუა ამ ფერადაა შეღებილი.

სუფრასთან რომ დავსხედით, ცოტა ხნის შემდეგ თავადის შორიახლო ფეხზე მდგომა ორმა შინაყმამ მეტისმეტად შესაბრალისი ხმით წამოიწყო იმპროვიზებული სიმღერა, რომლის შინაარსიც ძალზე მარტივი იყო და რომელშიაც შიგადაშიგ ჩვენი მისამართით გამოთქმული ქათინაურები იყო ჩართული.

სტუმრებს უამრავი კერძით გაგვიმასპინძლდნენ და სადილიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ჩვენი მასპინძლების გამუდმებული და დაბეჯითებითი თხოვნით იძულებული ვიყავით ჩვეულებრივზე მეტი გვესვა მაგარი და მათრობელა ღვინო. დესერტის დროს კეთილმა მოხუცმა ულვაშზე ხელი გადაისვა, მადლეგრძელა, ჭიქა დაცალა და გადამეხვია. შემდეგ ჭიქა კვლავ შეავსო და მე გადმომცა. მერე მე გადავეხვიე თავადის ვაჟს და შევსთავაზე ჩემი ჭიქა, რომელიც წამსვე შეივსო და დაიცალა. და ასე ყველა სტუმრის, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ასაკის გათვალისწინებით, სასმისი ხელიდან ხელში გადადიოდა. სმის ამ წესს მიმართავენ მხოლოდ მაშინ, როცა სტუმარს პატივი უნდა სცენ, მის მიმართ განსაკუთრებული კეთილგან-წყობის დასტურად მასვე სთავაზობენ საწებელში ამოვლებულ ცხვრის დუმას.

სადილმა დიდხანს გასტანა. ნასადილევს ჩვეულებისამებრ მოგვასვენეს, რაც ოთხ საათამდე გაგრძელდა და ცხენებზე რომ ავმხედრდით უკვე ხუთი საათი იყო.

ასეთმა დაყოვნებამ გული დამწყვიტა, მით უმეტეს, რომ გადაწყვეტილი გვერდა გოგირდოვანი აბანოს სანახავად წასვლა. იგი მდებარეობს მთებში, თავადის კარმიდამოდან თორმეტი ვერსის დაშორებით.

თავადისა და მაზრის უფროსის განკარგულებით იქ ჩვენთვის უკვე მომზადებული იყო ბალაგანები, ანუ ფოთლებით დაფარული კარვები, სადაც რამდენიმე საათით უნდა დაგვესვენა. ღამის გასათევად კი თავადთან დაბრუნება გვქონდა განზრახული.

აბანოსკენ მიმავალი გზა თითქმის ისეთივე ძნელადასავალი და სახიფათო იყო, როგორიც ის გზა, რომელიც წინა დღით გავიარეთ სოფელ სალომინაოში მისასვლელად. აქაც დაგვიხვდა კლდეები, დაღმართები, ბობოქარი მთის მდინარეები, რომელთა მიკლაკნილ-მოკლაკნილ კალაპოტებზეც განუწყვეტლივ გვიხდებოდა გადასვლა-გადმოსვლა. ამიტომაც იძულებული ვხდებოდით

ხშირად ჩამოვსულიყავით ცხენებიდან და გზის საკმაოდ დიდი მონაკვეთი ფეხით გამოვიარეთ. მიუხედავად ამ სიძნელებისა, ორი საათიც კი არ დაგვჭირვებია აბანომდე მისასვლელად. მას ანტიკური და დიდებული იერი ჰქონდა, გარეგნული ფორმით იგი დიდად წააგავდა ვერგილიუსის საფლავს მონპოზილიპში. აბანოს ძველი შესასვლელი დღეს დაკეტილია და შიგ გამონგრეული ადგილიდან შედიან. იგი აშენებულია ერთმანეთზე დაწყობილი რიყის დიდი ქვებით, რომლებიც ძალზე მტკიცე ხსნარით არის შედუღაბებული. რიყის ქვებს გასდევს რამდენიმე წყება აგური, ან უფრო სწორად ერთი გოჯი სისქის კრამიტის წყება ოც კვადრატულ გოჯზე.

ნანგრევებში ამოსული ლეღვისა და დაფნის დიდრონი ხები მონმობს ამ ნაგებობის სიძველეს. არ ვიცი, ამ აბანოს მშენებლობა შეიძლება თუ არა მიენეროს ბერძნებს, რომაელებს, გენუ-ელებს, მაგრამ ცხადია, რომ იგი სრულებით განსხვავებულია იმისაგან, რაც დღევანდელი კოლხეთის მშენებლობისათვის არის დამახასიათებელი, რადგანაც აქ თითქმის ყველა თანამე-დროვე ნაგებობა ხისაა.

ძირითად გოგირდოვან წყაროში წყლის ტემპერატურა დაახლოებით 20 გრადუსს უდრის. წყარო ამოჩქეფს ერთი პატარა მდინარის ზემოთ, ათ-თორმეტ ფუტზე. თითქმის ამ მდინარის დონეზე არის მეორე წყარო, რომლის წყალიც იგივე ტემპერატურისა მეჩვენა.

მოსახლეობა ამ გოგირდოვან წყლებს არ იყენებს, მაგრამ ისინი მაინც სასარგებლოდ მიაჩნიათ. სასურველია, რომ რუსეთის მთავრობამ აქ საზოგადოებრივი აბანოები მოაწყოს, სადაც შესაძლებელი იქნება ისეთი ავადმყოფების გამოგზავნა, რომელთაც გოგირდოვანი წყლები ეს-აჭიროებათ. აქ სამკურნალოდ ჩამოსულებს აღარ მოუწევთ კავკასიონის ძნელად გადასასვლელი უღელტეხილის გადალახვა და კავკასიონის გუბერნიის დედაქალაქის - გეორგიევსკის მიდამოებში არსებულ წყლებზე წასვლა. ამასთანავე, იმერეთის ამ მაღალ ადგილას ჰალზე სუფთაა და ციებისაგან მოკეთებული ჯარისკაცები აქ სწრაფად შესძლებენ გამოჯანმრთელებას.

აბანოს სანახავად ორმოცდაათ კაცზე მეტი მივედით. ჩვენთვის საკმაო რაოდენობით დაე-დგათ ლამაზ-ლამაზი ბალაგანები, მაგრამ ეს კარვები მთლად რიგიანად ვერ გაემართათ, გან-საკუთრებით კი ფოთლებისაგან შეკონიხებული სახურავი გამოსვლოდათ უხეირო. ასე რომ, ძნელი იქნებოდა მოსალოდნელი ქარიშხლისაგან თავის დაცვა. მასპინძლებს ბევრგან დიდი კოცონები დაენთოთ, რათა ვახშმობისას სინათლე გვქონოდა და არც სინესტეს შევენუხები-ნეთ. ცეცხლს უნდა დაეფრთხო მგლები, განსაკუთრებით კი ტურები, რომლებიც ასე მრავლად იყვნენ ჩვენ გარშემო მდებარე ტყებში და რომელთა საზარელი ყმუილი წამდაუნუმ გაისმოდა.

ჩვენ არც კი ვიცოდით, რომ მაზრის უფროსი თურმე გოგირდოვანი წყლებით ეპირებოდა ჭრი-ლობის განკურნებას, რომელიც ბარე ათი წელია არ უშუშდებოდა. იგი სამ საათს იწვა აპაზანაში, ვერაფრით ვერ შევაგონეთ ამოსულიყო. ბოლოს, რადგანაც ირგვლივ გამეფებული წყვდიადის გამო უკვე ალარ შეგვეძლო ისრითში დაბრუნება, გადავწყვიტეთ დამე ჩვენთვის მომზადებულ ბალაგანებ-ში გაგვეტარებინა. გვეგონა გადავურჩებოდით წვიმას, რომელიც წუთი წუთზე უნდა წამოსულიყო.

ბალაგანებს ზემოდან კიდევ რამდენიმე ფენა ფოთოლი დავაყარეთ, ასე რომ, ორი საა-თის განმავლობაში გადაუღებელმა წვიმამ საფარი მხოლოდ გაჭირჭვლა, მაგრამ მაღე წყალი ღვარად წამოვიდა და ყველანი ერთიანად დაგვასველა. უკუნით ღამეში ისეთი ელვა და ჭექა-ქუხილი ატყდა, რომ ნამდვილი წარლვა უარესს ვერაფერს გვიზამდა. საჭირო ოყო რაღაც გადაწყვეტილების მიღება, უთუოდ გზას უნდა დავდგომოდით და ფეხით მიგველნია მთის მწვერვალამდე, რომელიც, როგორც გვითხრეს, მხოლოდ ორი ვერსით იყო აპანომდე დაშორებული და სადაც სოფელი უნდა შეგვევდოდა.

ნაშუალამევს დავადექით გზას. ხეობაში, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით და რომელიც მთელს სიგრძეზე უნდა გაგვევლო, წყლიანი გუბეები იდგა. ხეობა მოფენილი იყო წაქცეული ხეებით, ბუჩქნარითა და მიწის ზედაპირიდან თვრამეტ გოჯზე გადაჭრილი ხის კუნძებით. სწორედ, ამ უვალში უნდა გაგვეკვალა გზა, შემდეგ კი წინ მაღალი მთა გვედო, რომლის მწვერვალზე ასვლა მხოლოდ ვიწრო და მოლიპული ბილიკით შეიძლებოდა. ამიტომ იყო, რომ წინა დღის მგზავრობით დაქანცულს, რაკი თვალწინ წარმომიდგა დარჩენილი გზის გადასალახავი ყველა სიძნელე, ცოტა არ იყოს შემეშინდა კიდეც.

წვიმა მძვინვარებდა და ზედიზედ აქრობდა აქა-იქ მბუტავ ფარნებს. საბედნიეროდ, ათა-სობით ციცინათელა და ხშირი ელვა დრო და დრო არღვევდა ირგვლივ გამეფებულ წყვდიადს. ორი იმერელი, რომელთაც ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ჩირალები ეჭირათ, ამაოდ ცდი-ლობდნენ ოდნავ მაინც გაენათებინათ სავალი გზა. ჩირალების ციგლიგა შუქი ყოველ წუთს შეიძლებოდა მიმქრალიყო და წამდაუწუმ უნდა შევჩერებულიყავით, რათა ცეცხლი კვლავ გაეღვივებინათ და გზა გაგვეგნო ვიწრო ბილიკზე, რომელსაც ერთი ნაბიჯითაც რომ ავცდე-ნოდით, უთუოდ უფსკრულში გადაჩეხვა გვეწერა.

უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც თავს უქეიფოდ ვგრძნობდი და დასუსტებულმა უყოყმანოდ ვისარგებლე ერთი იმერელი ბატონის თავაზიანობით, რომელმაც დახმარება შემომთავაზა. არასოდეს მინახავს ასეთი საოცარი მსგავსება ფრანსუა | პორტრეტთან. თავადი პირნავარდ-ნილი ხელმწიფე იყო. ამგვარ სახეს ძალზე ხშირად შეხვდებით იმერელ წარჩინებულთა შორის. მისი ფართო მხრები თითქოს ჰერკულეს კომოდის მხრების მიხედვით იყო ნაძერწი. ერთიანად მივენდე მის ნაბადს და მან ასე მატარა ორი საათის განმავლობაში ძნელად სავალ გზაზე. ბო-ლოს მივალნიერ მთის თხემს, სადაც თავშესაფარი უნდა გვეშვა.

შევედით რომელილაც საძაგელ ქოხში, სადაც უზარმაზარი ხის მორები ხრჩოლავდა. აქ დავ-ელოდეთ გათენებას და წვიმის გადაღებას, თან ვშრებოდით. შვიდი საათისათვის წვიმა შეწყდა და მაშინვე გავუდექით გზას, რათა უფრო მოხერხებულ, დასახლებულ ადგილამდე მიგველნია, რომელიც ექვს ვერსზე მდებარეობდა იმ პლატოდან, სადაც ამჟამად ვიმყოფებოდით. დანიშ-ნულების ადგილზე მისასვლელად თავდაპირველად იმ ბილიკით დავეშვით, რომლითაც წინა დღით ძლივს ამოვედით. დიდი გაჭირვებით გადავლახეთ წვიმებისაგან მეტისმეტად ადიდებუ-ლო მთის ნაკადული. ხიდის ნაცვლად აქ ძალზე ვიწრო და მოლიპული ფიცრები იყო გადებული.

სახლი, სადაც ჩვენ მივედით, ის ქოხი, რომელიც დავტოვეთ და გოგირდოვანი წყლის აბანოც ახალციხის საფაშოს საზღვართან მდებარე სოფელ დვალიშვილების ტერიტორიაზეა. აბანოებს, ალბათ, ასეთი მეზობლობის გამო არიდებენ თავს ავადმყოფები, რომლებიც დიდი ესკორტის გარეშე აქ უშიშრად ვერ იქნებიან.

ამ სოფლის თითქმის ყველა სახლი ფერდობზეა შეფენილი. იმერეთის მთელი ეს ნაწილი მეტისმეტად მთაგორიანია. სახლში, სადაც უნდა გვესადილა ადიოდნენ კიბით, რომელსაც საღამონობით იღებდნენ ხოლმე. სახლს გარშემო სათოფურები ჰქონდა დატანებული, რომლე-ბიც სინათლის ერთადერთ წყაროსაც წარმოადგენდა. ინტერიერი მორთული იყო თოფებით, ხმლებით, დამბაჩებითა და ხანჯლებით. ეს ყოველივე ჩამოკიდებული იყო ირმის რქებზე, ეს ცხოველი ძალზე მომრავლებულია აქაურ ტყეებში. სახლების კონსტრუქცია და მათ მოსარ-თავად გამოყენებული იარაღი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ სოფლის მოსახლეობა შეჩვეულია თურქი ავაზაკების თავდასხმებს, რომლებიც დრო და დრო თარეშობდნენ ამ სოფლებში და გლეხების ცოლ-შვილსა და პირუტყვს იტაცებდნენ. შესაძლოა, ზოგჯერ აქაურებიც იგივეს ჩა-დიოდნენ თურქების მიმართ და რაკი ისინი თითქმის ყოველთვის მზად იყვნენ საბრძოლველად, მათ ისეთი კეთილი და მორჩილი იერი როდი აქვთ, როგორიც ჩვენ მიერ ნანახი სხვა სოფლების მაცხოვრებელთ. მას შემდეგ, რაც იმერეთის იმპერატორ ალექსანდრეს დამორჩილდა, ახალ-ციხის საფაშოს საზღვარზე მოსახლეობის რბევა თითქმის მთლიანად აღიკვეთა. სოლომონ მე-ფის დროს თურქთა მოზრდილი რაზმები ხშირად იჭრებოდა იმერეთის მიწა-წყალზე და ტყვედ მიჰყავდათ მეფის ქვეშევრდომები, ხოლო შემდეგ უარს აცხადებდნენ მათ გათავისუფლებაზე იმ უაზრო საბაბით, თითქოს არ შეეძლოთ დამნაშავეთა მიკვლევა.

იმერეთის მთელს ამ ნაწილში ძალზე გავრცელებულია ალვის ხე და ცაცხვი. აქ მრავლად ვხვდებით აგრეთვე ლელვისა და დაფნის ხეებს.

დვალიშვილებიდან ორი საათისათვის გამოვემგზავრეთ და მალე კვლავ მოვინახულეთ აბა-ნო, რომლის დატოვებაც წინა დღით საჩქაროდ მოგვიხდა. ქარიშხლს ჩვენთვის აგებული ფარ-ლალალა კარვების კვალიც კი არ დატოვებინა.

## სტალინის პიროვნება და საქართველო

იოსებ სტალინი, რომ უდიდესი, მსოფლიო მასშტაბის მოღვაწეა ამაში ეჭვი არავის ეპარება არც საქართველოში (ანტისტალინელებსაც კი) და არც საზღვარგარეთ. მაგრამ არის თუ არა სტალინი დიდი ქართველი, რომლის ლირსების დაცვას არაერთი ჩვენი თანამემამულე შეენირა (განსაკუთრებით 1956 წ. 9 მარტს ანტიხრუმჩოვული გამოსვლების დროს), ეს საკითხი ერთობ სადაცოა და დეტალურ ანალიზს მოითხოვს.

ჯერ მოვიყვანოთ მსოფლიოს გამოჩენილი ზოგიერთი პიროვნების შეხედულება ი. სტალინზე. დავიწყოთ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრით. მართლაც გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწით უ. ჩერჩილით.

როდესაც ის მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მოკავშირეთა ლიდერზე იოსებ სტალინზე წერდა, კომუნისტური იმპერიის ხელმძღვანელს მშობლიური ბრიტანეთის მტრად განიხილავდა. ამიტომ, ასეთი პიროვნების მიერ სტალინის შეფასება, მისი როგორც მსოფლიო მოღვაწისა და სამხედრო პიროვნების ლირსებებს მიუკერძობდლობის მაღალი ხარისხით წარმოაჩენს: „რუსეთისათვის დიდი გამართლებაა, რომ მისი აგონიაში ყოფნის დროს ის აღმოჩნდა ამ უდიდესი, გამოწროთობილი მხედარმთავრის ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს ადამიანი არის შთამბეჭდავი, გამორჩეული პიროვნება, შესაბამისი იმ სერიოზული და ქარიშხლიანი დროებისა, რომელშიც მისმა ცხოვრებამ გაიარა. ადამიანი ამოუწურავი გამბედაობისა და ნებისყოფის ძალისა, ადამიანი პირდაპირი და ურთიერთობაში უცერემონიო მანერების მქონე. სტალინმა ამასთან, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი ღრმა და ცივსისხლიანი სიბრძნით და ყოველგვარი ილუზიების არქონით...“ ეს სიტყვა ჩერჩილს ნათქვამი აქვს 1942 წ. 8 სექტემბერს ინგლისის თემთა პალატაში მისი მოსკოვში პირველი ვიზიტის განხილვისას. იგივე ჩერჩილი 1943 წელს ამბობდა: „დილით ვდგები და ვლოცულობ, რომ სტალინი ცოცხალი და ჯანმრთელი იყოს. ამჟამად მხოლოდ სტალინს შეუძლია იხსნას მსოფლიო ნაცისტური ჭირისაგან.“ კიდევ რამდენი მოგონება შეიძლებოდა წარმოგვედგინა ჩერჩილის ბიოგრაფიიდან, რომელიც ი. სტალინის ფიგურას აღმატებულ ხარისხში წარმოაჩენდა, მაგრამ ამისი აუცილებლობა არ არის.

არანაკლებ საინტერესოა მეორე მსოფლიო ომის ანტიპიტლერული კოალიციის ერთ-ერთი შემოქმედის, შემდგომში საფრანგეთის პრეზიდენტის დე გლოს მიერ სტალინზე ნათქვამი სიტყვები: „მთელი სამყაროს ყრილობა რომ ჩატარდეს და მასზე დედამიწის პრობლემები განიხილებოდეს მე, ჩვენი პლანეტის ინტერესების დამცველ ერთადერთ დელეგატად გენერალისამუსის ი. სტალინის კანდიდატურას დაუუჭერდი მხარს“.

ადოლფ ჰიტლერი, როგორც ფაშისტური მიზანთრობული დოქტრინის საფუძველზე სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი სამართლიანად არის დაგმობილი კაცობრიობის მიერ, მაგრამ მას თუნდაც უარყოფით დიდ ისტორიულ ფიგურას ვერავინ ამოშლის კაცობრიობის მეხსიერებიდან. ამიტომ საინტერესოა მის მიერ სტალინის პიროვნების შეფასება, რომელიც მან ჩვეული ორატორული ნიჭით შეასრულა: „რუსი ხალხის ძალა შედგება არა მის რაოდენობასა, ან ორგანიზებულობაში, არამედ მის უნარში, რომ შექმნას სტალინის მასშტაბის პიროვნება. თავისი პოლიტიკური და სამხედრო ხარისხით სტალინი ბევრად აჭარბებს ჩერჩილსაც და რუზელტსაც. ის არის ამჟამად ერთადერთი მსოფლიო პოლიტიკოსი, რომელიც იმსახურებს პატივისცემას. ჩვენი ამოცანაა რუსეთი ისე გავანადგუროთ, რომ სტალინის მასშტაბის ადამიანები მეტად არ გამოჩდნენ“.

სავარაუდოდ ჰიტლერმა ძალიან კარგად იცოდა სტალინის ქართველობის შესახებ. ამის დასტურად მის მიერ 1941 წლის ნოემბერში (მაშინ გერმანელები ყველაზე ახლოს იყვნენ მოსკოვთან) სტალინისადმი გამოგზავნილი დეპეშაც იკმარებდა: „საბჭოთა ქვეყნის ბედი გადაწყვეტილია. თქვენ ხომ ქართველი ხართ. გირჩევთ გადაბრძანდეთ საქართველოში, სადაც გარანტირებული გექნებათ მეფობა თქვენ და თქვენს შთამომავლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვდივარ ცე-

ცხლითა და მახვილით“. აი ი. სტალინის პასუხი ფიურერის დეპეშაზე: „მადლობელი ვარ რჩევი-სათვის. დიახ! მე ქართველი ვარ, მაგრამ რუსმა ხალხმა გამზარდა. ამიტომ ჩვენი ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე გამზრდელ ერს არ ეღალატება. მელოდეთ ბერლინში“.

**ჰიტლერმა** ისიც კარგად იცოდა, რომ სტალინისა და სხვა ქართველების (თუნდაც პეტრე ბაგრატიონის, ლავრენტი ბერიას და სხვ.) გამორჩეული ნიჭი მხოლოდ დიდი მასშტაბის ქვეყ-ნის პოლიტიკურ ასპარეზზე გასვლით აღწევდა უსაზღვრო შესაძლებლობებს, ხოლო მათი პი-რადი კარიერა რგებდა თუ ვნებდა მათ მშობლიურ მხარეს-საქართველოს, ეს არატენდენციური ანალიტიკური განსჯის თემაა.

საერთოდ, ნებისმიერი სელისუფლების დანიშნულებაა მის მიერ მიმართული (მართული)? სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვა და ამავე დროს საკუთარი ხალხის სოციალურად უზრუნ-ველყოფა, პარალელურად მომავალში უკეთესი ცხოვრების რეალური პერსპექტივის რწმენით.

ეს ყველაფერი სტალინმა თავისი 30 წლიანი მმართველობის პერიოდში, მიუხედავად მის წინაშე მდგარი საშინაო და საგარეო უდიდესი სირთულეებისა, განახორციელა, რაც იმის შედე-გია, რომ მან შეიძლება, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი და მისი განხ-ორციელებაც შესძლო.

ამის შედეგად ი. სტალინის მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფო იქცა მსოფლიოს ბიპო-ლარული (ორპოლუსიანი) სისტემის შემქმნელად, რომელიც შემდგომი ნახევარი საუკუნის მან-ძილზე უზრუნველყოფდა ერთმანეთთან დაპირისპირებული სოციალურ-ეკონომიკური სახელმ-წიფოების მშვიდობიან თანაარსებობას.

ვინც ასეთი გრანდიოზული სამუშაოს წარმატებით ჩატარებას ვერ აცნობიერებს, ის ძა-ლიან ზერელედ აფასებს მოვლენებს. მსოფლიო ისტორიაში თითქბზე ჩამოსათვლელია ისეთი სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებმაც ძირითადად შეასრულეს საკუთარი ხალხისა და თავის წინაშე დასმული საკაცობრიო მნიშვნელობის ამოცანები.

ამავდროულად, სტალინმა ათობით ევრაზიული წარმოშობის ხალხებს შეუქმნა სახელმწიფოე-ბრიობა და ისინი იხსნა მათი რესურსების დასავლეთის დანამატად და იაფასიან მუშახელად ქცევისაგან. მან ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მოაქცია თითქმის ყველა მართმადიდებელი ერი და კონსტანტინოპოლის ბიზანტიური მართმადიდებლური სახელმწიფოს აღდგენასაც კი გეგმავდა.

სწორედ ამიტომ ვერ იტანენ სტალინს დასავლეთში. ის ხომ წინ აღუდგა ტრანსნაციონალ-ური კომპანიების მხრიდან მესამე სამყაროს ქვეყნების ძარცვის პოლიტიკას. ერთი სიტყვით, მხოლოდ იდეოლოგიური პროპაგანდითა და დემაგოგით სტალინის საქმიანობის შეფასება პრიმიტივიზმია და მეტი არაფერი. ან კიდევ ვინც სტალინის ფენომენში მხოლოდ წმინდანს ეძებს და პოულობს, ან მხოლოდ ჯალათსა და დესპოტს, ისინი ულოგიკო ძიების მსხვერპლია და თავიდანვე განწირული არიან. სახელმწიფოს ინტერესებით მოქმედი რომელიმე პოლიტიკო-სის მოღვაწეობის ერთი პრიზმით, ან კრიტერიუმით, შეფასება მცდარი დასკვნის საფუძველს ქმნის. მითუმეტეს, სტალინი არა მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ინტერესების დაცვას ემსახ-ურება, არამედ მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმატებას, რომელიც მისთვის საკაცო-ბრიო იდეის განხორციელებისათვის იყო გამიზნული.

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა არმიების მიერ განთავისუფლებულ ევროპის ქვეყნების შემომტკიცებით სტალინმა შექმნა სოციალისტური ბანაკი, ხოლო აზია-ში გვერდით ამოიყენა ჩინეთი, ვიეტნამი, ჩრდილოეთ კორეა, მონღოლეთი და სხვ. ამით მან მსოფლიოს მომავლისათვის ჭიდილში გამოიწვია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და დე-მოკრატიის კაპიტალისტური ბურჟუაზიული სისტემა, რომლის სამართლიანობისა სტალინს არ სწამდა. ამის შესახებ ბელადი აღნიშნავდა ხაზგასმით: „ჩემთვის რთულად წარმოსადგენია რა თავისუფლება უნდა ჰქონდეს უმუშევარს, რომელიც დადის მშიერი და თავისი შესაძლებლობის გამოყენების საშუალებას ვერ პოულობს. ნამდვილი თავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ იქ, სადაც ექსპლუატაცია მოსპობილია, სადაც არ არსებობს ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ მეორის ჩაგვრა, სადაც არ არის უმუშევრობა და სილატაკე, სადაც ადამიანი შიშით არ იკანკა-ლებს იმის გამო, რომ ხვალ შეიძლება დაკარგოს სამუშაო, საცხოვრებელი, არსებობის საშუ-

ალებები. მხოლოდ ასეთ საზოგადოებაშია შესაძლებელი ნამდვილი პირადი და ყოველნაირი თავისუფლება“.

ვფიქრობ გენერალი-სიმუსის ამ ნააზრებს მათი დიდი უმრავლესობა უსიტყვოდ დაეთანხმება ვისაც ამ ბოლო 25 წლის მანძილზე თავის თავზე გამოუცდია უმუშევრობა, სიღატაკე და ხვალინდელი დღის შიში. ასეთები კი ამჟამად დასავლეთის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ კოლონიად ქცეული საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილია.

საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებებით პატარა და სუსტი ქვეყნების ბედია გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ერთ-ერთი ჰეგემონი ქვეყნის მფარველობის ქვეშ მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობის მიღება. ეს პირობები სტალინმა საქართველოს შეუქმნა იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ ფარგლებში. საქართველოს, თავისი პოტენციალიდან გამომდინარე, ზემოდან ხელშეწყობით განვითარების საშუალება გაუჩნდა და ეს ხორციელდებოდა ეკონომიკურ-ინდუსტრიული აღმშენებლობით, ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებით, დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებითა და განათლება-მეცნიერებისა და კულტურის არნახული აღმავლობით.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია ვეძებით თუნდაც ანალოგიური განვითარების პირობებს, მაგრამ ჯერ ვერ მიგვიგნია, რაზეც მეტყველებს ჩვენი კატასტროფული პოლიტიკურ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო მდგომარეობა.

ამიტომ ი. სტალინის გინება კი არ არის საქმე, არამედ ქვეყნისათვის სასიკეთო შედეგის მომტანი პრობლემების გადაჭრის კეთებაა საქმე, რაც ბოლო 25 წელია არ ჩანს და დარწმუნებული ვარ არც გამოჩნდება, სანამ არსებული მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს არ გავაანალიზებთ, თავს არ დავანებებთ სხვების გინებას (მათ შორის სტალინის), არ უარვყოფთ ქვეყნისათვის დამღუპველ მარიონეტულ პოლიტიკას.

ახლა მინდა გადავიდე იოსებ სტალინის ფენომენის ეროვნულ ხასიათზე. ის რომ სტალინი ქართული სუფრისა და სტუმარმასპინძლობის ტრადიციების მიმდევარი იყო ამას ამტკიცებს უამრავი მოგონება და რეალური ფაქტები, რომელთა შესახებ მოგვითხრობენ ისინი, ვისაც სტალინთან გარკვეული საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. თუ მოვიშველიებთ ამერიკული მწერლის საიმონ სებაგ მონტეფიორეს 900 გვერდიან ნაშრომს „სტალინი – წითელი მეფის კარი“, სტალინი ამ მხრივ თავიდან ტერფამდე ნამდვილი ქართველი გახლდათ. ის ჩერჩილსაც და რუზველტსაც კი სადლეგრძელოების რიტუალებით უმასპინძლდებოდა, რაც მასზე მეტყველებს, რომ სტალინი ეთნოფსიქიკურად სუფთა სისხლის ქართველი იყო და მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ სუფრას ურთიერთობას პოლიტიკურ თამაშებში მოხერხებულად იყენებდა. მონტეფიორეს მიხედვით სტალინი ძალზე განათლებული პიროვნება გახლდათ და ამ კუთხით დასავლეთის სახელმწიფოების ლიდერებზე გაცილებით მაღლა იდგა.

ამავე დროს, მიუხედევად სტალინის უდიდესი სახელმწიფოებრივი ტვირთისა და მოუცლელობისა, ის მაინც ახერხებდა გამოენახა შესაბამისი დრო, რომ საქართველოს ნინაშე არსებულ პრობლემებში ღრმად გარკვეულიყო და მათ გადაჭრაში უშუალოდ მიეღო ნაყოფიერი მონაწილეობა. ამის შესახებ თავის მოგონებების წიგნში „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები“ საკმაოდ ვრცლად წერს ბატონი კანდიდ ჩარკვიანი, რომელიც ბელადის მმართველობისას გარკვეულ პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცეკვას პირველი მდივანი იყო (1938 — 1952 წწ). ის აღნიშნავს, რომ თბილისში მეტროს გაყვანა, რომელიც მაშინ (დღესაც) არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოში თითებზე ჩამოსათვლელ მილიონზე მეტი მოსახლეობის დიდ ქალაქებში ფუნქციონირებს და სტალინის მხარდაჭერით განხორციელდა და მიუხედავად მეორე მსოფლიო ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის უმძიმესი პერიოდისა, მაინც გამოინახა თანხები, რომ ამ საშვილიშვილო მამულიშვილურ საქმეს საფუძველი ჩაყროდა და დაწყებულიყო.

ასეთივე უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი სტალინს ქართული მეტალურგიის, ქიმიური, საავიაციო, მანქანათმშენებლობის, სამთო და სოფლის მეურნეობის დარგების შექმნა-განვითარებაში, რომლის შედეგადაც საქართველო ერთ სულ მოსახლეზე შიდა პროდუქტის რაოდენობით მსოფლიოს მონინავე ქვეყნების გვერდით იდგა.

სტალინის მმართველობის ხანაში სამამულო ომის დაწყების წინ ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელშიც 70-მდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ფუნქციონირებდა და მსოფლიო მნიშვნელობის გამოკვლევები ხორციელდებოდა. ასევე ფუნქციონირებდა 19 უმაღლესი სასწავლებელი და ამ კუთხით საქართველოს უმაღლეს დამთავრებულთა რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა. უდიდეს სიმაღლეებს მიაღწია ქართულმა მათემატიკურმა ფიზიოლოგიურმა, ასტრონომიულმა, ენათმეცნიერულმა და სხვა სკოლებმა. აყვავდა ქართული მწერლობა, თეატრი, კულტურა, ხელოვნება, სპორტი და სხვა.

ცნობილია, რომ ქართული ეროვნული განძის საქართველოში ჩამოტანა (ის ხომ მენშევიკურმა მთავრობამ წაიღო საფრანგეთში და დიდი ნაწილი დაიკარგა) სტალინის უშუალო მზრუნველობით განხორციელდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში გატანილი ქართული ისტორიული რელიქვიები უშუალოდ სტალინის ძალისხმვევით იქნა გადმოტანილი ქართულ მუზეუმებში ჯერ კიდევ 1922 წელს.

იოსებ სტალინის ქართული შემოქმედებითი სულიერება ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაწერილ მის ლექსებშიც ცხადად ვლინდება. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ლექსში დილა, რომელიც ერთ დროს ქართულად დედა ენის კურსსაც კი ამშვენებდა და მასზე ქართული პატრიოტული სულით გამდიდრებული თაობები იზრდებოდა. მსგავსი სულისკვეთებაა რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილ ლექსშიც – „თავად რაფიელ ერისთავს“. იმ დროისათვის სტალინის შეგნებაში თავადური წარმოშობა, თავისთავად დანაშაული არ არის. ერის სამსახური, მისთვის ზეციური პირვენების მისია და ასეთი სამსახური ახალგაზრდა ჯულაშვილის აზრით „ციურ ძეგლს“ იმსახურებს და ის თავის თავს რაფიელის მემკვიდრედაც კი მიიჩნევს.

განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „შხამით აღსავსე ფიალა“. ამ ლექსში ახალგაზრდა სტალინმა თითქოს თავისი მომავალი იწინასწარმეტყველა. აქ პრძენი მეფანდურე დადის კარის-კარ და ხალხს სიმართლესა და სიყვარულს უქადაგებს. მაგრამ დაუფასეს კი საბოლოოდ ჭეშმარიტება:

„მაგრამ დიდების მაგიერ, სად ჩანგმა გაიწერიალა,  
განდევნილს ბრძომ იქ დაუდგა შხამით აღვსილი ფიალა.  
და უთხრეს: „შესვი წყეულო, ეგ არის შენი ხვედრიო!  
არ გვინდა შენი სიმართლე, არც ეგ ციური ხმებიო!“

საოცარია არა. სტალინსაც ხომ ასე მოეპყრნენ მისი აღზრდილები და თანაპარტიელები (ნ. ხრუშჩოვი, ნ. ბულგანინი, გ. მალენკოვი, გ. უკვოვი და სხვ.), მაგრამ ეს სხვა თემაა.

სტალინს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ქართული მწერლობისადმი და საერთოდ ხელოვნებისადმი.

1936 წელს კრემლის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ მოსკოვში ქართული კულტურის დღეები გამართულიყო. მთავარი მიზანი – მთელ ქვეყნას უნდა გაეგო, როგორი დიდი შემოქმედების სამშობლო ჰქონდა დიდ ბელადს. მაშინ საქართველოს უმაღლესი პარტიული პოსტი ლავრენტი ბერიას ეკავა. დაინყო მზადება და იანვრის პირველ რიცხვებში ხელოვანთა მთელი არმია მოსკოვის გზას გაუდგა. თუ როგორი წარმატებით ჩატარდა დედაქალაქში ქართული კულტურის დღეები ამას შეხსენებაც არ უნდა, მაგრამ რამდენიმე ცნობილ ამბავს დეკადის ისტორიიდან მაინც აღვნიშნავ.

პირველი კონცერტი მოსკოვის დიდ თეატრში გაიმართა, რომელსაც რა თქმა უნდა სტალინიც ესწრებოდა. მომღერალთა გუნდმა ბელადის საყვარელი სიმღერები შეასრულა. მოცეკვავეებმა ცეცხლი დაანთეს. მთელი დარბაზი „ვაშას“ ძახილით იყო დაკავებული. ამ კონცერტზე ერთი კურიოზი მომხდარა. რომელიც სტალინის ჭუამახვილობაზე ლაპარაკობს. ვიდრე მოსკოვში გაემგზავრებოდნენ, თბილისში გენერალური რეპეტიცია ჩატარდა, რომელსაც ცხადია ბერია დაესწრო. სცენაზე ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ულამაზეს ქალბატონს სტალინის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ პირველ გამომსვლელთა სია წაუკითხავს, რომელსაც ბელადისადმი მიძღვნილი სიმღერა უნდა ემღერათ. ამ სიაში პირველები იყვნენ დები შუშიაშვილები. და, აი, სცენაზე ქართულ კაბებში და ჩიხტიკოპებში გამოწყობილი ქალთა ანსამბლიც გამჩნდა. სილამაზის მოტრფიალე ბერიას დები შუშიაშვილები გარეგნობით არ მოსწონებია.

ორგანიზატორებს უმართლებიათ, რა ვქნათ, ამათზე კარგად დღეს ვერავინ მღერისო.

ბერიას სასწრაფოდ გამოუძებნია ცხრა ულამაზესი ქალბატონი, მათ შეასწავლეს სიმღერის ტექსტი, ჩონგურზე სიმების ჩამოკვრა და მოსკოვში გაამგზავრეს. ვერავინ ხვდებოდა რა ჰქონდა ლავრენტის ჩაფიქრებული.

დაინტენტ ქართული კულტურის დღეები. დარბაზში საპატიო ადგილზე სხედან სტალინი და კრემლის სხვა მესვეურები. აიხადა ფარდა და ბელადის წინ უმშვენიერესი ქართველი ქალები წარდგნენ. პოლიტბიუროს წევრები გაოცებასა და აღფრთოვანებას ვერ მაღავენ. სცენის შუაგულში დგას ქართული ჭირნახულით დახუნძლული დიდ ქვევრშემოდგმული ურემო. თურმე იმ ქვევრში დები შუშხიაშვილები სხედან, შიგნით შეყვანილია მიკროფონი, ისინი მღერიან, სცენაზე კი პირს აღებენ ულამაზესი ქალები. დასრულდა სიმღერა, ატყდა ტაში. კონცერტის დასრულების შემდეგ სტალინს უთქვამს ბერიასთვის – ძალიან მომენტონა ამ დების სიმღერა და დღეს კრემლში გამართულ ბანკეტზე ვამღეროთო. მაშინ კი დაიბნა თურმე ყველაფრის მომხერხებელი და ურთულესი სიტუაციიდან გამოსვლის დიდოსტატი **ლ. ბერია**. იფიქრა ამოდენა ქვევრს კრემლში ვინ შემატანინებში. ფერი დაუკარგავს და ხმას ვერ იღებდა. სტალინი მობრუნებულა, მხარზე დაურტყამს ხელი და მშვიდად უთქვამს – ნუ ნერვიულობ ლავრენტი, ქვევრი უკვე კრემლშიაო. ასე ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა კავშირში ფონოგრამას. ერთი სიტყვით ქართული კულტურის დღეები მოსკოვში დიდი ტრიუმფით დასრულდა.

ცალკე საუბრის თემა ვეფხისტყაოსნის ყველაზე სრულყოფილი რუსული, შალვა ნუცუბიძისეული, თარგმანის გამოცემის საკითხი და სტალინის როლი ამ უაღრესად დიდი ქართული საქმის ფრთაშესხმაში. ამაზე ბევრი დაწერილია და აღარც კი გავიმეორებთ. ერთი კი ცხადია, რომ არა ი. სტალინი, არც ასეთი თარგმანი გამოიცემოდა და გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის 700 წლის იუბილეც არ გაიმართებოდა ისეთ გრანდიოზულ მასშტაბებში.

სამწუხაროა, რომ ყველამ არ იცის სტალინის დამოკიდებულება საქართველოს წარსულისა და მომავლისადმი, მისი ღრმა ხედვა საქართველოს ისტორიის საკითხებში. ამასთან დაკავშირებით მოვიყვან 1945 წლის ოქტომბერში საქართველოს მაშინდელ პირველ ხელმძღვანელთან კ. ჩარკვიანთან, აკადემიკოსებთან სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილთან და ქართული კარდიოლოგიური სკოლის ფუძემდებელ მიხეილ წინამძღვიშვილთან. ეს უკანასკნელი სტალინის კლასელი იყო და სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ, ბელადის თანხმობითა და დახმარებით შეიქმნა კარდიოლოგიის ინსტიტუტი – მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი ასეთი დიდი კლინიკა.

ხსენებული შეხვედრის ჩანაწერები ჩარკვიანისა და ბერძენიშვილის დღიურებმა შემოგვინახა. ისინი დაიბეჭდა კიდეც და საზოგადოებისათვის ცნობილია, მაგრამ ზოგიერთი ეპიზოდის წარმოდგენა მაინც საჭიროდ ჩავთვალე.

როგორც კ. ჩარკვიანი იხსენებს: „დღის 12 საათისათვის უკვე სტალინთან ვიყავით სოჭის აგარაკზე. მან ჩვენ სამს (ჩარკვიანი, ჯანაშია, ბერძენიშვილი) გულთბილად ჩამოგვართვა ხელი, წინამძღვრიშვილი კი, როგორც დიდი ხნის უნახავი მეგობარი მკერდზე მიიკრა და მაგრად გადაკოცნა. ჩვეულებისამებრ სტალინი მაშინვე საქმეზე გადავიდა... მასთან ერთი კვირა დავრჩით. მთელი ამ ხნის განმავლობაში საუბარი ისტორიის გარშემო ტრიალებდა. იგი ეხებოდა საქართველოს, კავკასიისა და წინა აზიის ხალხთა უძველეს წარსულს, მსოფლიო ისტორიის ცალკეულ ეტაპებს. სტალინის, როგორც ისტორიკოსის მიმართ, აღფრთოვანების გრძნობა თავისებურად გამოხატა ჩვენი შეხვედრის ყველაზე მდუმარე მონაწილემ, აკადემიკოსმა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა. როცა ერთ-ერთი საუბრის შემდეგ სასადილოდან გამოვედით ბერძენიშვილმა პათეტიკურად წამოიძახა: „რა ერუდიცია აქვს, რა ზღვა ცოდნა! საწინააღმდეგოს უმტკიცებ, საბუთები მოგყავს, ვფიქრობ დაარწმუნე. ის მოთმინებით გისმენს, მაგრამ შემდეგ თავისი ბასრი ლოგიკით მოგწვდება და პირდაპირ თავს გაგავდებინებს“. სტალინი მტკიცებ იცავდა აზრს, რომ ქართული ტომები წარმოიშვნენ ხეთებისა და სუბარებისაგან – მონათესავე ხალხებისაგან, რომელთაც ჯერ კიდევ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში, წინა აზიაში შექმნეს მძლავრი სახელმწიფოები და მაღალი კულტურა. ამ შეხვედრაზე სტალინს უთქვამს: „უეჭველია, მეცნიერები რომ ეტრუსკულ (იტალიის პირველადი მოსახლეობა) ეპიგრაფიკას ქართული ენო-

ბრივი ფაქტებიდან მიღებოდნენ, იგი მათ დიდი ხნის გაშიფრული ექნებოდათ. იგივე ითქმის ხე-თურ იეროგლიფებზე და ალბათ, ლურსმულ წარწერებზეც, რომელიც თითქმის ამოიკითხეს, მა-გრამ ჯერ კიდევ ბევრ შეუცნობსა და გაუგებარს შეიცავს“.

ეს თემა უფრო ვრცლადა მოცემული ნიკო ბერძენიშვილის დღიურებში: „ჩვენი წიგნი (ი. ჯა-ვახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის ქართველი ერის ისტორია) წინ უდევს, გადამლის, არ აკმაყოფილებს დასაწყისი თავი. მეტ გაბედულებასა და გარკვეულობას სცნობს საჭიროდ ქართველთა მონათესავობა – წარმოშობილობა იგივეობის შესახებ წინა აზის უძველეს კულ-ტურულ ხალხებთან: შუმერ-სუბარ-ურარტულებთან. კართაგენი („კართაშენი“) არ მიაჩნია ეპრაელთა მონათესავეებად.... ასევეა ლიბიელები, ბასკები, ეტრუსკები, პელაზგები. „ბერძენი გვიან მოვიდნენ პელაზგების სამკვიდროზე. ეგვიპტელები მათ ავარებს, „რაზბონიკებს“ უწო-დებდნენ... ყველაფერი ეს შესწავლილია თითქოს. მეტი გაბედულობაა საჭირო აღმოსავლეთის ისტორიის შესასწავლად თქვენ უკეთესი პირობები გაქვთ, ვიდრე დასავლეთ ევროპელებს. ზედმეტი რიდი გაქვთ ევროპელთა მოსაზრებების მიმართ. სომხებმა გვიან, ალბათ მეჯო-გებმა, დაიჭირეს ურარტუ, იქედან მოსახლეობის ნაწილი გამოაძევეს ან მათ შეერივნენ და გაასომხეს. მისი აზრი ნათელია: სომებთა მოსვლამდე ურარტუში ქართველთა მონათესავე მაღალი კულტურის ხალხი ცხოვრობდა. ურარტუს სომხურ თეორიას საფუძველი არ გააჩნია. სომხები ინდოევროპული ენის ოჯახის ხალხია – ქართველებში აღრეული. ამხანაგ სტალი-ნის „გრუზინი“ უფრო ფართე ცნების შემცველია, ვიდრე ჩვენ გვესმის, უფრო გაცილებით ფართე, ვიდრე ქართ-ზან-სვანების მომცველი. ტერმინი ქართველი უნდა გაფართოვდეს, ეს აუცილებელია, როგორც ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისით, ისე ადრინდელი ისტო-რიული საქართველოს პოლიტიკის თვალსაზრისითაც. ეკითხება სიმონს: „შეიძლება ვიხმაროთ ხეთურ-ქართული ხალხთა ჯგუფი“.

XVIII – XIX საუკუნეების საქართველოს არჩევანზე სტალინი ასე მსჯელობდა: „საქართ-ველოს ფეოდალურმა და რთულმა საგარეო პირობებმა მოუღეს ბოლო. ირანი და ოსმალეთი ყოვლად მიუღებელი იყვნენ: ირანის ხელქვეშ საქართველოს ფერეიდნელობა ელოდა, ხოლო ოსმალეთის ქვეშემრდომობაში ტურეჩინა. რუსეთი მართალია, ბოროტება იყო, მაგრამ იმ ის-ტორიულ პირობებში – უმცირესი“. და აი, ამის შემდეგ სტალინი ამბობს სიტყვებს, რომლებიც მის მოწინააღმდეგე ლიბერალ-დემოკრატებს უკანასკნელ ნიადაგს აცლის ფეხქვეშ: „სწორედ მიმაჩნია ჩემი ფორმულა, რომ საქართველო ევროპული ქვეყანა იყო და რომ იგი კვლავ დაუბრუნ-და ევროპული განვითარების გზას“.

მოდით კარგად გავერკვეთ ამ ნათქვამში: სტალინს მიაჩნდა, რომ წინააზიურმა ცივილიზაციის აკვანმა მოგვიანებით ევროპაში გადაინაცვლა, ხოლო იმ აკვანში გაზრდილი საქართველო მარტო დარჩა აზიაში. აი, ამ თვალსაზრისით იყო საქართველო ევროპული ქვეყანა, რომელიც ბოლოს კინაღამ აითქვიფა ნეოაზიურ გარემოში. იგი მძიმე - მძიმედ, დიდი ოფლისა და სისხლის ფასად მიიქცა უძველესი მშობლიური ანუ ახალი ევროპული ცივილიზაციისაკენ. მაგრამ ასეთ შემთხ-ვევაშიც სტალინს კაპიტალისტური ევროპა კი არ ჰქონდა მხედველობაში, არამედ სულიერ - კულ-ტურული ფასეულობების, ჰუმანისტების ევროპა. მისთვის ჰუმანური, განათლებული რუსეთი, საქართველო, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი და ა.შ., დიახაც ნამდვილ ევროპას წარმოადგენდა. მით უმეტეს, რომ პროტოქართველური ტომები (პელაზგები, იბერები, ეტრუსკები) მიაჩნდა ევრო-პის უძველესი ცივილიზაციის მესაძირკვლებად. სტალინის ქართულ თვით შეგნებას, ანუ იდენ-ტობას, აქ საზღვარი არა აქვს. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის, როგორც ისტორიკოსის დასკვნა სტალინის შესახებ ასეთია: „ის განუხრელად ქართველი პატრიოტია“.

ისევ კ. ჩარკვიანის მოგონებებს დავუბრუნდეთ: „ოსმალეთის საქართველო ჩანს ღრმად სტ-კივა. რუქაზე ეძებს იშხანს. სურათი ვაჩვენეთ... აქ სიტყვაძუნწობს. ათვალიერებს ექვთიმე თაყაიშვილის წიგნს „არქეოლოგიური ექსპედიცია თორთომის ხეობაში“. – და ამბობს: ეს ყველაფერი ახლა განადგურებული იქნება. ეს ყველაფერი მასზე მიგვანიშნებს, რომ სტალინი უკვე მაშინ ფიქრობდა ტაო-კლარჯეთის დაბრუნებაზე და საამისოდ მეცნიერულ საფუძვლებს ამზადებდა. იგივე ითქმის ჰერეთზეც: „სწუხს ზაქათალას შესახებ. ამტყუნებს სერგო ორჯონი-

**კიძეს**, ეროვნული საკითხებისადმი კომისომოლური მიდგომის შედეგია, ბორჩალის გადაცემაც სურდა სომხებისთვის". ამის შესახებ კანდიდ ნესტორის ძე წერს: 1945 წელს, როცა საქართველოს ქლუხორის უზარმაზარი ტერიტორია გადმოუცა, საინგილოს გადმოცემის საკითხიც დავაყენე სტალინთან. სწორედ იმ ხანებში ირანის აზერბაიჯანში ფართო მასშტაბი მიიღო მოძრაობამ საბჭოთა აზერბაიჯანთან შეერთებისათვის. „ვნახოთ საქმე როგორ დამთავრდება, თქვა სტალინმა, თუ სამხრეთ აზერბაიჯანი შემოგვიერთდა საინგილოს საკითხიც მოგვარდება“.

სტალინს ადანაშაულებენ სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბების ხელშეწყობაში. სინამდვილეში ასეთი სურათი გვქონდა. შიდა ქართლის ამ უძველეს ტერიტორიაზე ოსების ერთი მცირე ჯგუფი ჯერ კიდევ VI საუკუნის ბოლოს გამოჩნდა. გვიან შუა საუკუნეებში კი მომთაბარე მწყემსებმა ბარში ცხოვრების გემო რომ გაიგეს, ჯერ ლიახვის ზედა წელში დაიწყეს კომპაქტური დასახლება, ხოლო შემდგომში ქართველთა დოყლაპიობით და რუსთა მხარდაჭერით უფრო დაბლაც ჩამოინაცვლეს. **ლენინი, ტროცკი** და პოლიტიკიუროს სხვა წევრები ლიახვისა და ფრონქს აუზების ზედა მონაკვეთების ჩრდილო ოსეთთან შეერთებასა და ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შეკონინებას აპირებდნენ. ამის წინააღმდეგ სწორედ სტალინი წავიდა, რის სანანაცვლოდაც ამ ტერიტორიას ავტონომიური ოლქის სტატუსი მიენიჭა (იხ. აკად. გ. ბერძენიშვილის წერილი. უურნ. „ისტორიული მემკვიდრეობა“, 2010 წ. თუ ავიღებთ 1945–1956 წწ საქართველოს რუკას, იქ საქართველოშია მოქცეული ერთ მხარეს თებერდა და მდინარე ყუბანის სათავეები ქლუხორის უღელტეხილის გადაღმა, ხოლო მეორე მხარეს – ჯარიახის ხეობა, არღუნის ხეობის მითხო – მაისტის რაიონები – კავკასიონის მთავარ ქედს გადაღმა. ეს ტერიტორიები ერთად თითქმის ორი საინგილოს ტოლია ფართობით.

ცალკე უნდა ითქვას კასპიისპირეთის ანუ იგივე ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე. მართალია, ნოღაის სტეპებს ადრეც იყენებდა ქართლის სამეფო, მაგრამ XIX საუკუნის **გიორგი ყაზბეგის** ხმლით მოუწია ამ ტერიტორიის დაცვა. სტალინმა ეს სადაცო საკითხი საქართველოს სასარგებლოდ გადაჭრა. იგი იჯარით გადმოეცა საქართველოს და ეს იჯარა 1955 წლამდე გაგრძელდა. ეს ტერიტორია გაცილებით მეტი იყო ზაქათალის ოლქზე და იქ მილიონზე მეტი ცხვარი იზამთრებდა ყაზბეგის, ღუშეთისა და თიანეთის რაიონებიდან. გარდა ამისა სტალინის ხელშეწყობით გაგრის რაიონის ორი სოფელი განთიადი და ლესელიძე (გაგრის ქედიდან მდინარე ფსოუმდე) და მიმდებარე ტერიტორიები კავკასიონის ქედამდე ასევე საქართველოს, კერძოდ აფხაზეთის, მაშინ უკვე ავტონომიური რესპუბლიკის, შემადგენლობაში მოექცა.

რასაკვირველია იყო მცდელობა ტაო-კლარჯეთის დაბრუნებისა, მაგრამ ამ ძალზე პრობლემურ საკითხში ჩაერია თურქეთის მოკავშირე დასავლეთი და სტალინი იძულებული გახდა უკან დაეხია. მიუხედავად ამისა საქართველო სტალინის მმართველობის ბოლო ათწლეულში ტერიტორით გაცილებით უფრო დიდი იყო დღევანდელთან შედარებით.

ძალზე საინტერესოა **კანდიდ ჩარკვიანის** მიერ 1949 წლის დეკემბერში სტალინისადმი გაგზავნილი წერილი. სწორედ ამის შემდეგ შედგა ი. სტალინისა და არნოლდ ჩიქობავას შეხვედრა მოსკოვში, რომლის შემდეგაც კვლავ გამოღვიძება დაიწყო ისტორიულ-შედარებითმა ენათმეცნიერებამ, რომელიც მანამდე ბუჟუაზიულ ენათმეცნიერებად მიიჩნეოდა და საქართველოში აკადემიკოს ა. ჩიქობავას ხელმძღვანელობით აღორძინდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება.

რაოდენ სამწეხაროა, რომ დღევანდელ ეპოქაში, როცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონეა, განადგურდა უძველესი არქეტიპი საყდრისის ოქროს მაღაროების სახით და ამ ბარბაროსობის შემდეგ ლიბერალისტური პოლიტიკური ელიტა თავს უფლებას აძლევს სტალინი ანტიეროვნულ მოღვაწედ მონათლოს.

სტალინის ფენომენი ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ ასპექტებთან ერთად იმ კუთხითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მისი მოღვაწეობისადმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულება რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობების განსაზღვრაში ერთ-ერთ წონად ფაქტორს წარმოადგენს, მითუმეტეს ახლა, როცა რუსული საზოგადოების უმეტესობა ეკლესიის ჩათვლით, სტალინს მიიჩნევს უდიდეს ისტორიულ პოლიტიკურ მოღვაწედ,

რომელსაც უკავშირებს საბჭოთა კავშირისა და მისი მთავარი შემადგენელი ნაწილის რუსეთის სახელმწიფოს არნახულ სიძლიერესა და წარმატებებს.

ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტალინის მიმართ დადებითი შეფასებები მისი სიკვდილის შემდგომ საბჭოთა კავშირის ჯერ დეგრადაციის, შემდგომ დაშლისა და ამავდროულად, მისი მთავარი მემკვიდრის, რუსეთის სახელმწიფოებრიობის დასუსტების ფონზე რუს ხალხში სულ უფრო იზრდება. ხატოვნად რომ ვთქვათ, სტალინი რუსებისთვის იგივე გახდა, რაც ქართველებისათვის დავით ალმაშენებელი, ამერიკისათვის რუზელტი ან ეპრალებისათვის მოსე.

იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ რეალურად სტალინის მმართველობის ქვეშ 30 წელი იმყოფებოდა საქართველო, ანუ ეს დრო ჩვენი ისტორიის ნაწილიც არის, ხოლო ისტორიის პირუთვნილი შეფასებაა საჭირო და არა კონიუქტურული პოლიტიკური მოსაზრებით მთელი ისტორიული ეპოქის გინება და აუგად ხსენება.

ამგვარ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიც საქართველო იმყოფება, სტალინის უარგუმენტოდ ახირებული კრიტიკა და შეურაცყოფა, რომელსაც იდეოლოგიური დემაგოგია უდევს საფუძვლად, ემსახურება რუსება და ქართველებს შორის დაძაბულობის კიდევ უფრო გამწვავებას, რასაც კატასტროფული შედეგები მოაქვს საქართველოსთვის.

ასეთივე კატეგორიას მიეკუთვნება მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის როლისადმი დამამცირებელი დამოკიდებულება და მისი ლამის ფაშისტურ გერმანიასთან, ხოლო სტალინის პიტლერთან გაიგივება, როცა რუსეთი (და სხვა ერები, მათ შორის ქართველთა დიდი ნაწილი) ამ ომს წმინდათა წმინდა დიდ სამამულო ომს უწოდებს. წარმოიდგინეთ, რა დამოკიდებულება ექნება რუსეთის ხელმძღვანელობას იმ პატარა და სუსტი სახელმწიფოს მიმართ, რომლის პოლიტიკური ელიტა შეურაცყოფს მათ აღიარებულ უდიდეს ისტორიულ პოლიტიკურ მოღვაწესა და ფაქტიურად მსოფლიოს ფაშიზმისაგან განმათავისუფლებელს სტალინის სახით.

სტალინი, თუ მის მოღვაწეობას სამართლიანად განვსაჯოთ, იყო უდიდესი პრაგმატიკოსი ანუ შედეგზე ორიენტირებული მსოფლმხედველობის მქონე პოლიტიკოსი, რაც ზოგიერთს მორალურად მიუღებლად მიაჩნია. მაგრამ თუ გამოვალთ მაშინდელი ეპოქის რეალიებიდან, როცა მსოფლიო კოლონიური და ფაშისტური იმპერიების დროებაში ცხოვრობდა და მათ საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც მისი იდეოლოგიური მტრის განადგურება უპირველეს ამოცანად ჰქონდათ დასახული, მაშინ სტალინის ზოგჯერ უმქაცრესი მოქმედების ახნას და გაგება შესაძლებელია. მისი ისტორიული მისია იყო სოციალური ფორმაციის მქონე სახელმწიფოს გადარჩენა და საბოლოო ჯამში სოციალიზმის, როგორც კაცობრიობის უკეთესი მომავლის რაც მას შინაგანად ღრმად სწამდა, მთელ მსოფლიოში გავრცელება.

გამოჩენილ ავსტრიელ მწერალს **სტეფან ცვაიგს** ეკუთვნის ორი ბრძნული გამონათქვამი: „იყო უდიდესი, ნიშნავს მისცე მიმართულება“ და „სოფელი სახელს ითქვამს მაშინ, თუ იქ დიდი ადამიანი დაიბადებაო“. ორივე ეს გამონათქვამი იოსებ სტალინის ფერმენს საუკეთესოდ მიესადაგება. სტალინმა მთელი თავისი მოღვაწეობით ნამდვილად მისცა მიმართულება კაცობრიობის განვითარებას და რაც უფრო კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდება მსოფლიო, მით უფრო მეტი მიუბრუნდება წარსულის იმ გამოცდილებას, რომელიც სტალინურ ხანას უკავშირდება. ამიტომ სტალინი არ ეკუთვნის მარტო წარსულს, ის მომავლის ისტორიის (მათ შორის საქართველოს) შექმნაშიც მონაწილეობს. სწორედ ამ აზრს გამოხატავს XX საუკუნის პოლიტიკოსთა და სამხედრო მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტულის საფრანგეთის გამოჩენილი შვილის გენერალ დე გოლის სიტყვები: სტალინი არ მომკვდარა, ის განზავდა მომავალშიო“.

რაც შეეხება ს. ცვაიგის მეორე შეგონებას, უნდა თუ არა ვინმეს, სტალინის ფენომენი თავისი ისტორიული მნიშვნელობით საქართველოსა და ქართველი ხალხის განუყოფელი ნაწილია, ხოლო ის დადებით თუ უარყოფით როლს შეასრულებს საქართველოს მომავლის ფორმირებაში, დამოკიდებულია თავად ქართველების ცნობიერების შესაძლებლობებზე, სწორ ორიენტაციაზე და კაცობრიობის თანამედროვე უმწვავესი პრობლემების სწორი ანალიზის უნარზე.

**ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი

## ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია და მათი ურთიერთობა ადგილობრივ მცხოვრებლებთან

დღეისათვის საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, ასევე ფართო სამეცნიერო წრეებში, იციან ვანის სიძველისა და მისი ისტორიის შესახებ, რაც ქართველ მეცნიერთა დიდი დამსახურებაა. სამი საუკუნის წინ ამ ბორცვზე, სადაც დღემდე ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები, მოვიდა და დასახლდა ლეჩებუმიდან გადმოხვენილი სამი კომლი ახვლედიანებისა, რომელებიც დროთა განმავლობაში გამრავლდნენ და მთლიანად დაიკავეს ეს ტერიტორია. მინის თუ სხვა სახის სამეურნეო სამუშაოებისას ეს ადამიანები პოლობდნენ ოქროს ნივთებს და ჩუმად ჰყიდდნენ ებრაელებში. გაზეთი „დროება“ აუწყებდა იმდროინდელ საზოგადოებას აქ აღმოჩენილი ნივთების შესახებ:

„ჩვენ მივიღეთ იმერეთიდამ უფ. სხვიტორელებისგან შემდეგი წერილი, რომლის შინაარსზედ ჩვენებურ არქეოლოგიურ საზოგადოების ყურადღებას მივაქცევთ. სოფელ საჩინოს არიან რამოდენიმე მოსახლე აზნაურნი, გვარად ახვლედიანები. ამ ახვლედიანებს და რამოდენიმე გლეხებს ეკუთვნის ეს გორა, რომელიც იქნება სივრცით 15 ქცევამდე“.

„ამ გორის ძირში დასახლდნენ სამი კომლი ახვლედიანები, როდესაც დაუწყეს თხრა სახლის ბალავერს ნახეს, რომ ამ გორას ჰქონია ძველად გალავანი გარშემო შემოყოლებული სულ წმინდა თლილი ქვითა და შემდეგში მინას დაუფარავას“.

... „ერთ ადგილას იპოვეს სასაფლაო ქვითკირით და შიგ ჯაჭვით დაბმული გვამი. ეს კაცი ნამდვილ ზღაპარ მოთხრობითი გმირი ყოფილა“.

... „პირველი საფლავის გახსნაზე ნამდვილად ჩანდა გმირის სიმაღლე და მოყვანილობა. საშინელი, საოცარი ჯაჭვი რგოლით კისერზე ეცვა და რკინის პალოზე მიბმული იყო ფეხით წვივის ძვალით, კოჭიდამ მუხლის კვირისტარამდე თითქოს ერთი ალაბი სიგრძე ჰქონდა, რამოდენიმე საათის შემდეგ როდესაც ჰქონდა დაჲკრა მტვრათ წავიდა, გაქრა, მხოლოდ დარჩა ჯაჭვი და ერთი კბილი. ის კბილი იშოვნა ახვლედიანების მებატონები ნიკო ჩიჯავაძემ, რომელიც შარშან გარდაიცვალა და ის საკვირველი კბილი ვის დარჩა არ ვიცით“.

... „ისე წვიმა არ მოვა, რომ ახვლედიანების კარებთან არ ჩამოიტანოს გორიდან ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძენკვი, ხან ბეჭედი, ხან რა და ხან რა ნივთეულები, მაგრამ ჩვენდა სამწესაროდ, რადგან ის გორა ეკუთვნის ბევრს და საზიარო არის, ამისათვის რაც არ უნდა იპოვონ ერთი მეორეს უმაღავს და ჩუმათ ყიდიან ვაჭრებში“.

... „ერთმა მათგანმა ოქროს ლანგარი გაყიდა იაფად ვაჭრებში ჩუმათ, ერთი კიდევ თეფში მრგვალი, ბადესავით მოქსოვილი ცხრილებიანი ოქროს ლანგარი გაეყიდათ და რისი მოსახმარი იყო ვერავინ გაიგო. ერთმა თ. ილ. იშოვნა მათგან ოქროში ჩამჯდარი ლალი, რომელზედაც არის მოჭრილი ქალის სახე“.

... „როგორც ჩანს, დიდი სიმდიდრე უნდა იყოს ამ გორაში, ვინ იცის რამდენი ისტორიის მასალები არის ნაპოვნი და პატრონების უცოდინარობის გამო დაკარგული“.

... „გთხოვთ მიაქციოთ მას ყურადღება, ეტყობა დიდი განძი უნდა იყოს ამ გორაში დამალული“. ასე აუწყებდა 1876 წელს გაზეთი „დროება“ მკითხველს.

საუკუნე ნახევარია უკვე, რაც ვანის არქეოლოგიურმა ძეგლებმა მხარეთმცოდნეთა და მკვლევართა დიდი ყურადღება მიიქცია. დროთა ვითარების შედეგად იზრდებოდა ვანის მიმართ არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობა და ინტერესი. დადგა ეს დროც, როდესაც აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი მოევლინა ვანს, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს დაზვერვითი ჭრილების მონაცემების შედეგად მოპოვებული მასალების ანალიზით საბოლოოდ განსაზღვრა ვანის ნაქალაქარის ასაკი.

ამრიგად, ექვთიმე თაყაიშვილი იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც პირველი პუბლიკაცია მიუძღვნა ვანს და იწინასწარმეტყველა ვანის დიდი მომავალი.

ჩვენ, ამჟამად, ვცდილობთ არქეოლოგიური კვლევების პარალელურად დავაზუსტოთ ახ-ვლედიანების გორაზე მცხოვრები მოსახლეობის ურთიერთობის ზოგიერთი დეტალი, რომელიც შთამბეჭდავია და იძლევა სანიმუშო მაგალითს რიგითი ადამიანების დამოკიდებულებისა საქმიანი სამეცნიერო წრის წარმომადგენლებისადმი, ხოლო რაც შეეხება აქ მცხოვრებ ახვლედიანებს – მათ ვანის მიწაზე ჩამოსახლებასა და გენეალოგიაზე საუბარი გვქონდა კრებულ „მატიანეს“ №5 ნომერში.

როგორც ითქვა აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად ჩამოვიდა ვანში. საინტერესოა თუ ვინ მუშაობდა ადგილობრივი მცხოვრებლებიდან მასთან ერთად. როგორც თვით მეცნიერი აღწერს – „ბორცვზე, რომლის სიგრძე სამი ვერსი იქნება, სახლობენ ათი კომლი აზნაური ახვლედიანები და გორაკი დაყოფილი ჰქონიათ ეზოებად“. მისივე აღწერით გორაკი ძველად მთლიანად სწრია ქალაქს, აქედან აქ მხოლოდ ეკლესიის ნაშთები უნახავთ, რომელიც მისივე აზრით ადრეფეოდალური ხანითაა და-თარიღებული. აქვე უპოვიათ ქვის პატარა ნაწილი, რომელზეც ეკლესიის მშენებელი ყოფილა შვილითურთ გამოსახული. დღეისათვის ქვის ეს სვეტი დაცულია ოთარ ლორთქიფანიძის სახ-ელობის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში.

ახვლედიანთა გადმოცემით აღნიშნული ტერიტორია იმ დროისათვის არჩილ ახვლედიანის კუთვნილება ყოფილა. ის ცოტა მოგვიანებით, ოჯახური წილიდან მისივე შვილის ივანე ახვლედიანის კუთვნილებაშია მიღებული, თუმცა ამის შესახებ მეცნიერი არაფერს წერს.

ექვთიმე თაყაიშვილი იუწყება აგრეთვე იმ შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის შესახებ, რომელიც პროკოფი ახვლედიანის ეზოში დაახლოებით 1880 წელს უპოვიათ, სადაც აკადემიკოსის აღწერით გამოჩენილა ძველი სასაფლაო, მარმარილოს პატარა კუბოთი, შიგ ყოფილა ოქროს ჯოხი (კვერთხი) გველის მსგავსი თავით, ოქროს ბადე, სამაჯურები, საყურები, ბეჭედი და ოქროს შვიდი ფული. ყველა ეს ნივთი მნახელს ჩუმად გაუყიდია ებრაელებში, რადგან სხვა ახვლედიანები წილში არ გამოდავებოდნენ. ამ აღმოჩენის ჩამონათვალი ბატონ ექვთიმეს აქ მოსახლე ვინმე გლეხისაგან შეუტყვია. თუმცა, მისივე თქმით ცოტა გაზვიადებულად მოჩვენებია. ვინ იყო ეს გლეხი ან სად ცხოვრობდა, ამის შესახებ არაფერია გადმოცემული, მხოლოდ ამ საფლავის გათხრაში მიხმარებია პროკოფი ახვლედიანს. ბატონ ექვთიმეს ისიც შეუტყვია გლეხისგან, რომ ახვლედიანს შეშინებია საფლავისა და მუდმივი შიშისაგან შეპყრობილი მაღევე გარდაცვლილა. აქ აღმოჩენილი ნივთები კი მეცნიერთათვის სამუდამოდ დაიკარგა.

ხალხურმა თქმულებამ შემოგვინახა ცნობა პროკოფი ახვლედიანის ეზოში შემთხვევით აღმოჩენილი ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეების სამარხიდან ამოლებული ოქროს კვერთხის შესახებ. ამ სამარხზე ვინმე რომ არ გამოდავებოდა პროკოფის განუზრახავს აღმოჩენილი ოქროს კვერთხი, რუსეთის მაშინდელ იმპერატორ ნიკოლოზ მეორისათვის საჩუქრად გაეგზავნა. იმპერატორს საჩუქრის მიღებისთანავე გამოუგზავნია სამადლობელი წერილი პროკოფისათვის. ტექსტში მოთხრობილი ყოფილა შემდეგი: „მე რუსეთის იმპერატორი დიდ მადლობას მოვახსენებ ქართველ აზნაურ პროკოფი ახვლედიანს საჩუქრისათვის, რომელიც მართლა ძალზე ძვირფასია, სამაგიერო მე რა უნდა მოგიძლვნა აზნაურო, რომ გაგაკვირვო. მეფეთა მეფის მადლობა, ვფიქრობ, უფრო სასიამოვნო იქნება შენთვისო“.

როგორც აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს „ნაქალაქარის ბორცვი გაითხარა და გამოჩნდა ქრისტიანული ხანის პატარა ეკლესიის ნანგრევები, თლილი ქვისა“. თაღში ეკლესიას ჩატანებული ჰქონია პატარა ჭურები ხმის გასაძლიერებლად. სვეტების თავები, რომელნიც საქალებოს აერთებდნენ ჩუქურთმებიანები იყვნენ, მდარე ხელობისა, მაგრამ, როგორც ეტყობა უძველესი დროისა. გამოვაჩინეთ თუ არა ერთი ნაწილი ეკლესიისა, იძულებული შევიქმენით მუშაობა შეგვენყვიტა, ვინაიდან ნანგრევების მიყოლამ დაგვარნმუნა, რომ თუ კირილე ახვლედიანის სახლი არ იქნა აღებული, ისე ეკლესიის ნანგრევების მთლიანი გამოჩენა შეუძლებელია. მეცნიერის გადმოცემითა და აღწერით კირილე ახვლედიანი ცხოვრობდა და მოსახლეობდა

ნაქალაქარის ბორცვზე, რომლის სახლი და მუხა, მისივე აღწერით, ამ ეკლესიის კედელთან იყო გაშენებული, როგორც ჩანს, პროკოფი ახვლედიანის სახლის ზემოთ, სამხრეთით, იქ, სადაც შემდეგ ევგენი ახვლედიანი მის მეუღლესთან, ტასოსთან ერთად ცხოვრობდა. აქვე ესახლა კირილე ახვლედიანი, რომლის შთამომავლები არიან – პეტრე, კუკური, ოთარი, კიდევ მომავალი თაობა – ჯემალი, რეზო, ამირან ახვლედიანები, სადაც შემდეგში აქ, არქეოლოგიურ სამუშაოებს დარეჯან კაჭარავას ხელმძღვანელობით ნინო მათიაშვილი აწარმოებდა და გამოვლენილია ელინისტური ხანის არქიტექტურული ნაგებობანი, ხოლო ფეოდალური ხანის ეკლესიის ნაშთები ეტყობა სხვა ადგილას დასახელა მეცნიერმა.

დღევანდელი მონაცემებით დადასტურებულია, რომ ვანის ნაქალაქარზე, სადაც ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები, აქ მოსახლე ივანე ახვლედიანის ეზოს გარდა არ არის დაფიქსირებული ფეოდალური ხანის ძეგლი, რაც უტყუარ დასტურს გვაძლევს იმაზე, რომ ექვთიმე თაყაიშვილს შეცდომით უთხრეს სახელი – ივანე ახვლედიანის ნაცვლად მოხსენიებულია კირილე ახვლედიანი, რომელიც აქ მოსახლე ახვლედიანთა გადმოცემით ამბერკი და ევგენი ახვლედიანებს შორის მოსახლეობდა და არა იქ, სადაც ექვთიმე თაყაიშვილის აღწერაშია მოხსენიებული.

XX საუკუნის დამდეგიდან ახვლედიანები ინტენსიურად იყენებდნენ თავიანთ კუთვნილებაში არსებულ მიწის ფართობებს, მიწის დამუშავებისას კი მრავლად პოულობდნენ ოქროს ნივთებს. ეს ფაქტი საზოგადოებისთვისაც გახდა ცნობილი, რამაც დააჩქარა ვანში არქეოლოგიური ექსპედიციის მოვლინების აუცილებლობა. თუმცა, მანამდე მოსახლეობასთან დრო და დრო ჩამოდიოდნენ მხარეთმცოდნეები და მათგან იძენდნენ შემთხვევით ნაპოვნ იქროს ნივთებს. ისინი მოსახლეობას გაცილებით მეტს უხდიდნენ. ასეთმა მეთოდმა გაამართლა და საბოლოოდ მოუცარა ხელი ვანის სამარხებიდან მოპოვებულ იქროზე ჩალის ფასად მოვაჭრე ებრაელებს.

ამდენად, ვანში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. საცხოვრებელი ადგილის უქონლობის გამო, ექსპედიცია ქირით დაბინავდა მარიამ ახვლედიანის სახლში.

ვეცდებით წარმოვადგინოთ იმ ადამიანთა ჩამონათვალი, რომლებიც ექვთიმე თაყაიშვილის ვანში ჩამოსვლის დროიდან მოსახლეობდნენ ამ ბორცვზე. ესენია: პროკოფი ახვლედიანი, როსტომ ახვლედიანი, არჩილ ახვლედიანი, კირილე ახვლედიანი, რაჟდენ ახვლედიანი, ონისე ახვლედიანი, ვალიკო ახვლედიანი, ევგენი ახვლედიანი, მაშიკო ახვლედიანი, ჭაჭია ახვლედიანი, მელიტონ ახვლედიანი, სპირიდონ ახვლედიანი, პორფილე ახვლედიანი, ბიქტორ ახვლედიანი, ივანე ახვლედიანი, ლუკა ახვლედიანი, ფილიპე ახვლედიანი, სოლომონ ახვლედიანი, იონა ახვლედიანი, ეს ის ხალხია, ვის გამოც იმ გორას, სადაც ისინი ბინადრობდნენ ახვლედიანების გორა ეწოდა. გარდა ახვლედიანებისა ამ გორაზე სხვა გვართა წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ.

1967 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამუშაოების ჩატარება დაიწყო ჭაჭია ახვლედიანის ეზოს ნაწილში. ტერიტორია მოზომილი იქნა და შეფასებული. იმ ადგილას ჭაჭიას საქათმე ჰქონდა გამართული. ბატონი ოთარ ლორთქიფანიის ხელმძღვანელობით უბანზე მიმაგრებული იქნა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (შემდეგში დოქტორი) – რუსუდან ფუთურიძე. ის ამავე დროს ექსპედიციის ხელმძღვანელის მოვალეობასაც ასრულებდა. იმავე წელს საკმაოდ დიდი ტერიტორია იქნა გათხრილი. თანდათან გამოჩნდა საკურთხეველი, მოზაიკური იატაკი, კედლის სანგრევი ურნალი. უბანზე საჭირო შეიქნა ღამის მორიგეობა, რომელიც დაგვევალა მე და ჩემს ძმას ოლეგ გაბუნიას, როგორც აქ მომუშავე მუშებს. ღამით თოფით ვყარაულობდით სამარხს. ერთ დღეს მუშაობისას გამოიკვეთა ბრინჯაოს ფიგურები, დაიწყო მათი გაწმენდითი სამუშაოები, რომელსაც აწარმოებდნენ დარეჯან კაჭარავა, ნ. გიგოლაშვილი, ა. ჭყონია, ნ. მათიაშვილი, ომარ ლანჩავა. გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა ნიკეს ბრინჯაოს, ახალგაზრდა სატირის, პანისა და მენადების გამოსახულებები, ბოლოს კი – არწივები. ამ აღმოჩენას მთელი ექსპედიცია ადევნებდა თვალს. იქვე ახლოს ტრიალებდა ჭაჭია ახვლედიანიც. არწივების გამოჩენისთანავე ის ახლოს მივიდა იქ მყოფ ოთარ ლორთქიფანიესთან და უთხრა „ბატონო ოთარ, ომარია გაბუნიას ძალლს ვაპრალებდი აქამდე ქათმების ქურდობას და თურმე ვცდებოდი, აქ რამდენი არწივი შემოგვჩვევიაო“.

საინტერესო იყო აქ მცხოვრებ ახვლედიანთა მიდგომა ახალმშენებლობისადმი, ერთ მაგალითს მოვიყვან: შაქრო ახვლედიანი, რომელიც ჭაჭია ახვლედიანის ფუძეზე დარჩა, მამის სიკვდილამდე შეუდგა სახლის მშენებლობას, მან სახლის აშენების დაწყებამდე ბატონ ოთარს სთხოვა არქეოლოგიურად შეესწავლა ის ტერიტორია, რომელზეც სახლის მშენებლობა უნდა დაეწყოთ, რაზეც თანხმობა მიიღო. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ მან კაპიტალური სახლი ააშენა ჭაჭიას ხის სამზარეულოს ნაცვლად. შაქრო ახვლედიანი იყო ინიციატორი ახვლედიანების ვანში დასახლების 300 წლისათვის აღსანიშნავი ღონისძიების ჩატარებისა, რომელიც 1972 წელს შედგა. საზეიმო განწყობამ დაისადგურა შაქრო ახვლედიანის ახლადაშენებულ სახლსა და ეზოში. ორი დღის განმავლობაში ისმოდა სიმღერები და სადღეგრძელოები. ამ ამბავმა მიაღწია აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ყურამდე, რომლის მოპატიუებაც ჩანს მხედველობიდან გამოეპარათ ახვლედიანებს. ბატონ გიორგის უთქვამს, რომ „ნუთუ ჩემზე კარგად იცოდნენ მათ ახვლედიანების ისტორიაო“. ამ გამონათქვამში ნათლად ჩანდა აკადემიკოსის გულის ტკივილი.

ვანელ ახვლედიანთა ქალების სილამაზეზე ქართული ჟურნალი „საქართველოს ქალი“ წერდა „ახვლედიანების გორა თუ გაგიგონიათ ვანში? აქაა მისი დედულები. ხელგაშლილები იდგნენ აქაური გოგონები წვიმის მოლოდინში და როცა ვარდისფერ ხელისგულებზე წვეთები დაეცემოდათ, ერთს შეჰყვირებდნენ და გაიქცეოდნენ – ნინო, მარიამი, ნატაშა, ელენე, მინადორა, მაშიკო, პოკია. იცოდნენ წვიმის ნიაღვარს სამკაულები ჩამოჰყებოდა, რომლებსაც იკრომჭედლობის ნიმუშები რომ იყო, უბრალო ეგონათ. ამით დამშვენებულნი დედოფლებს გვანდნენ, ისედაც ლამაზები“. ასე ახასიათებდნენ აქაურ ახვლედიანთა გოგონებს, რომლებიც ახვლედიანების გორაზე იზრდებოდნენ და აქაურ ექსპედიციაში, საველე სამუშაოებში საქმიანობდნენ. მათი საქმიანობა ძირითადად ნაპოვნი ნივთების განმენდა იყო.

1969 წელს ცენტრალურ ტერასაზე, იქ სადაც ქსენია გიორგაძე ცხოვრობდა, იხსნება არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა. აღმოჩენილი იქნა ძვ. წ. V საუკუნისა და ძვ. წ. IV საუკუნის მეომრის სამარხები, ამ აღმოჩენამ კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი ვანის საგანძურისადმი.

სხვათა შორის ძალიან საინტერესო იყო ახვლედიანების გორაზე მცხოვრებ მეზობელთა ურთიერთდამოკიდებულებაც ექსპედიციის წევრებთან, გავისენებ ერთ ეპიზოდს: ვალიკო ახვლედიანს, რომლის ეზოშიც ფესვმაგარი მუხა იდგა, ძალიან უყვარდა ქეიფი. ის ხშირად სტუმრობდა მის მეზობელ მიხო სიმონეიშვილს. როდესაც ვალიკოს ღვინო მოერეოდა მიხო ეუბნებოდა „პორფილიჩ, მაჩუქე მუხა თუ შეელევიო“, ვალიკო არ აყოვნებდა და უმაღლ პასუხობდა „მიჩუქნია, მუხა შენია ამიერიდანო“. დილით ისევ ქეიფის სურვილით შეპყრობილი ვალიკო მიადგებოდა მუხას და განგებ ატეხდა ხველას, რათა იქვე მცხოვრებ მიხო სიმონიშვილს გაეგონა ხმა. მიხო ვალიკოს მისალმების შემდეგ ჰკითხავდა „ვისია ვალიკო მუხაო“, „ვისია და ჩემიო“ პასუხობდა ვალიკო. „აკი გუშინ მაჩუქე შე კაი კაცო“, „დამაყენე იმ ჭკუაზე გუშინ რომ ვიყავი და მუხა შენი იქნებაო“ პასუხობდა ვალიკო. ასე გადადიოდა ვალიკოს სამას წლიანი მუხა ერთი მფლობელიდან მეორის კუთვნილებაში.

როდესაც არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო ვალიკო ახვლედიანის ეზოში საფორტიფიკაციო ნაგებობები გამოჩენდა, კედლის სიმაღლემ ზოგან 6 მეტრს გადააჭარბა. ვალიკო სისტემატურად ადევნებდა თვალს სამუშაოებს. ერთ დღესაც მუხის ძირში მზის მოსაჩრდილებლად მყოფ ვალიკოს ბატონი ოთარ ლორთქიფანიდე შეეხმიანა „ბატონო ვალიკო, როგორი ნაგებობები გქონია ეზოში და მინაში მალავდიო“?! ვალიკომ იმავე წუთში დაუფიქრებლად მიუგო ექსპედიციის ხელმძღვანელს „რა ვიცოდი ბატონო ოთარ, ასეთი კედლები თუ ჰქონდათ ჩემს წინაპრებს ჩემთვის დატოვებული, თორემ ამ სახლს არ ავაშენებდი, მაგ კედლებს გადავხურავდი და ისე ვიცხოვრებდი შიგო“.

ერთ დღეს თავისი ავტორიტეტითა და საქმიანობით კარგად ცნობილი ვანის რაიკომის პირველი მდივანი გივი ყიფიანი ოთარ ლორთქიფანიძესთან შესახვედრად მივიდა ექსპედიციაში. მან მანქანა ექსპედიციის შესასვლელში დააყენა და აივანზე მყოფი ვალიკო დაინახა.

ბატონმა გივიმ იცოდა ვალიკო მიწის ნაკვეთის გამო მასზე ნაწყენი რომ იყო, მიესალმა და შესძახა „ბატონო ვალიკო, თუ რამ დაგჭირდეთ, ჩამოპრძანდით ჩემთან რაიკომში და დაგეხმარებით“. ვალიკოს პასუხი რაიკომის პირველ მდივანისადმი ასეთი იყო, „ბატონო გივი, სათხოვარი მართლაც დიდი მაქვს, ცოლი არ გამომადგა და თუ შემაცვლევინებ კარგი იქნება, თორემ თქვენგან მეტი არაფერი მინდაო“. ბატონმა გივიმ გულიანად იხარხარა მოსწრებულ პასუხზე და ბატონ ოთარს ყველაფერი უამბო. „ეს რა მითხრა ვალიკომ, როგორი მოსწრებული პასუხი გამცა და სათქმელიც არ დამიტოვაო“.

ყოფილა ასეთი შემთხვევებიც: არჩილ ახვლედიანის მიერ დაქირავებული მუშები, რომლებიც, სადღაც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დამდეგს სავენახე მიწის გადასამუშავებლად მოიყვანა საკარმიდამო ნაკვეთში, მუშაობიდან მესამე დღეს წააწყდნენ მდიდრულ სამარხს. როგორც ჩანს, სამარხი შედარებით ზედაპირულად მდებარეობდა, რომელშიც უამრავი ოქროს ნივთი ყოფილა, მუშებს ამოუღიათ და სიჩქარის გამო წვრილი, უსახო ნივთები დაუტოვებიათ, რადგან შეშინებიათ მეპატრონეს არ მოესწრო და სულ არ დაეკარგათ ნაპოვნი. როდესაც არჩილის ოჯახს მუშებისთვის ვხშამი ამოუტანია, მუშები გაპარულნი დახვედრიათ. მათ დაინახეს პატარა მძივ-მილაკები როგორ ბრჭყვიალებდნენ მთვარის შუქზე, გვერდით კი მიტოვებული ბარები ეყარა. ასე გაიტაცეს „საჩინოს“ მიწიდან შემთხვევით ნაპოვნი ოქროს შესანიშნავი ნაკეთობანი, რომლებიც მეცნიერებისთვის სამუდამოდ დაიკარგა. მიუხედავად გასაიდუმლობისა ეს ფაქტი საზოგადოებისათვის მაინც გახდა ცნობილი.

უფრო საინტერესო ბედი ენია ივანე ახვლედიანის ოქროს ნივთებს. ის ამ ნივთებს ტყავის პორტფელით ატარებდა. ერთ დღეს ვანის ცენტრში ყოფნისას, სადაც სავაჭრო დუქნები და ბაზარი მდებარეობდა, ერთი გლეხი ხარის ყიდვას აპირებდა. გამყიდველსა და მყიდველს შორის შეთანხმებას ხუთი მანეთიდა აკლდა, რომელიც მყიდველს არ ჰქონდა. ამის შემყურე ივანემ, რომელსაც შეეცოდა მყიდველი, ტყავის პორტფელი გახსნა, იქედან ხუთი მანეთიანი ამოილო და გლეხს, რომელსაც ალბათ იცნობდა, სესხად გადასცა, რათა საქონელი ეყიდა. ამ დროს ძაფზე ასხმული ოქროს მძივები, რომელიც პორტფელში ედო ხელსა და ფულს ამოჰყვა და ძირს დავარდა. ივანემ მძივები ისევ თავის ადგილას დააბრუნა. გარშემო მყოფთ ეს ფაქტი არ გამოპარვიათ და მზაკვრული ხერხით შეეცადნენ ნივთების ხელში ჩაგდებას. ივანე სასაუზმეში შეიპატიუეს, დაათვრეს და ოქრო და ფული მოპარეს, პორტფელი კი იქვე მიაგდეს. როდესაც ივანე მოფხიზლდა პორტფელი ცარიელი დახვდა. რაღას იზამდა, შინ დაღონებული დაბრუნდა.

1957 წელს ივანე ახვლედიანის საცხოვრებელი, ხის ფიცრულისაგან აგებული სახლი გაიყიდა. სახლს თან გაპყვა ადრეფეოდალური ხანის ქვის სტელა, რომელიც ივანეს ბოძად ჰქონდა გამოყენებული. ალნიშნული ქვის სტელა არქეოლოგების მიერ იქნა მოძიებული და დღეისათვის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმშია დაცული. ივანე ახვლედიანს მრავალი ოქროს ნივთი აქვს უსასყიდლოდ გადაცემული ნინო ხომტარიასა და ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის, რასაც ადასტურებს მუზეუმში დაცული აქტები.

ამპერკი ახვლედიანი 1962 წელს იცვლის საკარმიდამოს და იქვე ახლოს, ქვედა მხარეს, კალინკა ახვლედიანის ფუძეზე აშენებს საცხოვრებელ სახლს. მშენებლობის დაწყებამდე საჭირო იყო არქეოლოგიურად შესწავლილი ყოფილიყო არსებული მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთის დამუშავებასა და არქეოლოგიურ გათხრებში, რომელიც 1961 წელს ქალბატონ ნინო ხომტარიას ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, მუშაობდნენ მუშები: ნესტორ ახვლედიანი, მამია ქავთარია, ვაჟა ჯოჯუა, ავთანდილ გიორგაძე, კაპიტო კიკვაძე, ვახტანგ მოსავლიძე, დიმონი შენგელია, საშა კიშიბაძე, ივანე ახვლედიანი; ქალები: ნათელა მიქაძე, მანცია სიმონეიშვილი, ჯულიეტა ახალაძე-გაბუნია, მარგალიტა მიქაძე, ელენე დვალიშვილი-კორძაძე, ნადია ფოფხაძე, ნინა სიმონეიშვილი; არქეოლოგებიდან ველზე მუშაობდნენ (შემდეგში პროფესორები): რუსუდან ფუთურიძე, ნანა მათიაშვილი, ნინო კილურაძე, ანა ჭყონია, გურამ ლორთქიფანიძე. მათ ალნიშნული მონაკვეთი აკორდით ჰქონდათ აღებული ანა ჭყონიასაგან. თითქმის იატაკის დონეზე იყვნენ დასულნი, ანა ჭყონიამ მუშებს კიდევ ერთხელ რომ მიუთითა თირამდე დასულიყვნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ კულტურული ფენა სულ დაემუშავებინათ და რაიმე არ

გამოპარვოდათ. ანა ჭყონია ის იყო ეზოს ტოვებდა, როცა ვაჟა ჯოჯუამ მოქნეული წერაქვი ბოლომდე ჩაასო მიწის ფენაში და მიწა ამოაბრუნა, მიწას თან ოქროს ნივთებიც ამოჰყვა. ნივთების დანახვაზე ვაჟამ ყვირილი ატეხა „ოქროები, ოქროები“.... ანა იმავე წუთში მოპრუნდა. აღმოჩენილი ნივთები გაწმენდითი სამუშაოების შემდეგ დაფიქსირებული იქნა ფოტოზე და ჩახატული დიზაინერ-გრაფიკოსის მიერ. აღმოჩენილი იქნა ქალის მდიდრული სამარხი, რომელიც დათარიღებული იქნა ძვ. წ. V საუკუნის II ნახევრით. სამუშაოების დასრულებისა და აღნიშნული ტერიტორიის ბოლომდე შესწავლის შემდეგ ამბერკი ახვლედიანმა მიიღო სახლის აშენების უფლება. 1977 წელს კი ნაქალაქარის ტერიტორია საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდა და ამ გორაზე ახვლედიანებსა და სხვა გვარის მცხოვრებთ მიეცათ ცხოვრების უფლება, მაგრამ გარკვეული აკრძალვებით, რაც ითვალისწინებდა საკარმიდამო ნაკვეთზე მიწის 25 სმ. სიღრმის ქვემოთ დამუშავებას და საცხოვრებელი სახლებისა და კაპიტალური ნაგებობების სპეციალური დასკვნების გარეშე მშენებლობას. მიუხედავად კანონის მკაცრი პირობებისა, ადგილობრივ მოსახლეობასა და ვანის არქელოგიურ ექსპედიციას შორის კავშირ-ურთიერთობები არ შეწყვეტილა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ პირობებმა ადგილობრივი მოსახლეობა მაინც გაანაწყენა, მაგრამ გარკვეული დროის გასვლამ და დიდმა აღმოჩენებმა ვანის ნაქალაქარზე წლების მანძილზე ინტენსიურად რომ მიმდინარეობდა, მოსახლეობის აზროვნება შეცვალა. მათ გაითავისეს უძველესი ცივილიზაციის შესანიშნავი კოლხური კულტურის, ხელოვნებისა და ხელოსნობის ასეთი მაღალი გემოვნების მქონე საზოგადოების არსებობის ფაქტები. ამ ფაქტების გათვალისწინებით ადგილობრივი მოსახლეობა საბოლოოდ შეეგუა მოსალოდნელ სამოსახლო ცვლილებებს, თუკი ოდესმე ამის საჭიროება იქნებოდა.

სოლომონი მოხსენიებული ჰყავს ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს მის მიერ პირველი სადაზვერვო ჭრილის გაკეთებისას, რომელიც სოლომონის ბალში გაუქრია მეცნიერს 1896 წლის 13 ივლისს, სადაც აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის ნატეხები და ადამიანის ძვლები, აგრეთვე აგურები. მეორე თხრილი 15 ივლისს კირილე ახვლედიანის სახლთან ორ არშინზე გაითხარა (1,77მ), აღმოჩენილი იქნა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რკინის სამი ლურსმანი, დოქი, ამფორა, აქვე ნაპოვნია ოთხკუთხა კაპიტელი ამოღარული ზოლებით. მესამე თხრილი გაკეთდა პროკოფი ახვლედიანის სახლთან, იქვე როგორც მეცნიერი აღწერს, ნაპოვნი ყოფილა აკლდამა ქვის სარკოფაგით. თუმცა, რიგ მიზეზთა გამო, იქ მუშაობის გაგრძელება ვერ მოხერხდა და სხვა, თავისუფალ ადგილას გადაინაცვლეს, სადაც აღმოჩენილი იქნა სპილენძის იარაღის ნეტები, თიხის ქვევრი, აგრეთვე თიხის მოხატული ჭურჭელი და თიხის ჭრაქის ნატეხები. მეოთხე თხრილი მდინარე საქვაბიას ღელეში გაკეთდა 16 ივლისს. ნაპოვნი იქნა სპილენძის სამაჯური, ოქროს ნაფხვენები, კრამიტის ნატეხები, აგურები და კიბის ნაკვალევი. მეხუთე თხრილი პლატონ ახვლედიანის ეზოში გაითხარა, მეექვსე თხრილი კი ევგენი ახვლედიანის სახლთან. „გათხრის დროს ახვლედიანების გორაზე, მიწის ზედაპირზე მოჩანდა მარტო ერთი ძველი ნაშთი“ — წერს ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი. აღმოჩენილი იქნა ქვის პატარა, დანგრეული ეკლესია. აქ აღწერილია ქვის პატარა ნატეხი, რომელზედაც ბატონი ექვთიმეს აზრით გამოსახული ყოფილა ამ ეკლესის ამგები შვილითურთ. შვილის გამოსახულება მთლიანად არის დაცული, ხოლო მამისა მხოლოდ წელს ქვემოთ. შვილის გამოსახულებას ზემოთ ხუცურად აწერია „ძეი ბაკურ“. მამის შესახებ წარწერა არ შემონახულა. ქვა ეკლესის აღმოსავლეთ კედელს ამკობდა, აღნიშნავს მეცნიერი და მისივე აზრით, ეკლესია ერთ-ერთი ყველაზე ძველია იმერეთში. ეკლესის იატაკის ქვემოთ ძვლებით სავსე პატარა აკლდამა იყო, რომელიც აღ. სტოიანოვმა გახსნა 1889 წელს. ქვა, როგორც მაია ჩარკვიანი თავის სტატიაში აგვილწერს, ჩაუბარებია საისტორიო და საეთნოგრაფიო ქართული საზოგადოების მუზეუმს. ბატონი ექვთიმეს მიერ აღწერილი ეკლესია მდებარეობდა არჩილ ახვლედიანისა და მისი შვილის ივანეს საკარმიდამო ნაკვეთში.

ამრიგად, 1896 წლის 13 ივლისი ითვლება ვანის ნაქალაქარზე სამეცნიერო არქეოლოგიური სამუშაოების დასაწყისად, მაშინ, როდესაც ბატონმა ექვთიმე თაყაიშვილმა პირველი სადაზვერვო ჭრილი გააკეთა სოლომონ ახვლედიანის ეზოში. შემდეგში მიწის ეს ნაკვეთი გაიყიდა ფილიპე კალაძეზე და ამ ადგილზე დღესაც კალაძის შთამომავალნი ცხოვრობენ.

უფრო მოგვიანებით გარდა ახვლედიანებისა ამ გორაზე მოსახლეობდნენ სხვა გვარის წარმომადგენლებიც.

ივანე ახვლედიანის სახლის გვედით ცხოვრობდა ნექტარიოზ თვალაბეიშვილი, რომელიც ადგილობრივი რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილედ მუშაობდა. 1941 წელს ის სამამულო ომში მოხალისედ წავიდა და აღარ დაბრუნებულა. როდესაც ოჯახში მისი დაღუპვის ამბავი მოვიდა მეულლემ, ქსენია გაბუნიამ მწუხარებას ველარ გაუძლო, დასწეულდა და ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. მას დარჩა ორი მცირენლოვანი შვილი მურადი და მირანდა, რომელთა გაზრდა ითავა ქსენიას დამ მარო გაბუნიამ. ბავშვები დეიდასთან იზრდებოდნენ.

აქვე ცხოვრობდა სერგო გიორგაძე, რომელიც ომაშდე ვანის რაიკომის მდივნად მუშაობდა. 1941 წელს გაინვიეს არმიის რიგებში და გმირულად დაიღუპა. მას დარჩა მეულლე ქსენია ადეიშვილი და ვაჟი ავთანდილ გიორგაძე. 1967 წელს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესყიდული იქნა ქსენია ადეიშვილის სახლ-კარი, რომელშიც შემდგომში არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა ჩამოყალიბდა, მასში მოეწყო ფოტო-ლაბორატორია, ერთ-ერთი ოთახი დაეთმო ბიბლიოთეკას და კედელზე მხატვარ-გრაფიკოს ბ. მჭედლიშვილის მიერ გაკეთდა ვანის ნაქალაქარის გენერალური გეგმა, რომელზეც დატანილი იქნა ნაქალაქარზე აღმოჩენილი მნიშვნელოვანი ნაგებობები და სამარხები. ნაწილი ფართი გამოყენებული იქნა თანამშრომელთა საცხოვრებლად. შესყიდული სახლის დარაჯვად ქსენია ადეიშვილი დაინიშნა, რადგან ის მისი საკარმილად ნასვლას იოლად ვერ შეეგუა. მან დაახლოებით 22 წელი იმსახურა არქეოლოგიური ექსპედიციის მზარეულად და მისი პიროვნების შესახებ ბევრი საინტერესო და ტკბილი მოგონებები დარჩა ექსპედიციას.

ქსენია ადეიშვილმა, რომელიც სარგებლობდა ოთარ ლორთქიფანიდის ნდობით, თავისი „კანონები“ შექმნა არქეოლოგიურ ექსპედიციაში. ექსპედიციის წევრებს ქსენიას გარეშე ეკრძალებოდა სამზარეულოში შესვლა. საუზმეზე ან სადილზე დაგვიანება მის რისხვას იწვევდა, რასაც არქეოლოგები ემორჩილებოდნენ. მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგად ქსენიასა და არქეოლოგების ურთიერთობა დედაშვილურ თავაზიანობამდე მივიდა. ქსენიასთვის, სამსახურიდან წასვლის შემდეგ, არქეოლოგებს ყოველთვის ჩამოჰქონდათ საჩუქრები, რაც მას ძალიან ახარებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა თავიდანვე შესაშუალებების მოსახლეობასთან.

„ქალბატონი ნინო<sup>1</sup> – იხსენებდა ნესტორ ახვლედიანი, თბილად ეპყრობოდა ადგილობრივ მუშებს, მათთან კარგ, მეგობრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, ამასთანავე ის გვესაუბრებოდა საქართველოს ისტორიაზე და გვათვითცნობიერებდა ვანის სიძველეების მნიშვნელოვან საკითხებში. ამით ქალბატონი ნინო ერისა და სამშობლოს სიყვარულს გვინერგავდა და პატივისცემაც დაიმსახურაო“.

ტრისტან კალაძე ქალბატონ ნინო ხოშტარიას შემდეგნაირად იხსენებდა: „როცა ქალბატონმა ნინომ ახვლედიანების გორაზე დაინწყო მუშაობა, მაშინ ჩემი თაობა 7-8 წლისანი ვიყავით. გაკვეთილების დასრულების შემდეგ გავრბოდით გორაზე და ინტერესით ვათვალიერებდით გათხრების მიმდინარეობას. ქალბატონი ნინო გუმანით ხედებოდა ჩვენს დაინტერესებას და გარკვეულ დროს გვითმობდა ბავშვებს. გვესაუბრებოდა ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხებზე. როცა წამოვიზარდეთ და მუშაობა შეგვეძლო ნინომ უყოყმანოდ მიგვიღო. სამუშაო გვებილავდა, ზაფხულის განმავლობაში, თან გამომუშავებული თანხით სასკოლო წიგნებსა და ტანსაცმელს ვიძებდით, რამაც შრომისადმი ინტერესი გაგვიორმავა და შემდეგ დიდად გამოგვადგა ცხოვრების მომავალი გზის გაკვლევაში. ქალბატონი ნინო ჩვენი კუთხის სასურველი სტუმარი იყო. ის ძირითადად კერძო ოჯახების ეზოებში ატარებდა სამუშაოებს. მიუხედავად ამისა, მისგან განაწყენებული არავინ არ დარჩენილა. სანკტ-პეტერბურგსა და ბაქოში განათლება მიღებულს, განსაკუთრებული ინტელექტი და გულისხმიერება გააჩნდა. ჩემი აზრით ქალბატონ ნინოს უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს ვანის ასეთი წარმოჩინება“.

1 მხედველობაშია ქალბატონი ნინო ხოშტარია, ცნობილი არქეოლოგი

ნინო ხოშტარიას ექსპედიციაში მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი დაოსტატდა. იგი უანგაროდ გადაცემდა თავის ცოდნა-გამოცდილებას სტუდენტებს, რომლებიც პრაქტიკას მისი ხელმძღვანელობით გადიოდნენ. მას ამ საქმეში გვერდით ედგა ქალბატონი რუსუდან ფუთურიძე, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის წარმატებებში.

ივანე ახვლედიანი, რომელიც ქალბატონი ნინოს მიერ ნაქალაქარის მცველად იყო დანიშნული, ყოველთვის ტკბილი სიტყვებით ამკობდა მას. განცვიფრებული იყო ექსპედიციის ხელმძღვანელის თავაზიანობით, იგი თბილ და კეთილ დამოკიდებულებას იჩენდა ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და მასთან მომუშავე ახალგაზრდების მიმართ. ნინო ხოშტარია 1962-1963 წლებში ივანე ახვლედიანის ახალაშენებულ სახლში ცხოვრობდა. პირველი უბანი ცოტა შორს იყო მარიამ ახვლედიანის სახლიდან, სადაც, იმუამად ქალბატონი ნინო ცხოვრობდა. ის, იმ დროისათვის ასაკში შესული ქალი იყო და სიარული უძნელდებოდა. ივანე ახვლედიანმა ქალბატონ ნინოს მის საკუთარ სახლში გადასვლა შესთავაზა და ერთი ოთახი დაუთმო საცხოვრებლად. ქალბატონმა ნინომ ორი სეზონი გაატარა აღნიშნულ სახლში. ჯულიეტა ახალაძის სიტყვებით მას ძალიან ჰყვარებია ხილი და ფელამუში. ქალბატონ ნინოსთან მეზობლები ყურძნით, ხილითა და ფელამუშით დატვირთული მიდიოდნენ, რითაც ის კმაყოფილი რჩებოდა. ქალბატონი ნინო ახვლედიანთა უბანში ყველასთვის საპატივცემულო სტუმარი იყო.

ექსპედიციის წარმატებულმა მუშაობამ და საინტერესო აღმოჩენებმა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა არქეოლოგიური სამუშაოების წარმართვა ვანში. თუ სამუშაოები მანამდე პირველ უბაზზე მიმდინარებდა, 1960-იანი წლებიდან საველე სამუშაოები წარიმართა ოთარ ახვლედიანის ყოფილ ეზოშიც, ხოლო 1961 წლიდან გული მიქელაძისა და რუსუდან ფუთურიძის ხელმძღვანელობით. კალინკა ახვლედიანის ეზოში. ექსპედიციას კვლავ ნინო ხოშტარია ხელმძღვანელობდა. სამუშაოების გაზრდა მუშახელის სიმრავლეს მოითხოვდა. სამუშაოებში თანდათან სხვა უბნების მამაკაცებიც ერთვებოდნენ. სამუშაო პრესტიულ საქმეს წარმოადგენდა რაიონის მოსახლეობის თვალში. ასე გრძელდებოდა ექსპედიციის ყოველწლიური ცხოვრება ვანში. 1963 წლიდან ქალბატონ ნინოს ჯანმრთელობა შეერყა და ის ვანში შემდეგ აღარ ჩამოსულა, თუმცა ექსპედიციის ხელმძღვანელად კვლავ რჩებოდა.

ვანში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებს დიდ ყურადღებას უთმობდა მაშინდელი რაიონის ხელმძღვანელობა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, ვანის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და მათი მოსწავლე ახალგაზრდობა.

ნინო ხოშტარიას გაკვლეული გზა პირნათლად განაგრძო აკადემიკოსმა ოთარ ლორთქითანიძემ, რომელიც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა მის მიერ შექმნილი საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრს და ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას. მან ჯერ კიდევ, თავადაც ახალგაზრდამ, თავი მოუყარა ნიჭიერ ახალგაზრდობას, რომლებმაც შემდგომში მისი უშუალო ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვანში ინტენსიური გათხრებისა და აქ მოპოვებული არნახული უნიკალური ნივთების კვლევა-ძიებაში, რომელმაც ასახვა პოვა იმ ათტომეულში, რომელიც დღემდება გამოცემული და რომელთა ავტორები არიან ცნობილი მეცნიერები: რუსუდან ფუთურიძე, ანა ჭყონია, ნანა მათიაშვილი, გურამ ლორთქითანიძე, დარეჯან კაჭარავა, ნინო კილურაძე, მარინე ფირცხალავა, ელენე გიგოლაშვილი, გურამ კვირკველია, დიმიტრი ახვლედიანი, გურამ ყიფიანი, ვახტანგ ლიჩელი, ომარ ლანჩავა, თამაზ ბერაძე და სხვა.

1966 წელს არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა ვანში, რაც დააჩქარა აქ არსებული სასოფლო გზის გაფართოებამ, რომელსაც ბალდათის საგზაო უბანი აკეთებდა. გზის გაფართოებისას სრულიად შემთხვევით, ვინორ შესასვლელში, სადაც ოდესლაც ახვლედიანებს ვინმე შელია ჰყავდათ მცველად დაქირავებული, გამოჩენდა თლილი ქვები და რიყის ქვაფენილი, აღმოჩენისთანავე სამუშაოები შეწყვეტილი იქნა, გამოიძახეს ექსპედიცია, არქეოლოგების მიერ აყვანილ იქნა მუშახელი და დაიწყო ქვაფენილის გათხრა-განმენდა. ამ უბანს ხელმძღვანელობას უწევდა უშუალოდ ოთარ ლორთქითანიძე, რომელიც ამავდროულად ექსპედიციის ხელმძ-

ვანელის მოადგილედ ითვლებოდა. საბოლოოდ სამუშაოებმა გამოავლინა კარიბჭის კომპლექსი და მასზე მიშენებული სამსხვერპლო ნაგებობანი, რომელსაც ქალაქის შიგნით შესანიშნავი ქვაფენილი მიუყვებოდა. ეს იყო ანტიკური არქიტექტურის ერთ-ერთი შესანიშნავი აღმოჩენა - პირველი ეკლარის ქვისა და თირის ქვებით წარმოდგენილი, რომელიც ძვ.წ. პირველ საუკუნეში ქალაქზე შემოსევების დროს დაუნგრევიათ. პარალელურად გზის მეორე მხარეს, ამბერკი ახვლედიანის ეზოში დაინტყო აქეოლოგიური სამუშაოები. უბნის ხელმძღვანელად დაინიშნა გურამ ლორთქიფანიძე, (დღეს აკადემიკოსი). თანდათან გამოიკვეთა თუ როგორ მიუყვებოდა საფორთიფიკაციო ნაგებობა კარიბჭეს, შემდეგ ქალაქს. გაღავანზე თავდაცვის თვალსაზრისით კოლხებს მზადყოფნაში ჰქონიათ კატაპელტები და სამხედრო გარნიზონი. მიუხედავად ასეთი თავდაცვისუნარიანობისა, ქალაქი მტრის შემოსევის შედეგად მაინც დაინგრა, რაზეც მეტყველებს გათხრების შედეგად აღმოჩენილი გადამწვარი და დანგრეული კედლები. იქვე ნაპოვნი იქნა ალიზის დამწვარი ფენა და საბრძოლო ჭურვები. ამრიგად, კარიბჭე ქალაქთან ერთად ძვ.წ. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში მტრის შემოსევების შედეგად იქნა დანგრეული.

როგორც ითქვა, 1959 წელს ჩამოვიდა ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე ვანში და სიცოცხლის ბოლომდე (2002 წლამდე) მუშაობდა ექსპედიციის ხელმძღვანელად. მისი ხელმძღვანელობის დროს დაფუძნდა ვანის არქეოლოგიური ბაზა, 1977 წელს არქეოლოგთათვის აშენდა ახალი საცხოვრებელი, ხოლო ცოტა მოგვინებით სამზარეულო და სასადილო, იგი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძეგლების კონსერვაციას. მისი დაუღალავი ენერგიის შედეგად გადაიხურა კარიბჭე, მრგვალი ტაძარი, ნახევრადნრიული ნაგებობა და დიონისეს ტაძარ-მარანი, ხოლო სამხრეთ ტერასაზე აღმოჩენილ ნაგებობებს გაუკეთდა დამცავი ფენა, მოხდა მათი კონსერვაცია. დღეს ამ დაცული ნაგებობებიდან შემორჩენილია კარიბჭისა და მრგვალი ტაძრის სახურავები, რომლებიც სიძველის გამო დაუსანებულია და აღდგენას საჭიროებს.

კარიბჭის შესწავლისათვის 1966-1967 წლებში ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა გათხრები. ამ სამუშაოების შესასრულებლად აყვანილ იქნა მუშები, ძირითადად საშუალო სკოლების დამამთავრებელ კლასებში მყოფი ბიჭები: როსტომ ახვლედიანი, შუქრი დვალიშვილი, ჯემალ მიქაელ, ომარ გაბუნია, ოლეგ გაბუნია. ამ ძალებზე დაყრდნობით გაითხარა და დასრულდა კარიბჭეზე არქეოლოგიური სამუშაოები და პარალელურად დაინყო მრგვალი ტაძრის შესწავლა. სამუშაოების მსვლელობისას ბატონი ოთარი ფიზიკურადაც მუშაობდა. კარიბჭის კომპლექსის შესწავლის დასრულების შემდეგ მუშაობა გაგრძელდა ამბერკი ახვლედიანის ეზოში, რომელი უბანიც შემდეგ ბატონი გურამ ლორთქიფანიძის განკარგულებაში გადავიდა. პარალელურად ვანისა, ბატონი გურამი მეუღლეს, ქალბატონ ნინო კილურაძეს, ეხმარებოდა დაფუნარში მიმდინარე არქეოლოგიურ სამუშაოებში. რადგან მე და როსტომ ახვლედიანი კარგ და დისციპლინირებულ მუშებად ვითვლებოდით, ამიტომ ბატონ გურამთან ერთად მონაწილეობას ვლებულობდით დაფუნარის არქეოლოგიურ გათხრებში. ვმუშაობდით ცინცაძის გორაზე და საღამოობით პოლიაქტორ ცინცაძის სახლში ვიკრიბებოდით. თავისუფალ დროს ვნადირობდით. გურამი, რომელსაც ნადირობა ძალიან უყვარდა, თოფით ხელში ხშირად ჩნდებოდა გორაზე. ერთ დღეს ირაოები შემოესივნენ ცინცაძეების გორას და ჩვენს ზემოთ დაფრინავდნენ. გურამ ლორთქიფანიძემ ირაოს თოფი დაუმიზნა და ისროლა. ირაო ჩამოვარდა და სამი საათის განმავლობაში ვეძებდით მას. არც პოლიაქტორის ძალლს დაუზოგავს თავი მის ძებნაში, მაგრამ ამაოდ. მოკლედ, ვერ ვიპოვეთ და თავი გავანებეთ ძებნას. დალლილ-დაქანულები აქეთ, ჩვენ ვქოშინებდით და იქით პოლიაქტორის ძალლი. ასეთი მოსაგონარი დამრჩა დაფნარის არქეოლოგიურ გათხრებზე მუშაობისას.

მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი სამზარეულო სახლის მშენებლობიდან. სახლს აშენებდა ვანის საამშენებლო-სარემონტო საწარმო (ხელმძღვანელი ბრუნო დუბროვი). ბუნებრივია, მშენებლობა ზაფხულში მიმდინარეობდა ექვედიციის ვანში ყოფნის დროს. როდესაც მისი აშენება დასრულდა და სამღებრო სამუშაოები დაინყო ბატონმა ოთარმა ჰკითხა ბრუნოს რას ურჩევდა, რომელ ფერზე შეეღება შენობის წინა აივანი და ოთახები. ბრუნოს შეთავაზება იყო, რომ მწვანე ფერზე შეეღება მთელი შენობა, ოთარს არ მოეწონა და ცოტა არ იყოს ცუდ გუნე-

ბაზე დადგა. ამ დროს ექსპედიციას ბატონი ნოდარ ანდრიაძე ესტუმრა. ბატონ ოთარს უხას-იათობა შეატყო, მიხვდა რომ ეს რემონტთან იყო დაკავშირებული და ბრუნოს უთხრა „ბრუნო იცოდე შენობა დროზე დაასრულე და როგორც ბატონ ოთარს უნდა იმ ფერზე შედებე, თორემ მამაკაცს რაც საუკეთესო აქვს იმით დაგკიდებ ხეზეო“. ექსპედიცია მუშაობას 6 საათზე იწყებდა. ამ დროს ისინი ხელმძღვანელთან ერთად ველზე იმყოფებოდნენ. პირველი უბნიდან დაბრუნების შემდეგ ბატონ ოთარს ბრუნო შემოხვდა. მისალმების შემდეგ შენობის ფერზე დაიწყეს საუბარი. მან ექსპედიციის წევრებიდან შეიტყო რა ფერი მოსწონდა პროფესორს და ასე მიმართა „ბატონო ოთარ, წუხელ მთელი ღამე არ დამეძინა, შენობის ფერზე ვფიქრობდი და მგონი გამოვიცანი თქვენი გემოვნებაო“. ოთარს გაეცინა, მიხვდა ბრუნოს ჩანაფიქრს და დაუყოვნებლივ უპასუხა „გეტყობა ბრუნო ძვირფასო, დიდი განსაცდელი გამოგივლია, ვაფასებ ასეთ ადამიანებსო“ და იქაურობას გაშორდა. ბრუნო მიხვდა, რომ ბატონი ოთარი არა მარტო მეცნიერებას ფლობდა ღრმად, არამედ ადამიანთა ფსიქოლოგიასაც კარგად წვდებოდა.

1969 წელს ნაქალაქარის ტერასაზე აღმოჩენილი იქნა ქალის სამარხი, რომელიც ძველი ნელთალრიცხვის V საუკუნითაა დათარილებული. სამარხში 1 783 ერთეული ოქროს ნივთი აღმოჩნდა. სამარხის დასაცავად ბატონმა ოთარმა ექსპედიციის თანამშრომელთა მორიგეობა დააწესა. გარედან კი ადგილობრივი მილიცია იცავდა. დღისით სამარხი იწმინდებოდა, უეცრად კოკისპირული წვიმა წამოვიდა, ამან კიდევ უფრო დაამძიმა ისედაც მძიმე მინა, როდესაც წვიმამ გადაიღო ექსპედიციის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთ ღამეს ბატონმა ოთარმა გადაწყვიტა შეემოწმებინა პოლიციელები და დაცვას მოულოდნელად დაადგა თავს. ისინი საბედნიეროდ ზეზღლად დახვდნენ ბატონ ოთარს და შესძახეს „ვინ ხართ, შეჩერდითო“. სიბნელეში ვერ დაინახეს ვინ უახლოვდებოდათ მათ. ამის პასუხად ბატონმა ოთარმა უთხრა „მე ვარ, ოთარი, არ მესაროლოთ, თქვენი სიფხიზლის შესამოწმებლად მოვედიო“. შემდეგ ორივე მხარე გამხიარულდა. განსაკუთრებით, კმაყოფილი დარჩა ბატონი ოთარი.

საინტერესო მოსაგონარია აგრეთვე ქსენია გიორგაძის მიერ ნაპოვნი ოქროს მძივის ორი მარცვლის ისტორია, რომლებიც სამარხიდან ამოსულ არქეოლოგების ფეხს ამოჰყვა, რადგან მინა წვიმისაგან ძალიან გაიუღინთა და მისი გაშრობა გახანგრძლივდა. სამუშაოს გადადება არ შეიძლებოდა, მუშაობის შემდეგ ორმოდან ამოსულ ნებისმიერ ადამიანს შეიძლება მინასთან ერთად მძივიც მიკვროდა ფეხზე. ასეთ შემთხვევაში საყვედური არავის, ხოლო სამადლობელი კი ქსენიას ეკუთვნოდა. როდესაც ქსენიამ რუსუდან ფუთურიძეს მძივები აჩვენა და მისი პოვნის შესახებ უამბო, რუსუდანი მას ერთგულებისათვის მოეფერა. ნანახმა ოთარის ყურამდეც მიაღწია, მაშინ კი ქსენიამ საყველთაო მადლობა დაიმსახურა.

1969 წელს დაიწყო ცენტრალური ტერასის არქეოლოგიურად შესწავლა. უბნის ხელმძღვანელობა დაეკისრა ომარ ლანჩჩავას.

დღეს პროფესორი, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელმძღვანელი, დოქტორი. რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ გამოიკვეთა ჩაჭრილი ორმო, ხოლო მისი დაღრმავების შემდეგ სამარხისთვის დამახასიათებელი ქვაყრილი. აშკარად ჩანდა, რომ სამარხის აღმოჩენა გარდაუვალი იყო. ბატონმა ოთარმა უბნის ხელმძღვანელს უთხრა, რომ შეეჩერებინა სამუშაოები მისი თბილისიდან ჩამოსვლამდე, მაგრამ ომარ ლანჩჩავამ სამუშაოები გააგრძელა, შედეგმაც არ დაყოვნა, დაიწყო სამარხის ინვენტარის თანდათან გამოჩენა. ბატონი ოთარი დაუყოვნებლივ ჩამოვიდა. ყველა გახარებული იყო ამ აღმოჩენით, განსაკუთრებით კი ომარ ლანჩჩავა და ის ხელმძღვანელისაგან თბილი სამადლობელი სიტყვების მიღებას ელოდა. ბატონმა ოთარმა კი ომარს ასე მიმართა „ჩემო ომარ, არქეოლოგი სულსწრაფი არ უნდა იყოს, მას უნდა ახასიათებდეს სიდინჯე და აუჩქარებლობაო“.

იმავე წელს, ქალის სამარხიდან ჩრდილოეთით აღმოჩენილი იქნა ძვ. წ. IV საუკუნის მეომრის სამარხი. ეს წელი ექსპედიციის ისტორიაში მეტად წარმატებულ წლად ითვლება. ამ წარმატებას უამრავი გამოხმაურება მოჰყვა პრესასა და ტელევიზიაში. აღმოჩენილი ნივთები დაცვის თანხლებით გადატანილ იქნა თბილისში, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის ოქროს ფონდში, სადაც დღემდეა დაცული.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არქეოლოგთა საქმიანობა რაიონის მაშინდელი ხელისუფლების მუდმივი ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა. მინდა ერთი ამბავი გავიხსენო გივი კვანტალიანის მდივნობის პერიოდიდან. ვანში, თბილისიდან ტელევიზია იმყოფებოდა გადაღებაზე. ბატონმა გივიმ სადილი ექსპედიციის ბაზაზე მოაწყო. გვიანი შემოდგომა იყო და ციოდა. ამის გამო მაგიდა ქსენია გიორგაძის სახლში, ბუხრის გასწვრივ გაიშალა. სტუმრების მოსვლამდე ლვინის დეგუსტაცია მოაწყვეს და აღმოჩნდა, რომ ის არც სტუმრებს და არც სუფრას არ შეეფერებოდა. მე იქვე მყოფ ოთარ ლორთქიფანიძეს შევთავაზე ოცი ლიტრი ალადასტურის ნატურალური ლვინი. მალე სტუმრებიც მობრძანდნენ. მათ წინ ბატონი გივი მოუძღვდათ. თამადად ბატონი ოთარი აირჩიეს. ისიც შეუდგა ქართული სუფრის ტრადიციების ალსრულებას. როცა ბატონმა გივიმ პირველი ჭიქა შესვა ბატონ ოთარს გადახედა და უთხრა „ეს ლვინო მართლაც შესანიშნავია, მაგრამ საიდან? შემდევ ხუმრობით გააგრძელა, ნუთუ მოსახლეობამ არ იცის, რომ ყურძნის დაწურვა შეზღუდულია და სახელმწიფოს უნდა ჩაბაროსო“. ბატონმა ოთარმა გადმომხედა, პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და გივის მიუგო „რა გაგკვირვებია ჩემო გივი, ვასო გაბუნიას ლვინო ამ გორაზე ცნობილია და თან როგორც ვიცი ყურძენი ბლომად აქვს ჩაბარებულიო“. გივიმ უბასუხა „იმდენად სასიამოვნო ლვინო დაუწურავს, საყვედურის ღირსი არ არისო“.

ოთარ ლორთქიფანიძემ საფუძველი დაუდო შავი ზღვისპირეთის ქვეყნების პრობლემისადმი მიძღვნილ მსოფლიო სიმპოზიუმის ჩატარებას, რომელიც ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ეწყობოდა და მასში მონაწილეობას ღებულობდნენ მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების ნამყვანი მეცნიერები. ისინი თავიანთ მოხსენებებში მკაფიოდ აღნიშნავდნენ ვანში აღმოჩენილი ბრწყინვალე აღმოჩენების მსოფლიო მნიშვნელობაზე იმას, რომ ვანი ანტიკურ და ელინისტურ ხანაში ნარმოადგენდა ერთ-ერთ უდიდეს სავაჭრო, კულტურულ და ადმინისტრაციულ ცენტრს.

ბატონმა ოთარმა თავისი გამოსვლებით მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში, ნათელი მოჰვინა ვანში მოპოვებული უნიკალური ნივთების მნიშვნელობას, რის გამოც სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ არა თუ მეცნიერები და მკვლევარები, არამედ რიგითი მოქალაქეებიც. ზოგიერთი მეცნიერ-მუშავი ექსპედიციაში რჩებოდა და ექსპედიციის წევრებთან ერთად მონაწილეობდა არქეოლოგიურ გათხრებში და შედეგებს აქვეყნებდნენ თავიანთ ქვეყნებში, რაც გარკვეულ დრომდე გრძელდებოდა.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია საქართველოში მოქმედ ექსპედიციებს შორის ერთ-ერთი წამყვანი იყო თავისი ავტორიტეტით. ამის გამო, დამწყებ არქეოლოგებს, ხელოვნებათ-მცოდნეებს, სტუდენტებსა თუ არქიტექტორებს ვანისკენ წამოსვლის სურვილი უჩნდებოდათ. ამიტომ, ბევრი ახალგაზრდა ჩამოყალიბდა და დაპროფესიონალდა ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. თვით ბატონი ოთარ ლორთქიფანიძე და ვანი განუყოფელი იყვნენ ერთმანეთი-საგან. საქართველოში არქეოლოგია როგორც მეცნიერება, საკმაოდ მაღალ დონეზე აიყვანა ბატონმა ოთარმა და ქართული კულტურა მსოფლიოს გააცნო. ამით მან დაადასტურა იმდრო-ინდელ მსოფლიო ცივილიზაციაში კოლეხური კულტურის აქტიური მონაწილეობა.

ბატონი ოთარი დღენიადაგ ზრუნავდა ვანში აღმოჩენილი ექსპონატებისაგან გამოფენა რომ მოეწყო. მისი თხოვნით ბატონმა გიორგი ლექავამ, რომელიც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ვანში მოღვაწეობდა, შექმნა ვანის არქეოლოგიური მუზეუმის შენობის პროექტი, რომელსაც ხორცი შეესხა 1983 წელს მუზეუმის მშენებლობის დაწყებისას. მანამდე კი, 1977 წელს ვანის ნაქალაქარზე აშენდა სახცოვრებელი ბაზა, მის ქვედა სართულში ერთი დიდი ოთახი სარესტავრაციო სახელოსნოს, ხოლო მეორე ოთახი ბატონი ოთარის დიდი ხნის ნანატრ გამოფენას დაეთმო.

1969 წელს ქალისა და მეომრის სამარხების აღმოჩენამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მასშტაბით. აღმოჩენილი ოქროს ნივთების სანახავად, ვიდრე მას საქართველოს დედაქალაქ თბილისში გადაიტანდნენ, უამრავი მნახველი აწყდებოდა. ამ აღმოჩენით დაინტერესებულა ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ვასილ მუავანაძე, რომელიც საირმეში ისვენებდა. საგანძურის მონაბულების სურვილი გამოთქვა და რაიკომის პირველ მდივანთან ერთად ექსპედიციაში ესტური ბატონ ოთარს. რომელმაც დიდი პატივით მიიღო და დეტალურად გააცნო რეპუბლიკის ხელმძღვანელს აღნიშნული

საგანძურის ისტორიული მნიშვნელობა და როდესაც მამაკაცის სამარხის ინვენტარს აცნობდა, ბატონი ოთარის სიტყვას, რომ კოლხი მამაკაცი ერთ საყურეს ატარებდა, მას ასე უპასუხა „ნუ იტყვით, რომ მამაკაცები საყურეს ატარებდნენ, თორემ ჩვენი მამაკაცებიც დაიწყებენ საყურის ტარებასო“. ბატონ ოთარს გაცინებია და უთქვამს „ამდენი შესაძლებლობა ქართველ მამაკაცებს არ აქვთ ბატონო ვასილ პავლეს ძევ, რომ საყურები მანდილოსნებსაც მიართვან და თვითონაც გაიკეთონო“.

სიძველეები, რომელიც ბატონმა ვასილმა მოინახულა იმ გამოფენაში იყო წარმოდგენილი, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი. ეს გამოფენა ფუნქციონირებდა ვანში, ახალი არქეოლო-გიური მუზეუმის გახსნამდე და საკმაოდ დიდი როლი შეასრულა უძველესი კოლხური კულ-ტურითა და არქეოლოგით დაინტერესებულ პირთათვის. უფრო მოვიანებით, ვანში ედუარდ შევარდნაძის სტუმრობისას, რადგან საგამოფენო დარბაზი უკვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, სთხოვეს მუზეუმისათვის ერთი ფინური სახლის გამოყოფა. ბატონმა ედუარდმა მათ უთხრა შეექმნათ პროექტი და შეეყვანათ საქმის კურსში, პროექტი მზად ჰქონდა გიორგი ლეჭავას და მაშინვე წარუდგინეს ბატონ ედუარდს. რადგან იმ სახით მუზეუმის მშენებლობა კონკრეტულ სიძველეებს უკავშირდებოდა ედუარდ შევარდნაძემ მთხოვნელები დააკვალიანა და უთხრა, უმჯობესი იყო დაეწყოთ მშენებლობა, როგორც აკადემიის სამეცნიერო ბაზა და ამაზე დახმარება იქნებოდა.

1983 წელს დაიწყო მუზეუმის მშენებლობა, რომელიც ვანის ავტომექანიზირებულ სამშენებლო საწარმოს დაევალა და დასრულდა 1985 წელს. ამის შემდეგ დაიწყო საექსპოზიციო სამუშაოები. მასალები საგამოფენოდ მომზადდა ექსპედიციის წევრებისა და უბნების ხელმძღვანელი მეცნიერების მიერ. ესენი იყვნენ: დ. კაჭარავა, მ. მათიაშვილი, ი. ჭყონია, ე. გიგოლაშვილი, ვ. ლიჩელი, მ. ფირცხალავა, გ. კვირკველია. დ. ახვლედიანი. საექსპოზიციო საქმიანობას უძლევბოდა ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე, არქიტექტორების საქმიანობას – გურამ ყიფიანი და ნოდარ ამაშუკელი.

1985 წლის 29 სექტემბერს გაიხსნა ვანის არქეოლოგიური მუზეუმი. ეს იყო ისტორიული მოვლენა არა მარტო ვანის, არამედ საქართველოს მასშტაბით. ეს გახლდათ პირველი პროფესიული არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც აკმაყოფილებდა იმდროინდელი მსოფლიოს სტანდარტების დონეს. მუზეუმის გახსნას ესწრებოდნენ ლენინგრადის (დღეს პეტერბურგის) ერმიტაჟის დირექტორი, აკადემიკოსი – ბორის ბორისის ძე პიოტროვსკი, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი ქართველიშვილი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პავლე გილაშვილი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშავები, პრესა, ტელევიზია. მუზეუმის გახსნას დაემთხვა შავი ზღვისპირეთის პრობლემებისადმი მიძღვნილი მსოფლიო მესამე სიმპოზიუმი, რომელზედაც მოწვეული იყვნენ როგორც საბჭოთა, ასევე უცხოელი მეცნიერები. ასე შეიქმნა არქეოლოგიური მუზეუმი, სადაც მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან მოდიან მნახველები და გაოცებულნი რჩებიან, მიდიან კიდევ მოსვლისა და კვლავ ნახვის სურვილით, რასაც ადასტურებს უამრავი ჩანაწერები ადგილობრივ ჩანაწერთა წიგნებში.

მუზეუმის პირველ სართულზე განთავსდა სარესტავრაციო ლაბორატორია და ფონდ-საცავები, აგრეთვე ერთი ოთახი დაეთმო არქიტექტურულ ნიმუშთა გამოფენას. მეორე სართულზე ორ ოთახში განთავსდა ბიბლიოთეკა. სიმპოზიუმის ჩასატარებლად ყოველგვარი პირობა შეიქმნა. მოეწყო დარბაზი 150 კაცზე, სადაც იმართებოდა სამეცნიერო სიმპოზიუმები. ამავე სართულზე მოეწყო სამუშაო ოთახი მეცნიერთათვის, სადაც მრავალი ნაშრომი შექმნა ბატონმა ვანზე. მესამე და მეოთხე სართულები დაეთმო ექსპოზიციას. 1988 წელს ბატონი ოთარის მიერ ვანის მუზეუმის ბაზაზე დაფუძნდა ოქროს ფონდის გამოფენა, რომელშიც უნიკალური ოქროს ექსპონატები იქნა გამოფენილი. ასე ჩამოყალიბდა სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი ვანში.

ბატონი ოთარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თვალსაჩინო მატერიალური კულტურის ძეგლებს. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი საკულტო თუ საფორტიფიკაციო ნაგებობანი ითხოვდნენ ყურადღებას. მიუხედავად ბატონი ოთარის დაუღალვი მუშაობისა, დღეისათვის ძეგლების

უმეტესობა დასაცავია, საჭიროებს მეტ ყურადღებას სახელმწიფოსაგან. საკონსერვაციო სამუშაოები, რომლებიც ჩასატარებელია ვანში, ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ვანის ნაქალაქარზე ექსპედიციის ხელმძღვანელობის დაუღალავი შრომის შედეგად, რესტავრაცია ჩაუტარდა სამხრეთ ტერასაზე აღმოჩენილ ძვ. ნ. I-III საუკუნეების ნაგებობას, გადაიხურა კარიბჭის კომპლექსი, მრგვალი ტაძარი, დიონისეს ტაძარ-მარანი. კონსერვაცია ჩაუტარდა ცენტრალურ ტერასაზე არსებულ ძვ. ნ. I-III საუკუნეების საზემო და ნახევრადნიული საკურთხევლების ნაგებობებს, აღსდგა ცენტრალურ ტერასაზე არსებული ძვ. ნ. I-III საუკუნეების 30 მეტრიანი საზემო საკურთხეველი. მის აღსადგენად სოფელ მიქელეფონიდან, სადაც მდებარეობდა მსგავსი ქვის კარიერი, ჩამოზიდული იქნა ქვის კვადრები, რომლებიც დამუშავდა ადგილზე მოწვეული ქვის მთლელი სპეციალისტების მიერ და ამავე ქვებით იქნა აღდგენილი აღნიშნული საკურთხეველი.

დიდ ყურადღებას აქცევდა ექსპედიციის ხელმძღვანელობა რაიონში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებს. ხშირად ეწყობოდა დაზვერვები რაიონის მასშტაბით ამა თუ იმ ძეგლის მდგომარეობის გასარკვევად. ამავდროულად საჭირო ინფორმაციას ღებულობდნენ სკოლების ისტორიის მასწავლებლებისგან, რადგან მათ ჰქონდათ დავალებული მოსწავლეახალგაზრდობისათვის საგაზაფხულოდ მინის სამუშაოების დროს, არქეოლოგიურად საინტერესო მასალების გამოჩენისთანავე შეეტყობინებინათ სკოლის დირექტორებისათვის.

საინტერესო გამოდგა ბატონ ოთარ ლორთქიფანიძის მიერ სადაზვერვოდ გაგზავნილი ექსპედიცია სოფელ ბაგინეთსა და ბაბოთში, სადაც ერთ-ერთ ბორცვზე, ჩირგვებში, აღმოჩენილ იქნა ქვის სტელა, ორი ცალი ბოლნური ჯვრის გამოსახულებით, რომლებიც ექსპედიციის ხელმძღვანელის მიერ გადმოტანილი იქნა და დღეს ერთი მუზეუმის, ხოლო მეორე ექსპედიციის ეზოში დგას. სტელასთან ერთად გადმოტანილი იქნა და იქვე დადგეს მეღვინეობასთან დაკავშირებული სადუღარი ჩანები და საწნეხები. მუზეუმის დაარსებიდან რამდენიმე წლის თავზე პოლიტიკური დაბაბულობისა და თავაშვებულობის შედეგად ძვირფასი ლითონებისა და ძვირადლირებული ექსპონატებისადმი შეიქმნა საშიშროება. რესპუბლიკაში სამუზეუმები და სამუზეუმო ექსპონატებზე ნადირობამ კიდევ უფრო გაამწვავა საერთო სამუზეუმო მდგომარეობა. ქვეყანაში უმოწყალოდ ძარცვავდნენ მუზეუმებს. ასეთ ვითარებაში ვანის ექსპედიციისა და მუზეუმის ერთობლივი გადაწყვეტილებით საგანძურო გადაიტანეს ბანკის საცავში, ხოლო ცოტა მოგვიანებით ბანკიდან უფრო საიმედო ადგილზე. არ შეიძლება დავივიწყოთ ის თავგანწირვა, რაც ბატონ ოთარს მიუძღვის ვანის წინაშე. როდესაც საქართველოს მხედრიონი მართავდა, ისინი ვანს მოადგნენ და აქ სამი დღე დაჲყვეს. მაშინ ბატონმა ოთარმა გადაწყვიტა შეხვედროდა მხედრიონელთა ლიდერს – ჯაბა იოსელიანს. მისი მთავარი საზრუნავი მუზეუმის უსაფრთხოების გარანტია იყო და ეს საქმე წარმატებით მოაგვარა. მინდა აღვნიშნო აქაური მოსახლეობის, ახალგაზრდობის თანადგომა და სიყვარული. ეს ყველაფერი ექსპედიციის წევრებისა და მათი ხელმძღვანელის, ოთარ ლორთქიფანიძის დამსახურება იყო. ასე იხსენებს ავთანდილ გიორგაძე ექსპედიციასა და მის ხელმძღვანელ ოთარ ლორთქიფანიძესთან განვლილ წლებს. „კარგად მახსოვს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სახელმწიფო გამოცდებზე იყო ბატონი ოთარი განათლების სამინისტროდან მიმაგრებული. მაშინ მე საკუთარი მანქანით მძღოლის ფუნქციას ვასრულებდი. დღის სამ საათამდე ის დაკავებული იყო, ხოლო შემდეგ ინსტიტუტის ლექტორები პატიუებდნენ გელათში რესტორანში. მათ კარგად იცოდნენ ბატონი ოთარის ხასიათი, ის იყო უპატიოსნესი ადამიანი, ამიტომაც ყოველი გამოცდის შემდეგ ლექტორები კარგ სადილს უმართავდნენ პატივისცემის ნიშნად. გელათის პატარა რესტორანი ქუთაისში საამაყო ადგილად ითვლებოდა, იქ მუშაობდა ახალგაზრდა ყმანვილი, რომელიც კარგად მღეროდა, ლექტორებშიც იყვნენ ისეთები, რომლებიც მას ხმას უწყობდნენ. ხშირად მიხდებოდა ბატონი ოთარისა და მაღალი თანამდებობის პირების საუბრის მოსმენა. ყველა დიდ პატივს სცემდა მას, როგორც მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერს.

ერთხელაც მახსოვს ირაკლი აბაშიძე იყო სტუმრად ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. მეცოტა მოშორებით ვმუშაობდი და ვისმენდი ამ ორი ბუმბერაზი პიროვნების საუბარს. ბატონი ირაკლი იუმორით სავსე პიროვნება იყო. მან ბატონ ოთარს უთხრა „ამას წინათ ახალგაზრ

დობის დროინდელი საყვარელი ქალი შემხვდა, შევთავაზე ახალგაზრდობა გავიხსენოთ-თქმ“. იმ ქალბატონმა მიპასუხა „ბატონი ირაკლი, უკვე შვილები და შვილიშვილები გვყავს და ვინ-მემ, რომ გაიგოს თავი მოგვეჭრებაო“. მე კი ვუთხარი „სხვა კი არა, თქვენც ვერ გაიგებთ ვერაფერს-თქო“. ბატონმა ოთარმა ბევრი იცინა ამ ხუმრობაზე.

ბევრი რამ შეიძლება მოვიგონოთ ექსპედიციის წარსულიდან, მაგრამ ძალიან შთამბეჭდავია დიმიტრი ახვლედიანის (დღეს პროფესორი) მუშაობისას მომხდარი ერთ-ერთი ეპიზოდი. როგორც ვიცით, ექსპედიცია საველე სამუშაოებს ვანში ივლისიდან იწყებდა. ექსპედიციის ხელმძღვანელი უბნებზე ანანილებდა არქეოლოგებს. დიმიტრი ახვლედიანს ამბერეკი ახვლედიანის ეზოში, კარიბჭის გასწვრივ დაევალა უბნის ხელმძღვანელობა. სამუშაოები დილის 6 საათზე იწყებოდა და პირველ საათამდე შეუსვენებლად მიმდინარეობდა, საღამოთი კი, 5 საათიდან 8 საათამდე გრძელდებოდა. შესვენებისას მუშები, რომლებიც შორს ცხოვრობდნენ სახლში არ მიდიოდნენ, იქვე ნაყრდებოდნენ და შემდეგ ბურთის თამაშით ერთობოდნენ. ბურთის თამაში უბანზე ბიჭებმა ტრადიციად აქციეს. ამ თამაშებში დრო და დრო უბნის ხელმძღვანელი დიმა ახვლედიანიც მონაწილეობდა. ამ ამბავმა ერთ დღესაც ბატონი ოთარის ყურამდეც მიაღწია. მან დიმიტრი საღამოთი თავის ოთახში იხმო და მკაცრად გააფრთხილა უბანზე ბურთის თამაში აეკრძალა. დიმამ ბოდიში მოუხადა და ალუთქვა, რომ მსგავს შემთხვევას სამუშაოზე ადგილი აღარ ექნებოდა. მეორე დღეს დიმამ ბიჭებს უთხრა ბურთი აღარ მოეტანათ და ბატონი ოთარისთვის მიცემული სიტყვაც გაანდო მათ. მიუხედავად ამისა, ბიჭებს სულმა ნასძლიათ და როგორც კი დიმა თვალს მოეფარა, დამალული ბურთი გამოიტანეს და თამაში დაიწყეს. დიმა მიხვდა ბიჭები რომ თამაშობდნენ და უკან დაბრუნდა. ბიჭებს უთხრა ბურთი გამომი-გორეთო, უარი ვეღარ გაუბედეს და გაუგორეს. დიმამ, რომელსაც ჩექმები ეცვა გადაწყვიტა ბურთისთვის ისე დაერტყა, რომ გადაეკარგა, რის გამოც გამოგორებული ბურთისკენ მთელი სისწრაფით გაქანდა და მთელი ძალით დაარტყა ფეხი. ბურთი მთელი სიძლიერით გაფრინდა. ამ დროს ჩვენს მეზობლად მცხოვრები ბაგრატ ქავთარიას მეუღლე ივდითი, რომელიც ექვსი თვის ავადმყოფობის შემდეგ ორი დღის ამდგარი იყო ლოგინიდან, ლობებს მოჰყვებოდა და ძლივს მოლასლასობდა მეზობელთან სასაუბროდ და გულის გადასაყოლებლად. დიმას დარტყმული ბურთი ივდითს მოხვდა, ერთი კი მოასწო დაყვირება „დაგექცა ოჯახიო“ და იქვე ჩაიკეცა. ის ძლივს მოასულიერეს მეზობლებმა. დიმა სახტად დარჩა, არ ელოდა ასეთ ამბავს. თუმცა, უბანზე დისციპლინა კი დაამყარა.

ვანის ნაქალაქარის შესწავლის პარალელურად ბატონ ითარს გადაწყვეტილი ჰქონდა ვანის რაიონის სოფლების არქეოლოგიურად შესწავლა. საამისოდ ექსპედიციას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ბიჭიკო რამიშვილი ესტუმრა. ბატონმა ითარმა მისი დახმარება მე და ომარ ლანჩჩავას დაგვავალა. ყოველდღიურად მივემგზავრებოდით მუქედის, ტობანიერის, ყუმურისა და შუამთის ტერიტორიების შესასწავლად. რამოდენიმე სადაზვერვო ჭრილი გაითხარა და საკმაოდ ბევრი არქეოლოგიური მასალა იქნა მოპოვებული. მსგავსი დაზვერვითი სამუშაოები მიმდინარეობდა სულორის ხეობაში, საკაკლიას ტერიტორიაზე, სადაც მოგვიანებით, შემთხვევით ნაპოვნი იქნა არქეოლოგიურად საინტერესო ძვ. ნ. VII-VIII საუკუნეების კოლხური ცული. ამ ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოებიც ჩატარდა, რომელსაც გიგა ინაური ანარმოებდა ოთარ ლორთქიფანიძის დავალებით, სადაც ძალიან საინტერესო ნასახლარი იქნა აღმოჩენილი.

დიდ სიხარულს ანიჭებდა ბატონ ითარს რაიმე მნიშვნელოვანი აღმოჩენა. 1971 წელს ჭაჭია ახვლედიანის უბანზე აღმოჩენეს კორინთული კაპიტელი, ადგილზევე მოხდა მისი განმეოდა-დამუშავება, ბაადურ მჭედლიშვილისა და გიორგი ლეუჟავას მიერ. მოხდა ფოტო-ფიქსაცია, რის შემდეგაც გადაწყვდა მისი გადმოტანა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე. საგანგებოდ შეკერილი იქნა დიდი საზიდარი და ამ საზიდარით გადმოტანეს, რომელშიც მონაწილეობდნენ: ვ. ლიჩელი, გ. სულხანიშვილი, ო. გაბუნია, მ. კასრაძე, პ. კალაძე, ოთ. ლორთქიფანიძე და გ. ლეუჟავა, რომლის ამსახველი ფოტო დაფიქსირებულია და მუზეუმშია დაცული.

ბატონი გიორგი ლეუჟავა ყოველთვის საპატიო პიროვნებად ითვლებოდა ექსპედიციაში. ვინაიდან ექსპედიციის ბაზა საკმარისი არ იყო მისი წევრებისათვის, იგი წლების განმავლობაში

ვასო გაბუნიას სახლში, პატარა ოთახში ცხოვრობდა. მას ძალიან მოსწონდა მისი საცხოვრებელი, ძალიან უყვარდა ხილიც. სამუშაოდან მობრუნებულს ყოველთვის ხვდებოდა მაგიდაზე დადგმული ხილით სავსე ვაზა. ასეთი დამოკიდებულება მას ოჯახთან ძალიან აახლოებდა და დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

ბატონი გიორგის შესრულებული მრავალი საინტერესო რეკონსტრუქციული ნახაზი შემორჩია ექსპედიციას და რაც მთავარია მან მოასწორო არქეოლოგიური მუზეუმის პროექტის დასრულება, რომელიც ცოტა მოგვიანებით იქცა რეალურ მუზეუმად.

დიდი აჟიოტაჟი სუფევდა ვანში 1984 წელს, რაც გამოწვეული იყო ინგლისელი (შოტლანდიელი) მეცნიერის ტიმ სევერინის მოგზაურობით. ტიმ სევერინი გაეცნო რა ოთარ ლორთქიფანიძის ნაშრომებს და მის ასეთ ნარმატებულ აღმოჩენებს ვანში. დაინტერესდა და საბოლოოდ გადაწყვიტა კოლხეთში განეხორციელებინა მოგზაურობა არგოთი. საამისოდ, 33 საუკუნის წინანდელი წესებით შექმნა ახალი არგო და კოლხეთისაკენ გამოემართა. როდესაც სევერინი არგოთი მოუახლოვდა ჩვენი ქვეყნის სასაზღვრო ტერიტორიას, მათ გემით შეხვდნენ საქართველოს წარმომადგენლები. გემზე სხვებთან ერთად იმყოფებოდა ტიმ სევერინისთვის ყველაზე სასურველი მასპინძელი-ოთარ ლორთქიფანიძე. პარალელურად, რუსული გემით „ტოვარიშჩ“ ელოდებოდა ახალ არგონავტებს მაშინ ცნობილი კინომოვზაურთა კლუბის ხელმძღვანელი სენკევიჩი. სევერინი და ქართული დელეგაცია ერთობლივად გადავიდნენ რუსულ გემზე. ეს იყო მათი პირველი შეხვედრა რომლის შემდეგ გამოემართნენ ფაზისისაკენ (ფოთი). ეს იყო პირველი ექსპედიცია 33 საუკუნის შემდეგ და ბუნებრივია, ხალხიც ამ მოგზაურობისადმი დიდ ინტერესს იჩენდა. ფოთიდან მათ ამოცურეს მდინარე რიონის საშუალებით გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმამდე და ჩაუშვეს ღუზა. ჭყვიშში აღიმართა სტელა, რომელზეც ტიმ სევერინმა, ოთარ ლორთქიფანიძემ, ა. აფაქიძემ და სხვადასხვა მეცნიერებმა დააფიქსირეს თავიანთი ავტოგრაფები. სევერინს გააცვნეს მუზეუმში დაცული უძველესი ოქრომჭედლობის ნიმუშები. ის რამდენიმე დღის შემდეგ დიდი შთაბეჭდილებებით სავსე თავისივე არგოთი გაემგზავრა ბათუმამდე. ტიმ სევერინმა აღიარა, რომ 33 საუკუნის წინ შესაძლებელი იყო არგონავტები რეალურად მოსულიყვნენ კოლხეთში.

დღესათვის ჯერი კი ახალ არქეოლოგებზე მიდის, აღმოჩინონ არგონავტების თანადროული მდიდრული ქალაქი, რომელიც ძველ ბერძნულ წყაროებშია დაცული.

1985 წელს ოთარ ლორთქიფანიძემ ადგილობრივი ხელმძღვანელობის დახმარებით შესძლო ჭყვიშში „არგოს“ მუზეუმის გახსნა. „არგოს“ ზუსტი ასლი რაიონის შეკვეთის შედეგად, რომელსაც უშუალოდ რაიკომის მესამე მდივანი შიო გიორგაძე კურირებდა განთავსდა არგონავტიკის ახალაგებულ მუზეუმში. ბატონი ოთარის თაოსნობით მოეწყო არგონავტიკასთან დაკავშირებული მასალების გამოფენა.

ჩვენ მივუთითეთ საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის ჩატარებაზე, რომელიც მიზნად ისახავდა არა მარტო ვანის არქეოლოგიური გათხრებიდან მოპოვებული მასალების პროპაგანდას, არამედ მთლიანად კოლხეთის მონაწილეობასა და როლს იმდროინდელ მსოფლიო ცივილიზაციაში. ამის საფუძველზე ბატონი ოთარი ცდილობდა ქობულეთ-ფიჭვნარის, ნოქალაქევისა და ფოთის არქეოლოგიური მუზეუმების შექმნას, რასაც მან დიდი შრომის შედეგად მიაღწია. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის შემდეგ მოეწყო ქობულეთ-ფიჭვნარის გამოფენა, ნოქალაქევში დაფუძნდა აგრეთვე არქეოლოგიური მუზეუმი და ფოთის მხარის ამსახველი მუზეუმი გადაკეთდა არქეოლოგიურ მუზეუმად, რომელთა ექსპოზიციები ყოველწლიურად მდიდრდებოდა ახალ-ახალი აღმოჩენებით და იზიდავს არა მარტო ადგილობრივ, არამედ უცხოელ ტურისტებსაც.

მინდა გავიხსენო ფოთის მუზეუმის რეკონსტრუქციისა და მისი ექსპოზიციის მიმდინარეობის პერიოდიდან ერთი ეპიზოდი. ექსპოზიციის მოწყობამდე ფოთის მუზეუმის სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა ფოთელი ჯემალ მიგინეიშვილი, რომელიც ბატონ ოთარის სიტყვებით იყო ნამდვილი ქართველი. ეს ნამდვილი ქართველი ჯემალი, მუზეუმის სარემონტო სამუშაოებს თავისივე ფინანსებით ატარებდა იმ პირობით, რომ ფოთის ხელმძღვანელობა დახარჯულ თანხას აუნაზღაურებდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ მას დანახარჯი ვერ აუნაზღაურეს,

შეიქმნა უხერხული მდგომარეობა. ბატონმა ოთარმა აქაც იპოვა გამოსავალი, მან გაიგო, რომ ფოთში ჩასვლას აპირებდა იმუამინდელი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონი ზურაბ უვანია. მან დაგეგმა ბატონ ზურაბთან შეხვედრა, რომელიც ფოთის გამგებელთან და პორტის ხელმძღვანელ გეგიძესთან ერთად 11 საათზე უნდა გამართულიყო. დილით ადრე ბატონმა ოთარმა მთხოვა ფოთში ჩამეყვანა. 10 საათზე უკვე ფოთის მუზეუმში ვიყავით. შეხვედრა შედგა. შეხვედრას ესწრებოდა პარლამენტის წევრი, არქეოლოგი მალხაზ ბარამიძე, პორტის უფროსი და ფოთის გამგებელი. მან ბატონ ზურაბს გააცნო ფოთის მუზეუმის სამომავლო გეგმები, აჩვენა უკანასკნელ წლებში ნაპოვნი ბრინჯაოს ქანდაკებები და სხვა საინტერესო მასალები, თან იმ დახარჯული თანხის ანაზღაურება თხოვა, რომელიც მიგინეიშვილმა გაიღო მუზეუმის მშენებლობისათვის. მან მადლობა გადაუხადა წინასწარ ბატონ ზურაბს და სიტყვა გადასცა. ბატონმა ზურაბმა მიმართა გეგიძეს და ნადარეიშვილს „ბატონებო, ჩვენ ყველამ ვიცით თუ რა როლს თამაშობდა ფოთი იმდროინდელ მსოფლიოში. ფაზისი, ეს გახლავთ ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი. მე გეკითხებით თქვენ, ნამდვილ ფოთელებს, რატომ უნდა გთხოვდეთ ბატონი ოთარი თქვენივე ქალაქის მუზეუმის მოწყობას, როცა თქვენ უნდა მიმართავდეთ მას, რომ თავისი პროფესიონალიზმი მოახმაროს თქვენს ქალაქსა და მუზეუმს“. „ბატონო ზურაბ, მე ვიქნები გარანტი ამ თანხის ანაზღაურებისა“ – წარმოთქვა პორტის ხელმძღვანელმა. თანხა 15 000 ლარს წარმოადგენდა, ასე გადაიჭრა ეს საკითხი. ბატონი ზურაბი თბილი სიტყვით დაემშვიდობა ბატონ ოთარს. მახსოვს მისი წარმოთქმული სიტყვები „პატივი ეცით ბატონი ოთარის სიტყვას, მისნაირი ჭეშმარიტი ქართველი უმრავლოს ღმერთმა საქართველოს, ასეთი ადამიანი ბევრი არ გვყავს საქართველოშიო“.

მინდა ერთი ასეთი ეპიზოდი გავიხსენო – 1999 წელს დაბადებიდან 50 წელი მისრულდებოდა, ექსპედიციის თანამშრომლებმა გურამ კვირკველიამ და დიმიტრი ახვლედიანმა შემახსენეს საიუბილეო თარიღი და მთხოვეს მისი აღნიშვნა და მეც დავთანხმდი. ამ ამბავმა ბატონი ოთარის ყურამდეც მიაღწია და ათი დღით ადრე თავის კაბინეტში გამომიძახა. მე შევედი – „ჩემო ომარ, ასე დაინყო მან, 50 წელი მართლაც აღსანიშნავი თარიღია, მაგრამ მე სულ სხვა აზრი გამიჩნდა ამის შესახებო. ცოტა პაუზის შემდეგ მითხრა – მოდი, ეს თარიღი ექსპედიციაში აღვნიშნოთ, პურ-მარილს მე ვკისრულობ, შენ კი კარგი ღვინო მოიტანე და ოჯახის წევრებიც მოიპატიჟეო“. მე ვიუარე, ვთხოვე ყველას ოჯახში გეპატიჟებით-თქო. მან მითხრა „არა ჩემო ომარ, იცი რა აზრი მომივიდა თავში? მოდი, ახვლედიანების გორაზე მცხოვრები მეზობლები მოვიპატიჟოთ, რადგან ისინი წლების განმავლობაში ჩვენთან მუშაობდნენ, მათაც გაუხარდებათ და თან შენს დაბადების დღესაც უფრო ფართო მასშტაბით აღვნიშნავთ“. მოკლედ შევთანხმდით, მხოლოდ კარგი ღვინო იყო ჩემი საზრუნავი, დანარჩენზე ბატონმა ოთარმა დაგვაფინანსა.

სუფრა დიდი იუმორითა და მხიარულებით იყო სავსე, ძალიან გახარებულები იყვნენ მეზობლები ბატონი ოთარის ასეთი გადაწყვეტილებით. მე ვფიქრობ, ეს მარტო ბატონ ოთარს შეეძლო გაეკეთებინა, მან ეს თავისი სიკეთითა და სიყვარულით მოიმოქმედა და მრავალი ადამიანის გული გაახარა. მომავალ წელს მეზობლებთან შეხვედრა ისევ განმეორდება და ეს ტრადიციადაც იქცა.

ჩვენ რამდენჯერმე შევხეთ მუზეუმის დაარსების დროს ბატონი ოთარის თავდადებას. მუზეუმის დასრულების შემდეგ დაიწყო საექსპოზიციო სამუშაოები. ექსპოზიციის მოწყობა დაევალა გურამ ყიფიანს, ნოდარ ამაშუკელს და იგორ ქირიას. მათ ეხმარებოდათ ვანის მკვიდრი ილია დარსალია, რომელიც ხელმარჯვეობით გამოირჩეოდა. ექსპოზიცია დასრულდა და გაიხსნა მსოფლიო არქეოლოგთა მესამე სიმპოზიუმისთვის. ძირითადად, გამოფენილი იქნა ვანის ნაქალაქარზე ნაპოვნი მასალები. ცოტა მოგვიანებით გამოფენას დაემატა ოქროს ფონდი. მუზეუმის გახსნის შემდეგ თანდათან იმატა დამთვალიერებელმა, მოდიოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და საინტერესო ჩანაწერებს აკეთებდნენ „ჩანაწერთა წიგნში“. ზოგიერთ მათგანს გაგაცნობთ – პირველი ჩანაწერი მუზეუმის გახსნის დროს აკადემიკოსმა ბორის ბორისის ძე პიოტროვსკიმ დაგვიტოვა.

**ოქარ ქაგნიძე** – თსუ ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## დიანა ვაშაყაძე



„ადამიანური სულის ექსტრაორდინალური გამოვლინება“ – ამ სტატიით გამოეხმაურა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნიჭიერესი და მრავალმხრივ განათლებული ქალბატონის, დიანა ვაშაყაძის ნათელ ხსოვნას, რომელიც სრულიად ახალგაზრდულ ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან. მის ნათელ ხსოვნას ეძღვნება პროფესორ ანზორ გველესიანის სტატიაც, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ და დავძენთ, რომ ეს უბრნებინვალესი ტალანტი ვანური ფესვებიდან მოდის.

დიანა თამაზის ასული ვაშაყაძე (ქორწინების გვარი – ვერონეზე) (04.11.1966, თბილისი, – 14.05.2011, თბილისი), გამოჩენილი მომღერალი (დრამატული სოპრანო) და თეორეტიკოს-ფიზიკოსი, საქართველოს ლირსების ორდენის კავალერია.

დიანა დაიბადა პროფესორების ნონა ვასიელიევა-ვაშაყაძისა და თამაზ ვაშაყაძის ოჯახში. მამით მისი წარმომავლობა უკავშირდება ვანის რაიონის სოფელ სალხინოს ვაშაყაძეებს და სოფელ სულორს, დვალიშვილებს. თამაზის მამა სერგო ვაშაყაძე, 1921-1922 წლებში მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად ვანის გიმნაზიაში, რომელიც გაიხსნა 1916 წელს. 1924 წლიდან იგი მიავლინეს სოხუმის ახალგახსნილ ქართულ საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. ამავე საგნის მასწავლებლად ის მუშაობდა ვანის რაიონში 1942-1945 წლებში. სერგო ვაშაყაძემ, პირველმა მთელ საბჭოთაში, 1933 წელს თბილისის 26-ე საცდელ-საჩვენებელ სკოლაში ჩაატარა მოსწავლეთა მათემატიკური ოლიმპიადა. დიდი ბაბუა – ექვთიმე დვალიშვილი – იყო ქუთაისის გუბერნიის სილამაზის პრიზის მფლობელი 1878-1879 წწ. დიდი ბებია კნიაგინია პეპელა ლორთქიფანიძე-დვალიშვილისა, – დედით ბერძნული წარმომავლობისა, მრავალმხრივ იყო დაკავშირებული 1850-იანი წლების საქართველოს ყოფასთან; მაგ., ბაბუა, სერგეი ვასილიევი, გახლდათ ბაქო-ბათუმის ნავთსადენის პროექტის ავტორი და რეალიზატორი.

ქალბატონმა დიანა ვაშაყაძემ 1991 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია (პროფ. ნ. ანდლულაძისა და პროფ. გ. კარიაულის კლასი), იყო ფულბრაიტის სტიპენდიანტი ნიუ-იორკის კონსერვატორიაში (პროფ. მალასის კლასი), ოზიმოს ვოკალური აკადემიის სტუდენტი.

1994-1996 წლებში დიანა ვაშაყაძემ გაიარა პროფესიული სწავლების პროგრამა ნიუ-იორკის მანჰეტენის უმაღლეს სამუსიკო სკოლაში. სწავლის პერიოდში მონაწილეობდა მრავალრიცხვოვან კონცერტებში ნიუ-იორკში და ჩატანუგას საზაფხულო ფესტივალში.

1996 წელს დიანა ვაშაყაძე გამოჩენილი ტენორისა და დიდი მაესტროს კარლო ბერგონცის მიწვევით მოღვაწეობდა ბუსეტოში, როგორც ვერდის აკადემიის თანამშრომელი. მუსიკის პარალელურად, მისი მოღვაწეობიდან უნდა აღინიშნოს ენების შესწავლისა და ფიზიკის მიმართულებები.

დიანა ბაგშვილიდანვე, თავის და ეკასთან ერთად, დიდი გატაცებით სწავლობდა და ღრმად ფლობდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, იტალიურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებს. რამდენადაც ენათა შედარებით (მუსიკათმცოდნეთა ტერმინოლოგიით) უაქცენტოდ მეტყველება მნიშვნელოვანია მხატვრული ნაწარმოების შესრულებისას.

დიანა ვაშაყმაძემ წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სრული კურსი და ასპირანტურა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სპეციალობით. მან მათემატიკური აპარატის „კვანძთა თეორიის“, ალგებრისა და ტოპოლოგიის თანამედროვე მიღწევების გამოყენებით შექმნა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის ორიგინალური, არაწინააღმდეგობრივი მათემატიკური თეორია, რომლის პიონერული ხასიათი და შთამბეჭდავი პერსპექტიულობა დამახასიათებელია არა მხოლოდ ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის, არამედ კოსმოლოგიის მიმართულებითაც, რაც აღინიშნა მრავალი სახელგანთქმული მეცნიერის მიერაც. კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში ძნელია ისეთი პიროვნების დასახელება, რომელმაც ერთდღროულად წარმოუდგენლად მაღალი, ღრმა შინაარსიანი ნაშრომები, ნაწარმოებები შექმნა: ბუნებისმეტყველების, მუსიკის, თარგმანისა და პოეზიის დარგებში, დრამასა და ფილოსოფიაში.

**აზორ გველესიანი** – გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,  
მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიონალი

## ადამიანური სულის ღვთაეპრივი გამოვლინება\*

„ვის, ოკეანევ პირქუშო, ძალუძს ჩასწვდეს  
შენს საიდუმლოებებს? ან ვინ  
მოუყვება ბრბოს ჩემს ფიქრებს  
მალულს? მე, ან უფალი, ან კიდევ – არვინ!“

**მ. ლერმონტოვი**

აგნოსტიკოსები ამტკიცებენ, რომ სამყარო შეუცნობელია. ჰომეროსმა კაცობრიობას მისცა თავისი ეპოქის დიად ისტორიულ მოვლენათა პოეტური ძეგლები და ქვეყნიერების მისტიკური შეცნობა თავისი გმირის მოგზაურობებში. სოკრატე გვირჩევს, შევიცნოთ საკუთარი თავი, რაკი ამტკიცებს, რომ ცოდნა სხვა არაფერია, თუ არა გახსენება. მის კვალდაკვალ, შექსპირმა ფიგურალურად „შეუბრუნა თვალები ჰამლეტს გუგებით შიგნით“. კანტი იძლევა რეკომენდაციას: თუნდაც ყველაფერი ღია იყოს, უმჯობესია არ ვიზარმაცოთ და ვიმუშავოთ, ნაცვლად იმისა, რომ არაფერი ვაკეთოთ. ჰეგელი, აღშფოთებული ყველათი, ვისაც ეჭვი ეპარება ქვეყნიერების შეცნობაში, შესძახებს: როგორ შეიძლება, რომ ეს საკუთარი უუნარობა აღიმართოს გონებისა და მეცნიერების ქვაკუთხედზე! აინშტაინს, რომელმაც გააერთიანა ფიზიკის მიღწევები, აგნოსტიკოსებისა და მათ მომხრეთა საპირისპიროდ მაიჩნია, რომ ქვეყნიერება მაინც შეცნობადია. პოეტი-რომანტიკოსი გუმილიოვი მოგვიწოდებს, დავდგეთ მიწიერი და ციური სამყაროს შეცნობის გზაზე, „რაკიღა ყველა ვარსკვლავი ჯერაც არ გადათვლილა, რაკიღა ჩვენი სამყარო ჯერაც არ გახსნილა ბოლომდე“. ამ მიმართებით, უნდა აღინიშნოს უკანასკნელ წლებში უჩვეულოდ გაზრდილი ინტენსივობა გამოკვლევებისა მეცნიერების და ტექნიკის ყველა სფეროში. ამის შედეგია აღმოჩენებისა და ნობელის პრემიების რეკორდული რიცხვი თანამედროვე, საქმაოდ მაღალი, დიფერენცირებულ მეცნიერებათა ფართო ქსელით განხორციელებული ტექნოლოგიების ფონზე.

შეცდომის დაშვების შიშის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ ბაბილონის კოშკი დღესდღეობითაც შენდება. უადგილოა თუ არა აქ ბიბლიის ავტორთა სასოწარკვეთა, რომ ადამიანს ნაყოფი თურმე არა ცნობადის ხიდან, არამედ სიცოცხლის ხიდან უნდა დაეგემოვნებინა? თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნების ას წლისთავთან დამთხვევით, წინამდებარე წერილი ეძღვნება დიანა ვაშავმაძე-ვერონეზეს ხსოვნას (1966-2011), – თსუ ფიზიკოს-თეორეტიკოსს, ვოკალისტს, თბილისისა და ნიუ-იორკის მანჟეტენის კონსერვატორიების კურსდამთავრებულს, ფულბრაიტის პრემიის ლაურეატს, რომელიც გამოდიოდა ამერიკის და ევროპის თეატრებში, მათ შორის – მილანის საოპერო თეატრ ლასკალაში, – ეძღვნება როგორც არაჩვეულებრივ მოვლენას ადამიანის მხატვრული შემოქმედების სფეროში, მოვლენას, რომელმაც ერთ ადამიანში მოუყარა თავი მათემატიკის, ფიზიკის, მუსიკის, ვოკალის, პოეზიის, ლინგვისტიკის, ფილოსოფიის ფენომენებს... ეს გამორჩეული მრავალმხრივობა, მე ვიტყოდი – მოცარტული უნივერსალობა, როგორც სიმულტანური, უმაღლესი ტიპის აზროვნების გამოვლინება, იმავდროულად კი – უჩვეულო, იშვიათი, მშობელთა თქმით – დაუკაებელი ენერგია და თანალმობა ყველაფერში, დაბადებიდანვე ნიშნული იყო დიანასთვის. განათლების მადლიან ნიადაგზე, რომელიც ბავშვს მისმა მშობლებმა – პროფესიონალმა მეცნიერებმა – მისცეს, სათუთად აღმოცენდა და ამოიზარდა გოგონა-ვუნდერკინდის ტალანტი. ქართული და ბერძნული ფენომენების ფესვები

\*წერილი წარმოადგენს 2018წ. №8 უუნალ „РУССКИЙ КЛУБ-ში“ დაბჭედილ სტატიის თარგმანს, შესრულებულს ბატონი დათო აკრიანის მიერ.

მის არსებაში ღრმა და ძალუმი აღმოჩნდა. დიანამ იმთავითვე გააცნობიერა თავისი უნარ-შესაძლებლობების პოტენციალი და მასშტაბები.

ვინ ამოძრავებდა თავის სამყაროში დიანას? ლუის ქეროლი, ედგარ პო, გეომეტრი, ფიზიკოსი, ფილოსოფოსი, პოეტი, კომპოზიტორი, მხატვარი... იგი მუდმივად დანთქმული იყო სომნამბულურ ძიებაში და აზრის მუშაობაში, განწყობილში მისი მუქისფერი თვალების მზერით (ასე რომ ჩამეტეჭდა გონებაში ვაკის პარკში, სადაც დიანას შემთხვევით შევხვდი, მოსეირნეს ბერძნული წარმოშობის დედასთან და უმცროს დასთან – ნათელთვალება ეკასთან ერთად, მოგვიანებით ბრწყინვალე გზა რომ გაიარა თსუ სტუდენტობიდან მსოფლიო ბანკის წამყვან თანამშრომელ-ეკონომისტობამდე ვაშინგტონში).

საგულისხმოა, რომ სწორედ ლურჯი სინათლე დომინირებს მის ლექსებში, რომლიდანაც იღვრება მშობლიური იმერეთისა და არანაკლებ მშობლიური საბერძნეთის მუსიკა. ამოცანების ამოხსნის მოთხოვნილება დიანას ბავშვობიდანვე ჰქონდა. აოგნებდა მშობლებს და მასწავლებლებს იმით, რომ დაბეჯითებით მოითხოვდა მიეცათ მისთვის რთული საკითხები და ამოცანები, რომლებსაც მისი გონება ყოვლად ორიგინალურად, განსაციფრებლად მარტივად ხსნიდა. იოლად „აკანატუნებდა“ მათ თავის ადრეულ ბავშურ „პრაქტიკაში“ და ამით ახორციელებდა, რასაც ასაკის ზრდასთან ერთად ეწოდება Insight - შემოქმედებითი საწყისების ფენომენალური აღმაფრუნა, ექსტრაორდინარული გონებისა და სულის უმაღლესი გამოვლინება. შედარებისთვის, აქ უადგილო არ იქნება ვახსენოთ გაუსის თეორემა: – ალგორითმი. ჩაიხაზოს წრეში ფარგლისა და სახაზავის სამუალებით წესიერი მრავალკუთხედი გვერდების რაოდენობით, რომელიც უძრის ფერმას მარტივ რიცხვს  $2^{2N+1}$ , და შევადაროთ იგი დიანა ვაშაყმაძის თეორემას. ამ უკანასკნელის მიხედვით, ფურცელზე ფარგლით მოვნიშნოთ რკალი, დაიყოს იგი ნებისმიერი N რაოდენობის თანაბარ ნაკვეთად, შემდეგ – სექტორი შეიკრას კონუსად. შედეგად, ნებისმიერი მონაკვეთი ცენტრიდან რკალამდე გადაიქცევა კონუსის მსახველად, თვით რკალი კი – მისი ფუძის საძიებელ საზღვრად, ზუსტად N რაოდენობის თანაბარ ნაწილებად დაყოფილ წრედ (!). იმდენად მარტივი და ნათელი მეთოდია, რომ ის დაუყოვნებლივ განახორციელეს კომპიუტერზე თბილისის ანდრია პირველმოციქულის სახელობის უნივერსიტეტის პროგრამისტებმა. ამ ამოცანას ათასწლეულების მანძილზე ამაოდ ეჭიდებოდნენ მეცნიერები. როცა ამოცანა გადაჭრილია, იგი ტრივიალურად ჩანს.

მოკლედ მოვიყვანოთ დიანა ვაშაყმაძის მიერ მეცნიერულ ასპარეზზე მიღწეული შედეგები, ფორმულირებული უწინარესად სპეციალისტებისთვის. პირველი – 30 გვერდიანი წერილი, რომელიც მიეძღვნა ამ თემატიკას, როგორც გადმოცემა, უფრო ზუსტად კი – შექმნა ელემენტარული ნაწილაკების მათემატიკური თეორიისა, გამოქვეყნდა 1992 წელს და მაშინვე მიიღო უცხოელ მეცნიერთა მაღალი შეფასება (1994 წ. Mathematical Review-ში რუმინელი მეცნიერის გეორგ ზეტის რეცენზიაში; 1996 წ. იაპონელი მეცნიერის აკიო კავაუჩის წიგნში). შემდგომში, თუმცა დიანა მონაწილეობდა მრავალ კონფერენციაში, საბჭოთა და, მათ შორის, ქართველი მეცნიერების მხრიდან არავითარი რეაქცია არ ყოფილა მის ნაშრომზე. რაც შეეხება საკმაოდ მაღალი რანგის ქართველ მეცნიერებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ დუბნისა და ცერნის ბირთვული კვლევების ცენტრებთან, მათ იზრუნეს მხოლოდ საქმის პრაქტიკულ მხარეზე, თუმცა, ამასთან ერთად, იყო ამ პრობლემის განსხვავებული მეთოდით – სიმების თეორიით – გააზრების (მათემატიკური აღწერის) მცდელობა, რომელიც, სპეციალისტთა აღიარებით, საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას. ცნობისათვის, 2006 წელს, აკიო კავაუჩისა და ტომოკო უანაგიომოტოს რედაქციით, გამოიცა სახელმძღვანელო საშუალო და უმაღლესი სკოლებისთვის და დოქტორანტურისთვის. ამ წიგნში გადმოცემულია კვანძების სრულყოფილი თეორია, როგორც აპარატი პრაქტიკაში გამოსაყენებლად. რასაცირველია, ამ ავტორების პირველწყაროს წარმოადგენდა დიანა ვაშაყმაძის მიერ განვითარებული კვანძების თეორია მიკროსამყაროს ამოცანებთან მიმართებით. როგორც ცნობილია, მაღლევე – მომდევნო პუბლიკაციებში – იგი ავითარებს და განაზოგადებს კვანძების თეორიას ასტროფიზიკის ზოგიერთი ამოცანის გადასაწყვეტადაც. ელემენტარული ნაწილაკების კლასიფიკირების საკითხში კვანძების თეორიის

გამოსაყენებლად, დიანამ შექმნა მწყობრი კონცეფცია – თეორია, რომელიც ელემენტარულ ნაწილაკთა ფუნდამენტურ თვისებებს (მუხტი, სპინი, ბარიონული რიცხვი, იზოსპინი, ლუნობა და ა.შ.) უკავშირებს კვანძების ტოპოლოგიურ ინვარიანტებს. ამ კავშირების საფუძველზე, მან დაამტკიცა შესაბამისობა გაუს-ბონეს ფუნდამენტურ მათემატიკურ თანაფარდობასა და ფიზიკოსების გელ-მანისა და ნიშიჯიმას მიერ პისტულირებულ ფორმულას შორის, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკურ ინვარიანტებს – კვანტურ რიცხვებს (ამით დიანა ვაშაყმაძემ გელ-მან-ნიშიჯიმას ფორმულა კანონის რანგში აიყვანა). ეტაპობრივად, ამ გამოკვლევებმა ღირსეული ანარეკლი ჰპოვა საკურსო და სადიპლომო ნაშრომებში, ისევე როგორც დ. ვაშაყმაძის გამოქვეყნებული სტატიების ციკლში. მოჰყავს რა შესაბამისობაში თეორიის შედეგები ახალ ექსპერიმენტულ ფაქტებთან ასტროფიზიკაში (ვარსკვლავური გროვების ბოჭკოვანი – ფილმენტური – წარმონაქმნები 1998 წელს და „სლოუნის დიდი კედლის“ ტიპის სტრუქტურები 2003 წელს, ხშირად ნაჩვენები ტელეარხებში Discovery), დიანა ვაშაყმაძე რწმუნდება სამყაროს ტოპოლოგიური კვანტურობის მისეულ კონცეფციაში. სამყაროს, როგორც ტოპოლოგიურად კვანტური ჰიპერსივრცის აღწერის მისეული მეთოდი ფუნდება შინაარსით ურთულესი, მაგრამ ფორმით მარტივი ტოპოლოგიური თანაფარდობებით, რომელთა საშუალებით მტკიცდება: (ა) ვაკუუმში ელექტრომაგნიტური ტალღის გავრცელებას შეესაბამება სივრცის მოცემული მრავალფეროვნების ტოპოლოგიური U-დაკვანტვა; (ბ) რელიეტური ფონის გამოსხივება (ექსპერიმენტულად დამზერდის) არის გლობალური ტოპოლოგიური დაკვანტვის – არაკვანტირებულ სივრცეში მომხდარი H3-ის ტოპოლოგიური აფეთქების – შედეგი; (გ) ვიზუალურად დამზერადი სამყარო ყოველთვის ეკვლიფურია, ხოლო ვაკუუმის ნულოვანი ენერგია (ცნობილი დიდი აფეთქების თეორიაში, თუმცა – არა ახსნილი) შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც ტოპოლოგიურ-კვანტირებული სივრცის ფარული ჰიპერბოლურობა; (დ) ამ სივრცის ერთი კვანტვის მოცულობა – ჰიპერბოლური დოდეკაედრის ჰიპერბოლური მოცულობა – ემთხვევა სფეროს მოცულობას, რომლის რადიუსი აღმოჩნდა დოდეკაედრის ნახევარლერძის ტოლი (პლატონის მიხედვით, დოდეკაედრი წარმოადგენს ეთერის (პრანას – შავი ენერგიის) გეომეტრიულ გამოსახულებას).

ზემოთმოყვანილ შედეგთა გამოქვენების შედეგ, 2002 წ. გაზაფხულზე მერილენდის უნივერსიტეტში – კოლეჯ-პარკში მიმართეს აკადემიკოს სერგეი ნოვიკოვს წინადადებით, ყოფილიყო დიანა ვაშაყმაძის ხელმძღვანელი. მან თქვა შემდეგი: „ხელმძღვანელად – არა. დიანამ ყველაფერი თვითონ გააკეთა; მეცნიერ-კონსულტანტობა – დიდი პატივია ჩემთვის. დიანამ გაიაზრა კვანძების თეორია და პირველმა შექმნა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის მათემატიკური თეორია. შემდეგ მან ეს თეორია გამოიყენა ასტროფიზის ამოცანების კვლევისას.. დიანას მიდგომას გაცილებით პერსპექტივულად ვთვლი კოსმოსური ფიზიკის ამოცანებისთვის. აქვე შევნიშნოთ, რომ ის წინადადება არ გახლდათ ახალი დიანასათვის: ჯერ კიდევ სკოლის მაღალ კლასებში იგი დიდი გატაცებით არჩევდა ჰილბერტისა და კონ-ფოსენის გეომეტრიას, წესიერი და ნახევრად – წესიერი სივრცული სტრუქტურების აგების თეორიასა და პრაქტიკას. (ამ მიმართულებით მან 1982 წ. მოსნავლეთა საკავშირო ოლიმპიადაზე მათემატიკაში მოიპოვა პირველი პრიზი). მომდევნო პერიოდში დიანამ წარმოადგინა ფიზიკა – როგორც გეომეტრიის კონკრეტული რეალიზაცია; კერძოდ, აჩვენა კვანძთა თეორიის (როგორც ტოპოლოგიური სტრუქტურის) იზომორფიზმი ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკასთან. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ პროფესორებს: გურამ ჭილაშვილს, ილია ლომიძეს, აკადემიკოსებს: გომარგი ჭოლოშვილს, სერგეი ალექსანდრიანს და მათემატიკოსთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტს, ლორდ ჯონ ბოლს...

პარალელურად მის მოღვაწეობაში გამოკვეთილი ადგილი ეჭირა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მუსიკას. აქ ხაზგასმით უნდა გამოიყოს დიანას თანამშრომლობა ერთ-ერთ უდიდეს ტენორთან და ცნობილ მაესტროსთან კარლო ბერგონცისთან, რომელმაც დიანა მიიწვია ბუსეტოში, ვერდის აკადემიაში ერთი წლით. აქვე დიანამ გაიცნო მუსიკოსი ავგუსტო ვერონეზე. ნიშნობის მაღალი ტრადიციული წესების დაცვით, ისინი შეუღლდნენ და ეყოლათ ვაჟი ლეონარდო.

მცირე გადახვევა პლატონის ანალოგიების მეთოდსა და არისტოტელეს სილოგიზმთან დაკავშირებით. ნებისმიერი კვლევისთვის უცილობელი ლოგიკა, მიუხედავად თავისი დამაჯერებლობისა,

არაა საკმარისი აღმოჩენისათვის. ლოგიკა ქმნის მხოლოდ მსგავსებას პლატონის ანალოგთან არ-ისტორიულებს სილოგიზმის სახით. ეს მაშინ, როცა პლატონური ანალოგია თითქოსდა ერთმანეთთან შეუდარებელ მოვლენებს შორის აღაგზნებს შემოქმედებით წარმოსახვას და ბუნებრივად შეიძლება მივიდეს აღმოჩენამდე. მათემატიკა – შემოქმედებითი მეცნიერებაა. ამაშია პლატონის, როგორც მათემატიკოსის უპირატესობა არისტოტელესთან, როგორც არამათემატიკოსთან. ცხადია, რომ დიანასთვის ახლობელია ცისკუნ მზერამიმართული მეოცნებე პლატონის სამყარო. მათემატიკური მეთოდი, რომელსაც იყენებს დიანა ვაშაყმაძე, შეიძლება შევადაროთ არიადნეს ძაფს, რომელსაც იგი მიჰყავს მიკრო და მაკროსამყაროს უფრო ღრმა გაგებამდე.

მეცნიერული ამოცანების ამოხსნისა და ლექსების წერის დროს დიანა ურთიერთობაშია ღმერთთან, სცენაზე კი – ღმერთთან და მუსიკასთან. მეცნიერებიდან პოეზიაზე თუ მუსიკაზე გადასვლა, ან პირიქით, მისთვის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და სრულიად ჰარმონიულად ხდება, რამდენადაც ისინი – პოეზია, მეცნიერება, მუსიკა – ქმნიან ერთ განუყოფელ მთლიანობას. მაგალითიად, შარლ გუნოს ოპერა „საფო“ (ინტერნეტში არსებობს საფოს არია დიანა ვაშაყმაძის შესრულებით). დიანას ფურცლებზე მისი მიჯრილი ხელნერით ამონერილია საფოს ლექსები ძველბერძნულ ენაზე, იქვე კი – მისივე ქართული თარგმანი, რომელიც ორიგინალის კონგრენიალური აღმოჩნდა. აქ გამოაშვარავდა და სრული სიმძლავრით გაიშალა დიანას მთარგმნელობითი ნიჭი – კიდევ ერთი ფენომენი, რომელიც ტოლს არ უდებს პირველ ორს. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით საფოს და დიანას სულების ნათესაობაში: საფო, რომელიც იტან-ჯება უპასუხო სიყვარულისგან, მიმართავს ქალდმერთ აფროდიტეს, ზევსის ასულს, გაათავისუფლოს ამ მძიმე სატანჯველისგან. ხოლო დიანა თავის წინათგრძნობას მიანდობს ფურცელს, რაკი იმედის თვალით შეჰყურებს ცის თალის განმკურნავ სილურჯეს და ქერუპიმების მომლერალ ხმებს. რათა მეტი სისრულით გადმოვცეთ მისი ინტერესების დიაპაზონი, ზედმეტი არ იქნებოდა აღგვენიშნა, რომ მოზარდმა გოგონამ ზეპირად იცოდა შექსპირის ბევრი სონეტი, 12 წლის ასაკში კი გამოსაცემად თარგმნა აგატა კრისტის დეტექტივი „კაცი ყავისფერ კოსტუმში“, ისევე როგორც დონიცეტის ზოგიერთი ოპერის ლიბრეტო ნოდარ ანდლულაძის თხოვნით. თავისი ელინისტურად კაშკაშა განათლებულობისა და ჩაძიებული გონების სრული არსენალით, დიანა ვაშაყმაძე ერთდროულად მიჰყება მეცნიერებისა და მუსიკის გზებს.

აბსოლუტური სმენით დაჯილდოებული და გრილპარცერულად შეყვარებული მუსიკაში, დიანა შედის ნიჭიერი ბავშვების მუსიკალურ ათწლედში, სადაც ეუფლება საფორტეპიანო დაკვრის ხელოვნებას. როგორდაც მოხდა, რომ კონსერვატორიაში მან შეასრულა მოხუცი გრაფინიას რომანსი ჩაიკვსკის ოპერიდან „პიკის ქალი“. (ჩაიკვსკიმ გადმოიტანა გრეტრის ოპერიდან „რიჩარდ ლომგული“ ლორეტის არია სოპრანოსათვის და მისცა მას დრამატული მეცოსოპრანოს ხმის ჟღერადობა, თითქოსდა საგანგებოდ დიანას ხმისთვის). ამის შემსწრებ, ნოდარ ანდლულაძემ აღტაცებით შესძახა: „კონტრალტო! დიანა – ჩვენი კონტრალტო!“. პარალელურად, იგი ამთავრებს ცნობილ კომაროვის სკოლას დაარსებულს ფიზიკა-მათემატიკის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისთვის. აპარებს თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტზე, მისი დამთავრების შემდეგ კი – იმავე თსუ-ს თეორიული ფიზიკის ასპირანტურაში (ხელმძღვანელი ა. ხელაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) და, იმავდროულად, კონსერვატორიაში ვოკალურზე (ნ. ანდლულაძის კლასი, მასწავლებელი – პროფესორი გულიკო კარიაული). შეიძლება ითქვას, რომ, ძირითადად, მუსიკასა და ბუნებისმეტყველებაში პოულობს დიანა თავის სამყაროს.

კასტანიეტების რიტმები დიანა-კარმენის ხაბანერაში, მიმართული მოცეკვავე ქალის მოძრაობებისკენ, მისი ვერცხლისფრად მორაკურავე დრამატული მეცოსოპრანოს ოპერტონების ფონზე, რომელსაც მაყურებლის სმენა თავდავიწყებით შეჰყავს ოპერის მუსიკაში, იმავდროულად ყურადღებასაც უფაციცებს კომპოზიტორის მუსიკალური ჩანაფიქრის განხორციელების სილომეზე. აქ უპრიანი იქნება მოვიყვანოთ სახასიათო შეფასება, რომელიც გამოქვეყნდა 2003 წ., ვექსფორში გამართულ ვოკალისტთა ფესტივალის შესახებ ერთ-ერთ ირლანდიურ გაზეთში: „დიანა ვერონეზე – სოპრანო საქართველოდან“. იყო ჩემი ფინალური კონცერტი, ამჯერად – წმ. იბერიუსის კეთილშობილი ტაძრის კეთილშობილ ატმოსფეროში. ლუიჯი ფერარიმ გაკვირვების გარეშე წარადგინა

დიანა რუს მომღერლად, მერე კი რეპეტიტორ ერიკა მელსონის სახელი დაავიწყდა. დიანა საოცარი ხმით ასრულებდა რახმანინოვს, ბრამსს, ვაგნერს, გრანადოსს, დაბოლოს ბიზეს. მისი ლიბესტონდი (სიყვარულის და სიკვდილის სიმღერა ვაგნერის ოპერიდან „ტრისტანი და იზოლდა“) გამაონებლად ულერდა. უდავოდ საინტერესო იქნებოდა მისი მოსმენა სრული ოპერის დადგმისას. დიანას აქვს უაღრესად ღრმა და საესე ხმა, რომელსაც მე მეცოსოპრანოს უფრო მივაკუთვნებდი, ვიდრე სოპრანოს. მისი არაჩვეულებრივი ქარიზმატულობა და დიდი პიროვნულობა აუდიტორიას გადაედო. როცა ბისზე გამოსული დიანა ბიზეს კარმენს ასრულებდა, საოპერო გუნდის ზოგიერთი წევრი „მარია დელ კარმენიდან“, რომლებიც ტაძრის აივანზე იმყოფებოდნენ, მის მღერას შეუერთდნენ. წარმოდგენა გადაიქცა საყოველთაო შეიარულებად, ბოლოს კი ყველანი სრულმა აღტაცებამ მოგვიცა.“

(„On the margins of the Wexford Opera Festival: Diana Veroneze, a soprano from Georgia was my final concert, this time in the noble setting of the St. Iberius church. Luigi Ferrari, unsurprisingly, introduced her as Russian and then forgot the name of the repetiteur, Eric Malson. She had a wonderful voice, singing Rachmaninov, Brahms, Wagner, Granados and finishing with Bizet. Her Libestod was wonderful, and again, it would be very interesting to hear her in a full Wagner production. She has a very deep and full voice – I would have put her closer to a mezzo-soprano than soprano. She was very charismatic and her big personality came across well to the audience. Some of the chorus members from Maria del Carmen were in the church balcony, and when she sang an encore from Bizet's Carmen, they joined in with her. The performance was great fun, and after the performance we left quite elated.“)

როდესაც უსმენ აიდას არიას ან ამნერისს, საფოს არიას ან რახმანინოვის რომანსს, „ნუ მღერი ჩემთან, მშვენიერო, მჭმუნვარე საქართველოს სიმღერებს...“, მაშინ მხოლოდ ამ ხმის მოსმენა გსურს, მხოლოდ ამ მუსიკის და სხვა არცერთის. არ შეიძლება არ აღინიშნოს პუშკინის ან რახმანინოვის ნოსტალგია, ეგზომ სათუთად გადმოცემული დიანას მიერ ამ რომანის შესრულებისას ამერიკაში გამართულ კონცერტზე. თითქოს ავტორმა, პოეტმა და კომპოზიტორმა სწორედ მას მიუძღვნეს თავიანთი შთაგონებული თხზულებები. დიანას წარმოსახვაში ერთმანეთს ეხმიანება ეპოქები: პითაგორადან, ორფეოსიდან და პლატონიდან რუსთაველამდე, შექსპირამდე და ედგარ პომდე, არქიმედედან და ევკლიდედან გაუსამდე, რაზმაძედან და შაფარევიჩიდან გოეთემდე და ვაჟა ფშაველამდე, ვერდიმდე და ვაგნერამდე, რომელთაც ჰქონდათ სამყაროს ფილოსოფიური, ტრანსცენდენტური აზროვნების მისტიკით განსულიერებული აღქმის უნარი. მათი თხზულებები არ ენინააღმდეგებოდა ერთმანეთს და შეადგინეს კიდევაც დიანას სულში მთლიანი შენადნობი, რომლიდანაც, როგორც დამოუკიდებელი ფაზა, გამოიყოფა მიკრო და მაკროსამყაროს მისეულ-ფილოსოფიური, მეცნიერულ-მუსიკალური მოდელი. როგორი საქმე იყო ჩვენი ნაზი დიანასათვის ასეთი ტვირთის ტარება?!



აქვე გთავაზობთ მის არაჩვეულებრივ პოეზიას და მასალებს დიანა ვაშაყმაძის არქივიდან.

\*\*\*

ჩუ! უჩინარმა ფლეიტამ ღამეს მელოდიები ანდო  
დამწუხრებული, ვით მოწყვეტილი ვარსკვლავების გლისანდო...  
ნისლებში კრთიან მომაკვდავ მზეთა ფერნაცვალები ფრთები,  
იისფერ ცრემლებს შეაშრობს ასტრებს ორკესტრთა ქიმერები.  
ზარების ზაფრით გადაუქროლებს ქარვის ქარავნებს ქარი,  
ჭმუნვა ვიოლთა აფრქვევს სიმკრთალეს მთვარის და მინანქარის,  
ოღონდ ამაღამ – თვით ქარების ჰარმონიათა დროა,  
ფორტე! მძვინვარე სამყაროები – ორკესტრის საწუთოა!!!

\*\*\*

იისფერ ისხართა მონუსხულ ტბების  
დაჭრილ გედებით მგლოვიარება!  
უსაზღვროებით დანაწყლულები,  
ვით სანუგეშო ნელსიზმარებას,  
მე მივენდობი ტალღებს პნედანთ, –  
სიმწუხარეთა ტბის პილიგრიმი! –  
გავივლი წყალზე, ვით ოფელია,  
შეშლილ სიმღერით და თეთრ გვირგვინით,  
მწველ ქარიშხალთა თეთრ სამოსებით,  
მოვიხვევ ვარსკვლავთ მქრთოლვარ  
მაქმანებს

და იცნობ – ქმუნვით და გაოცებით  
სენს საუკუნონ სატრაფოს ანარეკლს  
და ლაბირინთებს – სამყაროს აღვრილს.  
თეთრი ვარდებით დამსხვრეულ სულთა  
დაფარავს კვნესა შეშლილთა ჯვარცმის  
და შეშლილობა – ტრფობით ჯვარცმულთა.

\*\*\*

ორი კვიპაროსი, ცა და სურნელება  
დალამებულ ტევრის დაღონებულ მთვარის –  
მზეთა დამფერფლავი ცეცხლი სულს  
ეცლება –  
ყინულის ტბად იქცეს სული ეს-ეს არის.  
ორი კვიპაროსი ბჭისკარია ლამის,  
ქარს ატანენ სიცილს ცივი ღვთაებანი,  
მიაქანებს სიკვდილს მესთა დასაბამისს,  
არა ანგელოსთა ლოცვა-ვაებანი.  
ლამემ გადმოლვარა მთვარის ტბიდან  
ვერცხლი,  
უკვდავების შესმით სუნთქვა გაიყინა,  
ობლად იცრემლება ორი სანთლის ცეცხლი.  
წყვდიადს გუმბათის ქვეშ მწარედ გაელიმა.

\*\*\*

ლურჯი ფერი ნისლის, – ფერი ზამბახების,  
ფერი ჩუმი სევდის, ფერი მწუხარების,  
ბინდში ლურჯი ფერი,  
იების სურნელი  
თქვენთვის დნობა ნელი,  
შეშლილობა ბნელი.  
როცა სიკვდილს ელი, როგორც ხსნას  
და შვებას,  
როცა გული ნატრობს მხოლოდ მწუხარებას,  
როცა ცრემლი ფარავს ტკივილს და  
ვედრებას,  
როცა ენა ირჩევს ტანჯულ მდუმარებას,

შემიწყალებს ლურჯი – ფერი ცეცხლში  
ბნედის,  
სიმღერისა და კვნესის მომაკვდავი გედის,  
ფერი ვარსკვლავთ თაღის,  
სერაფიმთა ხმების,  
ფერი ზღვის და ზეცის, ნატვრის  
ხომალდების,  
ფერი თქვენთა თვალთა, ფერი უკვდავების.

\*\*\*

ო, რა ულმერთოდ მომენატრებით,  
როდესაც სანთელს ქარი ჩააქრობს.  
გაუგებარი კვდომა დამათრობს  
სერენადებით და სონატებით.  
(ო, რა ულმერთოდ მომენატრებით!)  
ისევ მიგზავნით სიკვდილს შეფარვით  
ნისლიან მწუხრში ფარისევლურად.  
რაც კი სითეთრე მთვარეს ებურა —  
განვიმდა სულის შავ ნაფერფლავით.  
(ო, ნუ მიგზავნით სიკვდილს შეფარვით!)  
ყელში – ყინულის კლანჭებით დამე,  
თვალებსაც ფერი უცხო დაედო —  
ფერი უღლინ და უიმედო.  
წყვდიადში ქმუნვენ ანგელოსები  
ჩამქრალ სანთლებთან თეთრ სამოსებში.  
სანთლები თვალებს ცილს ველარ სწამებს, —  
მწარე დუმილით დაიწვა დამე.

\*\*\*

(ჟ.ჩ.ს.)

როს შემოდგომის ყვავილებს ნისლი  
უკანასკნელი შეხებით ბინდავს,  
დახრილ წამწამთა ნელ სიისფრით,  
დაუბრუნებლად, ვიცი, წამწყმინდავ.  
შორით მოსული, დარჩები შორი, —  
დაღონებული სიზმარი მთების —  
დალამებისას სილურჯის ტბორი  
ჩამოიღვრება ქრიზანტემების,  
ჩუმად შემარხევს ზღვა – სიმწუხარე  
და მჭმუნვარება შორით კვდომისა,  
ისევ მივსებენ სილურჯით თვალებს  
ნაზი ასტრები შემოდგომისა.

\*\*\*

კლდის ცეცხლოვან ჯადოქარზე  
ქარი ასე მღერის:  
”მდუმარე მთის ლურჯ მწვერვალზე  
ვარსკვლავების ფერის  
ალი ცეკვავს — კლდოვან ზარზე

ლანდი მშვენიერის,  
ჯადოდ იწვის მთვარის ფარზე,  
ჯადოდ მყინვარწვერის.  
ვინც იხილა ნისლში შუქთა  
ცეკვა იდუმალი,  
ვისაც თოვლთა და ქარბუქთა  
ჰქონდა სასტუმალი,  
ვინც მიაღწევს თუნდაც წამით  
შორი ზეცის ზღურბლებს,  
და მთრთოლვარე ცაში ღამით  
შეეხება ღრუბლებს,  
ვინც კლდის ზარის აღსარების  
რეკვას გაიგონებს,  
სამუდამოდ ღურჯი მთების  
ტრფობას შთაიგონებს".

\*\*\*

შემოჰქრის ბნედი ფოთოლთა ცვენის  
ღვარები ვერცხლის და ფერმკრთალობის  
ნისლებმოსილი სახება თქვენი –  
მწერი სანთლისფერ ფერიცვალების.  
აპრისი მთვარის განსაკრთომელი –  
შეხება თქვენი – ვით ღელვა ქარის  
სურო სიშორის მომაკვდომელი  
მწვანით დაჩრდილავს  
ჩემს მწყურვალ თვალებს.

\*\*\*

გრძნეული ქროლვა მიბნედილ სახეს  
ააფრიალებს ალის ღანდივით,  
მთვარეს იისფერ ხავსში გაახვევს  
იდუმალების უტყვი მანდილი.  
დავანთებ სანთლებს დათოვლილ ტევრში;  
სულები მთხოვენ ცრემლიან ალებს.  
ვით ვარდის ფურცლებს წიგნების მტვერში,  
მთვარე მავიწყებს მათ სალოცავებს.  
ვიღაცა მოდის მთვარის ბილიკით –  
უხილავია ღამის სტუმარი,  
არვის შეზარავს ჩემი ყვირილი,  
მხოლოდ მექცევა ქვად სასტუმალი.  
მე აღარა მღლის მიუსაფრობა  
და აღარ მწერავს ქარის აღერსი,  
ღამეებს მიაქვთ ოცნებათ თრობა,  
უიმედობა ხმა სიმწარესი.  
ღამეებს მოაქვთ შეუბრალებლად  
სული წვეთ-წვეთად სადღაც ბნელეთში, —  
მეც, ალბათ, მალე მიმაბარებენ  
მოჭრილი ფრთებით სასუფეველში.

\*\*\*  
მივიწყებულ საყდარივით წამებულის  
ჰენებით,  
მიუწვდომელი სიზმარივით  
მზირი მომეჩვენება,  
შავმა შიშმა შთანთქა გული, გონება,  
მხოლოდ ცისფერ მთვარეს ვანდე გოდება.  
ამარიდეთ შავი ფერის მონება –  
სიკვდილის უამს დავიწყების რიდება.  
– იღვიძებდა შავი ნისლი ბოროტი  
მიწვეული ჩრდილთა ჩუმი ქოროთი.

\*\*\*

მე საიდანაც მოვედი, სხვა მზეთა  
გვალვიან ტბორით  
მოქანდა გზააბნეული ქარების გლადიატორი,  
სივრცეთა უთავშესაფრო აფრები  
ქარდალეული,  
ღელავენ, როგორც ვარსკვლავთა  
თვალები გადარეული,  
მიხმობენ უსაზღვროების ცისფერი  
მინარეთები,  
ნობათით გამოიქცევა ზღუდეთა გოგორეთები.  
ამიტაცებენ გრძნეულნი მე ჩემი ქარიშხალები,  
ღამეებს გამითენებენ სხვა მზეთა  
სხვა მაშხალები.

\*\*\*

ვით გაუქმებულ ტაძარში ღამის  
აღსარებანი გასაოცარნი.  
გამოსამშვიდი კვნესა ორლანის,  
უკანასკნელი ჩემი ლოცვანი.  
უკვე მკრთალდება ანარეკლები, სარკეში  
გხედავ ღანდებს მოწყენილს,  
ქარი გამძარცვავს ნათლისმლებელთა  
უკანასკნელთა ცრემლთა მოწმენდით.  
უკანასკნელი სანთლის ნათელზე  
აღასრულებენ წირვას მდუმარედ,  
აღარც გოდება აღარაფერზე,  
აღარც სიმწარე და სიმწარე.

\*\*\*

შეღამების შემოვიხვევ პირბადეს, თითქოს  
ღანდებს სამუდამო ოცნების,  
სად წარმლეკავს, დამწვარს და ნაიარევს,  
მძვინვარება მოგვურ ზღვათა მოქცევის.  
იყო ხელთ თუ ფრთების ერთი აქნევა –  
ავლით იქმნენ დაბინდული ტაძრები,  
იყო ნელი კვდომით დაინანთება და

ბნდებოდნენ მზენი გზნების ხანძრებით.  
ეხლა გეძებთ, სეფობაა მთვარის,  
- ლეთ მოისრულ კამარეთში დაკარგულს.  
სად ნისლები მისტირიან ნოვალისს და  
პეონთა სურნელებას დაზაფრულს.  
ვინ გაატანს სავანეთა ბორეასს ამრიზებულს  
წყურვილს უდაბნოეთის,  
ან რა ვუყოთ ღამეების ბროლებას უთვალავი  
სანთლის სიუცხოვეთი.  
ლამე ისევ მიხმობს კვიპაროსებით, გავუდგები  
- მარტო - ზეცის მისავალს  
და სიკვდილი ტრფობის ავგაროზებით თვალთ  
მეხვევა მოთქმით და მიმითვალავს.  
წავალ ისე, ნატვრით გადარეული, არ  
დამცდება ოხვრა შესაბრალისად.  
სანამ მწუხრის ცისფერ ლოცვად ქცეული  
სამრეკლოში ლანდავთ თასს გრაალისას,  
მივედრები დედოფალთა მეგარონს -  
უთვალავთა საუკუნეთ ღრეობის  
უკუნს ქროლვის, იქნებ, იქ შევეფარო, -  
ჯოჯოხეთურ ქართ აპოთეოზის.

Ποικιλόπερ' ἀναντί' Ἀρρέδισα  
καὶ Λέος βολούλοκε, λικνοῦσι οἱ, **IV**  
μὲν τὸν πρώτον πρὸς ἄνων αἴρουσιν,  
πότερον, δῆμος  
ἄλλα τετράς, αἱ τοῦτο κατέρρευσα  
τὰς ἔρης πόθινά δίστα πρότοι  
Εὐαντος, μήπος δὲ δημος λικνοῦσι  
χρυσοῖς τῷδες  
ἄργεν ἀναστρέψαντες· τελοῦ δέ σ' ἡγον  
αἰτεῖς σφραγίδας περὶ τὸν μετανοεῖ-  
ποντα σύνεστας τέλος δὲ τοποθετε-  
ρος διὰ μετανοίας  
αἴτιος δὲ τοποθετεῖσθαι δέ τοι μάταιον,  
μετανοεῖσθαι διδούσαντας αποτίναι  
τὴν διὰ τοῦτον μάταιον  
ἄντην σφραγίδαν  
κατέτινει μάταιον τὸν γένεσθαι  
ματεράνδιον δέρει τοῦ δρότος τοῦτο  
— τούτης εἰς τὸν φατοτά, τις δέ,  
**V** Κάνει, οὐδέτερος;  
εἰσὶν γάρ τινας τοιχίων διώσεις,  
οἱ δέ αὔρα μὲν δέκτες, ἄλλα διώσεις,  
αἱ δέ τὴν φίλει, τοιχίων φαλαῖς  
καθεύδεισαν.  
Ἐπειδὴ τοι τοῦτο, χαλεπέσσι δέ λαστον  
τὰ περιπονινά, δρον δέ ποι τελεσσον  
δημος ἐρέπεις, τελεσσον, οὐ δέ τοι  
σύρισσος, μηδεὶς εἰ.



\* \* \*

რისთვის მოვედი ამ ქვეყანაზე  
უსაშინლესი მახინჯთა შორის,  
თვალებდამნვარმა ამ სილამაზეს  
რომ გავუწოდო ხელი მათხოვრის?  
რისთვის მოვედი გაზაფხულების  
სულშემზუთავი ნიაღვარებით,  
ვის გავუმზილო სასწაულები  
პოეზიათა და შეყვარების?  
რისთვის მოვედი ასე მაღალი,  
არგაგონილი და არნახული,  
თქვენთვის – გაჩენით დასამარხავი  
ვარ შემზარავი და უსახური!  
მე მარტოობა დამასამარებს  
და დამიტირებს სიჩუმის წირვა,  
ოლონდ ერთხელაც შავ სულთა სვავებს  
გადაუფრინოს ჩემმა არწივმა.

**ქალის ფეროვანის გააზრება ქართულ საჭრებრ პოეზიასა და  
ვარელ ავტორებთა შემოქმედებაში**  
(ქალი-საცოლე-ცოლი, ცოლ-ქმრობა)

„ქალის მშვენება აჩოქებდა თვითონ ტიტანებს, ქალი ოდითგან საღოცავს ჰერდა“ – ვწერდი ჩემს ერთ-ერთ ადრეულ ლექსში. „ქალი სინამდვილედ ქცეული ულამაზესი სიზმარია მამაკაცისა“ (ლობერგერი), „ქალები – აი, ვინ არიან საზოგადოების ნამდვილი არქიტექტორები!“ (ჰარიეტ ბიჩერსტოუ).

„ქალის გარეშე მამაკაცის ცხოვრების დილა და საღამო უსუსური იქნებოდა, შუადლე კი – უსიხარულო“ (პიერ ბუასტი).

„ქალი ყოველთვის მერყევი და ცვალებადია“ (ვერგილიუსი).

„ლამაზი ქალი მოსწონს თვალს, კეთილი – გულს, პირველი – ლამაზი ნივთია, მეორე კი სიმდიდრე“ (ნაპოლეონ ბონაპარტე).

„ქალის სილამაზე არც ძვირფას სამოსშია, არც სხეულსა და ლამაზ ვარცხნილობაში, იგი მომავალი გზის გასაღებია, სადაც სიყვარული ცხოვრობს“ (ოდრი ჰეპბურნი).

„ქალი არის ყველაზე მისაღები შეცდომა ბუნებისა. ლამაზი ქალი ერთდროულად ცაც არის და უფსკრულიც, რა სიამოვნებით აღვაპყრობთ მზერას მის ციურ მშვენებას და რა იოლად გადავიჩებით ხოლმე უფსკრულში. კაცის ცდუნებაა ქალი დასაბამიდანვე. ქალები ცხოვრების საკაზმია“ (მილტონი).

მოკლედ რომ ვთქვათ, ქალის გარეშე მამაკაცის ცხოვრება უაზრო და ძალზე მოსაწყენი იქნებოდა.

როგორც ბიბლიიდან ვიცით, ყოვლისშემძლებელმა ღმერთმა, მთელი ქვეყანა მარტო სიტყვით, ბრძანებებით შექმნა. მას ხომ შეეძლო ყველაფერი ერთ წამში შექმნა, მაგრამ ცისა და დედამინის შექმნას ექვსი დღე მოანდომა, უკანასკნელად შექმნა ადამიანი.

ჯერ სთქვა: „შევქმნათ ადამიანი ხატად და სახედ ჩვენდა!“

მიწისაგან გააკეთა კაცის სხეული და უკვდავი სული შთაბერა. პირველი კაცი ასე გაჩნდა ქვეყანაზე, რომელსაც ადამი დაერქვა. ადამმა თავისი მსგავსი ვერ ჰპოვა ცხოველებში, თავისი აზრი, მწუხარება თუ სიხარული ვისთვის უნდა გაეზიარებინა? ამის გამო მან ძალზე მოიწყინა, ღმერთმა ეს შენიშნა და გადაწყვიტა გაეჩინა მისთვის თანაშემწე, მეგობარი. „მოჰგვარა ადამს ღრმა ძილი, გამოუღლო გვერდიდან ნეკნი და შეუქმნა მეგობარი ცოლი, რომელსაც დაარქვა ევა. ისინი ღმერთმა სამოთხეში განაწესა საცხოვრებლად, რომელიც სავსე იყო მრავალგვარი ხეხილით, ხოლო შუა სამოთხეში იდგა ორი ხე – ხე სიცოცხლისა და ხე ცნობისა – კეთილისა და ბოროტისა.

იმისთანა ძალა ჰქონდა პირველი ხის ნაყოფს, რომ იმის მჭამელი სულ მუდამ ცოცხალი იქნებოდა, მეორე ხეზე კი აი რა უბრძანა უფალმა ადამს: „ნება გაქვს სჭამო სამოთხის ყველა ხეხილის ნაყოფი, მაგრამ ამ ხილის ჭამა კი შენთვის აკრძალულიაო. თუ ჩემს მცნებას დაარღვევ და სჭამ აკრძალულ ხილს, იმავ დღეს მოკედებიო.

გველში შესახლებულმა ეშმაკმა აცდუნა ევა. აკრძალული ხის ნაყოფი მოსწყვიტა, მანაც იგემა და ადამსაც შეაჭამა. სწორედ, მან დაარღვევინა ღვთის მცნება ადამს. განსრისხებულმა ღმერთმა ისინი სამოთხიდან გააძევა და გვარიანადაც დაწყევლა, მაგრამ შემდეგ მაინც „აკურთხა იგინი ღმერთმან მეტყველმან: ალორძინდით და გამრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა, და ეუფლენით მას“... (შექმ. 1,28).

ალბათ, ამიტომ სახავენ ხშირად ქალს ეშმაკთან წილნაყარად, მაცდუნებლად, მარტის ცვალებად ამინდს ადარებენ მის ხასიათს. ყველა ქალისადმი ასეთი დამოკიდებულება, მიდგომა

დიდ მკრეხელობად მიმაჩნია. რახან ჩვენი მსჯელობა საცოლეს, ცოლსა და ცოლქმრულ ურთიერთობას ეხება, მინდა ბ. ბელინსკის სიტყვები შეგახსენოთ – „ცოლი საყვარელი როდია, იგი ჩვენი ცხოვრების მეგობარი და თანამგზავრია...“

საცოლის შერჩევისას მამაკაცმა წინდახედულება და საქმაო სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. იმანე ოქროპირი ქორწინების მსურველებს ურჩევს, გულისყურით გაეცნონ ქრისტეს ეკლესის მიერ ჯვრისნერასთან დაკავშირებულ კანონებს, კარგად ჩაუფიქრდნენ, ანონ-დანონონ და ამგვარად მოიპოვონ ოჯახური ბედნიერების უფლება. პიროვნებათა ხასიათების თავისებურებებზეა დამოკიდებული ცოლქმრული ბედნიერება. სათნო სულსა და ზნეობრივ სისპეტაკეს უნდა ეძებდეს ვაჟი საცოლეში. მისი შერჩევისას მხოლოდ ფიზიკური მშვენიერებით ტკბობა არ კმარა, რადგან მარტოოდენ ამ მოტივით ნაკარნახვი სიყვარული ძალიან ხანმოკლეა და მაშინვე ქრება, როდესაც დაფარული სულიერი სიმახინჯე გამოიკვეთება. „სილამაზემ სათხოების გარეშე, – ოქროპირის თქმით, – შეიძლება მოგხიბლოს ათი, ოცი, თუნდაც ოცდაათი დღით, მაგრამ ამ ძალას უფრო ხანგრძლივად ვერ ინარჩუნებს, რადგან სიყვარულით აღტკინება ქრება ბოროტების გამოვლინებისთანავე და პირიქით, ქალები, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან შინაგანი ლირსებებით, დროთა განმავლობაში უფრო დიდ სიყვარულს იმსახურებენ თავიანთი ქმრებისგან.“

ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, სიყვარულით შედუღაბებული და ქორწინებით დაგვირგვინებული ჰქმნის ჭეშმარიტ ოჯახს, ე.ი. ოჯახი – ცოლი და ქმარია. ცოლქმრის მოვალეობათა შესრულება მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც ამ კავშირს პატივს სცემენ. ქორწინების არსის არასწორი გაგება, ბუნებრივია, ვერ გახდება საფუძველი მათი მოვალეობის უმწიკვლო შესრულებისათვის... ჩვენს დროში არსებობენ ადამიანები, რომელებიც ცოლქმრულ ურთიერთობას ცოდვად აცხადებენ და თავიანთ მიმდევრებს მოუწოდებენ ამ ურთიერთობისაგან თავის შეკავებისაკენ, რადგან, მათი თქმით, ქორწინებაში მყოფთათვის ცხონება შეუძლებელია. სწორედ, ამგვარად მოაზროვნეთათვის დაწერა იმანე ოქროპირმა წიგნი ქორწინების შესახებ, იგი შესანიშნავად განმარტავს, რომ ქალწულება არ შეიძლება იყოს დავთისაგან მოსაზონი, თუ ის ქორწინების გმობის საფუძველზე იქადაგება. ქორწინების გმობა არის არა ქრისტიანული, არამედ ეშმაკის ჩაგონებით გამოწვეული, რომელიც იმავდროულად, სიწმინდის მტრადაც გვევლინება.

ქორწინების გმობის ამ მოძღვრების მიმდევართა მიერ სულის გადარჩენისა და ხსნის არასწორი გაგებაა, ამის საფუძველზე ქორწინება მათ სულის ცხონების საწინააღმდეგო ურთიერთობად მიაჩნიათ. იმანე ოქროპირი ილაშქრებს ასეთი მცდარი მოძღვრების წინააღმდეგ, მიუთითებს აკვილასა და პრისკილას მაგალითზე და სვამს კითხვას: „რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ აქედან? უნინარესად ის, რომ დაუშვებელია ქორწინების გმობა, ოჯახის, შვილების აღზრდის, საზოგადოებრივი საქმიანობის ცხონების საწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა. აკვილა და პრისკილა ცოლ-ქმარი იყვნენ, ჰქონდათ სამხატვრო სახელოსნო და ზნეობრივად გაცილებით დიდ სიმაღლეზე იდგნენ, ვიდრე ზოგიერთი მონასტერში მცხოვრები.“ სხვაგან მას ისაია წინასწარმეტყველის მაგალითი მოჟყავს, რომელსაც ცოლი ჰყავდა და ამას არ შეუშლია მისთვის ხელი, ეხილა უფლის დიდება. „მეუღლეობა არ არის ჩვენთვის დაბრკოლება ცათა სასუფევლისაკენ მიმავალ გზაზე, რადგანაც ცოლი რომ მზაკვრობის სათავე ყოფილიყო, მას ღმერთი ადამს არ დაუგდენდა თანაშემწედ. განა არ ჰყავდა წმინდა ისაია წინასწარმეტყველს ცოლი? მაგრამ ამას არ დაუბრკოლებია ის მაღლის მისაღებად. ის ცხოვრობდა ცოლთან, მაგრამ იყო წინასწარმეტყველი. განა მოსეს არ ჰყავდა ცოლი? ამის მიუხედავად ღმერთს ესაუბრებოდა და ღმერთიც ისმენდა მის ვედრებას.

იმანე ოქროპირის სწავლების მიხედვით, ცოლის აუტანელი ხასიათი ღვთის სასჯელია ქმრისათვის, ის გმობს ასეთი ცოლისადმი არაადამიანურ (სპარტანულ) დამოკიდებულებას. ჭირვეული ცოლის გამოსწორების კარგ საშუალებად მას მიაჩნია მოთმინებით შეგონება და არა საყვედურები, ლანძღვა-გინება და ცემა-ტყეპა. ყველაზე კარგი საშუალება ცოლის ცუდი ხასიათის გამოსასწორებლად არის ქმრის კეთილგონივრული თავმდაბლობა და ზრუნვა ამა თუ იმ მანკიერების სიმშვიდით აღმოსაფხვრელად.

იოანე ოქროპირი გმობს ანგარებიან ქორწინებას, როცა კაცი ქალს სიმდიდრის გულისთვის ირთავს, ანდა პირიქით როცა ხდება, ქალი კაცის ქონებას, ოქრო-ვერცხლს დახარბებული დგამს ასეთ ნაბიჯს. ხშირად ასეც ხდება – სიღარიბეში ჩავარდნილ ყოფილ მდიდარს, ცოლი ზურგს აქცევს და სხვა კაცებისკენ გაუზევს გული. განა ეს არის ცოლქმრული ერთგულება, ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გაზიარება, ერთმანეთის თანაგრძნობა.

გალარიბებული მდიდრის გაჭირვება, ნუხილი და შფოთვა, ცოლის ლალატის გამო, მშვენივრად არის გადმოცემული ჩვენს მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ ხალხურ ლექსში (ხალხური მთქმელი მარგალიტა ადეიმშვილი, მიქელეფონი) „ნუთისოფლის გადამკიდეს არაფერი არ მაკვირვებს.“ აი ეს ლექსიც:

„ფულიანი წინ ვიდექი, ეხლა უკან ჩამოვდექი,  
დავფიქრდი და გამეცინა – ვირის მწყემსად გამოვდექი.  
სიღარიბე წელში გატეხს, თუგინდ იყო ტარიელი,  
ყველას მაშინ შესძულდები, თუ ჯიბე გაქვს ცარიელი.  
მივედი და ცოლმა სახლში შემომხედა თვალით ისე,  
არ ვუნდებვარ კვლავ ქმრად – ვატყობ ანგელოზად რომ გადვიქცე.  
გამომიტყდა, მითხრა ბოლოს: „ჩემო კარგო – მეცოდები,  
ხვალ ფულიანს მივყვები და ბედნიერი ქალი ვხდები...“

ცოლის უტიფარი განცხადებით საგონებელში ჩავარდნილი ქმარი, უჯარო გენერალივით მარტოდმარტო დარჩენილი, მწარე ფიქრებს მიეცა. როცა ფული ბლომად ჰქონდა მოწინებით ექცეოდნენ, მამის სახელით მიმართავდნენ, დიდ პატივში იყო, მაგრამ ახლა სიღატაკეში მყოფს ზედაც არავინ უყურებს. ღვთის შეწევნით ერთ დღეს მიწის თხრისას ოქრო-ვერცხლით სავსე თუჯის ქვაბს წააწყდა, უეცრად გამდიდრებულს ახლა მოწინებით ესალმებიან, კარგად ცნობენ, მოღალატე ცოლსაც გული მოუბრუნდა მისკენ, მაგრამ სულ ამაოდ, მან ვერ შესძლო მეუღლის დაკოდილი გულის გამრთელება. მივადევნოთ თვალი ლექსის მდინარებას:

„ეხლა ყველა კარგად მიცნობს, კარგად მიცნობს, კარგ „სტოლს“ მიწყობს,  
ტაბურეტკის მაგიერად სელის სკამი შენს კალისტოს.  
გვარიანად გავიხარე, მეც სიმდიდრე შევიფერე,  
უწინდელი ძმაბიჭები მეწისქვილედ დავიყენე.  
განაქცევი ცოლიც მორბის, რა სიმდიდრე ჩემი ნახა,  
მე სხვა ქალი მოვიყვანე, გულს გავუხსნი მისებრ გლახას?“

მუქედელი ავტორმთქმელი მურთაზ ხუციშვილი (ვანი) კიდევ უფრო მეტი სიცხადით გვიხატავს სიმდიდრესა და სამკაულებს დახარბებული ქალის სახეს, რომელიც სათანადო პატივს არ მიაგებს თავის ქმარს, ვერ ხედავს მის უკეთილშობილეს ლირსებებს, სულიერ თვისებებს, სათნოებას, ერთგულებას და სიკეთეს, ყოველმხრივ აიძულებს გამოძებნოს სახსარი, საშუალება, რათა დააკმაყოფილოს მისი გაუმაძღარი ბუნება. ხალხური მელექსის ლექსი „ქმრებო, ჭკუას დაუკვირდით“ ერთგვარი რჩევა-დარიგებაა წინდაუხედავი ქმრებისადმი, რომლებიც ცოლების სურვილებს აყოლილნი ხშირად ციხეშიც ხვდებიან. ნაწარმოების სიუჟეტური ქარგაფრიად საინტერესოა:

„ქმრებო, ჭკუას დაუკვირდით, ნუ აყვებით ფეხის ხმასა, –  
თორემ იმას მოელოდეთ, რაც გადახდა ბევრსა სხვასა.  
როგორც შესძლოთ – ემსახურეთ, თქვენს მეუღლეს – ტურფა ქალსა  
და ზედმეტი საჩუქრებით ნუღარ დაიტვირთავთ თავსა.  
ათი ოქროს სამკაული შეუძინა შოთამ ქალსა,  
მან ირგუნა „რვაწლიანი“, დაუტოვა ქალი სხვასა!

.....

პავლე ცოლის თხოვის შემდეგ, ვხედავ – ადგას მრუდე გზასა.  
მასაც ხვედრი ხვდა ისეთი, როგორიც ხვდა მრავალს სხვასა.  
ცოლის ოქრო-ბრილიანტში საკუთარს ნუ გაცვლით თავსა,

ნუთუ ველარ შეიყვარებთ გულკეთილ და ნამდვილ ქალსა,  
რომელიც რომ სიმდიდრისთვის არ მიჰყვება თავის ქმარსა,  
ნაზი ქცევით შვილებს გაზრდის, უფრო შეგაყვარებს თავსა...“

იოანე ოქროპირი ქმრებს არიგებს, როგორ სჯობს ცოლების შეგონება: „თუ ცოლი სამკაულები-სა და ბრჭყვიალა მორთულობის მოყვარულია, როგორ უნდა მიაღწიო ამის გამოსწორებას? არ უნდა აუკრძალო ყველაფერი ერთბაშად, არამედ დაინტენტუმარტივესიდან. თუ მოუთმენლობით შეპყრობილი ერთი ხელის მოსმით მოინდომებ მის გარდაქმნას, წარმატება გამორიცხული იქნება. მაშ ასე, ნუ წაართმევ მაშინათვე ძვირფას სამკაულს, არამედ ჯერ ნება დართე, შეიმკოს ისინი. მასზე ზემოქმედების საშუალებებიდან გამორიცხე შეში და მუქარა, მოეპყარი ლმობიერად, აუხ-სენი, რომ შენ არ მოგწონს ეს სამკაული. შენი საუბარი წარმართე ისე, რომ მისი გულისწყრომა არ გამოიწვიო, არაფერი უთხრა არც გეპენიაზე და არც სასუფეველზე, რადგანაც დასაწყისში ამას არავითარი აზრი არა აქვს. დაარწმუნე, რომ შენ ის ბუნებრივი უფრო მოგწონს, ანუ ისეთი, როგორიც ღმერთმა შექმნა და არა ფერუმარილ წასმული. თუ მრავალი მცდელობის მიუხედავად ის მაინც არ შეისმენს, არ შეწყვიტო ამ თემაზე საუბარი, განაგრძე არა განრისხებულმა, არამედ სიყვარულითა და ალერსით. გარწმუნებ, ცოტა ხანში ველარ დაინახავ მის შეღებილ სახეს. თუ შენ გადააჩვევ მას ერთ ცუდ თვისებას, დანარჩენებსაც ადვილად დასძლევ. ამის შემდეგ შეგი-ძლია გადახვიდე ბრწყინვალე სამკაულებზე და მათზეც ასევე იმსჯელო. შენც ამ შრომით მიემს-გავსები ერთგულ მონასა და მომთმენ მინათმოქმედს. იმისთვის, რომ მოიპოვოს და ბოლომდე შეინარჩუნოს ცოლზე ზეგავლენა ქმარმა, მისი სწავლება თანაცხოვრების პირველი დღიდანვე უნდა დაიწყოს. ამისათვის უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლო სიტუაცია, ერთად ცხოვრების ყველა ეტაპზე ყურადღებით უნდა დააკვირდეს ცოლის საქციელს, მიუთითოს მოვალეობებზე და მათი შესრულების გზით ზნეობრივი სრულყოფილების მიღწევის აუცილებლობაზე. წმინდა იოანე ოქროპირის ცოლთან დამოკიდებულებაში უმრავ სხვა ნიუანსთან ერთად ქმარს ურჩევს, ქორწილის შემდეგ თავი შეიკავოს ყველაფერისაგან, რაც ქალწულს თავმოყვარეობას შეულახავს. სწორად მოიქცევი, თუ კარგა ხნით დაიკავ მის სინმინდეს და მოუფრთხილდები მას, რადგანაც, კიდევაც რომ არ იყოს უმანკო, მას დასჭირდება შეგუება ახალ და მისთვის უცნობ ცხოვრე-ბასთან. ამასთან არ არსებობს უფრო ხელსაყრელი დრო დარიგებებისათვის, ვიდრე ის პერიო-დია, როცა ის პატივს სცემს ქმარს, ჯერ კიდევ აქვს მის მიმართ კრძალვა და შიში. ამ დროს მას გააცანი ქრისტიანული წესები და ისიც დაგემორჩილება, რადგან მორჩილებას არაფერი უწყობს ხელს ისე, როგორც იმის ცოდნა, რომ სიყვარულითა და კეთილგანწყობით ეპყრობი. გაინტერესებს როგორ უნდა გამოხატო სიყვარული? ესაუბრე ასე: მე მქონდა შესაძლებლობა, შემერთო მდიდარიც და სათნოც, მაგრამ უარი ვთქვი მასზე და შევიყვარე შენი ცხოვრების წესი, შენი პატიოსნება, მოკრძალება, უბინობა. შემდეგ გადადი იმის მტკიცებაზე, თუ რა წარმავალია სიმდიდრე, მაგრამ მარტო ამ კუთხით ნუ წარმართავ საუბარს, რადგან ერთთავად სიმდიდრის მგმობელი მომაპეზრებელი იქნება, ამიტომ საუბარი შემდეგი სახით წარმართე: როცა შემეძლო დავქორწინებულიყავი მდიდარზე, არ გადავდგი ეს ნაბიჯი, რადგან წარმავალი სიმდიდრის მოპ-ოვება არაფერს ნიშნავს. მე უპირატესობა მივანიჭე შენს სათნოებას, რომელიც ოქროზე მეტად ფასობს. ბრძენი და ზნეობრივი მეუღლე ყველაფერზე ძვირფასია, ამიტომაც მე შენ აგირ-ჩიე, შეგიყვარე და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ერთად, ღირსეულად განვლოთ ეს ცხოვრება, რათა იმქვეყნადაც ერთად ვიყოთ. ახლანდელი ყოფაც ხანმოკლეა, წარმავალია და ამაოა. ჩვენ ღვთის სათნოდ უნდა ვიცხოვოთ, რათა მომავალ ცხოვრებაში ქრისტეს შევუერთ-დეთ მარადიული სიხარულით აღსავსენი. შენი სიყვარული ჩემთვის ყველაფერზე უპირატესია, არაფერია ჩემთვის იმაზე საშინელი, ვიდრე უთანხმოება შენთან. ბედმა ყველაფრის დაკარგვა, ულარიბეს ადამიანად ქცევა რომ მარგუნოს, ყველაფერს ავიტან, თუ შენ გეყვარები, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ შენც ასევე უნდა მოიქცე.“ შემდეგ დაურთე მოციქულის სიტყვები, რათა განუმტკიცო აზრი, რომ ღვთისათვის სათნოა თქვენი სიყვარული: „ამისათვის დაუტეოს კაცმან მამაი თვისი და დედაი თვისი და შეეყოს ცოლსა და იყვნენ ორივენი იგი ერთ ხორც (მათე 19,5). ასე, რომ უნდა ვეცადოთ, არ იყოს ჩვენ შორის უთანხმოება, რადგან ჩვენი ურთიერთგაგება ჩემ-

თვის ყველანაირ სიმდიდრესა და სიამოვნებას აღემატება. თავად განსაჯე, განა ასეთი სიტყვები ცოლისთვის ყველა საჩუქარზე ძვირფასი არ იქნება?

ცოლქმრული ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულზე, ურთიერთპატივისცემასა და ერთგულებაზე უნდა იყოს დამყარებული. ორგული, პირფერი და ცბიერი ცოლები ხშირად ღალატობენ თავიანთ ქმრებს, ანდა პირიქით, ქმრები – ცოლებს.

ეკონომიურმა სიდუქტირემ, უსახსრობამ არაერთი ქართველი კაცი თუ ქალი აიძულა დაეტოვებინა საკუთარი კარმიდამო და საზღვარგარეთ წასულიყო ლუკმა პურის საშოვნელად, ცხოვრების ელემენტარული საარსებო პირობების შესაქმნელად.

მიგრაციის პროცესი, სამწუხაროდ, ინტენსიურად გრძელდება. დღეის მონაცემებით საქართველოდან 2 მილიონზე მეტი ემიგრანტი გვყავს, რომელთაც უცხო ქვეყნებში უმძიმესი, ხშირად სათაკილო და ადამიანური ღირსებების, თავმოყვარეობის შემლახველი სამუშაოების შესრულება უხდებათ.

ხშირია შემთხვევა, როცა ოჯახს მოწყვეტილი ქალი ივიწყებს ქმარ-შვილს და ანგარებით თხოვდება უცხო მამაკაცზე, სხვის ბუდეში დებს კვერცხს, სხვის გვარსა და ჯილაგს ამრავლებს, ან კიდევ სიძვის ჭაობში ეფლობა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთავრობამ განუხრელად იზრუნოს მიგრაციის პროცესების შესაჩერებლად, ქართველების საკუთარ სამშობლოში დაბრუნებაზე, დასაქმებაზე, ეკონომიკური და სოციალური ფონის რადიკალურ გაუმჯობესებაზე.

საზღვარგარეთ წასული ქმარ-შვილის მოლოდინით დაღლილი ქალი, რომლის სუსტ მხრებს ოჯახის უმძიმესი უღელი აწევს, ყოველდღიური ჭაპანწყვეტითა და საზრუნავით მისავათებული ასე მწარედ გვამცნობს თავის გულის ამონაკვნესას: (ლექსის ავტორია ფერეთელი ავტორმთქმელი ნ. მეფარიშვილი)

„დიდ რუსეთში საშოვარზე გაემგზავრა ქმარ-შვილი,

ქალის, კაცის მაწევს ტვირთი, ნერვები მაქვს აშლილი.

მოსვენება ალარა მაქვს, დარია თუ ავდარი,

საქმეებს ვერ ავუდივარ, ამერია დავთარი.

მას რა უჭირს, ვისაც შემწედ ეგულვება ქმარია...

რომც მოვიდეს – არა მარგებს, ჩემთვის მაინც მკვდარია.

დილით „პახმელიაზეა“, საღამოთი მთვრალია,

ძილში, ცხადში ელანდება ტანია თუ ვალია.

ერთი გროშიც ვერ იშოვა, დარჩა ჯიბექესატად,

ქეიფი და დროსტარება აქვს ცხოვრების წესადა,

მიჯობს – სახლში დაეტიოს, მართალს ვამბობ – არ ვცოდავ,

აქაც ბედოვლათი იყო, რუსეთში რას გარბოდა?!“

ცოლქმრის ურთიერთობაში ეჭვის გაჩენა, ორთავეს გამოცდის წინაშე აყენებს. სწორედ, ასეთი ეჭვიანობის ნიადაგზე შექმნილი ლექსი „ცოლი ეტყოდა თავის ქმარს“... ცოლის სიყვარულსა და ერთგულებაში ბოლომდე ვერდარნმუნებული კაცი თავს იმკვდარუნებს, რათა შეიცნოს მისი ფარული შინაგანი ბუნება.

ჩვენს მიერ მიკვლეული იქნა ზემოხსენებული ლექსის ორი ვარიანტი. პირველი ვარიანტი ჩანსერილია სოფელ ყუმურში (დუცხუნში) მცხოვრებ პედაგოგ შალვა ცხვარაძისაგან (ბატონი შალვა წლების განმავლობაში იყო ანსამბლ „დუცხუნის“ წამყვანი ხმა, სოლისტი) მასწავლებელ ქეთევან ადეიშვილის მიერ. ხოლო მე-2 ვარიანტი პირადად ჩავიწერე ვანის რაიონის სოფელ შუამთაში მცხოვრებ ავტორმთქმელ ლევან ადეიშვილისაგან 2000 წელს, ორივე ლექსი ერთიანი გვივე შინაარსის მატარებელია, მაგრამ ვხვდებით ვარიაციულ ცვლილებებს.

თვალსაჩინოებისათვის მოგვაქვს ლექსის „ცოლი ეტყოდა თავის ქმარს“... ორივე ვარიანტი.

**I ვარიანტი**

„ცოლი ეტყოდა თავის ქმარს,  
მალიმალ გასაგონადა,  
მიყვარხარ, ჩემო სულიკო,  
ქვეყნიერების ტოლადა.  
ქმარმა იფიქრა – ქე ვხედავ,  
ქვეყნად არა მყავს ტოლიო,  
მოდი და ერთსა გამოვცდი,  
რას იზამს ჩემი ცოლიო...  
წამოწვა თავის ლოგინზე  
და თავი მოიავადა,  
თითქოს ძალიან სიცხე აქვა,  
კრუსუნებს ერთიანადა.  
ცოლი კუხნაში გავიდა,  
სადილის მოსატანადა,  
ქმარი იქავე დატოვა,  
მარტო და ცოტა ხანადა...  
როცა მოპრუნდა ოთახში,  
თავზე დაეცა მეხია,  
მისი ქმარი ქე მომკვდარა,  
კისერი მოუგრეხია.  
კიკივლო – ხალხი მოცვივა,  
მე კი მშიერი დავრჩია,  
კივილით რას გავაკეთებ?  
ჩავიხრჩო ცრემლის ღვარშია?  
დაჯდა და ჭამა დაინყო,  
მარდად და ლაზათიანად,  
ერთი დედალი შეჭამა  
და კვერი თავის წვნიანად.  
ჭიქაში ღვინო დაასხა,  
მაგრამ კი ვეღარ დალია,  
ფანჯრიდან გადმოხედულმა  
სტუმრებს მოავლო თვალია.  
თმაში ხელები ისტაცა,  
კერიას დაჰქრა თავია.  
ანუგეშებდნენ სტუმრები:  
„ვის არ მოსვლიათ ესაო,  
ხან ცოლი კვდება, ხან ქმარი,  
ბუნებამ დააწესაო.“  
ქმარმა იფიქრა ქე ვხედავ,  
ანი ხუმრობა ქმარაო,  
ადგა და წამოიძახა  
— ქალო, რამ გაგამნარაო...  
როცა სიკვდილი შემნიშვ,  
უნდა დაგეკლა ცხვარიო,  
ერთი დედალი რას გიზამს  
და კვერი გამომცხვარიო.  
მოდი და მამხიარულე,  
გიტარა დაუკარიო,  
აგერ ვარ, ჩემო სიცოცხლევ,  
ლამაზო, შენი ქმარიო.“

**II ვარიანტი**

„ცოლი ეტყოდა თავის ქმარს  
მალიმალ გასაგონრადა,  
მიყვარხარ, ჩემო სულიკო,  
ქვეყნიერების ტოლადა.  
კაცმა იფიქრა კი ვხედავ –  
ქვეყნად არა მყავს ტოლიო,  
მოდი და ერთსაც გამოვცდი  
რას იზამს ჩემი ცოლიო.  
წამოწვა თავის ლოგინზე  
და თავი მოიავადა,  
ქალი კუხნაში გავიდა  
სადილის მოსატანადა.  
სადილი რომ მოიტანა  
თავზე დაეცა მეხია,  
რადგან შეხედა თავის ქმარს  
კისერი მოუგრეხია.  
იფიქრა რაღას უშველის  
ტირილი, ცრემლის ზღვებიო,  
ამას ეს საქმე სჯობია —  
ერთს მაინც გამოვძლებიო.  
დაჯდა და ჭამა დაინყო,  
თამამად, ლაზათიანად,  
ერთი დედალი შეჭამა  
და ორი მჭადი წვნიანად.  
სტაქანში ღვინო დაასხა,  
დაასხა, ვეღარ დალია,  
რადგან, შეხედა — ეზოში  
გამოჩნდა მომტირალია.  
სტაქანი მაღლა შემოდგა  
და გაინენა თმაიო,  
ხმამაღლა მორთო კივილი —  
შექნა უი და ვაიო.  
ქალები ანუგეშებენ:  
„ვის არ მოსვლია ესაო,  
ხან კაცი კვდება, ხან ქალი,  
ბუნებამ დააწესაო.“  
კაცმა იფიქრა – მეყოფა  
ხუმრობა, მართლა კმარაო,  
წამოდგა, ცოლს გადასძახა,  
თვალი თვალს გაუყარაო.  
აგერ ვარ შენი სიცოცხლე,  
აგერ ვარ შენი ქმარიო,  
თუ კი სიკვდილი შემატყვე —  
რათ არ დაჰკალი ცხვარიო?  
ეს კი გავიგე, ტურფაჯან,  
თუ როგორ გიყვარს ქმარიო,  
გამხიარულდი, გამართე,  
გიტარა დაუკარიო.  
ცბიერი ცოლის ყოლას სჯობს –  
გულში ჩავიცე დანაო,  
გამჩენმა ყველას გაცილოთ  
მეუღლე ამისთანაო.“

როგორც ვხედავთ ორივე ლექსი ერთნაირ მარცვალთა რაოდენობაზეა აგებული და მათ შორის, ტექსტობრივი განსხვავებაც ძალზე მცირეა, ორივეს დედაზრი ერთია. ლექსის მეორე ვარიანტი უფრო ვრცელია და აშკარად ჩანს ცოლის ერთგულებაში დაეჭვებული ქმრის განაჩენი. ჯერჯერობით ვერ მივაკვლიერ ამ ლექსის პირველ წყაროს და საკითხავია – არსებობს კი იგი?!

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ცოლისა და ქმრის ურთიერთობაზე საკმაოდ ბევრი ლექსია შექმნილი. უმეტეს შემთხვევაში ცოლები საყვედურს გამოთქვამენ ქმრების მიმართ, რომლებიც ხშირად ძალადობენ კიდეც მათზე. მაგალითისთვის მოგვყავს ლექსი „ქალი ტიროდა ქართლელი“ (მთქმელი მ. ჯანუაშვილი. ჩამნერი 6. ბაკურაძე (ქართველი ოსებში) „მოგზაური“, 1901 წ, №11).

„ქალი ტიროდა ქართლელი ქართლისა შუა გზასაო,  
დავყარე წვრილი ობლები, ვერ გამოვრეკე წყალსაო.  
იმისიც სული კრულია, ვინც ქალი ენდო ქმარსაო,  
კოხტასა, ამპარტავანსა, უნვერ-ულვაშო ვაჟსაო.  
წუხელი შუალამეზედ მოადგა ეზოს კარსაო,  
შორიდან შემომიძახა: რად არ გამიღებ კარსაო?  
ავდექ, ავანთე სანთელი, მივარდი სახლის კარსაო,  
ოქროსა სკამი მივართვი, დაბრძანდი, ლვთისა მადლსაო!  
ნაღის სახდელად ვეახელ მუშტი მიღერა ყბასაო,  
დახე ამ კახბა დიაცსა, რათ არ გაივლის კარსაო...“

ეს ლექსი ფართოდ ყოფილა გავრცელებული მთელს საქართველოში, მისი რამდენიმე ვარიანტი გვხვდება.

ქარელში მთქმელ პ. დავითაშვილისაგან ჩაუწერია ა. როინიშვილს 1869 წელს, ქართლში – ვაჟა ფშაველას ძმას თ. რაზიკაშვილს, დუშეთში – ი. ჭავჭავაძეს, კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში – ვ. ლავრელაშვილს მთქმელ თ. კოშაძისაგან, თელავის რ. სოფ. მატანში – გ. ხორნაულს მთქმელ მათურელისაგან, მარტყოფში – მთქმელ გ. ბედიანაშვილისაგან – ე. ასლამაზაშვილს, წითელწყაროს რაიონის სოფ. ქვემო ქედაში მთქმელ ვ. ჩარბოდაშვილისაგან მ. წიკლაურს, ვარიანტები ჩაწერილია: კანალხევში, ფშავ-ხევსურეთში, სხვიტორში და ა.შ. ყველა ვარიანტი შინაარსობრივად ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან, ხოლო მხატვრული ხორცების თვალსაზრისით საქმე გვაქვს განსხვავებულ პოეტურ ქმნილებებთან. ლექსი I ვარიანტის სხვა ვარიანტებთან შედარებით აშკარად ჩანს, რომ ქალი არ არის წმინდა წყლის დამლევი. ამის ნათელსაყოფად საჭიროა გავეცნოთ ნაწარმოების სხვა ვარიანტს:

„ქალი ტიროდა ქანანა, შუა ქართლისა მთასაო;  
იმისი სული კრულია, ვინც ქალი ენდოს ქმარსაო.  
წუხელ მოვიდა ლაშქრიდან, შუა ლამისა ხანსაო,  
შემომიძახა წყრომითა, რად არ გამიღებ კარსაო?!  
ავდექ, ავანთე სანთელი, მივმართე კარის ჯარსაო,  
მე საკოცნელად მივედი, ხელი ამიკრა ყბასაო.  
შე ბოზო, ბოზის გაზრდილო, სად ეთვალები სხვასაო!  
მივე შევკაზმე შავრაში, შაუდექ შავსა გზასაო,  
მოვიხედე და მომდევდა, მაალვებდა ხმალსაო...“

ქალის ხევწნა-მუდარა არ შეისმინა განრისხებულმა, გაცოფებულმა ქმარმა და შუა გზაზე ხმლით აკუნა. ქმრის ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელია. წვრილი შვილების აღმზრდელი ქალი-ცოლი, რაც არ უნდა ცოდვა ჰქონოდა მას, არ უნდა გაემეტებინა სასიკვდილოდ. ხომ შეიძლებოდა ისინი ურთიერთშეთანხმებით მშვიდობიანად გაყრილიყვნენ.

პავლე მოციქული ამბობს: „კაცად-კაცადმან თავისი ცოლი ეგრეთ შეიყვარეთ, ვითარცა თავი თვისი, ხოლო ცოლსა მას, რაითა ეშინოდეს ქმრისა“ (ეფეს. 5,33) ამ სიტყვების ახსნა ძალიან მარტივია, კაცს მართლაც აქვს უპირატესობა ძალაუფლების მხრივ ქალთან მიმართებში, მაგრამ, რაც შეეხება უბინოებას – ორთავეს თანაბრად მოეთხოვება: „ნუ განეშორებით ურთიერთას, გარნა თუ შეთქუმით...“ (I კორ.7,5).

პავლე მოციქული ამ შეგონებაში ხაზს უსვამს იმას, რომ არც ცოლი და არც ქმარი არ უნდა შეეწინააღმდეგოს მეორის ნებას და მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით უნდა დაშორდნენ ერთმანეთს.

ქალსა და მამაკაცს შორის უნდა იყოს ფიზიკური და სულიერი ღირებულებების, თვისებების თანაფარდობა, შესატყვევისობა. სწორედ, ამ მოტივზეა შექმნილი ხალხური ლექსი „შინდიშიდან წამოვიდა“.

„შინდიშიდან წამოვიდა ცივი ნიავ-ქარიო.  
ტოლებში გამოვერჩიე მე, შავთვალა, ქალიო.  
ვინც მინდოდა – არ მარგუნეს, დამიყენეს თვალიო,  
ჩემმა ფინთმა დედ-მამა დამატანეს ძალიო.  
უხეირო ქმარი შემრთეს, მას მოუკვდეს თავიო,  
ლოგინში ჩამომინვება, ვით გამხმარი სარიო,  
ყელში ისე ახრიალებს, როგორც მომაკვდავიო.“

(ლექსი ჩაწერილია ქართლის სოფელ ქურთაში ა. მაჩაბლის მიერ. იხილეთ ვ. კოტეტიშვილი „ხალხური პოეზია, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961 წ., გვ. 184)

ბედნიერი შეიძლება იყოს ის ქალი, რომელსაც ოჯახური ბედნიერება არ განუცდია, რომელიც უსიყვარულოდ, თავისი ნების გარეშე მიათხოვეს მისთვის არასასურველ პიროვნებას?

ლექსში „ქალმა თორხილთა“ გადმოცემულია ქმრით უკმაყოფილო ცოლის მძლავრი პროტესტი, რასაც ულირსი ქმრის დანით დაჭრაც მოჰყვა:

„ქალმა – თორხილთა ლამაზმა, ქმარს დანა დაჰკრა მკლავშია.  
მამავ, რათ მიმეც თათარსა? რათ ჩასდექ ცოდვა-ბრალშია?  
მეშოვებოდეს თუშები, შავნი ქოჩორან თავშია...“

(„ქართული ხალხური პოეზია“, VIII ტ. გამ., „მეცნიერება“, თბ., 1979 წ., გვ 16).

ქმრისადმი ცოლის საყვედურითაა გაუღენილი ხალხური ლექსი „რა ვქნა, რა ვუყო თავსაო?“ სამართლიანია ქალის გულისტკივილი, თუ კაცს ცოლის შენახვისა და ოჯახის რჩენის თავი არა აქვს – არც უნდა დაქორწინდეს, სხვის ცოდვაში ფეხი არ უნდა ჩადგას. ამ პატარა ლექსში სწორედ ეს აზრია გამოხატული:

„რა ვქნა, რა ვუყო თავსაო?! ამ ჩემს პატარა ქმარსაო?  
არცა აქვს შენახვის თავი, არცა მანებებს თავსაო.  
კვირამდი კიდევ მოუცდი, მერე გავყვები სხვასაო“.

სხვა ლექსებში თავის დამწვარ ბედ-ილბალს დასტირის ქალი, რომელსაც „პირდაპირ – ჩამოსდგომია სიკვდილისფერი ქმარი“, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ქალი ღვთისმშობელს ეხვენება შეუფერებელი ქმრის სიკვდილს. აქვე მოვიტანთ ამ ლექსებს:

„ხაბარდა და ჩამოდექით, დამანახე სახტრის ქვაი,  
ღვთისმშობელს შევეხვენები: მომიკალი ჩემი ქმარი,  
უღლათ ხარი შემოგწირო, ზედ მოვაბა თეთრი ცხვარი“.

ლექსში „ყოვლად წმინდა ღვთისმშობელო“ იგივე აზრია გატარებული:

„ყოვლად წმინდა ღვთისმშობელო,  
ქმარი ავად გამიხადე,  
ნურც მაჟკლავ და ნურც მაარჩენ,  
დამიწვი და დამიდაგე.“

(„ქართ. ხალხური პოეზია“, VIII ტ. გვ. 18-19)

ცოლების საყვედურებით მამაკაცები რაკი ყელამდე ვართ სავსე, ახლა უპრიანი იქნება, მათ ჩვენი გულისტკივილიც ვამცნოთ. ისევ ხალხურ პოეზიას მოვიშველიებ და ვანელ ავტორმთქმელთა ლექსებს.

მხოლოდ ქალის ფიზიკური, გარეგნული მშვენიერებით, სილამაზით ტკბობა მამაკაცისთვის ფრიად სახიფათოა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ლექსი „გლეხის ნატვრა“. საბრალო გლეხი ნატრობს ეყოლოს ცოლი მზეთუნახავი, ჭკვიანი, გულუხვი, სახლის მომვლელი, სტუმართ-მოყვარე, თავაზიანი, უბინო. ღმერთმა ისმინა მისი ვედრება, მისი წყალობით შეირთო ასეთი

ლამაზმანი, მაგრამ დახეთ ბედის ირონიას, გლეხს თავისი ნატურის ასრულება თავსატეხი გაუხდა, ბატონმა წაართვა ლამაზი ცოლი:

„სანატრელია ქვეყნადა – ქალი ლამაზი, ჭკვიანი,  
ოჯახში სტუმართმოყვარე, პურით და ლვინით სვიანი,  
მაგრამ ლამაზი ქალისთვის, სჯობს დამცემოდა მეხია,  
ადგა, წაართვა ბატონმა, თავი რომ მოუგრეხია.“

სასოწარკუვეთილი გლეხი, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი, სიკვდილს ნატრობს:

„ნეტავი მოვკვდე ბეჩავი, ამას რას მოვესწარია,  
ბალდები ობლად დამირჩა, სჯობს გამოვიჭრა ყელია.“

(„ქართ. ხალხური პოეზია“, VIII ტ. გვ. 17).

ლამაზი ქალის საქებარ სიტყვებს ვერც სხვა ხალხურ ლექსებში ვხვდებით. სანიმუშოდ მოვიტან ლექსს „რად გინდა ქალი ლამაზი“:

„რად გინდა ქალი ლამაზი, რა ომში გამოგადგება?  
ჩაიცვამს წითელ-ყვითელსა, გამოვა კარზე დადგება,  
იმის შემხედავ ვაჟკაცი კელაპტარივით დადნება!  
(„ქართ. ხალხური პოეზია“, VIII ტ. გვ. 18).

მეტად საინტერესოა ლექსის „ჩალაუბანს ქალი მოკვდა“ შექმნის ისტორია (ლექსი ჩანქერილია ს. ჩხენკველის მიერ).

კახეთის ერთ სოფელში, სახელდობრ, ჩალაუბანში, ცხოვრობდა ერთი თავადი თავისი ცოლით. თავადი ნადირობის მოყვარული ყოფილა და მთელ სიცოცხლის დღეებს სახლს გარეთ ატარებდა. მარტოდ დარჩენილმა ცოლმა მოჯამაგირესთან გააპა რომანი. ბატონისგან თავის დასალწევად მათ ასეთ ხრის მიმართეს: კუბოში ჩააწყვეს რამე-რუმეები, მაგრად დაჭედეს და ნადირობიდან შინდაბრუნებულ თავადს მოახსენეს: შენი ცოლი შავი ჭირით გარდაიცვალა. შავი ჭირით გარდაცვლილის კუპოს შიშისგან ხომ ვერ გახსნიდა და მანაც დიდი პატივით დაკრძალა „დაბეჭდილი კუბო“. ცოლი და მოჯამაგირე მეორე დღეს გაიპარნენ იმერეთში სიოფელ სიმონეთში. ერთ მშვენიერ დღეს თავადს მოუვიდა ამბავი, შენი ცოლი ცოცხალია და მოჯამაგირესთან ერთად ცხოვრობს სიმონეთში. თავადი შეჯდა ცხენზე და წავიდა სიმონეთში. თავისი თვალით ნახა მისი ცოლი ბოსტანს თოხნიდა. ლექსი „ჩალაუბანს ქალი მოკვდა“ სწორედ ამ ამბავზეა აგებული.

„ჩალაუბანს ქალი მოკვდა, სიმონეთს მარგლის ბოსტანსა,

ქალსა კაცი ნუ ენდობა, ნურც კვდარსა და ნურც ცოცხალსა.“

ხალხური მელექსე, ავტორმთქმელი ბორის თუთაშვილი (ვანი, სოფ. დიხაშხო) ლექსში „გაპაექება მეუღლესთან“, მთელი სისავსით გადმოგვცემს ქმარზე გაბრაზებული ქალის გულისწყორმას იმის გამო, რომ ყანა გაუთოხარი დაუტოვებია, ეზოს მოუვლელობით შამბარი მოსდებია, არც მას აქცევს სათანადო ყურადღებას შაირობას გადაყოლილი. მინდა გაგაცნოთ ნაწყვეტი ამ ნანარმოებიდან:

„მახსოვს, ერთ დროს ჭიკიკებდი, ჩიტი გეჯდა ენაზეო,  
რა დროს შენი ლექსებია – ბებერი ხარ ყველაზეო.

ეზოს შამბი რომ მოედო, ვხედავ, თავლი მევსებაო,  
შენი სათოხარის პატრონს, კაცო, რა გელექსებაო?!

სახარება წაგიკითხე – ქრისტეს მცნება მგონი ათი,

„იმ“ საქმისთვის აღარ ვარგხარ, სხვაშიაც ხარ ბედოვლათი...“

ცოლ-ქმარს შორის რაგინდ იდეალური დამოკიდებულება არ უნდა იყოს, კონფლიქტური სიტუაციები მაინც არ არის გამორიცხული. ოჯახში ძალიან ბევრი საზრუნავია და სიტყვასთან, ლექსთან ჭიდილში ლამისმთეველი კაცი ბევრი წვრილმანი საქმისათვის, ბუნებრივია, ვეღარ მოიცლის. ქალსაც (მეუღლეს) ეძლევა საბაბი დააყენოს საყვედურების კორიანტელი. ვერც მთისძირელი (ვანის რაიონი) ავტორმთქმელი აკაკი იოსებისძე აცდა მეუღლის რისხვასა და გაქილიკებას:

„გვზარავს შენი გულგრილობა, შენი უდარდელობა,

არ მოგწყინდა უქმად გდება და უაზრო ხელობა.

არ ჰეითხულობ: რას ვჭამთ, რას ვსვამთ,  
 რით ვსუნთქვთ და ვარსებობთ,  
 ჰაიტ!... მართლა შე ღვთის გლახავ, მუზებდანათარსებო!  
 ამ ბოლო დროს დაგწყებია ხასიათის მუავება,  
 გიყვარს ასე ყველაფერის გააარარავება.  
 საკუთარი ნაჯლაპნისო – ამბობ, თავად მრცხვენია –  
 მაშ, ამდენი ოფლის წვეთი რისთვის დაგიდენია?!  
 გარე-გარე მტრებს აცინებ, მოყვრებს გულს ვერ უხარებ,  
 შენს ზეობას მოგვასწარი, დროზე დაიმქუხარე.  
 ქარი გიქრის, ამ ხნის კაცი, ვერ დაბრძენდი, ჩადექი...  
 ვერც ქვეყანას, ველარც ოჯახს, ვერც თავს გამოადექი.“

„დედაკაცმა თუ გაინია ცხრა ულელი ხარ-კამეჩიც ვერ დააკავებსო“ – ყველას გვსმენია ასეთი ანდაზა თუ გამოთქმა. ვაი მას – ვისაც ზედმეტად ეჭვიანი, ჭირვეული და ანჩხლი ცოლი ჰყავს, ვერასოდეს მოიპოვებს ოჯახურ სიმშვიდეს და ბედნიერებას. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ზეპირსიტყვიერების ეს ნიმუში:

„რა საქმე მიყო ჩემ ძმამა, დამღუპა, დამანელაო,  
 ჯვარი დამწერა ერთ ქალზე – სახელად ერქვა პელაო.  
 წამოსაყვანად წავედი, ცხენს მომიწყვიტა წელია,  
 ურემმაც ვეღარ გაუძლო, ფერსონ გატეხა სქელია;  
 სამი რძალი გამილახა, მეოთხე დედაჩემია,  
 მამაჩემს წამოურბინა აგლიჯა თმა და წვერია.  
 მათზე რომ ჯავრი იყარა, მერმე მე მამყო ხელია.  
 თორმეტი მჭადი არ ჰყოფნის, ცხრა ძროხის მონაწველია,  
 რასაც ვშოულობ ისა სჭამს, ვშრომობ, არ დამისვენია.  
 წელან ქოთანი მესროლა, მომტეხა ყბა და ხელია,  
 ბალლივით დამიმორჩილა, ჯანით მერევა, სქელია.  
 („ქართ.ხალხ. პოეზია“, ტ. VIII. გვ.28)

შინაარსითა და განწყობით ხსენებულ ნაწარმოებს აშკარად ენათესავება ავტორმთქმელ მურთაზ ხუციშვილის (მუქედი) ლექსი „ქალს“, ამ ლექსში ქმარ-შვილზე გაჯავრებული, გაცხარებული ქალის გულის რისხვაა გადმონთხეული:

„გაბრაზდა ბელთაძის ქალი, ყალყზე დაუდგა თმებია,  
 სულ ერთიანად დალაშქრა: ქმარი, შვილები, რძლებია.  
 ერთ ბავშვს კისერში უთაქა, მეორეს გაჰკრა ხელია,  
 იმდენი იჩხუბ-იყვირა, სულ ჩაეხლიჩა ყელია.  
 მესამე არად ჩააგდო, ჯერ კარგად არ უცემია,  
 იძახის თუნდაც ჩამქოლოს – მაინც დედაა ჩემია.  
 იმდენი სისულელე თქვა – სულ მთლად დავკარგე ფერია,  
 მგონი საგიუე დასჭირდეს და გავახარე მტერია.  
 ჯერ თავის სახლში ჩავიყან, ცხენს თუ არ მოწყდა წელია,  
 ძალზე მაღალი წონა აქვს, ტრანსპორტირება ძნელია.  
 მივიდე, პატრონს მივუგდო, როგორც „მეშოკი“ ძველია,  
 მე ავიშორო ეს ჭირი, ძმებს ჰქონდეთ სადარდელია.“

ნეტავი ქვეყნად მანახა ისეთი კაცი, რომელსაც ცოლის საყვედურებით, წყევლა-კრულვით, ყაყანით, ჭირვეულობით გული არ ჰქონდეს გაწვრილებული. ჩემს დღეში ყოფილა ჩავარდნილი ხალხური მელექსე მ. ხუციშვილი, რომელიც მეუღლის შიშით ფხიზელი ვერ მიდის შინ და დალოცვილი ღვინის წყალობით უმკლავდება მოსალოდნელ განსაცდელს,

„ბელთაძის ქალი ვითხოვე, სახელად ჰქვია თინაო,  
 მისი შიში მაქვს იმხელა, ფხიზლად ვერ მივალ შინაო.  
 გამახსენდება მაურულებს – ყინვა არის თუ თბილაო,

სულ ჩხუბობს, მეყაყანება საღამოა თუ დილაო.  
 როცა ნასვამსა შემხედავს, მაშინ ვერ იღებს ხმასაო,  
 ჩემი სიმთვრალე აბრკოლებს, როგორც კაცუტი თხასაო.  
 რაც მოვიყვანე – მოვიკელ სულ მცირე ოცი კილოო,  
 ალბათ მომკლავდა – არ იყოს ეს დალოცვლი ღვინოო.  
 ცხრა მჭადი თუ არ შეჭამა – რას არგებს მარტო ჰავაო,  
 თავისუფლებას მაშინ ვგრძნობ – თავისახლს როცა წავაო.“

ჩემი და მეუღლის ცოლქმრული ურთიერთობიდან გამომდინარე ერთი უბრალო დასკვნა შეიძლება გავაკეთო: ყველა ქალი, უმეტეს შემთხვევაში, ცდილობს მამაკაცი ძაფივით თითზე დაიხვიოს, ოჯახის სადავეები აიღოს ხელში და მეუღლე თავის დაკრულზე აცეკვოს, მოკლედ რომ ვთქვათ – ქალები ოცნებობენ მატრიარქატის დაბრუნებაზე და არა გენდერულ თანასწორობაზე. სწორედ ეს აზრია ჩაქსოვილი ჩემს აქ მოტანილ ნაწარმოებში:

„მოუძებნა აწმყოს ნაკლი – აგონდება თვისი ერა,  
 მრისხანების ქარებს მახლის, რა გვაცხოვრებს თვისიერად.  
 დაჰუარფატებს ფიქრი ავი, ცრემლის ჯაჭვის თორანი აქვს,  
 ყოველი დღე თავს დამჩხავის – ქალია თუ ყორანია?!  
 ღმერთო ჩემო, რა შეგცოდე? სულში ეშმა ჩაასახლე?  
 მისი შიშით სანამ ვკრთოდე: ან მომკალ, ან „ჩააძალე!“  
 თუმც წყეული ხშირად ცოდავს – ვერვინ ჩათვლის ბინიერად,  
 მომატვრია ფრთები ჰოდა – სულ მთლად გამამინიერა.“

მადლობა უფალს, რომ კეთილსინდისიერი, მაღალი ზნეობის მეუღლე მარგუნა ბედად და რადგან მივიღე ეს წყალობა, ვალდებული ვარ მშვიდად ავიტანო მისი წვრილმანი ნაკლოვანებები და პრეტენზიულობა.

და ბოლოს – მინდა უცოლო მამაკაცებს ერთი პატარა ხალხური ლექსი მოვაგონო:

„ვა, ცუდი ცხენის ყოლასა, უი, სულ უცხენობასა!  
 ვა, ცუდი ცოლის ყოლასა, უი, სულ უცოლობასა.“  
 („ქართული ხალხური პოეზია“ VIII ტ., გვ.20)

ამ სტრიქონებიდან შეიძლება ასეთი აზრი გამოვიტანოთ: როგორც მთლად უხარობას ცალ-უღელა ხარის ყოლა სჯობია, ასევე ცუდი ცხენის ყოლა სჯობს მთლად უცხენობას, ანდა ცუდი ცოლის ყოლა – მთლად უცოლობას. აგრეთვე ესეცაა ნათქვამი: ქალს ითხოვ ინანებ, არ ითხოვ მაინც ინანებო. ერთს რჩევას მოგცემდით დაუოჯახებელ მამაკაცებს: იჩქარეთ სანამ კარებზე მოგიკაცუნებთ სიბერე, ჭირს გაგიმრავლებთ სოფელი, თუ ლხინი ვერ შეიფერეთ. ფრიად საგულისხმოა ისიც, რომ თქვენ ოჯახის შექმნის საქმეში გარკვეული უპირატესობანი გაგაჩნიათ, სუსტი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით.

უნდა დავსძინო ისიც, რომ ქალების რჩევა-რჩევაში ბოლოს ბევრი მთლად უცოლოდ დარჩენილა. მავანსა და მავანს თავის პერსონაზე უზომოდ შეყვარებულს, ისეთი მაღალი წარმოდგენა აქვს თავის თავზე, მისი ტოლი და სწორი, შემადარი თუ მოიძებნება მთელს დუნიაზე არ ჰგონია. (ეს ეხება გარკვეული კატეგორიის ქალებსაც).

სწორედ ამ თემაზეა შექმნილი ავტორმთქმელ აკ. იოსებიძის ეს, არც თუ ურიგო, პატარა ლექსი:  
 ქალს კი არა, ღმერთმანი, დაეძებდა მარგალიტს,  
 არ ხიბლავდა გურული, არც პირიმზე მარგალი.  
 „მერე“ „ხვალე“ – იძახა, იმ ხვალემ და იმ მერემ,  
 ააშორა ქართლელს და.... თვალმაყვალა იმერელს.  
 ერთხელ არ აღანძულა სიყვარულის კოცონთან,  
 ნახვით ბევრი უნახავს – აღარავინ მოსწონდა....  
 სიბერეში, იცოცხლეთ, დაფაცურდა ბერბიჭა....  
 ცოლის შერთვის იმედიც ვეღარავინ ვერ მისცა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## მენორა – ეპრაცელი ხალხის სიმბოლო

ნაშრომი ეძღვნება შვიდსანთლიან სანათს – მენორას, როგორც ებრაელი ხალხის უმნიშვნელოვანეს რელიგიურ, ნაციონალურ და სულიერ სიმბოლოს – განხილულია ცნობები მისი შექმნის, სავარაუდო ფორმის, დანიშნულებისა და საკრალური მნიშვნელობის შესახებ, რომელებიც მოცემულია თანახში – თორასა და წინასწარმეტყველთა წიგნებში.

პირველად მენორა თანახში „გამოსვლათა“ („შემოთ“) წიგნში მოიხსენიება, როდესაც უზენაესი უბრძანებს მოშეს, გააკეთოს ის ხალასი ოქროსაგან, როგორც გადასატანი ტაძრის ერთ-ერთი აქსესუარი („გამოსვლათა“, 25:31-36).

ამასთანავე ნიმუში ოქროს მენორას დასამზადებლად ლვთაებრივი ნარმომავლობისაა და მასში იმთავითვე უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობაა ჩადებული – ის, უპირველეს ყოვლისა, განასახიერებს სიბრძნეს თორისას, რომელსაც სინათლეს ადარებენ, რაც ებრაელ ბრძენთა მრავალრიცხოვანი გამონათქვამებით დასტურდება. მენორა მარადიული სინათლის წყაროდ მოიაზრებოდა – ის ტაძარში მუდმივად უნდა ყოფილიყო ანთებული.

მენორა ხალასი ოქროსაგან უნდა ყოფილიყო დამზადებული. მისი ფორმის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, რაც ზედმინევნითაა განხილული ნაშრომში. მენორას დასანთებად, უზენაესის ბრძანების თანახმად, მხოლოდ სპეციალურად დამზადებული ზეთისხილის ზეთი გამოიყენებოდა, რამეთუ ებრაელ ბრძენთა მოსაზრების თანახმად ებრაელი ხალხი ქორფა ზეთისხილსაა შედარებული. ნაშრომში აღნერილია ლვთისმსახურთა – ქოპენთა მიერ ტაძარში მენორას დანთების ნესი.

როგორც საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლო, მენორა თანახში პირველად წინასწარმეტყველ ზაქარიას წიგნში ფიგურირებს, როდესაც იგი თავის ზმანებას აღნერს.

მენორას, როგორც სიმბოლოს, მრავალრიცხოვანი გამოსახულებები აღმოჩენილია მატერიალური კულტურის ძეგლებზე – მონეტებზე ( რომლებიც იჭრებოდა ხაშმონაელთა დინასტიის მეფობის პერიოდში), ასევე იერუშალამის ჰეროდე I-ის დროინდელი არქეოლოგიური ფენების გათხრებისას მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაში. ა. წ. II საუკუნიდან მოყოლებული კი მენორას გამოსახულებები გვხვდება სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ, მათ შორის საქართველოში, ებრაული დიასპორას საფლავის ქვებზე, საზოგადოებრივი შენობების კოლონნებზე, გამოქვაბულაკლდამებში, ძველი სინაგოგებისა და იეშივების (რელიგიური სასწავლებლები) ფერად ვიტრაჟებსა და იატაკის მოზაიკაზე და სხვ.

ნაშრომში მოცემულია აგრეთვე ცნობები საქართველოში აღმოჩენილი მენორას გამოსახულებიანი ჭურჭლის შესახებ.

ამრიგად, მენორას თავდაპირველი დანიშნულება, როგორც რიტუალური აქსესუარისა, გადაიზარდა მრავალნიშნა სიმბოლურ მნიშვნელობებში – სულიერში, ნაციონალურსა და რელიგიურში, რომელთაც შემდგომ უამრავი წეს-ჩვეულება დაუკავშირდა.

მენორას სიმბოლიკის ყველა ახსნა-განმარტება ებრაელობის ფიზიკურ არსებობასა და მის სულიერ და რელიგიურ შინაარსს შორის კავშირს გამოხატავს. ნაციონალური და რელიგიური საწყისების ასეთი შერწყმის წყალობით მენორა სახელმწიფოს სიმბოლოდაც იქნა არჩეული – ის ისრაელის სახელმწიფოს გერბზეა გამოსახული.

მენორა თორაში პირველად მოხსენიებულია გადასატანი ტაძრის – „მიშქანის“ აღწერისას. უზენაესი უბრძანებს მოშეს: „გააკეთე მენორა ხალასი ოქროსაგან. ჭედური გაკეთდეს მენორა. მისი შვერილი, მისი ტოტი, მისი თასები, მისი კვირტები და ყვავილები მისგან იყოს“ (გამოსვლათა, 25:31-36)....

უზენაესის ბრძანების თანახმად მენორას შვიდი ტოტი უნდა ჰქონოდა. შუათანა ტოტი ვერტიკალური უნდა ყოფილიყო, როგორც ღერო. თითოეული ტოტი შემკული უნდა ყოფილიყო სამი ნუშისებური თასით, დეკორატიული კვირტით და ყვავილით, ხოლო შუათანა ტოტზე უნდა ყოფილიყო ოთხი ნუშისებრი თასი, ხუთი კვირტი და სამი ყვავილი. მთელი მენორა ერთი ტალანტი ოქროსაგან უნდა ყოფილიყო ნათეგი.

მიდრაშის თანახმად, მოშემ არ იცოდა როგორ გაეკეთებინა მენორა, მაშინ უფალმა მას მენორას ზეციური გამოსახულება აჩვენა, მიუხედავად ამისა, მოშეს ძალიან ძნელი შესასრულებელი ეჩვენა უფლის დავალება. მაშინ უზენაესმა უთხრა მოშეს: „ყველაფერი, რაც შენ მოგეთხოვება, ისაა, რომ ოქროს ნაჭერი ცეცხლში ჩააგდო, შემდეგ კი დაარტყა მას ურო და გამზადებული მენორა გაჩნდება!“ მოშე ასეც მოიქცა – ჩააგდო ცეცხლში ერთი ტალანტი ოქრო, დაარტყა ურო და შესთხოვა უფალს: „სამყაროს მეუფევ, ოქრო ცეცხლშია, გააკეთე მისგან, რაც გსურს!“ და ცეცხლიდან მაშინვე გაჩნდა ოქროს მენორა.

მენორას უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. იგი განასახიერებს სიბრძნეს თორისას, რომელსაც სინათლეს ადარებენ. „რამეთუ მცნება – სანათია, ხოლო თორა – სინათლე“ (მიშლეი, 6:23).

ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ მას მცნებათა დაცვა თორის შესწავლის გარეშეც შეუძლია. ამ მცდარი აზრის განსამარტავად, შლომონ პამელეხი (სოლომონ ბრძენი) მცნებას ადარებს სანათს – მენორას. მენორა არ გაანათებს, თუ არ ავანთებთ, თუ პატრუქს ცეცხლს არ მოვუკიდებთ. ზუსტად ასევე, ადამიანი ვერ შესძლებს მცნებების სწორად შესრულებას, თუ ისინი თორის სინათლით არ იქნებინა განათებული. ადამიანი, რომელსაც აკლია თორის ცოდნა, აუცილებლად წაიბორძიკებს.

მენორას, როგორც თორის სიბრძნის სიმბოლოს, გამოხატულებად ჩვენი ნეტარხსენებული ბრძენები თვლიან:

- ის დამზადებული იქნა ოქროს ერთი მთლიანი ზოდიდან, რაც თორის ერთიანობის სიმბოლოა. თორის პალახები და პაგადები წარმოადგენენ მის კვირტებსა და თასებს, რომლებიც ერთი ღეროდან იტოტებიან.
- მენორა დამზადებული იქნა სუფთა ოქროსაგან, რაც ნიშნავს: უზენაესის სიტყვა – სუფთა ოქროა, მინარევების გარეშე.
- მენორას შვიდი ტოტი მიუთითებს თორის შვიდ წიგნზე. ჩვენი ნეტარხსენებული ბრძენები განმარტავენ, რომ თორა (ხუთწიგნეული) შედგება შვიდი წიგნისაგან, რამდენადაც ნაწილი „ვაერ ბინსოა“ (ბემიდბარ, 10:35), ერთგვარად ცალკე წიგნს წარმოადგენს, რომელიც წიგნს – „ბემიდბარ“ სამ დამოუკიდებელ ნაწილად ჰქონდა.
- მენორის ექვსი ტოტი მიშნის ექვს განყოფილებას შეესაბამება, შუათანა ღერო კი აღნიშნავს ადამიანის გულში შიშსა და კრძალვას უზენაესის მიმართ, რაც თორის შესწავლის საფუძველია.
- მენორაზე ოცდაორი თასია, რომლებიც შეესაბამებიან ებრაული ანბანის ასოებს, რომელთაგანაც თორა შედგება.

მენორა „მიშქანის“ (გადასატანი ტაძრის) სამხრეთ ნაწილში იდგა, რამეთუ ნეტარხსენებულ ბრძენთა თანახმად – „სიბრძნე სამხრეთში იმყოფება“. მენორა მოთავსებული იყო „პურების მაგიდის“ პირდაპირ, რათა მიენიშნებინა, რომ თორის სიბრძნის გასაღვივებლად მატერიალური მხარდაჭერაა საჭირო.

ტაძარში დასადგმელი მენორებისათვის აბსოლუტურად სუფთა ოქროს მისაღებად, შლომო ჰამელები (სოლომონ ბრძენი) ოქროს ათასგზის ასუფთავებდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანმა ასევე გულდასმით უნდა შეამოწმოს, თუ როგორ ასრულებს მცნებებს. მაშინ მათ შესრულებას უფრო სრულად შესძლებს.

მოშეს დავალების თანახმად, შლომო ჰამელებმა ტაძარში ათი მენორა დადგა. ამრიგად, ტაძარში სულ სამოცდაათი კანდელი ენთო (რამეთუ თითოეულ მენორას შვიდი ტოტი აქვს). ისინი მსოფლიოს სამოცდაათი ხალხის სიმბოლოს წარმოადგენდნენ, რომელთაც ევალებათ ნოახის შვიდი კანონის შესრულება, რაც უზენაესმა მთელს კაცობრიობას უბოძა.

მენორას დასანთებად ზეითუნის ზეთი იხმარებოდა, თანაც, მხოლოდ ის ზეთი გამოდგებოდა, რომელიც მიიღებოდა ზეთისხილის ნაყოფის პირველადი განურვის შედეგად. ეს პირველი წვეთები სრულიად სუფთაა და არ შეიცავს ნალექს, შემდგომი გამოწურვით მიღებული ზეთი კი უკვე გასუფთავებას საჭიროებდა და მენორასათვის მისი გამოყენება არ იყო ნებადართული.

რატომ აირჩია უზენაესმა მენორას დასანთებად მხოლოდ ზეითუნის, და არა რომელიმე სხვა ზეთი?

როგორც იერემია წინასწარმეტყველი ამბობს – ისრაელის ხალხი ზეთისხილსაა შედარებული (II : 15): „ქორფა ზეთისხილი, უმშვენიერესი ნაყოფი, გინოდა შენ უზენაესმა“.

რა მსგავსებაა ეპრაელ ხალხსა და ზეთისხილს შორის?

- ზეთისხილის სინათლე არა მხოლოდ ანთებული ზეთის ალის სინათლეა, არამედ თვით ზეთისხილის ხის ვარჯის ნათებაცაა. როდესაც ქარი მათ ფოთლებს აშრიალებს, ზეთისხილის ხეებს გარს ევლება ვერცხლისფერი ათინათი, რომელიც სინათლის ტალების მსგავსად ლივლივებს, რამეთუ ფოთლის ქვედა მხარე – მოვერცხლისფრო-თეთრია, ხოლო ზედა – მუქი მწვანე. და, სწორედ, ეს კონტრასტი ქმნის იმის შთაბეჭდილებას, თითქოს ხე სინათლეს ასხივებდეს.

- ზეთისხილის ნაყოფი ზეთს მხოლოდ განურვის შედეგად იძლევა. ზუსტად ასევე განდევნილობის შედეგად, ხოცვა-ულეტის, წამებისა და ტანჯვის შემდეგ ისრაელის შვილთა გულები იწმინდება და გამჩენისაკენ შემობრუნდება. ეპრაელის შინაგანი არსება სუფთაა, მხოლოდ „იეცერ არაყი“ (ბოროტი საწყისი) უშლის მას ხელს გამჩენის სამსახურში და, როგორც გარე ძალების ზემოქმედებით გარეგანი ჩენჩხ მოსცილდება, თავს იჩენს მისი ჭეშმარიტი ბუნება – სიწმინდე.

- ზეთის გარდა ყველა სხვა სითხე ერთმანეთში ირევა და ერთგვაროვან მასას იძლევა. ზეთი გამონაკლისია – ის სხვა სითხეებს არ ერევა, ცალკე რჩება. ასევე, ისრაელის ხალხიც ერთადერთი ხალხია ისტორიაში, რომელიც სხვა ხალხების მიერ კი არ შთაინთქა, არამედ შენარჩუნდა და კვლავაც სამუდამოდ შეინარჩუნებს თავის თვითმყოფადობას.

- ისევე, როგორც ზეთი ემსახურება სამყაროს განათებას, ასევე სიბრძნეც, რომელიც ტაძრიდან გამოსხივდებოდა, ანათებდა მთელს სამყაროს.

მენორას სანათებს ქოპენები (ღვთისმსახურები) ყოველ საღამოს ავსებდნენ ზეთით. ისინი

დილამდე არ უნდა ჩამქრალიყვნენ. ზეთის რაოდენობა ისე იყო გათვლილი, რომ საკმარისი ყოფილიყო ზამთრის გრძელი ღამეებისათვის. და ყოველთვის, მათ შორის, ზაფხულის მოკლე ღამეებისთვისაც ეს რაოდენობა გამოიყენებოდა ამიტომ ზაფხულში, დილისათვის ზეთის რაღაც რაოდენობა დაუწველი რჩებოდა.

შვიდი მენორადან ერთ-ერთზე, დასავლეთის მენორაზე (ნერ მაარავი), განსაკუთრებული სასწაული ხდებოდა. დასავლეთის მენორას ეძახდნენ აღმოსავლეთის მხრიდან მეორეს. მასში იმდენივე ზეთს ასხამდნენ, რამდენსაც სხვებში, მაგრამ ის მუდმივად ანათებდა — არ ქრებოდა დილით. საღამოს ქოჰენი სხვა მენორებს ამ, ჯერ კიდევ მანათობელი, დასავლეთის მენორიდან ანთებდა. ზოგიერთი ჩვენი ნეტარხსენებული ბრძენის აზრით, დასავლეთის მენორას ანთება წელიწადში მხოლოდ ერთხელ უწევდათ. ეს სასწაული მიუთითებდა, რომ ისრაელის შვილებს შორის შეხინა იყო დავანებული; ეს სასწაული შიმონ მართლის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა.

მენორა, რომელიც შლომო ჰამელეხმა პირველ ტაძარში დადგა, ტაძრის დანგრევისას დაიკარგა. მეორე ტაძრისათვის ახალი მენორა შეიქმნა. მაკაპელების წიგნის თანახმად, ეს მენორა ანტიოქემ მოიტაცა და ხაშმონაებმა მის მაგივრად სხვა დადგეს.

მიუხედავად იმისა, რომ თანახში რამდენიმე ადგილას გვხვდება მენორას აღნერილობა, არ არსებობს მისი საკმარისად ძველი გამოსახულება, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მისი ზუსტი სახე წარმოგვედგინა.

როდესაც ტიტუსმა მეორე ტაძარი დაანგრია, სხვა განძთან ერთად მენორაც გაიტაცა და ზარ-ზეიმით შეიტანა ის რომში ტრიუმფალური მსვლელობის დროს. ეს სურათი — რომაელი ჯარისკაცები, რომელთაც წმინდა საკულტო საგნები და, მათ შორის, მენორაც მიაქვთ ტაძრიდან, ამოკვეთილია ტიტუსის ტრიუმფალური არკის ქვის ბარელიეფზე რომში. ეს ტაძრის მენორას ერთ-ერთი უძველესი გამოსახულებაა.

წმინდა მენორა გამოსახული იყო მონეტაზე, რომელიც იჭრებოდა იუდეის სამეფოში ხაშმონაების დინასტიის ანტიგონეს მმართველობის დროს (ძვ.წ. 40-37 წწ.). ხშირია მენორას გამოსახულებების აღმოჩენა იერუშალამიში მეფე ჰეროდე I დროინდელი (ძვ.წ. 37-4 წწ.) არქეოლოგიური ფენების გათხრებისას და საერთოდ, ერეც ისრაელსა და სირიაში მენორას გამოსახულებანი მრავლადაა დადასტურებული. ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან მოყოლებული, მენორას გამოსახულებები გვხვდება სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც გაფანტულ ებრაული დიასპორის საფლავის ქვებზე, სინაგოგების დეკორში, მინის ჭურჭელზე და სხვ.

საქართველოში, კერძოდ ქვემო ქართლში, მდინარე კაზრეთის ხეობაში, დაბა კაზრეთში, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის გათხრისას, უეცრად გამომზეურდა გვიან ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა. ამ მასალიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს ოინოხოია (მსხვილტუჩიანი სალვინე სურა), რომელზეც წმინდა მენორიანი საკრალური მოტივია გამოსახული. კერძოდ, კვარცხლბეკიანი სვეტი, რაზეც ცხრასანთლიანი მენორაა (ე.წ. ხანუქია) შედგმული. ოინოხოია, ამჟამად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

კაზრეთის ოინოხოია თანმხლები არქეოლოგიური მასალის მიხედვით გვიანანტიკური ხანით თარიღდება და რომაული სამყაროდან უნდა იყოს საქართველოში შემოტანილი. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს ქართლის სამეფოში ებრაული დიასპორის არსებობაზე და ქართველთა

და ებრაელთა შორის უძველეს კავშირურთიერთობაზე.

უფრო გვიანდელ გამოსახულებებზეც მენორა სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი, რომლის თავდაპირველი ფორმის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

მენორას აღნერილობაში, რომელიც ზემოთაა განხილული (შემოთ, 25, 31:36), თვალშისაცემია ბოტანიკურ ცნებათა სიმრავლეა ღერო, კვირტები, ყვავილები, ნუშისმაგვარი თასები. ამ ტერმინებმა ეფრაიმ და ხანა არეუვენები იმ აზრამდე მიიყვანა, რომ მისი პირველსახე ისრაელის ბუნებაში უნდა ექვნათ. ნაპოვნი იქნა მცენარეთა რამდენიმე სახეობა, რომელთა შეხედულება წიგნ – „ბერეშითში“ აღნერილ მენორას მიაგავდა. ამ მცენარეთა უმრავლესობა თავისებური არომატით გამოიჩევა და მიეკუთვნება სალბის (შალფე) სახეობას. ისრაელის ბოტანიკურ ლიტერატურაში მიღებულია ამ მცენარის სირიული სახელწოდება – მარვა. ეფრაიმ არეუვენიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ სახელწოდებას ებრაული წყარო უნდა ჰქონდეს, კერძოდ – მორია. ასეთია იმ ადგილის სახელწოდება, სადაც გაემგზავრა მამა აბრაჟამი, როდესაც უზენაესმა იცხავის მსხვერპლად მიტანა უბრანა (ბერეშითი, 22:2). შემდგომში ამ ადგილას (მორიას მთაზე) სოლომონ ბრძენმა ტაძარი ააგო.

როგორც საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლო, მენორა თანახში პირველად წინასწარმეტყველ ზაქარიას წიგნში ფიგურირებს, როდესაც იგი თავის ზმანებებს აღნერს. მეხუთე ზმანება მენორას შეეხება. „და დაბრუნდა ის ანგელოსი, რომელიც მელაპარაკებოდა, და გამაღვიძა, ზუსტად ისე, როგორც ძილისაგან აღვიძებენ კაცს. და მითხრა: რას ხედავ? და ვუთხარ: „ვხედავ, აპა, მთლიანი ოქროს მენორას, თასია მის თავზე და შვიდი ლამპადა, ლამპადებს შვიდ-შვიდი მილაკი აქვთ და ორი ზეთისხილია მის გვერდით; ერთი – მისი თავის მარჯვნივ და მეორე – მარცხნივ. ხმა ამოვილე და ვუთხარი ანგელოსს, რომელიც მელაპარაკებოდა: რა არის ეს, ჩემი ბატონო? მომიგო ანგელოსმა, რომელიც მელაპარაკებოდა და მითხრა: განა არ იცი, ესენი (გამოცხადებები) რა არის (რას ნიშნავენ)? ვუთხარი: არა-მეთქი, ჩემი ბატონო. მომიგო ანგელოსმა და მითხრა: ეს არის უფლის სიტყვა, ზერუბაბელის მიმართ ნათქვამი: არა ძალითა და ძლიერებით, არამედ მხოლოდ ჩემი სულით – თქვა ცაბაოთ უფალმა“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მენორა უმნიშვნელოვანესი რიტუალური აქსესუარი იყო. ის სიმბოლურად ტაძრის მშენებლობის დამთავრებას აღნიშნავდა. ზაქარიას ზმანებაში ზეთისხილის ორი ნაყოფი, რომელთაგან ზეთი წვეთავდა მენორაში, სიმბოლურად ებრაელი ხალხის ორ ბელადს აღნიშნავს – იეჰოშუა ბენ ნუნსა და ზერუბაბელს, რომლებიც ისრაელის ხალხს აღთქმული მინის ათვისების ეპოქაში ხელმძღვანელობდნენ. აქ მოტანილი სტროფის იდეა, სადაც მატერიალურ საწყისზე სულიერის უპირატესობაა ხაზგასმული, ებრაელ ხალხს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე თან დაჰყვება. ასე წარმოჩნდება ზმანებაში მომავალში ციონში მესიის დაბრუნების თემა, მენორა კი მასში გამოყენებულია, როგორც ტაძრის მშენებლობის დამთავრებისა და ისრაელი ხალხის სულიერი აღორძინების სიმბოლო.

ამრიგად, მენორა მრავალნიშნა სიმბოლოა: სულიერი, ნაციონალური, რელიგიური, მაგრამ უნინარეს ყოვლისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის სინათლის წყაროა. „სინათლის“ ცნება იუდაიზმის სამ ცენტრალურ სიმბოლოს შორის ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესია. ამიტომ სანთლები, რომლებიც სინათლის წყაროს წარმოადგენენ, ებრაელთა ყველა თაობის მანძილზე მნიშვნელოვან პლასტიკურ და ვერბალურ ებრაულ სიმბოლოდ აღიქმება.

მარადიული სანთელი, რომელიც დღე და ღამ იწვის სინაგოგაში (ბეით ქნესეთში), არონ

ჰაკოდებშის წინ, უშუალოდაა დაკავშირებული ტაძარში მენორის დანთებასთან.

სინაგოგალურ სანთელთან დაკავშირებით სხვა წეს-ჩიქარონ, როგორიცაა სულის მოსახსნიერებელი სანთელი (ნერ ჰა-ზიქარონ), რომელიც ინთება ტრაურისა და გარდაცვალებიდან წლისთავის დღეებში. ეს ჩვეულება თეპილიმის წიგნში (ფსალმუნთა წიგნი) იღებს სათავეს, თავში, სადაც სული სანთელსაა შედარებული, რომელიც ჩვენს არსებაში ღმერთმა დაანთო, რათა ჩვენი გზა გაენათებინა.

სიმხათ-თორის დღესასწაულზე ჩვეულებაა – არონ ჰაკოდეშში ანთებული სანთლის შეტანა, მას შემდეგ, რაც იქიდან ყველა სეფერ თორას გამოიტანენ.

არსებობს ასევე სანთლების დარიგების ტრადიცია, რომელიც როშ ჰაშანაში მთელი დღის განმავლობაში ინთებიან, იმისათვის, რათა მათი საშუალებით მოხდეს ჰავდალის ლოცვების კურთხევა შაბათის გასვლისას.

სეფარდულ თემში მიღებულია, რომ, როდესაც მამას პირველად მიჰყავს თავისი შვილი სალოცავად სინაგოგაში, მიიტანოს იქ პარაფინის სანთელი.

შაბათის წმიდაყოფა ყველაზე გავრცელებული ტრადიციაა, რომელიც სანთლების დანთებასთანაა დაკავშირებული. როდესაც ოჯახის დედა და ქალიშვილი საშაბათე სანთლებს ანთებენ, ებრაული სახლი განსაკუთრებული შუქით ნათდება. საშაბათე სანთლები სულიერი სიმბოლოს, შინაგანი სინათლისა და სინმინდის სიმბოლოს კლასიკური მაგალითია. ასე რომ, უკვე სამიათას წელზე მეტია, რაც მენორა ებრაელ ხალხს თან დაჰყვება: სინაის უდაბნოში ხეტიალის უამს მისი ლამპადები ანათებდნენ გადასატან ტაძარში, ანათებდნენ პირველ, ხოლო ასწლეულების შემდეგ – მეორე ტაძარშიც. მას შემდეგ კი, რაც ტიტუსმა მეორე ტაძარი იავარჲყო და მენორა გაიტაცა, ტაძრის მენორის ნაცვლად ათასობით და ათი ათასობით ახალი შანდლები გაჩნდნენ, რომლებიც შუქს ჰენდნენ ებრაულ სახლებს ერეც ისრაელსა და დიასპორაში. მენორა გამოსახული იყო საზოგადოებრივი შენობების კოლონებზე, გამოქვაბულ-აკლდამებში, ძველი სინაგოგებისა და იეშივების (რელიგიური სასწავლებელი) ფერად ვიტრაჲებსა და იატაკის მოზაიკაზე. ებრაელი ოსტატების მიერ გაკეთებულ მენორის ფორმის შანდლებში იწვოდა ზეითუნის ზეთი, ანათებდნენ ცვილის სანთლები, უკანასკნელ ხანს კი – ელექტრონათურები ანთია.

ამრიგად, მენორას მრავალრიცხოვან სიმბოლურ მნიშვნელობათაგან საერთოა ერთი – ის სინათლის, ნათების წყაროა. მენორა გამორჩეული იყო ტაძარში, მისი სინათლის შესახებ ნათქვამია, რომ ის „გადასძლევდა ყველა მსხვერპლშენირვას“. ტაძრის არსებობისას მთელი ისრაელის მზერა ტაძრისაკენ იყო მიჰყორბილი, რომლისგანაც მთელი სამყაროსათვის სიწმინდის მიმნიჭებელი სინათლე გამოსჭვიოდა. როდესაც სოლომონ ბრძენმა ტაძარი ააგო, მას განსაკუთრებული ფანჯრები გაუკეთა – ისინი ტაძარში გარედან დიდ სინათლეს არ ატარებდნენ, ტაძრიდან კი, პირიქით, მათი მეშვეობით სინათლე თავისუფლად გადიოდა გარეთ. ანუ, ტაძარი არ საჭიროებდა გარედან შემომავალ განათებას, მაშინ, როდესაც ტაძრიდან გამომდინარი შუქით მთელი სამყარო იკვებებოდა. ასევე, არც მენორა იყო განკუთვნილი ტაძრის განათებისათვის, ის ისრაელის სახლებისა და სულების განათებას ემსახურებოდა.

ღმერთი თავად არის სინათლე, მაგრამ მან ისრაელს ნება დართო, მისთვის — ღმერთისათვის მენორა აენთო.

მენორას სიმბოლიკის ყველა ახსნა-განმარტება ებრაელობის ფიზიკურ არსებობასა და მის სულიერ და რელიგიურ შინაარსს შორის კავშირს გამოხატავს. ის, ერთი მხრივ სიმბო-

ლოა ტაძრის არსებობის უამისა, როდესაც ისრაელის ხალხი თავის მიწაზე ცხოვრობდა, და ციონში დაბრუნების და ებრაული სახელმწიფობრიობის აღდგენის ჩაუქრობელი იმედისა. მეორე მხრივ კი – სულიერი ნათებისა და ხალხის გულში წმინდა ღვთაებრივი გრძნობის არ-სებობისა. ასეთი შეხამება ხაზს უსვამს ებრაელი ხალხის ამაღლებულ მდგომარეობას თავისი ისტორიის იმ მონაკვეთში, როდესაც ნაციისა და რელიგიის ერთიანობა არსებობდა.

ნაციონალური და რელიგიური საწყისების ასეთი შერწყმის წყალობით, მენორა სახელმწიფოს სიმბოლოდაც იქნა არჩეული. ნიმუშად აღებული იქნა რომში, ტიტუსის ტრიუმფალური არკის ბარელიეფზე არსებული მენორას გამოსახულება. მაგრამ, როგორ შეიძლებოდა სიმბოლო, რომელსაც მთელი მსოფლიოსათვის უნდა ემცნო ებრაელებზე რომაელთა გამარჯვება, ხაზი გაესვა ტაძრის დაცემისა და მისი საგანძურის გატაცებისათვის, გადაქცეულიყო ისრაელის ნაციონალურ და რელიგიურ სიმბოლოდ?

როგორც მაგენდავიდი, სიმბოლო, რომლის გამოყენება ებრაელი ხალხის დასამცირებლად უნდოდათ, გადაიქცა ნაციის სიხარულის წყაროდ, ასევე რომაელთა მცდელობამ, მენორა ებრაელთა მორჩილების სიმბოლოდ დაემკვიდრებინათ, სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო – როდესაც ისრაელის ხალხმა კვლავ მოიპოვა ნაციონალური დამოუკიდებლობა, მან ეს სიმბოლო ქვეყნის გერბად აქცია. სიმბოლო, რომელიც იარაღის ძალით წაგვართვეს ორიათასი წლის წინ და რომელიც მთელ მომდევნო თაობათა მანძილზე ებრაელი ხალხის ოცნებისა და იმედის ნაწილს ნარმოადგენდა, კვლავ ჩვენ გვეკუთვნის.

ყოველ თაობას თავისი სანთლები აქვს, თავის მშვიდობიან, ნაყოფიერ და თავისუფალ სამშობლოში – ერეც ისრაელში დაბრუნების თავისი იმედი და, როდესაც 1948 წელს ებრაელმა ხალხმა დამოუკიდებლობას მიაღწია, მენორა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არჩეული იქნა ისრაელის სახელმწიფოს სიმბოლოდ – ის მის გერბზეა გამოსახული.

**ინდირა გოგოძე** – ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის თანამშრომელი, უურნალისტი

## პოზიტიური ცვლილებების სამუშაო პოლიტიკა მხოლოდ სიკათაზეა აგებული

ჩვენი კრებულის ერთ-ერთ ნომერში აღნიშნავდით, რომ ამქვეყნად, ყოველ ადამიანს უფლისგან თავ-თავისი ჯვრის ტარება აქვს დავალებული. ზოგს მსუბუქი – ნიავივით, ზოგს კი – მძიმედ სატარებელი. მნიშვნელობა იმას აქვს, თუ, ვინ როგორ აიღებს ამა თუ იმ მოვალეობას თავის თავზე, ატარებს თუ არა ყველა ღირსეულად თავის ჯვარს... გავამახვილეთ ყურადღება იმაზეც, რომ საზოგადოების ყველა ფენას თავისებური პრობლემა აქვს, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც საკუთარის გარდა, სხვის გაჭირვებაზეც ფიქრობენ, შინაგანი ხმა ეძახით სიკეთის გასაკეთებლად – რაც აპადიათ, სხვებისთვის გასანაწილებლად.... ესაა სპეციფიური ნიჭი და ეს ნიჭი ქველმოქმედებაა... მოწყალების გაცემაა... ამას კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, თუ ეს თვისება უფრო ძლიერდება, თანდათან ვრწმუნდებით, რომ ეს სიკეთე მართლაც უანგარო საფუძველზეა აღმოცენებული. მთავარი აქ სუფთა გულია და ამ გულიდან წამოსული იდეების კეთილ საქმეებად ქცევაა... ამჟამად ისევ ბატონ ზაურ თათვიძეზე ვისაუბრებთ, რადგან ახალი იდეების საქმედ ქცევა, მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა და დასასრული მართლაც არ უჩანს მის ნაყოფიერ საქმიანობას. ეს უპირველესად იმ ადგილის სიყვარულის ბრალია, სადაც დაიბადა და გაიზარდა. რასაც მშობლიურ, საყვარელ ვანს ეძახის. იგი ამავდროულად ჩვენი-ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებულ „მატიანეს“ (ისე, როგორც ბატონი ბეჟან წაქაძე, რომელზედაც მომდევნო ნომერში გვევნება საუბარი), სარედაქციო კოლეგიის წევრიცაა იგი არამარტო ბიზნესმენი და მეცენატი, მეცნიერი კაცია და ყოველთვის გვერდით გვიდგას ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების საკითხში.

ზაურ თათვიძე სოფელ სულორში დაიბადა. აქვე გატაარა ბავშვობა. დაამთავრა სულორის საშუალო სკოლა. მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, აქვე დაამთავრა ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაციაც. მინიჭებული აქვს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, შემდეგ მაშინდელ მინისტრთა საბჭოში, ბოლოს კვლავ ფინანსთა სამინისტროში. ეჭირა საკმაოდ მაღალი საპასუხისმგებლო პოსტები. ეს რაც შეეხება სახელმწიფოს მაღალი რანგის სტრუქტურებში მუშაობას. ხოლო 1995 წლიდან ენევა კერძო ბიზნესს. 1998 წელს დააფუძნა სამშენებლო კომპანია „განი-ჯგუფი“, რომლის გენერალური დირექტორი ამჟამადაცაა. პარალელურად აქვს ბიზნესი აგრარულ სექტორშიც, მათ შორის ვანშიც. რაც შეეხება ქველმოქმედებას, ამ სფეროს მასში შინაგანი მოთხოვნილების სახე აქვს მიღებული. ვანში მისი საქმიანობაც, ძირითადად ქველმოქმედებამ განსაზღვრა. „სიმართლე გითხვათ, მიუხედავად რიგი წამოწყებებისა, აქედან (ვანიდან) მე არ ველოდები ისეთ მოგებას, რომელიც მნიშვნელოვნად იმოქმედებს ჩემი ბიზნესის საერთო პოტენციალზე, მაგრამ ვდგავარ ჩემი ვანელების, მეზობლების გვერდით და რამდენადაც შევძლებ ბოლომდე ვიქნები მათთან ერთად და ამის განმსაზღვრელია ის დიდი სიყვარული და მონატრებაც, რომელსაც მე მშობლიური ვანის რაიონის სიყვარულს დავარქმევდი. ვფიქრობ, ამ საქმის კეთებაში, თანადგომაში, ქართული ქრისტიანული კოდიც დევს“ –

ეს ბატონ ზაურ თათვიძის სიტყვებია. სწორედ ამ ქრისტიანულმა კოდმა განაპირობა ტაძართა მშენებლობაში მის მიერ ლომის წილის გაღება: სულორის თემში თათვიძეების უბანში ქაშვე-თის ეკლესია, სულორის ცენტრში სამების ეკლესია, ქალაქ ვანის ცენტრში, ჯვრის მოედანზე ჯვრის აღმართვა, საქველმოქმედო წილი დევს ვანის საკათედრო ტაძრის მშენებლობაშიც. ასევე, ვანის ცენტრში მის მიერ იქნა შესყიდული, მოუვლელობით დანგრევის პირას მისული საქართველოს მედიცინის პროფესიონელების მუშაკთა ყოფილი კულტურის სახლი. დღეს მას სხვა დანიშნულება აქვს მიცემული, მაგრამ სრულიად სახეცვლილი და რეაბილიტირებულია და ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო შენობაა ქალაქში, სადაც შეიძლება ნებისმიერი კულ-ტურული ღონისძიებების ჩატარებაც. აგრეთვე, ქალაქის ცენტრში არსებული საკოლმეურ-ნეო ბაზარი, რომლის ძირითადი ნაწილის რეკონსტრუქცია უკვე დასრულებულია. იყო საუ-ბარი სამომავლო გეგმებზე, რომელთა უმრავლესობა დღესდღეობით განხორციელებულია და რეალურად ფუნქციონირებს. უთუოდ უნდა წარმოვადგინოთ მათი ნუსხა, ვინაიდან ეს არა მარტო დასაქმება და ბიზნესია, არამედ მაგალითია თითოეული რიგითი ვანელისათვის, თუ როგორ უნდა ჩავდოთ თუნდაც მცირე წილი საზოგადოებრივ საქმიანობაში: ააშენეს და აამუშავეს სარიტუალო სახლი, რომელიც მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების მიხედ-ვით და მომსახურება ხელმისაწვდომია ყველასთვის; აშენდა და ამუშავდა პურის საცხობის მინიქარხანა, რომელიც აღჭურვილია იტალიური დანადგარებით, სადაც საუკეთესო ხარისხ-ის ხელმისაწვდომი პროდუქტი იქმნება; იგეგმება და ეწყობა ხის გადამამუშავებელი საამქრო; მოაწყვეს სანერგე მეურნეობა, სადაც მომავალი წლიდან დაგეგმილია 20 ჰა ხეხილის ბალის გაშენება; ქ. სამტრედიაში ააშენეს და აამუშავეს ჩირის საშრობი საწარმო, სადაც შეიძინეს თანამედროვე ტექნიკა-დანადგარები. ადგილზე მუშაობს ტექნოლოგიც.

ბატონ ზაურ თათვიძის ხელმძღვანელობით 2018 წლის ივლისში ვანში საფუძველი ჩაეყარა საკონდიტრო საწარმოს „კონდიტო“, რომლის შესახებაც უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ. პატარა „ტკბილი ქვეყნის“ განვითარებასა და ჩამოყალიბებას დიდი რესურსი და სწორი მიდ-გომა სჭირდებოდა, რასაც ადვილად გაართვა თავი ბატონმა ზაურმა თავის გუნდთან ერ-თად. თანმიმდევრობის ზედმინევნით დაცვამ და პროფესიონალების საქმეში ჩართვამ შედეგი გამოიღო და უზარმაზარი სამუშაოები ჩატარდა: გამოიყო საწარმოო ფართი, რომელიც აღ-ჭურვილ იქნა თანამედროვე ტექნიკა-დანადგარებით, საწარმოო ტერიტორიაზე დაცულია შრომის და წარმოების უსაფრთხოება, უმაღლეს დონეზეა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, თბილისიდან მოიწვიეს საკონდიტრო-ფქვილოვანი ნაწარმის ტექნოლოგი, შეიქმნა პროფესიული მომზადების კურსი, სადაც მოამზადეს 17 ადამიანი და შეასწავლეს საკონ-დიტრო საქმიანობა-რეცეპტურა და მუშაობის ტექნიკა, მოწყო ფართი მაღაზიისთვის ყველა საჭირო ინვენტარით. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ დამფუძნებლის სურვილიდან გამომდი-ნარე ხარისხი და ხელმისაწვდომობა „კონდიტოს“ საფირმო ნიშანია. ხუთთვიანი სასწავლო კურსი, თანამშრომელთა კვება და მინიმალური ხელფასი სწავლების პერიოდში-რაც იშვიათი მოვლენაა, მთლიანად დააფინანსა ბატონმა ზაურმა. კურსის დამთავრების შემდეგ კი ჩვიდ-მეტივე ადამიანი დასაქმდა საწარმოში. უახლოეს მომავალში იგეგმება გაფართოება, რაც ორჯერ გაზრდის სამუშაო ადგილებს.

ამჟამად საკონდიტრო საწარმოში მზადდება 25 დასახელების ნაწარმი. ცნობილია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე წარმოებები პროდუქტის შექმნაში იყენებენ არც თუ ისე სა-სარგებლო საკვებ დანამატებს-ემულგატორებს, სტაბილიზატორებს და ვადის გამხან-გრძლივებლებს, რაც „კონდიტოში“ მინიმუმამდეა დაყვანილი. აქ მოიხმარენ სხვადასხვა სახის ნედლეულს: ჯემებს, სიროფებს, თხილეულს, თაფლს, არომატიზატორებს, რომელიც ქ. სამტრედიაში არსებული გადამამუშავებელი საწარმოსგან მიეწოდება. აღსანიშნავია ისიც,

რომ არა საზღვარგარეთ, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შეძენილი დიდი რაოდენობის ნედლეულით მზადდება ხილფაფები, სიროფები, არომატები და ჩირები, რაც განსაკუთრებულ გემოს ანიჭებს ნაწარმს. ეს კი უსაფრთხო და სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.

უახლოეს მომავალში ბევრი სიახლეა დაგეგმილი, რაც რაიონისათვის მეტად საინტერესო და სასარგებლოც იქნება, რადგან ბატონ ზაურ თათვიძის მიდგომა და განსხვავებული დამოკიდებულება ადამიანების მიმართ სასიამოვნოს ხდის სამუშაო პროცესს. ზემოთ ჩამოთვლილ საქმეთა განხორციელება ადვილი არ არის, მაგრამ თავის გუნდთან ერთად იგი ნაბიჯნაბიჯ მივიდა დასახულ მიზანთან. საქმიანობაში აქტიურადაა ჩაბმული მისი ვაჟი ლევან თათვიძეც.

აღნიშნულ საწარმოში, აგრარული მიმართულების სფეროს ჩათვლით, ადამიანთა დიდი ჯგუფია დასაქმებული. აქ ზედმიწევნითა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური შრომის კოდექსი და უსაფრთხოება. რაც შეეხება ანაზღაურებას, იგი ქვეყანაში არსებულ ნორმებსაც აჭარბებს. ანუ უდაოა ის ფაქტი, რომ ამ გარემოში ადგილზე მომუშავეც და მყიდველიც თავს კომფორტულად გრძნობს. ასე რომ, დღესდღეობით ცნობილი და პოპულარული ლოზუნგი – „იყიდე ქართული“, ამ შემთხვევაში მოწოდებას ამართლებს. მთავარია, მომხმარებელმა გააკეთოს სწორი არჩევანი და რეალურად შეხედოს ამ ყველაფერს. ლუციუს სენეკა ამბობს – „იქ, სადაც ადამიანია, ყოველთვის არსებობს სიკეთის ქმნადობის შესაძლებლობა“. ალბათ არავინ შემედავება, რომ ასეთი ადამიანები ჩვენ მრავლად გვყავს.

„ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი“

### მადლობას უხდის:

- ცენტრის კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრს, პიზნესმენსა და ქველმოქმედს ბატონ ზაურ თათვიძეს „მატიანეს“ მე-14 ნომრის გამოცემაზე დახმარებისა და გვერდით დგომისათვის.
- ვანის მუნიციპალიტეტის მერს ალექსანდრე გოგორიშვილს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ალექსანდრე ლილუაშვილს მუდმივად გვერდით დგომისა და დახმარებისათვის
- „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.
- „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.
- ვანის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს. სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს.
- მადლობას ვუხდით „მშემ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

---

### რედაქტორი – ომარ კაპანაძე (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

#### სარედაქციო კოლეგია:

**გურამ ყიფიანი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

**თეიმურაზ სურგულაძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

**თეიმურაზ ადეიშვილი** – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

**ომარ ძაგნიძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**უჩა დვალიშვილი** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ლუკა დვალიშვილი** – ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

**ომარ გაბუნია** – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

რედაქტორ-გამოცემელი – ბეჟან წაქაძე  
ზაურ თათვიძე

პასუხისმგებელი მდივნები: აკაკი თევზაძე, თამილა მუავანაძე.

კორექტორები: ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე.

კომპიუტერული ვერსია – ბელა ცაბაძე

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – სალომე ტოხვაძე

კრებულში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

კრებული გამოდის 2014 წლიდან

